



ითსებ  
სიბუფვილი

ვაჩუჯის  
მადლით  
მოსიღნი

იოსებ სიბოშვილი

ვარჯის  
მადლით მოსიძნია

თბილისი  
2018

წიგნში „გარეჯის მაღლით მოსილნი“ ავტორი მოგვითხრობს გარე კახეთის სოფლების — პატარძეულის, სართიჭალის და უდაბნოს ისტორიას და მკითხველს აცნობს ამ ძირძველ სოფლებში მოღვაწე ადამიანების საქმიანობას და შემოქმედებას.

წიგნში ამოიკითხავთ სრულიად ახალ, ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობ ფაქტებს, რომელნიც დამყარებულია, როგორც საარქივო მასალებზე, ასევე საერო და საეკლესიო გადმოცემებზე.

რედაქტორი  
მანანა გორგიშვილი

დამკაბადონებელი  
თამარ ტყაბლაძე

ISBN 978-9941-8-0344-4

## არ დავივიწყოთ გმირთა სავანე

მკითხველის სამსჯავროზე იოსებ სიბოშვილის ახალი წიგნია - „გარეჯის მადლით მოსილნი“, სადაც ავტორი კვლავ ივრისპირელთა შესახებ გვიამბობს, მათ შესახებ, ვინც თავისი საქმით, ქველმოქმედებით, პროფესიონალიზმით, სიკეთით და უნაგარობით ნათელ მაგალითს გვაძლევენ, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ და ვიღვანოთ, რათა ტაძრისკენ მიმავალ გზას არ ავცდეთ.

ღვთის ნებით, ადამიანს სიცოცხლე სიკეთის ქმნისთვის ენიჭება. უფლის მადლით სიკეთის თესვა და შენება ყველას არ შეუძლია, რამეთუ „მრავალნი არიან ნოდებულ, მცირედნი - რჩეულ“. რჩეულთა წარმოჩენა ღვთიური საქმეა. სულმნათმა ილია ჭავჭავაძემ დაგვიბარა, რომ „ჩუმი, მშვიდობიანი, დინჯი, არამყვირალა მოღვაწეობა, საცა უნდა იყოს, თუ გულმხურვალეობით არის გამთბარი, გულმოდგინებით წარმართული, ერთგულობით ძირმაგარი და პატიოსნებით ნათელცხებული, უტყუარი ნიშანია თვითონ მოღვაწის დიდბუნოვნებისა... ხოლო იმისთანა საქმენიც არიან, რომელთაც უღარუნები არა აქვთ და არა ხმაურობენ, მაგრამ მათ არანაკლები მნიშვნელობა აქვთ წუთისოფლის სიმწარის დასატკბობად და სიმწვავის გასანელებლად“. სწორედ ასეთ არაჟღარუნა, არახმაურიან საქმეთა წარმმართველთ, ერთგულებით ძირმაგარ და პატიოსნებით ნათელცხებულ პატარძეულელებს, სართიჭალელებს და უდაბნოელებს გვაცნობს იოსებ სიბოშვილი, რადგან, როგორც თავად ამბობს: „წმიდანთ ვედრება, ბრძოლის ყიჟინა და შემართება, დღესაც გაისმის ლოცვასავით გარეჯის ცაზე“. გადაშალეთ, წაიკითხეთ და დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით, რადგან ავტორის სურვილია, რომ: „არ დავივიწყოთ გმირთა სავანე, ღირსი მამების ლოცვით აღვსილი, მუდამ გვახსოვდეს ქველის მოქმენი, წმიდა გარეჯის მადლით მოსილნი“.

დღეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობის გზას ვადგავართ. გვსურს სამართლებრივი, დემოკრატიული ქვეყნის მკვიდრნი გავხდეთ, მაგრამ თუ არ გვეცოდინება წინაპართა თუ ჩვენს გვერდით მოღვაწე თანამედროვეთა საქმიანობა, თუ არ ვისწავლეთ სხვისი ღვაწლის ობიექტური და მიუკერძოებელი შეფასება, თუ ჭეშმარიტი მართლმადიდებლური მიტევებით და დაფასებით არ აღვიჭურვეთ, ალბათ ტაძრისკენ მიმავალ გზას ავცდებით.

ჩვენ წილად გვცხვდა ოცდამეერთე საუკუნის ბინადარნი ვყოფილიყავით, მაგრამ ეს სულაც არ აღმოჩნდა ადვილი. ძველი სტე-

რეოტიპების, შეჩვეული კერპების მსხვრევასა და ღირებულება-თა გადაფასებას ძალიან ბევრი ჩვენთვის უჩვეულო და ბოლომდე გაუცნობიერებელი მოვლენა მოჰყვა. შემაშფოთებელ სტატი-ტიკას იმის შესახებ, თუ რამდენი ადამიანია სილატაკის ზღვარზე, რამდენი ადამიანი ცდილობს საზღვარგარეთ გაქცევით დააღწიოს თავი დღევანდელ გაუსაძლის ყოფას, ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ გულგრილები გავხდეთ და აუღელვებლად შევეგუოთ ამას. ამ ყველაფრის ფონზე უნებურად გიჩნდება სურვილი გვეროდეს, რომ გვირახის ბოლოს სინათ-ლე აუცილებლად გამოჩნდება. სწორედ ასეთი სინათლეა წინამდე-ბარე წიგნი, რომლის ფურცლებზეც მოთხრობილია პატარძეულე-ლთა: გიორგი (გოგლა) ლეონიძის, ვასილ (ვასო) ყუშიტაშვილის, სოლომონ ბუტულაშვილის, ალექსანდრე ელერდაშვილის, ვლადი-მერ (ლადო) ცხვარიაშვილის, ცისიერ (ცისი) დიდმელაშვილის, გივი ონაშვილის, ნინო ლაფერიშვილის, მაია (მაკო) სასწრაფოშვილის, არჩილ ონაშვილის, სართიჭალელების: სოფიო (სონია) გენგაშვი-ლის, იმბურგ კოლაშვილის, დეკანოზ შალვა(შუბითიძე) – გოლ-ისელის, ბერდიაკონ იოსებ-მაშენებელის (ერისკაცობაში ვიქტორ კარელიძე), გურამ გედეხაურის, სიმონ გოჩიტაშვილის, ალექსი (ალიკო) თავთავაძის, ოთარ თიღილაურის (სისაური) – თორღვა ანატორელის საქმიანობასა და მოღვაწეობაზე. კეთილ სიტყვას ხომ დიდი ძალა აქვს. შევმატოთ სიტყვას სიკეთის მადლი და ეს სიკეთე, წიგნად აკინძული, იქნება ის ნათება, რომელიც ასე სჭირდება თი-თოეულ ჩვენგანს. ჩემი სურვილია, რომ ყველა ქალაქს, სოფელს, დაბას იოსებ სიბოშვილისნაირი სიტყვის მსახურნი ჰყავდეს, რათა იქაურ მკვიდრთა, წინაპართა და თანამედროვეთა შესახებ აკინძუ-ლი ყოველი წიგნი მზის სხივად და სიკეთის ნათელად მოეფინოს დღევანდელ საქართველოს და ჩვენს შთამომავლობას.

წიგნის ბოლოთქმაში ავტორი აღნიშნავს, რომ „ბევრი რჩეული ცხოვრობდა ჩვენს გვერდით, ბევრი იბადება ახლაც, ბევრნი ცოცხ-ლობენ და ღმერთმა გაუმარჯოს ცხოვრების დიდ გზაზე მავალთ... თუ ვინმე გამომრჩა, თუ ვინმე დამავინყდა, სიკვდილსაც დაავინყდეს ნეტავ, ყველას გესალმებით, ყველას გეფერებით ღმერთი ყოფილიყ-ოს თქვენთან! შევეცდებით, ღმერთის შენევნით, მათი კეთილი საქ-მეების შესახებ შემდეგ გამოცემებში ვაცნობოთ ქვეყანას“.

დაველოდებით შემდეგ გამოცემებს და დარწმუნებული ვარ, „გარეჯის მადლით მოსილთა“ ამბებს მკითხველი სათანადოდ მიიღებს და დააფასებს.

*მანანა გორგიშვილი*

\* \* \*

მთები, ველები, ყორღანები, ნაქალაქარნი,  
უკიდევანოდ გადაშლილი წმიდა მიწაზე,  
წმიდანთ ვედრება, ბრძოლის ყიჟინა და შემართება,  
დღესაც გაისმის ლოცვასავით გარეჯის ცაზე.

აქ არის მკერდი ღვთისმშობლის მიწის,  
აქა წყდებოდა ბედი ქართლისა,  
აქ გმირთა ძვლებზე იწერებოდა  
ისტორიანი მომავალისა .. .

არ დავივიწყოთ გმირთა სავანე,  
ღირსი მამების ლოცვით ავსილი,  
მუდამ გვახსოვდეს ქველის მოქმედნი  
წმიდა გარეჯის მადლით მოსილნი.

იოსებ სიბოშვილი



## ავტორის აზარი

წმიდა დავით და დოდო გარეჯელების მიერ დაწყებულმა ღვთიურმა მოღვაწეობამ ძირეულად შეცვალა ივრისპირელთა ცხოვრება. საუკუნეების განმავლობაში ინრთობოდა ქართლოსის კუხელ-კახელების ჯიშ-ჯილაგი, მისი გუთნის დედობა და მეომრული სული. იცვლებოდა თაობები, მტერიც და მოყვარეც ბევრი უნახავთ ივრისპირელებს, გადაჯიშებაც უცდიათ მათი, მაგრამ გარეჯის მაღლით მოსილნი დღემდე მოვიდნენ, წინაპრების სისხლით მორწყულ და მიწაში ჩამარხულ მათი ძვლებით ჩადულაბებულ მიწაზე მედგრად დგანან და არსად წასვლას არ აპირებენ. საქართველოში მაცხოვრებელი უამრავი ქართველი და არაქართველი მოსახლეობა შეემატა მათ. ივრისპირელებს არც მტრის მოგერიებაში დამხმარე ძალად მოსულ ჩრდილოეთ კავკასიელებთან თანაცხოვრებაზე უთქვამთ უარი და გვერდი-გვერდ ცხოვრობენ ერთიან ძმურ კავშირში.

პატარძელი, სართიჭალა და უდაბნო – გარე კახეთის სამი უძლიერესი სოფელი დღესაც იზრდება და მშვენდება.





### პატარქული

პატარქულო ნაქებო,  
ვაჟკაცო ილეთიანო,  
ქალო და რძალო ლამაზო,  
საყდრებო გუმბათიანო.  
ციხე-კოშკებო ნაქებო,  
პურ-ღვინო ბარაქიანო...

*ხალხური*





ჩემს ბავშვობაში ზაფხულის უმეტეს პერიოდს პატარძეულში, სოფლის განაპირას მცხოვრებ, დედაჩემის დასთან, თამარა დეიდასთან ვატარებდი. გოროზად, თითქოს ციდან გადმომდგარი ესტატეს მთა ჩემში ათასნაირ ფიქრებს აღძრავდა ხოლმე. მეგონა, ამ ეკლესიით დამშვენებული მთის იქით ანგელოზთა სამეფო იყო. ხოლო როდესაც უფროსები, მთის იქით მდებარე, ქვიტკირის წყაროს კეთილგემოვნებაზე ჩამოაგდებდნენ სიტყვას, თვალწინ ზღაპრებში ამოკითხული უკვდავების წყალი მეღანდებოდა. ჩემს ოცნებას ფრთები მაშინ შეესხა, როდესაც კეთილმა მოხუცმა პაპა იობმა თავისი სახედრით ჩემს მიერ ნაოცნებარ „ანგელოზთა სამეფოში“ წამიყვანა... ქვიტკირის წყაროში დაღობილი გამხმარი ობიანი პურის გემო არასოდეს დამავიწყდება... ვერ დავივიწყებ, საყარაულოს მთიდან გამოქროლილ ნიავს როგორ მოჰქონდა მინდვრის მარწყვის საამო სურნელება... ვერ დავივიწყებ პატარძეულის ზაფხულის ვარსკვლავიან ღამეში ჭრიჭინების ჭრიჭინს და ციციანთელების ნათებას, რომელიც განსაკუთრებულ სიხალისეს და სიხარულს მანიჭებდა... და ბოლოს, რა დამავიწყებს ადამიანების მაშინდელ მზერას... მადლიანს... სიკეთითა და მზრუნველობით აღსავსეს...

\* \* \*

პატარძლების სამფლობელო,  
 აკვნის რწევით დაღალულო,  
 ტანჯვა უფრო მეტი გქონდა,  
 ამ ცხოვრებით დაქანცულო.  
 როცა მტერი თავს გეხვია,  
 ძლევა შენი ძნელი იყო.  
 ერის ბურჯო, სიბრძნის კონავ,  
 უფლის მადლის საბრძანისო,  
 ლამაზ, ჭკვიან შვილებითურთ  
 იხარო და გაზრდილიყო.

იოსებ სიბოშვილი

\* \* \*

კახეთის ზვრებში აღარ ბინდდება,  
უცხო რამ შუქი ანათებს ციდან,  
ნათლის სვეტებად გზებზე ბრწყინდება,  
პატარძელი და ნინონმინდა.

ქარში ჩურჩულებს ვენახი ძველი  
და ჩანს სოფელი ვაზს ჩახვეული,  
ქართული ლექსის ხატი და რთველი —  
მზე — პატარძალი — პატარძელი.

აქ მომიყვანა ბედის აფრებმა  
მე აქ მიხმოზდა სული გრძნეული,  
პატარძელი — გედის აფრენა,  
ლექსის ვენახი — პატარძელი.

**ვლადიმერ ალფენიძე**



პატარძელი რომ კახეთის ერთ-ერთი ძირძველი და თვალსაჩინო სოფელია ამას მხოლოდ ისტორიული წყაროები არ ღაღადებენ. საქართველოში იშვიათია სოფელი, სადაც თავმოყრილი იყოს ერთად უამრავი ეკლესია და ციხე-კოშკები: ღვთისმშობლის სამონასტრო კომპლექსი, წმიდა შიო მღვიმელის, კვირაცხოვლის, ტბეთის თავი წმიდა გიორგის, ყორა მთის თავი წმიდა გიორგის, ელიას, კვირიკეს, კოპალეს, წმიდა ევსტათი მცხეთელის, სვეტიცხოვლის, აგრეთვე ღვთისმშობლის და წმიდა გიორგის სახელობის მთისა და ბარის მრავალი სალოცავი. ჯილაურიანთ საყდარი. ბუტულაანთ, ფიცხელაურიანთ იგივე მრიზაანთ, ყუშიტაანთ, ენაგელიაანთ ციხეები.

სოფელში მდებარეობს და სხვადასხვა მხრიდან ესაზღვრება: „თოხლას ქედი“, „წითლობის გორა“, „დრეიძე“, „სათვალე“, „მახარიკაანთ გორა“, „სხუციანი“, „ჭეხელას გორა“, „ლალიაანთ გორა“, „მთავარანგელოსის გორა“, „ესტატეს გორა“, „გალავანის გორა“, „მრიზაანთ გორა“, „პაპას გორა“, „გვარიძიაანთ გორა“, „საყარაულოს გორა“, „შუა გორა“, „ნაქალაქარის გორა“, „უნაფქოურის გორა“, „სიბოაანთ გორა“, „კერვალიაანთ გორა“, „ზღურთაანთ გორა“, „ნაომარი გორა“ — ძმათა სასაფლაოები, „ბეჟიტელაანთ გორა“, „საფანტის სერი“, „ნაქერლების ქერი“, „ყორა მთა“, „წმიდა გიორგის სერი“, „ძნელაანი“, „თოხლა მთა“, „ძველ პატარძელი“, „საქორიოს სერი“, „გიზიგოლის სერი“, „კოდის სერი“, „ნაცხვირევის სერი“, „კოდმანის ქედი“, „საცურველის სერი“, „ყარადალი“, „გვალთ მინდორი“, „თელათ ღელა“, „ნარცხილი“, „გორხულა“, „ნატბევი“, „ნაგები“, „სათივარა“, „სათონეები“, „სამგლე ველი“, „ჟატის აღმართი“, „დიდ ველი“, „ჩომარაული“, „ჭანიანი“, „კერატაანთ სერი“, „ციხის მიწები“, „სათვალე“, „გულიაანთ კაკლები“, „გრძელმიწები“, „მლაშობი“, „გრძელა“, „ჭეხილა“, „ციცილიბაანთ მიწები“, „ნაკალოვრები“, „პატიკოს მიწები“, „ჯაქიანი“, „ვაკე“, „ზვარი“, „კოშკი“, „მარნეები“, „ფაფიაანთ თავქვე“, „აღაპაპაანთ ბაღი“, „კლდე“, „ნაკარალი“, „სანდარი“, „გოლგოთები“, „ბალბიანი“, „თეთრქვა“, „ქო-



ჩორა“, „ლართიკა“, „ნატახტარი“, „ბულაყები“, „ჩამძვრალი“, „უძიროები“, „უნაგირა“ და სხვა. არის მრავალი ხევი და წყარო: „ფიდინანთ ხევი“, „ყუშიტანთ ხევი“, „დიდელას ხევი“, „კოდის ხევი“, „კილმატის ხევი“, „ყურძილაურის ხევი“, „ფარის ხევი“, „წვრილხევეები“, „ჯანდაგანთ ხევი“, „კალოთ ხევი“, „ბრმა ხევი“, „ჯილაურიანთ ხევი“, „საყდრის ხევი“, „ხევებშუა“, „დემეტრანთ ხევი“, „ქვიტკირის წყარო“, „წინწკარა“, „ჩალიანის წყარო“, „საკარის წყარო“, „გოგლების წყარო“, „კოდის წყარო“, „ცრემლის წყარო“, „დათვის წყარო“, „ციხის წყარო“, „ბაღის წყარო“, „ნაცვალწყალი“, „მაყვალწყალი“, „ბლების წყალი“, „წიფლის წყალი“, „თხილის წყალი“, „ვეძის წყალი“, „თვის წყალი“, „ცივწყარო“, „მჭედლიაური“, „ჭინჭარიანი“ და სხვა.

როგორც არქეოლოგიური გათხრებიდან და ზემოთ ჩამოთვლილი დასახელებებიდან ჩანს, ადამიანებს აქ უხსოვარი დროიდან უცხოვრიათ.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილებს თავიანთ ნაშრომში პატარძეული შეტანილი აქვთ გარე კახეთის სოფლების სიაში. ყველაზე ადრინდელი წყარო კი, სადაც ეს ტოპონიმი დასტურდება, არის „ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სათარხნის გუჯარი“, რომელიც შედგენილი (თუ განახლებული) ჩანს 1392 წლის 1 დეკემბერს. ამ ძეგლში ვკითხულობთ, რომ სხვა მრავალ ყმა-მამულთან ერთად „თუალნი, გიორგი წმიდა, ბერთუბანი და პატარძეულნი, მათითა მამულითა“ ეკუთვნის სვეტიცხოველს. როგორც ვხედავთ, ორი ტოპონიმი „თუალნი“ და „პატარძეულნი“ მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი. ისტორიული წყაროებიდან ვიცით, რომ დღევანდელი საგარეჯოს ტერიტორიაზე მდებარეობდა სამი სოფელი, რომელთაც თვალი ეწოდებოდათ. შესაძლებელია პატარძეულიც რამდენიმე დასახლებას ერქვა და საბუთშიც ამიტომ შეიტანეს მრავლობითი რიცხვის ფორმით. დღევანდელი პატარძეულის შემადგენელი ნაწილია ბერთუბანი, მაგრამ მას ვერ მივიჩნევთ მეორე პატარძეულად, რადგან ზემოთ დამოწმებულ წყარო-



ში პატარძელის გვერდით ბერთუბანი ცალკე ერთეულადაა დასახელებული.

რაც შეეხება პატარძელის ეტიმოლოგიას. ხალხური გადმოცემით, თითქოს სახელწოდება უნდა გამომდინარეობდეს საზოგადო სახელ „პატარძლისაგან“. გადმოცემული თქმულებით: მონღოლთა ერთ-ერთი შემოსევის დროს ყველა შრომისუნარიანი და ბრძოლისუნარიანი ვაჟკაცი ომში გაიწვია მეფემ. შინ მხოლოდ დავრდომილები, ბავშვები და ქალები დარჩენილან. მტრის მოულოდნელი შემოსევის მოსაგერიებლად, სოფლის თავკაცებს, შეუკრებიან ძალღონიანი ახალგაზრდა ქალები, უმეტესად პატარძლები, დაუტოვებიათ მათთვის იარაღი და მეთაურად ვაჟკაცური აგებულების, ახოვანი და ულამაზესი პატარძალი სალომე დაუნიშნავთ. იგი თურმე ბავშობიდანვე ვარჯიშობდა ფარიკაობაში, მშვილდოსნობაში, ცხენს კი ისე დააჯირითებდა, რომ ბევრ ვაჟკაცს შურდა მისი სიმარდე. სამგორის ველიდან მონღოლთა მარბიელი ჯარი, წინასწარ დაზვერილ, კაცთაგან დაცარიელებულ სოფელსაც შემოსევია. მთიდან მტრისაკენ უცნაური ყიჟინით დაშვებულა მხედართა დიდი რაზმი. მათი ცხენების ფლოქვებით გარშემო შავი მტვერი (თურქულად „ყარადალ“) დატრიალებულა (ეს ადგილი სამხრეთით ესაზღვრება პატარძელს). მონღოლები მიხვდნენ, რომ მათ წინ ქალთა რაზმი მოექანებოდა, მაგრამ მაინც მიიღეს ბრძოლა და სასტიკად დამარცხდნენ. თავიანთ ნოინს კი მოახსენეს: „თქვენი უძლეველი მხედრობა პატარძლებმა დაამარცხესო“. ამის შემდეგ დაერქვა სოფელს პატარძლეული.

მიუხედავად იმისა, რომ ეს თქმულება შეიძლება სინამდვილეს შეეფერებოდეს, რადგან საქართველოს ოდითგან ჰყავდა გმირი დედაკაცები, სოფლის სახელის დარქმევასთან, ვფიქრობ, კავშირი არა აქვს. საზოგადო სახელი „პატარძალი“ შედარებით ახალი სიტყვაა. იგი არ გვხვდება ი. აბულაძის მიერ შედგენილ „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“, რომელშიც უძველესი ქარ-



თული ლიტერატურული ძეგლებია დამონმებული. მაგალითად: „ყრმა-ლა იყო და ახალსძალ“... „მრავალნი ახალსძალნი მიცდუნა და განაშორა ქმართაგან მათთა“. „ახალი რძალი“ ნაცვლად პატარძლისა მეცხრამეტე საუკუნეში დაწერილ ნაწარმოებებშიც კი დასტურდება: „არა გამოჩინებული ქორწილი მეფისა ძისა მოითხოვდა, რათა არა გამოჩენილად ყოფილიყო მიღება სასახლესა შინა ახალი რძალისა“.

მეორე გადმოცემა ასეთია: მეფე ერეკლეს, აქ ციხეს რომ აშენებდა, ლეკის ჯარი დასხმია თავს, მეფეს მცირე რაზმი ჰყოლია, მაგრამ სასტიკად დაუმარცხებია მტერი. რაკი პატარა რაზმით სძლია, ამ სოფელს დარქმევია „პატარა ძლეული“. ე. ი. „პატარა ძლეულიდან“ მივიღეთ „პატარძელი“. თუმცა, ეს ეტიმოლოგია არ უნდა იყოს სწორი, რადგან „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ აკაკი შანიძე წერს, რომ „პატარძელი უკვე XI ს-ში მელქისედეკ კათალიკოსის სიგელში იხსენება“. რაც შეეხება ლეკთა თავდასხმას, ეს ისტორიული ფაქტია. ერეკლე მეფემ პატარძელის ციხის აშენების დროს მართლა დაამარცხა ლეკები. აი, რას გვაუწყებს დავით ბატონიშვილი და ამ ცნობას სიტყვა-სიტყვით იმეორებს თეიმურაზ ბატონიშვილიც: „მრავალთა ლეკთა იხილეს სასწაული წმიდისა მთავარმონაშისა გიორგისა სასწაულმოქმედი, და იტყოდნენ ლეკნი მის მიერ ბრძოლასა და დაკვეთებასა. ხოლო ესე იყო წელსა 1758, უწინარეს წლისა ამისასა, ოდეს აშენებდა მეფე თეიმურაზ ციხესა პატარძელისასა, მუნ მოვიდნენ ლეკნი, ხოლო მეფემან ირაკლიმ მოსწყვიტნა აზამბურს უმეტეს სამასისა“.

პატარძელი ძველთაგანვე სახაზინო სოფელს წარმოადგენდა. მისი ბატონები თვითონ მეფეები იყვნენ. მესამე გადმოცემით, ეს სოფელი ერთ-ერთ მეფეს თავისი უმცროსი ძისთვის უბოძებია და მას შემდეგ სოფელს პატარიძისეულად იხსენებდნენ. დროთა განმავლობაში სახელწოდებაში შეიკვეცა კუთვნილების მწარმოებელი აფიქსი „ის“ და სოფელი პატარძელად იწოდება.



ეს ვერსია შეიძლება გაზიარებული იქნეს, მაგრამ არის კიდევ უფრო დამაჯერებელი გადმოცემა, რომელსაც გოგლა ლეონიძის მამა, მღვდელი ნიკოლოზ ლეონიძე 1885 წელს გაზეთ დროებაში წერდა: „XI საუკუნეში, დავით IV აღმაშენებლის მეფობის დროს, დასახლდა ეხლანდელი პატარძეულის მახლობლად ერთი კომლი კაცი გვარად ყუშიტაშვილი (ფშაველი). ის იყო ძალიან დაბალი და პატარა ტანისა. მას ხშირად ეძახდნენ „პატარკაცს“, „პატარძეს“. ბოლოს ეს სახელი უწოდეს იმ ადგილს, სადაც ყუშიტაშვილი დასახლდა. ამის შემდეგ გადმოსახლდა მრავალი ადამიანი ფართო ადგილას. ეს ფართო ადგილი არის, სადაც დღეს ცხოვრობენ. იმ ადგილს, სადაც ყუშიტაშვილი პირველად დასახლდა ჰქვია ძველპატარძეული, ახლანდელს კი—ახალპატარძეული“. მამის ვერსიას იზიარებს გოგლა ლეონიძეც, თუმცა, როგორც პოეტი ხშირად ამბობდა, თურმე: „ჩემს სოფელს იმიტომ ჰქვია პატარძეული, რომ იქიდან სულ ლამაზი პატარძლები გამოდიანო“ (მე ნამდვილად ვეთანხმები ბატონ გოგლას, რადგან დედაც პატარძეული მყავდა და მეუღლეც პატარძეულია. ი.ს.)

ან გარდაცვლილი პროფესორი უშანგი სახლთხუციშვილი ტოპონიმ პატარძეულის განხილვის დროს აღნიშნავდა: „ტოპონიმ“ პატარძელში გამოიყოფა ულ(ურ) წარმომავლობის აფიქსი, რომელიც ტოპონიმებში ყოფა-ქონების მანარმოებლად გამოიყენება. ურ(ულ) ბოლოსართით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელწოდებები ათასობითაა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე: ამბროლაური, ასკილაური, ბადიაური, გუჯაბაური, დილიკაური, კალაური, თოხლიაური, შალაური, ჩოხატაური, ხარაგაული...

თუ ტოპონიმ „პატარძელში“ ულ(ურ) სუფიქს გამოეყოფთ, დარჩება „პატარძე“ რაც უნდა ვივარაუდოთ, რომ პატარიძის შეკუმშული ფორმაა...

... ზემოთქმულიდან უნდა დავასკვნათ, რომ ტოპონიმი „პატარძეული“ ანთროპონიმული წარმოშობისაა. იგი მომდინარეობს ადამიანის საკუთარი სახელისაგან ან მეტსახელისაგან



„პატარძე“, ანდა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტოპონიმის ამოსავალი ფუძეა საკუთარი სახელი (მეტსახელი) „პატარძე“ (შდრ: პატარკაცი, პატარქალი...). ამ ტოპონიმს რომ საფუძვლად საკუთარი სახელი (მეტსახელი) უდევს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ულსუფიქსის წინ ფუძისეული ე არაა შეკვეცილი“. („ადგილის დედა ანუ რას მოგვითხრობენ ტოპონიმები“ გვ.127-129)

ისტორიკოს-მკვლევარი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, პატარძელის ერთ-ერთი კოლორიტი ბ-ნი ალექსანდრე ელერდაშვილი სოფლის სახელის წარმოშობას ისევ და ისევ პატარძლების შესახებ არსებულ გადმოცემას უკავშირებდა. სალომე პატარძალს გვარიც კი შეურჩია — ნითელაური. ამასთან ლეგენდად ქცეულ ბრძოლას ქართველ ქალებსა და მონღოლებს შორის ნაწილობრივ ისტორიული ფაქტებითაც ადასტურებდა. კერძოდ, მონღოლთა იმპერიის დაქუცმაცების შემდეგ ჩვენს მხარეში გაძლიერებულა ყაზან-ყაენი, რომელსაც რეზიდენცია მდინარე ივრის პირას მდებარე მთაზე ჰქონია (ამ მთას დღესაც მისი სახელი ჰქვია-ყაზანიანის მთა) და იქიდან უწევდა ახლომდებარე სოფლების აწიოკება-განადგურებას კონტროლს. სალომეს მიერ პატარძლებისაგან შემდგარი რაზმიც თავისი მეომრების გასართობად სჭირდებოდა. თუმცა მეომარ-პატარძლებს მონღოლები ტყეში შეუტყუებიათ და ერთიანად ამოუწყვეტიათ. ამ ამბით გახარებულ ქართველთა მეფეს ბრძოლის ველიდან შემოუთვლია: „მაგ სოფელს პატარძელეული დაარქვითო“.

აღნიშნული ვერსია ჩვენ ზევითაც განვიხილეთ და ვერ გეტყვით, რამდენად ახლოა სინამდვილესთან. თუმცა ბ-ნი ალექსანდრეს მიერ გამოკვლეულ მასალებში ისეთი რამ ამოვიკითხე, რომ მან სოფლის სახელის წარმოშობის ახალ ვერსიას ჩაუყარა საფუძველი. ბ-ნი ა. ელერდაშვილი მოგვითხრობს: „მდინარე ივრის მარცხენა შესართავთან მდ. „ლაფიანხევის“ ორივე სანაპირო, ისევე, როგორც ივრის ორივე სანაპირო სავსეა ნასოფლარ-ნაქალაქარებით, რომელთაგან ერთ-ერთს „ქველდაბას“, ბავშობიდანვე ვუკირკიტებდი და რომელიც არც ერთ მკვლე-





ვარ-ისტორიკოსს არ ჩაუთვლია კვლევის ღირსად. „ლაფიანხევის“ მარცხენა სანაპიროზე, კანარეთის სამეზობლოდან ორი კილომეტრის მოშორებით, „ძველ-პატარძელის“ ჩრდილო-დასავლეთით საკმაოდ დიდ ტყის მასივს „ნაქალაქარი“ ეწოდება. ხანდაზმულმა პატარძელელებმა და ხაშმელებმა მის შესახებ მხოლოდ ის იციან, რომ თამარ დედოფლის დროს აქ დიდი ქალაქი ყოფილა, რომელიც შემდეგ მტერთა შემოსევების შედეგად პირისაგან მიწისა აღგვილა. ბევრი ვინვალე, ჯერ სტუდენტობის წლებში, ხოლო შემდეგ ჩემი სამსახურებრივი მოღვაწეობის პერიოდში, მაგრამ ხელჩასაჭიდი მხოლოდ ერთი ფაქტი მოვიძიე — გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი მათე იანქოშვილი გაზეთის მკითხველებს სოფელ პატარძელიდან აუწყებდა: „ისეთი წვიმები დაიჭირა ამ ზაფხულს, რომ ხალხს მოსავლის აღება გასჭირვებია. პატარძელის ტყეში წვიმებს ერთი კლდის ფერდობი ჩამოურეცხია და გამოუჩენია თიხის მილები. ეს მილები თურმე თიხის ქვევრებში (რეზერვუარებში) შედიოდა და მეორე მხრიდან სხვა ქვევრებს უერთდებოდა. ეს ისეთი რთული წყალგაყვანილობა იყო, რომელიც მხოლოდ საქალაქო მეურნეობისთვის იყო დამახასიათებელი“...

„ეს მოკლე ცნობა ჩემთვის გზამკვლევი აღმოჩნდა იმისათვის, რათა ხელჩასაჭიდი მასალა მქონოდა ჩვენი ავბედითი ისტორიის „თეთრი ლაქების“ გასარკვევად“, — განაგრძობს ა. ელერდაშვილი, — „ეს რთული ქალაქური წყალსაკანალიზაციო ნაგებობა ცარიელ ადგილზე არ იქნებოდა აგებული. მაშ, რა ბედი ეწია ამ ქალაქს თუ ქალაქის ტიპის დასახლებას ასეული წლების შემდეგ? ამის ამოსახსნელად ისევ სპარსულ წერილობით წყაროებს მივმართე. მონღოლ-დამპყრობთა შემდეგ ყველაზე დიდი ვნება ჩვენს ქვეყანას თემურ-ლენგმა მიაყენა XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე თავისი შვიდგზის შემოსევების დროს. გარე კახეთისათვის განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო თემურ-ლენგის მეხუთე შემოსევა 1399 წელს. ეს თავდასხმა კახეთ-ჰერეთში განხორციელდა მოულოდნელად, შუა ზამთარ-



ში. იმდენად უსასტიკესი იყო ეს შემოსევა, რომ თემურ-ლენგის რჩეული ლაშქარი სპობდა ყველაფერს — მოსახლეობას, ეკლესია-მონასტრებს, საცხოვრებელ ნაგებობებს, ციხე-სიმაგრეებს, რათა სიცოცხლის კვალი არ დაეტოვებინათ ამ მხარეში. საქართველოს ასეთი უღმობელი და სასტიკი შემოსევა არ ახსოვს. თემურ-ლენგმა პირნიმინდად მოსპო მოსახლეობა, დაანგრია და გადანვა სოფლები და ქალაქები. უკან დაბრუნებისას თან წაასხა ურიცხვი საქონელი, ცხვარ-ძროხა, ცხენები და დატოვა მიწის პირზე გასწორებული ქვეყანა. ამ შემოსევის დროს გაუკაცრიელდა ივრის ხეობა და მის შენაკად „ლაფიანხევის“ პირას არსებული სოფლები და ქალაქები. მათ ადგილზე კი ტყე და ბუჩქნარი აღმოცენდა. ჩემი აზრით „ქველ-დაბაც“ თემურ-ლენგის მსხვერპლი გახდა და „ნაქალაქარად“ იქცა ან კიდევ თემურ-ლენგამდე გაანადგურეს მონღოლებმა.“

ასეთი დიდი ქალაქი, რომელიც მდებარეობდა ქართლისკენ მიმავალ გზაზე, ცხადია სხვადასხვა ქვეყნის და საქართველოს კუთხეების მოსახლეობის თავშესაყარი იქნებოდა, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობის თვალსაზრისით. თავისი ბუნებრივი პირობების გამო ბევრსაც სურვილი გაუჩნდებოდა იქ დასახლების. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ „ქველდაბასთან“ გაჩნდა ახალმოსახლე, რომელსაც სახელად ერქვა პატარ. აკადემიკოსი ი. ახუაშვილი თავის წიგნში „ქართული გვარ-სახელები — მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის“ წერს: „პატარ (საკუთარი სახელი). პატარ მოხსენიებულია თამარ მეფის 1202 წლის სიგელში (ქრონიკ; II, 80). აქედან არის გვარები: პატარაშვილი, პატარავა, პატარაია, პატარაძე, პატარია, პატარიძე...“ პატარის შვილებმა შესაძლოა მამის სახელი აიღეს გვარის ფუძედ (ეს ხშირია ქართულ გვარ-სახელებში) და დასახლდნენ ერთმანეთის მოშორებით, რამაც შედეგად ასახვა ჰპოვა „ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სათარხნის გუჯარში“, რომელიც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, შედგენილი (თუ განახლებული) ჩანს 1392 წლის 1 დეკემბერს. ვიმეორებ, ამ



ძეგლში ვკითხულობთ, რომ სხვა მრავალ ყმა-მამულთან ერთად „თუაღნი, გიორგი წმიდა, ბერთუბანი და პატარძეულნი, მათითა მამულითა“ ეკუთვნის სვეტიცხოველს. მრავლობით რიცხვში პატარძეულის მოხსენიება, ალბათ, პატარის ძეთა რამდენიმე სოფელს ნიშნავს, ხოლო სვეტიცხოველთან დაქვემდებარება, მის უდიდეს მნიშვნელობას მატერიალური და კულტურული განვითარების მხრივ. ე.ი. ეს სოფლები „ქველდაბასთან“ ერთად ქართლ-კახეთის გზა-გასაყარზე სტრატეგიული დანიშნულების დასახლებები იყო. მტერთა შემოსევების შედეგად ბევრი დასახლება აღიგავა პირისაგან მიწისა. ბედუკუღმართობის დამანგრეველ ბორბალს ამ მიდამოებში პატარძეულნის ნაწილმაც გაუძლო და ეს ნასოფლარი დღეს „ძველპატარძეულის“ სახელწოდებით შემორჩა ისტორიას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პატარძეულის და ბერთუბნის ტერიტორიაზე რამდენიმე ისტორიული ძეგლი წარმართული და ადრეული ქრისტიანული პერიოდისაა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აქ ადამიანი საუკუნეების სიღრმეებიდანვე აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა, ქართული გენისა და ჯიშის გაძლიერებას და გაკეთილშობილებას ეყრებოდა მყარი საფუძველი. უძველესი დროიდან ადამიანის დაფუძნება ამ მიდამოებში შემთხვევითი არ იქნებოდა. არ არის გამორიცხული, რომ აქედან სამყაროში გასასვლელი გზაც იყოს. ამდენი ეკლესია-მონასტრების მიჯრით მშენებლობას ჩვენი წინაპრები საფუძველს უმიზეზოდ არ ჩაუყრიდნენ. კახთა მეფეები შემთხვევით არ დაიდგამდნენ აქ რეზიდენციას და, რაც მთავარია, მრავალეროვან კახეთის მიწა-წყალზე ქართველთა ჯიშ-ჯილაგის თავმოყრასა და შენარჩუნებას უფალი ხელს არ შეუწყობდა. საუკუნეების მანძილზე ქართველებით პატარძეულის შევსება უფლის ნებით ხდებოდა, რაზეც ისტორიული წყაროები ღალადებენ: „ქ. ღმერთმან ბედნიერების ხელმწიფის ჭირი მოსცეს ჩიკორიძეებს. ექვსი ძმანი გახლავართ, ჩვენის ხიზნით ავიყარეთ იმერეთიდან და თქვენს საფარველს მოვატანეთ... თუ თქვენი ნება იქნებოდეს

პატარძელში დაგვაყენეთ“, სთხოვდნენ იმერელი გლეხები ერეკლე მეფეს. პატარძელს ნამდვილად სჭირდებოდა შევსება. ის ხომ სისხლისგან იყო დაცლილი მონღოლებთან, თურქმანებთან, თურქებთან, სპარსელებთან, ლეკებთან და ვინ მოთვლის რამდენი რჯულის ავაზაკებთან გმირული ბრძოლების შედეგად. ამიტომ მეფე მათ საბატონოდ არავის აძლევდა. პატარძელელი და ბერთუბნელი გლეხი ან სახაზინო უნდა ყოფილიყო და ან საეკლესიო. პატარძელში სხვადასხვა კუთხიდან ხალხის დასახლება, ალბათ, იმით იყო განპირობებული, რომ იგი ქართლ-კახეთის დამაკავშირებელ გზაზე მდებარეობდა. წმიდა ნინო ხომ ამ გზით გადმოდიოდა კუხეთ-კახეთში.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პატარძელელებმა თავი გამოიჩინეს სპარსელების წინააღმდეგ (1826წ.) ბრძოლაში. მაშინ სოლომონ ბუტულაშვილი სახალხო გმირად აღიარეს. ჩაენერნენ მოხალისეთა დრუჟინებში, როდესაც ბრძოლები მიმდინარეობდა თურქეთის წინააღმდეგ, ბათუმის, ყარსის, არტაანის გათავისუფლებისათვის. 1924 წელი სისხლიანი გამოდგა პატარძელელებისათვის. ბევრი დახვრიტეს. მეორე მსოფლიო ომმა 350-მდე პატარძელელი ახალგაზრდის



ი. სტალინის ძეგლი ამშვენებდა პატარძელს (1948წ.)



სიცოცხლე შეინირა. ისინი ყველანი გმირები იყვნენ. მაიორ გიორგი ბილანიშვილს 1944 წელს საბჭოთა კავშირის გმირის ნოდება მიენიჭა. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პატარძეულელებმა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

მუდამ ბრძოლასა და შრომაში ჩართული პატარძეულელები ყოველთვის პოულობდნენ დროს საგანმანათლებლო და კულტურული მოღვაწეობისათვის. 1875 წელს პატარძეულში საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გახსნა ორკლასიანი სასწავლებელი. 1877 წელს ზაქარია გულისაშვილმა ჩამოაყალიბა სცენის მოყვარულთა წრე, რომელიც სისტემატურად მართავდა წარმოდგენებს. 1884 წელს გაიხსნა პირველი სკოლა, 1899 წელს — პირველი ბიბლიოთეკა. პატარძეულმა თავის წიაღში შვა და აღზარდა უდიდესი ადამიანები:





## გიორგი (გოგლა) ლეონიძე (1900 — 1966)

*„სიტყვა სარკეა ადამიანის  
სულისა და გულისა“  
ნმ. ილია მართალი*



გიორგი მხვინელ-მთესველს ნიშნავს, გეორგია — საქართველოს, ლეონიძე ლომის ბოკვერად იკითხება (შდრ. ლეონ-ლომი). ასე რომ, ის იყო საქართველოს — ქართული პოეზიის ლომი. ქართულ პროზასა და პოეზიას იშვიათად ჰყოლია ასეთი გუთნისდედა, ასეთი მხვინელ-მთესველი, რომელმაც ჩვენი სულიერების ხნულში უამრავი ბრწყინვალე სიტყვა-მარგალიტი მოაბნია.

დაიბადა სოფელ პატარძელში მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე, ქრისტეშობის დღესასწაულის მეორე დღეს (8 იანვარი), ადგილობრივი მღვდლის, ნიკოლოზ ლეონიძის ოჯახში. ბავშობა სოფელში გაატარა, ხოლო 1913 წლიდან სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. პირველი ლექსი „მცხეთა“ ყრმობის უამს გამოაქვეყნა.

გ. ლეონიძე თვითმყოფადი და ღრმად ეროვნული პოეტია. მისმა შედეგებმა („ნინონმინდის ღამე“, „სიმღერა პირველი თოვლისა“, 1926წ; „მყვირალობა“, „ყივჩალის პაემანი“, „ყივჩალური ღამე“, 1928წ; „ოლე“, 1931წ; და სხვა) იმთავითვე განსაზღვრა პოეტის როლი მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში.

გოგლა ლეონიძის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ ბევრი დაწერილა. მისი მეხოტბენი იყვნენ და არიან საქართველოს მოაზროვნე ელიტის ბრწყინვალე წარმომადგენლები. მე ამ მწვერვალებს ვერ შევწვდები და ვერც შევეჭიდები. თუმცა, როგორც მის ერთ-ერთ რიგით თანამემამულეს, უსაზღვრო წყურ-



ვილი მაქვს, რამდენიმე სიტყვა ვთქვა ამ, მართლაც, ბუმბერაზი ადამიანის მისამართით. გარდა იმისა, რომ მეც მისი მიწა-წყლისა ვარ, დედაჩემი გოგლას დედის ნათლული გახლდათ.

ძნელია ილაპარაკო საქართველოს მეცნიერებათა სახალხო პოეტზე, საზოგადო მოღვაწეზე, საქართველოს აკადემიის აკადემიკოსზე, რომელიც იყო ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით ძველი ქართული მწერლობის, ქართულ-რუსული, ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობის მკვლევარი, ძველი ხელნაწერების დაუცხრომელი მაძიებელი და გამომცემელი...

ძნელია ილაპარაკო ადამიანზე, რომლის ინიციატივით მე-20 საუკუნის 30-იან წლებში დაარსდა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი (ამჟამად გ. ლეონიძის სახელობის), ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში, აღმანახი „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, „ლიტერატურული მატთანე“...

ძნელია ილაპარაკო ადამიანზე, რომელიც 1951-53 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირს, 1957-66 წლებში — შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს...

ძნელია ილაპარაკო ადამიანზე, რომელმაც სათანადო კომენტარებითა და გამოკვლევებით გამოსცა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“ (1920წ), სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ (1928წ), იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“ (1939წ). მას ეკუთვნის გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“, აგრეთვე ვახტანგ VI-ის, დ. გურამიშვილის, ბესიკის, საიათნოვას, ანთიმოზ ივერიელის, მ. გურიელის, ა. ყაზბეგის, ი. ჭავჭავაძის, ა. ნერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ვ. ბარნოვის შემოქმედების შესახებ, სცენარი კინოფილმ „ჯუღრაღის ფარისთვის“ და სხვა და სხვა.

აღნიშნული მოღვაწეობის კომენტირება ჩვენი სასიქადულო მკვლევარებისა და ამ დარგის სპეციალისტებისათვის მიმინდვია. მე კი ისევ საჩვენოში დავბრუნდები და იმ მოთხრობების ნიგნიდან დავინწყებ, რომლითაც გოგლამ სრულიად ახალ სამყაროს აზიარა მკითხველი. პოეტის ყრმობის ხორცმესხმული



აჩრდილები, გააზრებული დიდი მხატვრის ღრმა ინტელექტით, თანამედროვე ოსტატის თვალთახედვით რომ წარმოგვიდგინა. მისივე სიტყვებით დავიწყებ:

„დედის ჩანვითებულ ცრემლზე ია ამოდისო. ასე იტყოდნენ ჩემს ყრმობაში. ჩემი სოფლის ტყის პირებში ყოველ გაზაფხულზედ ია ბლუჯეულად ამოდიოდა, არე-მარე სულ ლურჯად გადაიბურებოდა ხოლმე. მეგონა მთელი ქვეყნის დედებს აქ ეტირნათ, იმდენი ია ამოსულიყო ჩემი სოფლის მშვენიერ მიდამოებში. იის სიყვარული დედამ შთამაგონა, იასავით სპეტაკი ადამიანი იყო...“

იის, ანუ მშვენიერების სიყვარული მშობელმა დედამ შთაგონა, ღვთის სიყვარული — ყველა მართლმადიდებლისათვის უპირველესმა დედამ — ღვთისმშობელმა, ხოლო მესამე დედამ — დედამინამ ძარღვიანი სიტყვის მადლი და ენერგია მისცა. ის მსოფლიო პოეტი იყო, უფრო მიწიერი, ვიდრე ღვთიური; აკი თვითონვე ამბობდა: „გედი გალაკტიონია, ჩემი ლექსის სიმბოლო კი ხოხობიაო“...

...იდგა მშობელ დედამინაზე ეს სიტყვამრავალი, სიტყვაძლიერი, მეხივით რომ გავარდებოდა ხოლმე ცის თავანზე, სიტყვაღამაზი, ვითარცა ანგელოზი, სიტყვასხივიანი, ვითარცა მზე, სიტყვაძარღვიანი, ვითარცა დედამინა, სიტყვამშვენიერი, ვითარცა წვიმის შემდეგ ცაზე გადატყორცნილი ცისარტყელა, სიტყვაბედაური, ვითარცა დუბეში (გ. ლეონიძის მოკვლეული



გოგლა ლეონიძე პატარძელში (1966წ.)





ტოპონიმია ი.ს.) გამართულ დოღზე მოჯირითე ცხენები, სიტყვა-მდულარე — ვითარცა „ბადაგი დადულებისას“...

... მისი ლექსი ენერგიით აღავსებს ადამიანს და გგონია, რომ აი, ახლა მივალ მთასთან, დავეჭიდები და გადავაგორებო...

... მის სიტყვას ქვევრში დაძველებული კახური ღვინის ძალა აქვს, ჯერ შემოგარტყამს, მერე კი გრძნობა-გონებას მალამოსავით დაედება, ქრისტეს სისხლად გადაიქცევა და გაგრძნობინებს, რომ სიტყვა ზეცაში დაინერა, მერე უხილავი სხივით გოგლას გონებაზე დაეშვა, რომელსაც დედამინის ენერგიით აზვირთებული ეს ღვთისკაცი დააბუბუნებდა ხოლმე:

„...პირველ მოწყვეტილ იების დღიდან,  
 მე ვარ დამწვარი შენი მსახური;  
 შენი თაფლი და მარილი მზრდიდა,  
 მზე შენ დანერე და გაზაფხული ...  
 შენზე უჭკნობი და დიდებული  
 რალამ შექმნას და ვილამ დახატოს,  
 გულზე ხარ ცეცხლად მოჭიდებული,  
 ქართველი ხალხის სულის ღაღადო.“

სიტყვიდან მაღლის გადმოსვლის საიდუმლო იცოდა და ამიტომ პროზაშიც პოეტად დარჩა. ის ყველა პოეტივით დანახულს ხატავდა და მოსმენილს ამბობდა, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით ის ხელით ეხებოდა და მკითხველს გემოს ასინჯებდა. რეზო ინანიშვილი ამბობდა: „გასაშმაგებული სისრულით ჰქონდა შეცნობილი საგანთა გემო“. „ნატვრის ხის“ კითხვის დროს მკითხველი პერსონაჟებთან ერთად შეიგრძნობს: „აყვავებული ნუშისა და მსხლის ყვავილთა ფერფლით მომფრინავ ნიავს..., ვაშლისა და კომპის საამო სურნელებას..., თონიდან ამოვარდნილი თბილი პურის სუნსა და გემოს..., გემოს ქინძისა და შინდის ჩურჩით შეზავებული წითელი ლობიოსი..., ზედ ცოტა ნივრის წნილით...“ მწერალი უფრო შორსაც მიდის, იგი ჰაერს, სიტყვას, ადამიანსაც კი უსინჯავს სუნსაც და გემოს. მასთან ჩვეულებრივია „ნოყიერი ჰაერის სურნელი..., ჰაერი შეღვინებული...,



სიტყვა კი მოშაქრული, მოშარბათული..., თაფლ-ერბოიანი..., ხოლო ქალი მოფატმანო..., სახეგემრიელი....“

„მე სიტყვას ფიზიკურად განვიცდი“, — ამბობდა გოგლა, — „ყნოსვით ვიგებ, რომელ სიტყვას უდგას სისხლი, რომელია უსისხლო, მიმჭკნარი. არის... სიტყვები რომლებიც არასოდეს მიხმარია....“

„ნატვრის ხეში“ იგრძნობს მკითხველი ქართული ენის სიდიადეს, ქართული სიტყვის სიმდიდრეს: „აი, დამტკბარი ვარდი ხათუთა, აი, უსნისფერა ბუხრიას ქვრივი, თმადაშვებული ძმაზე, პირანთებული, ამოფუჩფუჩებული თავთუხა; თვალნათლიანი, კაშკაშა, ბაირალის ფარჩასავით მხიარული თათია, ფურფუტა-ანთ ქალი ტაშდარიკო, შვიდმაისა, ნაძრახი ქალი — ნაზიკა, ფერცემული ნუშო და სხვანი — ივრის ასულნი...“

ნ. ლეონიძე თავის მოგონებებში „მამაზე“ ამბობს: „ეჯავრებოდა უხეში სიტყვა, ადამიანის სულს ატლანქებსო.“ გოგლა თვითონვე გვიხსნის მისივე სიტყვების წარმოშობის საიდუმლოს: „... ეს ჩემი სიტყვაც იმ გაზაფხულის დილიდან არი გამონაწერი, იმ წყაროებიდან გამონაწერი, რომელთა თავზე მდგარ ნიგვზნართა ხეივანში გულყვითელა „ბიჭო-გოგისა“ მომძახოდა, როგორც თანამოსახელესა და მეგობარს...“

ეს სიტყვები იმ ლურჯთვალა იებში მიპოვნია, ჩვენს მიდამოებში რომ ვკრეფდი, იმ ყაყაჩო-გარეულ ჯეჯილებში, მზით ამოვსებულ თავთავებში, შეთქვირებულ ყანებში რომ დგანან სხივმოსილი სიტკბოებითა და იდუმალებით.

ვერცხლურა იორი მიმღეროდა ამ სიტყვას, ვენახებიანი, ხილნარიანი ბარდნარ-ჭალებიანი, ჯალჯიან-შამზნარიანი.

ივრის თვალსამოთხე ნაპირები — ალაგ ქვიშრობში, გამონაწერი ფშებით, სველი ღვინჭრობებით, ხასხასა მდელოთი, იყო ჩემი ყრმობის ემბაზი, ჩემი პირველი პოეტური საასპარეზო.

იქ ივრის წნორებს ვუკითხავდი ჩემს პირველ ლექსებს.

იქ რიყიანი და ხმიანი იორი მასწავლიდა ქართული ლექსის მუსიკას!“



მუდმივად ფუსფუსში იყო. უნდოდა, ბევრი რამ გაეკეთებინა. სამუშაო კაბინეტში სულ უწესრიგობა ჰქონდა, თვითონ ამას მხატვრულ უწესრიგობას უწოდებდა. თევზაობა უყვარდა, ნადირობა სძულდა, მანქანის ტარება არ უყვარდა, სვამდა მხოლოდ ღვინოს და პირველი თამადა იყო. მისი საყვარელი სადღეგრძელო, რომელსაც ხალხმა „გოგლაურა“ შეარქვა, საგურამოში „დაბადებულა“. შემდეგ გოგი ცაბაძემ მორის ფოცხიშვილის ლექსზე შესანიშნავი სიმღერა დაწერა:

„რაც გვინახავს, ისევ ვნახავთ,  
ნატვრა ჩვენი სიზმარივით ცხადდება,  
ავდგეთ ფეხზე ვადღეგრძელოთ,  
სწორედ ახლა — ახლა ვინც იბადება.“



გოგლა ლეონიძე პატარძელში  
თავისი სახლის ეზოში  
ბებერ თუთასთან (1966წ.)

დაბადებიდან გარდაცვალებამდე მისი ცხოვრება ქრისტეს სიყვარულით იყო გაჯერებული. მაშინდელი წეს-წყობილების გამო ამას ღიად ვერ გამოხატავდა. ყველამ იცოდა, რომ მღვდლის შვილი იყო და ამის გამო სხვანაირად უყურებდნენ. მას კი უფლის სიყვარული გულით დაჰქონდა. პირველის გადაწერის განსაკუთრებული მეთოდი ჰქონდა. რომ არ შეენიშნათ, პიჯაკის შიგნით, მარცხენა მხარეს ხელის სწრაფი მოძრაობით პატარა ჯვარს გამოსახავდა და თავისთვის გულში ლოცულობდა. ეს რომ ჭეშმარიტებაა, იქიდანაც ჩანს, რომ ღვთიური ადამიანის გარდა ისეთ ლამაზ გა-



მოთქმას, როგორცაა „ქრისტეს თიხის ყმანვილი“ („ნატვრის ხე“) ვერავინ იტყოდა. კარგად დავუკვირდეთ ამ სიტყვებს. ღმერთმა ხომ თიხისაგან შექმნა ადამიანი („ადამ“ — თიხა (ებრ). ამპარტავნებამ და სინანულის უქონლობამ კი როგორ დააშორა უფალს მისივე ქმნილება, მისივე ხატი. ზოგმა „რკინის კაცი“ დაირქვა, ზოგმა „რკინის სერგო“, ზოგმა უროც ჩაირტყა თავში.

... ღმერთო, შეუნდე და აპატიე ყველას ...

... მე უღირსი კი დავესესხები გოგლას ამ სიტყვებს და მას ქრისტეს თიხის კაცს ვუნოდებ. ჭეშმარიტად იმსახურებს ამ ნოდებას, რადგან იგი ქრისტეს თიხის კაცი იყო. ქრისტე ანუ სიტყვა სამების ჰიპოსტასის მეორე წევრია...

... ასე რომ, გოგლა ლეონიძე სიტყვის კაცია...





## ვასილ (ვასო) ყუშიტაშვილი (1894—1962)

*„ჩვენში ქართულ თეატრს დიდებისათვის  
ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც  
სკოლას-პატარებისათვის“.  
ნმ. ილია მართალი*



ვასო ყუშიტაშვილი დაიბადა 1894 წელს თბილისში, პავლე ზაალის ძე ყუშიტაშვილის ოჯახში. პავლე ზაალის ძე პატარძეულები გლეხი იყო. ბავშვობაში მას დიდი სურვილი ჰქონდა სწავლისა, მაგრამ პავლეს მამას, ზაალს სურდა შვილი სოფლის მეურნედ, მცირე მამულის მომვლელად და პატრონად აღეზარდა, რის გამოც შვილის სურვილს ანგარიში აღარ გაუწია. ახლობლების ხელშეწყობით პატარა პავლეს მოუხერხებია მცირე თანხის შეგროვება და თბილისში გაპარულა. სასწავლებელში ვერ მონყობილა, სამაგიეროდ სამსახური დაუნყია ვიღაც ვაჭართან. მალე იმდენი თანხა შეუგროვებია, რომ დამოუკიდებლად შედგომია ვაჭრობას და დიდი წარმატებაც მოუპოვებია, ხოლო სწავლის დიდი სურვილი თვითგანვითარებით დაუცხრია — კარგად გაცნობია ქართულ მწერლობას, შეუსწავლია რუსული, აზერბაიჯანული და სომხური ენები, გაცნობია რუსულ მწერლობას. თავისი დიდი დაუკმაყოფილებელი გატაცება სწავლისა შემდეგში მან შვილებს გადასცა. ცდილობდა, ყველა მათგანისთვის უმაღლესი განათლება მიეცა.

დიდი სიყვარული ჰქონდა პავლეს თეატრისა. არც ერთ წარმოდგენას არ გამოტოვებდა, თავისი სამი შვილით (ვასო, გიორ-



გი და ალექსანდრე) იგი თურმე პარტიერის პირველ რიგში იჯდა. საფიქრებელია, რომ ვასოს სწორედ ამ სპექტაკლებიდან წამო-ჰყვა ის დიდი სიყვარული თეატრისა, რომელსაც შემდეგში მან მთელი თავისი ცხოვრება დაუკავშირა.

— მახსოვს, ერთხელ სუმბათაშვილის „ლალატი“ ვნახეთ მე და მამამ ერთად — იგონებდა ვ. ყუშიტაშვილი, — იმ დღეს ჩემი პატარა და სულ ტიროდა — თეატრში მეც წამიყვანეთო, მაგრამ იგი იმდენად პატარა იყო, რომ მისთვის ადრე იყო წარმოდგენებზე სიარული. რომ დაგვეწყნარებინა, დავპირდი, რომ ყველაფერს ვუამბობდი, რასაც კი თეატრში ვნახავდი.

მთელი ღამე არ დამიძინია. ვფიქრობდი იმ ხმლებიან და მუზარადიან ღამაზე ვაჟკაცებზე, რომლებიც სცენაზე მოქმედებდნენ. მეორე დღეს ჩემს პანია დას სპექტაკლის შესახებ ვუყვებოდი. მუყაოზე სცენა დავხატე. გამოვჭერი და შევაკონინე დეკორაციები, ქალაღდის „მსახიობები“ გამოვჭერი და მთელი წარმოდგენა გავათამაშებინე მათ... ეს იმდენად მოეწონა ჩემ დას (და მეც), რომ ამის შემდეგ „სპექტაკლებს“ სისტემატურად „ვაკეთებდი.“

პირველი განათლება ვასომ შინ, დედისაგან — მარიამ იაკობის ასულისაგან მიიღო: ისწავლა წერა-კითხვა, თვლა, ლოცვები და ლექსები. დაქირავებული მასწავლებელი ასწავლიდა გერმანულ ენას (მიღებული ჩვეულების თანახმად), ხოლო რუსული ენის შესასწავლად პატარა ვასო პავლემ ცნობილ მწერალ და საზოგადო მოღვაწესთანგანდეგილთან დააბინავა. განდეგილის ოჯახი ერთ-ერთ იმ სალონთაგანს წარმოადგენდა თბილისში, რომელშიც ქართული კულტურის ცნობილი მესვეურები ხშირად იკრიბებოდნენ და ერის ავკარგზე მსჯელობდნენ... პატარა ვასო სულგანაბული უსმენდა მათ... განსაკუთრებით მოსწონდა ორი „შუბლნათელი ძია“ — ილია და აკაკი...

1913 წელს ვასომ გიმნაზია დაამთავრა და იმავე წელს მამამ შვილი მოსკოვში გაისტუმრა სასწავლებლად. მოსკოვში ვასო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე მოეწყო. პარალელურად ჩაირიცხა ვერა კომისარჟევსკაიას სახელობის



სტუდიაში, რომელსაც იმჟამად სათავეში ედგა რუსეთში ცნობილი რეჟისორი თეოდორე კომისარჟევსკი.

დილით უნივერსიტეტი, ნაშუადღევს სტუდია, ხოლო საღამოს აუცილებლად სპექტაკლი. ასეთი იყო სტუდენტ ვასოს დღის ჩვეულებრივი რეჟიმი.

მოსკოვში იგი ახლო გაეცნო პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, გოგოლის, ოსტროვსკის, დოსტოევსკის, გორკის გენიალურ შედეგებს. აქვე გაეცნო ბოდლერის, მეტერლინკის, ლეონიდ ანდრეევის შემოქმედებას. აქ მოხვდა იგი სიმბოლიზმის დროებით ტყვეობაში. გატაცებით მუშაობს მეტერლინკის „ბრმების“ და ლეონიდ ანდრეევის „შავი ნიღბების“ დადგამათა გეგმებზე, მაკეტებზე. უსმენს კაჩალოვს, მოსკვინს, არტიომს და რუსული სცენის სხვა დიდოსტატებს.

„ძმები კარამაზოვები“, „სამი და“, „ალუბლის ბაღი“ და სხვები — ვასოს უსაყვარლესი სპექტაკლები იყო. მასში მძლავრად შეიჭრა რუსული სცენის დიდი შთამაგონებელი ძალა, რომელმაც არა მარტო მიიზიდა, არამედ დაიპყრო იგი, გარდაქმნა, ჩამოუყალიბა სწორი ესთეტიკური პრინციპები, გააღვივა მასში ქართული ხელოვნების რეალისტური თესლი. ვასო ყუშიტაშვილის შემოქმედება ამის შემდეგ რეალიზმის გზას არ გადასცდენია.

უნივერსიტეტში სამი კურსი დაასრულა, ხოლო სტუდიაში ორწელიწადნახევარი დაჰყო. პირველმა მსოფლიო ომმა ვასომდეც მიაღწია. ოდესაში ექვსთვიან სასწავლებელში განაწესეს და ექვსი თვის შემდეგ მხრებზე „პროპორშიკის“ ჩინი დააკრეს.

დაიწყო მხედრის მოუსვენარი, მოხეტიალე ცხოვრება... სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ტაშკენტში მოხვდა, ტაშკენტიდან — ლუგაში, ლუგიდან პეტროგრადში და — იქ დასრულდა მისი „სამხედრო კარიერა“. ომის დროს, როცა ქვეყანა იქცეოდა, ის მაინც თავისას არ იშლიდა (ეს პატარძეულელი კაცის ხასიათში დევს. ი.ს.) — სპექტაკლებს მართავდა.

ასე იყო თუ ისე, ნოსტალგიამ თავისი გაიტანა და 1918 წელს ვასო ყუშიტაშვილი თბილისში ჩამოდის. ამავე წლით თარიღდე-

ბა მისი პირველი დადგმა ქართული პროფესიული თეატრის სცენაზე. 23 წლის ჭაბუკი სოფოკლეს „ანტიგონეს“ ახორციელებს — ნ. დავითაშვილის, გ. არაღნელ-იმხნელის, ვ. გამყრელიძისა და სხვა ძველი თაობის დიდოსტატ მსახიობთა მონაწილეობით. ახალგაზრდა ხელოვანმა იმთავითვე მიიქცია თეატრალური საზოგადოებრიობის ყურადღება. გ. ჯაბადარი უმაღლეს ინვეეს რეჟისორს თავის სტუდიაში პედაგოგად და აქტიორული ოსტატობის კლასს აბარებს. 1918-19 წლებში რეჟისორ-პედაგოგად მუშაობს აგრეთვე მიხაილოვსკისა და როკსანოვის თეატრალურ სტუდიებშიც.

მაგრამ მენშევიკურ საქართველოს სრულიადაც არ ეცალა ხელოვნებისათვის. ვ. ყუშიტაშვილმა უპერსპექტივოდ დარჩენილ ქართულ თეატრში სანუგეშო ვერაფერი ნახა. არადა მას, როგორც ყველა ნიჭიერ ახალგაზრდას, სურდა გაეგო, სად გადიოდა მისი შესაძლებლობის ზღვარი. 1919 წელს იგი ევროპაში, კერძოდ პარიზში გაემგზავრა. ფაქტობრივად ეს მეშევიკური საქართველოდან გაქცევას ნიშნავდა. პარიზში, რომელიც ხელოვნების ცენტრად იყო მიჩნეული, უმაღლესადაც თავის საყვარელ საქმიანობაში.



ვ. ყუშიტაშვილი  
(ფანქრით შესრულებული  
შ. ქიქოძის მიერ. პარიზი)

ვ. ყუშიტაშვილმა საფრანგეთში თავისი მოღვაწეობა პედაგოგობით დაიწყო. ასწავლიდა მსახიობის ოსტატობას „ანტუანის“ თეატრში და თან ეწაფებოდა დიდი ტრადიციების მქონე ფრანგულ ხელოვნებას — დიდროს, ვოლტერს, ბომარშეს, ლესაჟის და სხვათა ტრადიციებზე დამკვიდრებულ ფრანგულ თეატრს. „არ მქონდა თითქმის არც ერთი თავისუფალი საღამო, — იგონებს ვასო, — პარიზში სულ რამდენიმე თვით ვიყავი ჩასული და მინდოდა ეს დრო მაქსიმალურად გამომეყენებინა“.





ნა. დღე მუზეუმებში, ხოლო საღამოს თეატრებსა და კლუბებში ვატარებდი“.

ვასო ყუშიტაშვილის პირველი დადგმული სპექტაკლი „ატელიეს“ თეატრში იყო კარლ გოლდონის „მარაო“. დადგმას გამოეხმაურნენ საფრანგეთის მთელი რიგი გაზეთები, მათ შორის ინგლისის პრესაც. ყველგან ერთხმად იყო აღიარებული დიდი დამდგმელობითი კულტურა, რეჟისორული ნიჭის ძალა. აი, ამონარიდები სხვადასხვა გაზეთებიდან: „მაღალი კომედიის ნიმუში“, „სპექტაკლში ჩაქსოვილია მთელი მე-18 საუკუნის მომხიბლაობა“, „მარაო“ ერთადერთი მრავალმხრივ საინტერესო სპექტაკლია, რომელიც შეიძლება ნახო დღეს პარიზში,“ „ბატონი ყუშიტაშვილი განსაცვიფრებელი გამომგონებელი და მგრძნობიარე რეჟისორია. მის მორიგ დადგმებს ჩვენ მოუთმენლად ვეღობთ.“

„მარაოს“ მოჰყვა მთელი რიგი სპექტაკლებისა, რომელთაც არანაკლები წარმატება ხვდა წილად. „ატელიეს“ სცენაზე ვ. ყუშიტაშვილმა დადგა შალომ ამის „მურისძიების ღმერთი“, მოლიერის „ჟორჟ დანდენი“, არისტოფანეს „ფრინველები“, ელ რეჟისა და დე ვენის „დიდმარხვა“, მათივე „სიყვარულის ვნება-ნი“ და სხვა.

„ვისაც სურს, იხილოს თუ როგორ უნდა დაიდგას მოლიერი სცენაზე, ნახეთ „ჟორჟ დანდენი“ „ატელიეში“, „აი, როგორ უნდა ითამაშონ მოლიერი“. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამას წერდნენ ფრანგები ფრანგულ გაზეთებში და ისიც იმდაგვარად, რომ არავითარ უხერხულობას არ გრძნობდნენ აკადემიური „კომედი ფრანსეზ“-ის წინაშე, რომელიც ფაქტიურად მოლიერის კლასიკური პიესების თეატრს წარმოადგენდა.

1929 წელს ვ. ყუშიტაშვილს, უკვე სახელგანთქმულ და ცნობილ რეჟისორს, ამერიკაში იწვევენ. როგორც კი დაუდგამს ფეხი ამერიკის მიწაზე, მას თურმე კორესპონდენტებისა და ფოტორეპორტიორების მთელი ლაშქარი შემოსევია. ნიუ-იორკი ჩვეულებრივი ამერიკული სენსაციური ხმაურით შეხვდა მას. პირველი დღეებიდანვე, იყო თუ არა საჭირო, ყველაფერი



ინერებოდა, ყოველივე სარეკლამო მიზნებს ითვალისწინებდა. პარადოქსების ქვეყანაში მსგავსი ამბებით გაოცებული რეჟისორი, როცა საქართველოში დაბრუნდა, სწორედ ამერიკელ კორესპონდენტებთან შეხვედრას იგონებდა „ლიტერატურულ გაზეთში“: „მოდით, ბატონებო, ერთხელ ვიყოთ ორიგინალური, დავწეროთ, რომ მე ვარ გლეხი და არასოდეს სამხატვრო თეატრში არ მიმუშავია... თავზარდაცემულმა დირექტორმა რეპორტიორებს აუხსნა, რომ მისტერ ყუშიტას (შემოკლებული ჩემი გვარი) ძლიერ უყვარს ხუმრობა და გთხოვთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ; მე თვითონ მოგცემთ ცნობებსო. მეორე დღეს გაზეთში ამოვიკითხე, რომ მე შთამომავლობით ვეკუთვნი უძველეს თავადის ოჯახს და თუ ტიტულს არ ვატარებ — ეს მხოლოდ სიამაყის გამო, და რომ მე მრავალი წლის განმავლობაში ვმუშაობდი მოსკოვის სამხატვრო თეატრში“.

სწორედ ამ დირექტორის შესახებ წერდა ამერიკული პრესა, როცა ვ. ყუშიტაშვილმა ოფენბახის ოპერეტა „დიადი ჰერცოგინია“ დადგა „ოპერა კომიქსის“ თეატრში: „ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილა მისტერ მასეი, რომ თავისი დასისათვის რეჟისორი ყუშიტაშვილი მოძებნა“.

შემდეგ ვ. ყუშიტაშვილი გადადის სამხატვრო ხელმძღვანელად ნიუ-იორკის „ექსპერიმენტულ-ლაბორატორულ თეატრში“. აქ მისი საუკეთესო დადგმები იყო ჟან-ჟაკ ბერნარის „მბჟუტავი ნაკვერცხლები“, კ. გოლდონის „მარაო“ და სხვა.

სულ მალე რეჟისორმა მიწვევა ახალი ორლეანიდან მიიღო. იქ დადგმული სპექტაკლებიდან ყველაზე დიდი წარმატება ჩეხოვის „ალუბლის ბაღს“ ხვდა.

ვ. ყუშიტაშვილს ახალი ორლეანის ექსპერიმენტულ-ლაბორატორულ თეატრში ხელშეკრულების თანახმად ხუთი პიესა უნდა დაედგა. მაგრამ მან ვერ შეძლო ამ ხელშეკრულების შესრულება, რადგან სამშობლოში დაბრუნების ვიზა მიიღო და სამუშაოს გულს როგორღა დაუდებდა. ვ. ყუშიტაშვილმა ამერიკა 1933 წელს დატოვა.



ვ. ყუშიტაშვილი ის პირველი ქართველი რეჟისორი იყო, ვინც საზღვარგარეთ იმოღვანა და ვისაც ესოდენ დიდი წარმატება ხვდა წილად. პირად ანკეტაში, კითხვაზე, თუ სად იყო ნამყოფი და სად უმუშავია საზღვარგარეთ, რეჟისორს თავისი ხელით მიუწერია: „საფრანგეთი, ამერიკა, ინგლისი, ბელგია, შვეიცარია, ჰოლანდია და სხვა ბევრი ევროპული ქვეყნები.“ ასევე საინტერესოა ქალაქები, რომელსაც რეჟისორი ჩამოთვლის იმავე ანკეტაში და თეატრებში, სადაც მას უმოღვანია, როგორც რეჟისორ-დამდგმელსა და ზოგჯერ კიდევ აქტიორული და რეჟისორული კლასის წამყვან პედაგოგს. ამათგან აღსანიშნავია პარიზში: „ანტუანის“, „ატელიეს“, „ოდეონის“, „ელისეს მინდვრების“, „პორტ სენ მარტენის“, „სამხატვრო“. ნიუ-იორკში: „ოპერა კომიკის“, „ლაბორატორიული“, „რეპერტუარის“, „პლეი გაუზის“; ახალ ორლეანში: „ვიო კარსეს“ და სხვა თეატრები თუ დრამატული სტუდიები.

აქ მინდა მეორე გადახვევა გავაკეთო — პატარძეულელები რომ მძლავრი ინტელექტუალური პოტენციალის მქონე ხალხია, ამაზე ბევრი რამ მეტყველებს. ჯერ ისიც კმარა, რომ შუაგულ კახეთში ოაზისივით არის შემორჩენილი ეს, მხოლოდ ქართველებით დასახლებული სოფელი. რომ არ გავიფანტოთ და ჩვენი ნიჭი და შემოქმედებითი უნარი სხვა ქვეყნების გაძლიერებას არ მივახმართოთ, შორეული ნაოსნობის კაპიტნად ცნობილ პატარძეულელ გელა უნაფქოშვილს სოფლიდან დიდი ლოდი წაუღია შორეულ ნაოსნობაში და წყნარი ოკეანის შუა გულში ჩაუგდია, თან დაუყოლებია სიტყვები: „აი, აქამდეა ჩვენი მიჯნაო“.

1933 წლის 15 აპრილს ვასო ყუშიტაშვილი სამშობლოში დაბრუნდა.

ამ დროს მეტად დასანანი და განსაკუთრებული შემთხვევა მოხდა, რაც კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს, რომ ამოუცნობია უფლის განგებულება. ცნობილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი მუდამ ცდილობდა და ჩქარობდა, რომ მალე დაებრუნებინა ქართული თეატრისათვის ვასო ყუშიტაშვილი. ბატონი ვასო



ჩამოვიდა საქართველოში, იმ დროს კი ყველასათვის მოულოდნელად გარდაიცვალა კოტე მარჯანიშვილი.

თეატრალური კულტურის იმ დონეს, რომელიც თავის დროზე მარჯანიშვილისა და ახმეტელის განსაცვიფრებელი ენერგიულობით შეიქმნა, არა მარტო შენარჩუნება, არამედ გაგრძელება და ამაღლება სჭირდებოდა. სწორედ რომ, როგორც იტყვიან „სულზე მოუსწრო“ ვასო ყუშიტაშვილმა. ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელსაც ეს სამსახური დაეკისრა, იყო რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი. იგი ოცდაათი წელი ემსახურებოდა ქართულ თეატრს. ემსახურებოდა უდრტვინველად, უანგაროდ, თეატრისა და ხალხის სიყვარულით შთაგონებული კაცის თავდადებით.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მისი პირველი დადგმა იყო ქუთაისის თეატრში განხორციელებული ბ. ჯონსონის „ვოლპონე“. ის პირველი შემოქმედებითი და იდეოლოგიური განაცხადია, რომელიც კარგად ავლენდა რეჟისორის მსოფლმხედველობრივ და მხატვრულ პოზიციებს.

„მე კარგად მახსოვს ის დრო — იგონებდა ვასო გოძიაშვილი რეჟისორის საპატივცემულოდ გამართულ იუბილეზე, — როდესაც თბილისში ხმა გავრცელდა — საფრანგეთში და ამერიკაში დიდი ხნის ყოფნის შემდეგ, სამშობლოში ბრუნდება რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი, მე იგი იმ რეჟისორული ტრიუკების დიდოსტატად მესახებოდა, რომელიც კარგად იქნებოდა დაუფლებული მსახიობის პლასტიკით მისაღწევ ჰიპერბოლურ სცენურ ფორმებს, თავანყვეტილი, შმაგი რიტმულობის პარტიტურას. მსგავსი მოდერნისტული ტენდენციებით გატაცებული იყო იმ დროს თეატრის ბევრი მუშაკი და განსაკუთრებით კი ჩვენ, ახალგაზრდები. ვნახე რა პირველი მისი დადგმა — ბ. ჯონსონის „ვოლპონე“ ქუთაისის თეატრში, მე განვიხიბლე, მოლოდინი სულერთიანად გამიცრუვდა. აღმოჩნდა, რომ ბატონი ვასო თურმე დიდი რეალისტი ყოფილა, რომელიც ცხოვრებისეულ ღრმა მოვლენებს ქარბი ფერებითა და მკვეთრი შტრიხებით ხატავდა“.



მართლაც, რეალიზმი მისი შემოქმედების ამოსავალი წერტილი იყო. იგი საფუძვლად ედო მის მუშაობას, ყველა ჟანრისა და სტილის ნაწარმოებს. ამ საქმეში რეჟისორი მტკიცე და შეურყეველი იყო და ბოლომდე ასეთი დარჩა. მაშინ როდესაც ყველა გაურბოდა ყალბი იდეოლოგიებისა და ვაი-მწერლობის მიერ გათელილ ილიას შემოქმედებას, ვასო ყუშიტაშვილი, ჩვენი თეატრის პატრიარქ შალვა დადიანთან ერთად, პირველი შემოქმედი იყო, ვინც თავისი მოქალაქეობრივი ხარკი გაიღო ილია ჭავჭავაძის სახელის აღსაზევნებლად.

ვ. ყუშიტაშვილის რეჟისორობით 1935 წელს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ილია ჭავჭავაძის „ჩატეხილი ხიდი“ დაიდგა. ამით საფუძველი ჩაეყარა ქართული კლასიკური ეროვნული მწერლობის თეატრის სცენაზე გამოტანისა და გაცნობის ეროვნულ საქმეს.

საინტერესოა აღინიშნოს, როცა დიდი ილიას ნაწარმოებებისა და გმირების სცენაზე ხილვამ სიხარულისა და აღტაცების გამოძახილი ჰპოვა მაყურებელში, როცა პრემიერის დღეს დიდხანს გაგრძელდა ოვაციები, ვ. ყუშიტაშვილს მამულიშვილობის მადლი განსაკუთრებით უგრძნია და თვალზე ცრემლმომდგარს უთქვამს: „ნამდვილად მე დღეს დავბრუნდი ჩემს სამშობლოში, ამ ერთ წარმოდგენას საზღვარგარეთ მთელი ჩემი შემოქმედების ნახევარს ვანაცვალე.“

დაუკვირდი, ჩემო მკითხველო. ამ სიტყვებს ვინ იტყოდა? თუ არა კაცი, რომელშიც სამშობლოს და მართლმადიდებლობის სიყვარული განუყოფელია.

ხანდაზმულობის წლებშიც მან არ იცოდა, რა იყო დასვენება. მან იცოდა თავისი ფასი, იცოდა ის, რაც გაუკეთებია, მაგრამ იმასაც კარგად ხედავდა, თუ რამდენი რამ იყო ჯერ კიდევ გასაკეთებელი. „როგორ ბრძანდებით, ვასილი პავლოვიჩი,“ — ყოველი შეხვედრისას პატივისცემით მიმართავდნენ მას ნაცნობები. იგი კი მისთვის ჩვეული მსუბუქი იუმორით მიუგებდა ხოლმე: „მე არ ვბრძანდები, მე ვმუშაობ!“



მართლაც ასე იყო. ჩვენ, საზღვარგარეთ ბატონი ვასოს შემოქმედების შესახებ, მართალია, ვრცლად არა, მაგრამ მაინც ვისაუბრეთ. რაც შეეხება სამშობლოში მის მოღვაწეობას, მის შესახებ მისი დადგმული სპექტაკლების ჩამოთვლაც კი საკმარისია:

თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი — „ჩატეხილი ხიდი“, „გიორგი სააკაძე“, „რუი ბლაზი“, „ბერლინის გასაღები“, „ხანუმა“, „პარტიზანები“, „ეჭვით ავადმყოფი“, „მელოდე“, „ბაგრატიონი“, „ფიქრის გორა“, „მასკარადი“, „კაცია-ადამიანი?!“, „ლალი“, „რუსეთის საკითხი“, „1917 წელი“, „უბრალო ადამიანები“, „მარიამ სტიუარტი“, „ზვავი“, „რიჩარდ მესამე“, „ტაიკუნი“, „100 ათასი“, „ორიფერი“, „იულიუს კეისარი და კლეოპატრა“.

გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრი — „მშვიდობის კუნძული“, „მწვანე ქეჩა“, „სოფლის საამო საღამოები“, „ჩაძირული ქვები“, „პატიოსნებისათვის“, „მირანგულა“, „თქმულება



სცენა სპექტაკლიდან „გიორგი სააკაძე“,  
მზევეინარი - ვ. ანჯაფარიძე; ბუხუტა- ს.ზაქარიაძე

დიად მეგობრობაზე“, „ქართლის ბაღებში“, „ფაქიზი განცდები“, „სიჭაბუკე ბელადისა“, „ფიგაროს ქორწინება“, „ვერაგობა და სიყვარული“, „ბაში-აჩუკი“, „კარგი ამხანაგი“.



ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრი — „ვოლპონე“, „ქარიშხლის წინ“, „ახალგაზრდა მასწავლებელი“, „გაზაფხულის დილა“, „გიორგი სააკაძე“, „უმნიფარი“, „გვარს ნუ დავასახელებთ“, „ქალიშვილი ზღვის პირას“, „მათი გასაჭირი“.

ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრი — „გუშინდელნი“, „ნაპერნკალიდან“, „ხევისბერი გოჩა“.

სოხუმის ს.ჭამბას სახელობის დრამატული თეატრი — „ქარ-



სცენა სპექტაკლიდან „ქარიშხლის წინ“

თლის ჩირაღდნები“, „ვაზის ტირილი“, „ბათა ქექია“.

ფოთის ვ. გუნიას სახელობის დრამატული თეატრი — „ხალხის სახელით“.

ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის თეატრი — „თივა და ავი ძალი“, „რღვევა“, „დასვენების დღე“.

მახარაძის ა. ნუნუნავას სახელობის დრამატული თეატრი — „გუშინდელნი“, „პატარა კახი“ და სხვა.

ვ. ყუშიტაშვილს უყვარდა და ეძვირფასებოდა კ. მარჯანიშვილის თეატრი, მაგრამ თუ საჭირო გახდებოდა, მზად იყო, ისიც დაეტოვებინა, ოღონდ დროზე გაჩენილიყო იქ, სადაც ქართულ

თეატრს უჭირდა. ბატონ ვასოსთვის ყველგან მისი თეატრი იყო, სადაც საქართველოს ცა ეგულებოდა.

კლასიკური ეროვნული მწერლობის და შედეგების სცენაზე გამომტანს კარგად ახსოვდა თეატრის მისამართით ნათქვამი ილია მართალის სიტყვები: „ეს წმინდა ტაძარია, სადაც იცინიან კიდეც და სტირიან კიდეც, მხოლოდ იმიტომ, რომ განიწმინდონ ავისა და ბინისაგან, სადაც ორივე ცრემლი, სიხარულისაც და მწუხარებისაც უკვდავების წმინდა წყაროდან მომდინარეობს ჩვენს გასაადამიანებლად და გასაკეთილშობილებლად“.



„კაცია ადამიანი?!“  
 ლუარსაბი - ვ. გოძიაშვილი; დარეჯანი - ც. წუნუნავა





## სოლომონ ბუტულაშვილი (1790—იანი წლები — 1826 წელი)

*„... ნაცვალის ვიყავ სოფლისა დიდი ხელმწიფის ხლებული,  
ხელმწიფის სამსახურშიგან ან ვიყავ გამარჯვებული...“*

*სოლომონ ბუტულაშვილის ეპიტაფია.*



ბუტულაანთ ციხე

ჯერ თემურ-ლენგის და შემდეგ შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად, გარე კახეთის მოსახლეობა თითქმის ამოწყდა. ვინც გადარჩა, ისინიც ტყვედ წაასხეს, ხოლო ძალიან მცირე ნაწილმა გაქცევით უშველა თავს. ამიტომ მშვიდობიან პერიოდში ნასოფლარებში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ქართველობა სახლდებოდა. ასე იყო პატარძეულშიც. აქ საცხოვრებლად, ქართლის სოფელ არბოდან, დრეიძეები გადმოსულან. ერთი მათგანი — ოთარი ფიცხი ხასიათის კაცი ყოფილა, რის გამოც

ხშირი უსიამოვნება ჰქონია თანასოფლელებთან. ამიტომ სოფელი „აუბუტულავდებოდა“, შემოსწყრებოდა ხოლმე და შეურქმევიათ „ბუტულა“, რაც შემდეგ გვარად ქცეულა და კარგა ხანს ყოფილან ბუტულაშვილები. ამჟამად მათი შთამომავლები იხსენიებიან ბილანიშვილებად, ხოლო საგვარეულო ციხეს, სოლომონის საპატივსაცემოდ, ისევ ბუტულაანთ ციხეს ეძახიან.

სოლომონ ბუტულაშვილი ყოფილა ოთარის შვილის, პატარძეულის მღვდლის ზაქარიას (სასულიერო სახელი შიო) ვაჟი. სოლომონი, როგორც ირკვევა დაბადებულა ერეკლე მეორის დროს, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის წინა წლებში. 1820-21 წლ-



ისათვის ის უკვე ცოლ-შვილიანია და სოფლის ნაცვალი. გარდა ზეპირი გადმოცემებისა, ამას ადასტურებს, როგორც ლექსი (რომელიც ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად არის გავრცელებული და პირველი ვარიანტი პატარძელელის მიერ უნდა იყოს დანერილი), ასევე ეპიტაფია და წერილობითი დოკუმენტი, რომელიც მიმართულია ალექსანდრე მაყაშვილისადმი: „მათ ბრწყინვალეობას უფალს თელავის მოურავს თავ-ად-აზნაურთა მარშალს ალექსანდრე მაყაიოვს ლეპორტი პატარძელის ნაცვლის სოლომონ ბუტულოვის...“ იქვეა პასუხი: „სოლომონ ნაცვალო, ამ შენის რეპორტის გამო...“ ერთი მხრივ ხელს აწერს: „თქვენი მოსამსახურე ნაცვალი სოლომონ ბუტულოვი“, მეორე მხრივ: „თელავის უეზდის მარშალი პოლკოვნიკი თ. ალექსანდრე მაყაშვილი... მათში ბ დღესა კფსი“ . . .1822წ.

სოლომონის ნაცვლობის შესახებ ცნობა დაცულია, როგორც ეპიტაფიაში, ასევე ვარიანტშიც: „... — პაპავ, შენ მოგცემ ნაცვლობას, სოფელი არ წამიხდება“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი II 2116, ჩამწერი ნ. კარიჭაშვილი, ხიდისთავი, 1885წ 20 მარტი.)

1826 წლისათვის მას ჰყოლია ოთხი შვილი: დავითი, გრიგოლი, დიმიტრი და მანანა. დედ-მამა და პაპაც ცოცხლები ყოფილან. ამას ადასტურებს, როგორც ლექსში დაცული ცნობები, ასევე ეპიტაფია.

როგორც ვიცით, საქართველოს ისტორია საომარ მოქმედებებში ძირითადად მეფეთა და თავად-აზნაურთა ღვაწლზე მოგვითხრობს, ხოლო დაბალი წოდების გმირების შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია მოიპოვება. თუმცა, ზეპირსიტყვიერებამ, „რომელიც ისტორიის თავისებური თანამგზავრია“ (მ. გორკი), ხალხმა არ დაივიწყა ისინი და მათი სახელები შემოგვინახა მრავალრიცხოვან ლექსებსა და გადმოცემებში. ერთი მათგანია სოლომონ ბუტულაშვილი.

ლექსი სოლომონ ბუტულაშვილის შესახებ გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში. ეს საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ, როგორც ამ პიროვნება-



ზე, ასევე მის გმირობაზე, რომელიც მან გამოიჩინა რუსეთ—  
ირანის ომში.

როგორც ისტორიული წყაროები გვამცნობს, 1826 წლის  
16 ივლისს სპარსეთის მრავალრიცხოვანმა არმიამ მოულოდ-  
ნელად გადმოლახა საზღვრები და შემოიჭრა ამიერკავკასიაში  
ერევან-ყარაბაღის მიმართულებით. სპარსელებმა ისარგებლეს  
რა კავკასიის მოქმედი არმიის დაქსაქსულობით, დაიპყრეს  
განჯა (ელისავეტპოლი) და მისი ახლომდებარე დასახლებული  
პუნქტები. დაიკავეს ყაზახი და თბილისს უახლოვდებოდნენ.  
მთავარმართებელი ერმოლოვი იძულებული გახდა პიატიგორ-  
სკიდან გამოეწვია გენერალი მადათოვი, რომელიც 13 აგვისტოს  
გამოცხადდა მდინარე ალსტაფასთან დაბანაკებულ ჯარის ნაწ-  
ილებში და სათავეში ჩაუდგა მათ. ერმოლოვი მარტო ამით როდი  
დაკმაყოფილდა. მან მოწოდებით მიმართა ქართველებს: გამო-  
სულიყვნენ „დიდებისა და სახელმოხვეჭის სარბიელზე მათთ-  
ვის კარგად ცნობილ ყიზილბაშების წინააღმდეგ.“ მოწოდებამ  
გამოხმაურება ჰპოვა. თელავის, სიღნაღისა და გორის მაზრის  
მარშლებმა სწრაფად შეადგინეს მოხალისე ცხენოსანთა რაზმე-  
ბი, გაშალეს საბრძოლო დროშები და ჩამოვიდნენ თბილისში.  
სოლომონ ბუტულაშვილმაც სასწრაფოდ შეკრიბა რაზმი:

„პატარძელთ ეგ გაიგეს,  
ვინ რომ არი კარგი ბიჭი  
ამ ორ დღეში მოვიდესა.“

ან კიდევ:

„ადგა წავიდა სოლომონ, თან გარეჯელი გაყვესა,  
სოლომონ ბუტულაშვილი გარეჯელებში ჩადგესა,  
მათ ჩააბიან ფერხული, ზედ ლილინი დააბესა.“

სოლომონთან ერთად ლექსში მოხსენებული არიან: სოსია  
ცხვარიაშვილი, ლაზარე მარმარაშვილი, გიგო ელერდაშვილი,  
ბელუა ფაფიაშვილი. იქვე არიან აგრეთვე ნაცვალნი ილაშვილი და



ბიძა ტატიუა. სოლომონის თბილისში ჩასვლა და მთავარმართებელთან შეხვედრა სახალხო მთქმელებს ასე აქვთ გადმოცემული:

„ქალაქში რომ შემოვიდა, სუყველამ გაიხარესა,  
ქალაქში რომ ჩამოვიდნენ, ფერხული კარგი დააბეს...  
მართებელი გამოვიდა, კისერზედ გარდადებს ხელსა:  
— აი, მალადეც, სოლომონ, შენ სჯობიხარ თავადებსა.“

ქართველთა ლაშქარი, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ, ქართული მილიცია, გაგზავნილ იქნა მადათოვის განკარგულებაში. ამ ქართულ მილიციაში იყო ს. ბუტულაშვილი. პირველი ბრძოლა მდინარე ასტიკთან მთებში მოხდა. სპარსელები დამარცხდნენ. ასევე დამარცხდნენ მეორე ბრძოლაშიც, რომელიც შამქორის ველზე მოხდა. ირკვევა, რომ სოლომონს მონაწილეობა მიუღია სამ ბრძოლაში: „ორსა ომსა, რო გადასცდა, მესამეს რო მაუხდესა.“

სოლომონის ვაჟკაცობას სახალხო მთქმელები ასე გადმოგვცემენ:

„აგრე ხოცა ყიზილბაში, როგორც შევარდენი მწყერსა.“

მისი გმირობა ასეა გადმოცემული:

„ფეხმარდი იყო სოლომონ, მაგრა ედგა ზარბაზნებსა,  
გაქცევაში ქორსა გვანდა, სიმარდუში შევარდენსა.  
ასოცი მოკლა სოლომონ, დანერეს და გაგზავნესა,  
ქალაქში გამოაცხადეს, მოახსენეს მართებელსა...  
მოჭრის თავსა, გამოატანს, მიართმევდა მედათვესა.  
(იგულისხმება მადათოვი. ი.ს.)

მედათვეი ასე ამბობს: „ხომ არ ვგავარ მეხაშესა,  
სოლომონ შენს ბიჭობას იქ მიგიწერ ხელმწიფესა,  
ჩინებს ამოვატანინებ, ზედაც ჯვარსა გაგკიდებსა.“



მესამე ბრძოლა, რომელიც საბედისწერო გამხდარა სოლომონისთვის, მოხდა არაქისისა და თართარის შესართავთან მდებარე ადგილებში, განჯიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. აქ საბრძოლო ოპერაციებს პასკევიჩი ხელმძღვანელობდა:

„პასკევიჩი ამას ამბობს:  
„თუ სოლომონი გადარჩა  
დიდ კაცობას მიიღებსა.“

ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა. „იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი — აღნიშნავს დ. ბატონიშვილი, — ამ ბრძოლაში დიდად მხნედ იყვნენ ქართველნი, რომელიცა იყვნენ რუსთა თანაათას კაცამდე. ბრძოლა იყო 8 საათს. იძლია რუსთაგან შაჰზეფა.“ სოლომონს კი ბედმა უმტყუნა:

„სამი რჯულძალდი ბელადი დაბლობში ჩაუსაფრდება,  
სამთავ უმტყუპებს თოფები, ორი სოლომონს მოარტყეს,  
ერთი ცხენს მოახვედრესა.  
სოლომონ გამწარებული ჩვენს ჯარში გადმოვარდესა.“

საინტერესოა პატარძეულელი შაქრო ცხვარიაშვილის ნაამბობი: „იმ ბრძოლაში მოკლეს სოლომონი, მეორე ერთი ბელუა ერქვა, სოფ. პატარძეული, ფაფიაშვილი ბელუა. ძალიან ყოჩაღი კაცი იყო. იმანა თქო, რო მე თათრებს მაგას ვერ დავანებებო, შემოიკალთავა ჩოხა და მისცა ბაირალი იაკობ ელერდაშვილს. შახტა და თან დაიკვილა, გაქანდა, დაეცა პირდაპირ იმ მკვდარ კაცს და გამაიტანა თავიანთ მხარესა.“ ეს მოხდა იმ დროს, როცა გამარჯვებული რუსის მხედრობა მისდევდა დამარცხებულ აბას-მირზას.

სოლომონი დროებით, საბრძოლო ოპერაციების დამთავრებამდე, განჯაში, ქალაქის ბაღში დამარხეს. გადმოსვენება სახალხო მთქმელების მიერ გადმოცემულია დიდი განცდით:



„რა სოფელშიაც შევიდნენ, ის სოფელი დაბნელდესა.  
ქალაქში რომ შემოვიდნენ, სულ დუქნები დაკეტესა.  
ტოლი და ტოლი ბიჭები აქეთ-იქით დაუდგესა.  
ვაიმე, ბიჭო სოლომონ, რა მარცხი მოგედო წელსა.  
საგარეჯოს თვალის ჩინო, ვილა ჩამოივლის ჩვენსა.“

ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ სოლომონ ბუტულ-  
აშვილი ჭეშმარიტად სახალხო გმირი იყო:

„სამ დღეს სიონში ესვენა, სამ დღეს უკან წაიღესა,  
წინ წინ კაცი გაუგზავნეს პატარძელს მამა ღვდელსა,  
ავი ამბავი მიუა ბუტულაშვილ შიო მღვდელსა...“

სოლომონი დაასაფლავეს პატარძელის ღვთისმშობლის  
ეკლესიაში.

სიკვდილის წინ სოლომონმა ანდერძად დატოვა:

„მოიყვანეთ ჩემი ცოლი ორი პირი ატირეთა.  
იმას თუ ბიჭი ეყოლოს სოლომონი დაარქვითა.“

ანდერძი ასრულდა:

„იმას რო ვაჟი ეყოლა, სოლომონი დაარქვესა,  
მამის მიღებული ჯვარი მას გულზედა დაჰკიდესა.“

ლექსის ერთ-ერთ ვარიანტში, პატარა სოლომონის ნათ-  
ლიად გვევლინება მთავარმმართველი პასკევიჩი. სოლომონი  
მართლაც სამხედრო პირი გახდა და პოლკოვნიკის ხარისხს მი-  
აღწია. ბუტულაშვილების ჯიშ-ჯილაგში რომ მეზრძოლი სული  
ტრიალებს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მათი შთამომავალი გიორგი  
ბილანიშვილი დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გმირი  
გახდა. მათ გვარსა და მოდგმას არც ინტელექტი და ქველმოქ-



მედება აკლდა, რის ნათელი დადასტურებაც გახლდათ რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ქ-ნი ელისო იანქოშვილი. ხოლო სოლომონ ბუტულაშვილი — უმცროსის შვილიშვილებმა ელენე და ნინო ბილანიშვილებმა თბილისში, ნაძალადევში საკუთარი სახსრებით დააარსეს სკოლა, სადაც ღარიბი ადამიანების შვილები სწავლობდნენ.

დღესაც დგას პატარძელში ბუტულაანთ ციხე, ამაყად გადმოჰყურებს სოფელს და პატარძელელთა გმირობის ბევრ საიდუმლოს ინახავს. ეს ხომ გმირთა, ინტელიგენტთა სოფელი იყო, არის და იქნება მარად.





**ალექსანდრე ელერდაშვილი**  
(1929–2018)

*„მართლის მცირედი სჯობია ცოდვილთა დიდ სიმდიდრეს, რადგან მკლავები ცოდვილთა დაიმსხვრევიან, ხოლო მართალთა დასაყრდენი უფალია“  
(ფს 36. 16-17)*



ნმინდა ილია მართალი ბრძანებდა: „რამხელა ზნეობრივი სიმდიდრეა საჭირო, რომ კაცმა საზოგადოების სამსახურისათვის თავი გაიმეტოს, ამ სამსახურზე დამოკიდებული უსიამოვნება და მოუსვენრობა იტვირთოს და ნუგეშად მარტო ის იქონიოს, რომ ჩემს მოძმეთა წინაშე ჩემს ზნეობრივ მოვალეობას ვასრულებო“.

ასეთი ადამიანები დღეს, სამწუხაროდ, ძალიან ცოტანი არიან საქართველოში და თანდათან მცირდება მათი რიცხვი. ამის მიზეზი კი მარტივია — ამ საქმიანობაში მატერიალური მოგება არ დევს. ეს ყოველივე საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. გულს გიკლავს, როდესაც მორიდებული, ფარისევლური ღიმილით გეკითხებიან: „ამდენს რომ შრომობ, წერ, წინ და უკან დარბიხარ, გრჩება რამე?“ რა თქმა უნდა, ასეთ შეკითხვას წუთისოფლის მეგობარი თუ დაგისვამს, რომლისთვისაც უცხოა სულიწმიდის მადლი. იმაზე დიდი გასამრჯელო რა უნდა იყოს კაცისათვის, რომლის შემოქმედებითაც მრავალი ადამიანი სარგებლობს და იღებს ცოდნას. ასეთ სამსახურს ფასი არა აქვს. ის შეუფასებელია. ასეთი ერის კაცები ხელისუფლების ზოგიერთი ცოცხალ-მკვდარი ჩინოვნიკებისათვის (ცოცხალია ეშმაკისთვის, ხოლო ღმერთისთვის-მკვდარი), ყველა დროში მიუღებელნი იყვნენ და არიან. ცოცხალ-მკვდრებმა ესროლეს





ილიას ტყვია, ივანე ჯავახიშვილი თავისსავე დაარსებული უნივერსიტეტიდან გააძევეს, წმინდა ექვთიმეს (თაყაიშვილი) ერის საგანძურის გადარჩენისა და დაბრუნებისათვის მოუსწრაფეს სიცოცხლე და მრავალი ასეთი ფაქტი ახსოვს ჩვენს ბედუკუღმართ ისტორიას...

... აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, მაშინდელმა საგარეჯოს რაიკომის მდივანმა — მ. მეზვრიშვილმა საგარეჯოს რაიონში „პერსონა ნონ გრატად“ გამოაცხადა დიდი კონსტანტინეს მიერ დამოძღვრილი და მისი შვილის — ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ქვეყნის დამსახურებული ბიბლიოფილი ბ-ნი ალექსანდრე ელერდაშვილი. დევნიდნენ ადამიანს, რომელმაც ჯერ კიდევ 1954 წელს საგარეჯოს რაიონში ძეგლთა დაცვის საზოგადოება, 1955 წელს — პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის საზოგადოების საგარეჯოს რეგიონალური ორგანიზაცია, 1963 წელს — ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაცია, 1990 წელს კი ჰელსინკის კავშირი — ეროვნული აღორძინების საგარეჯოს რაიონული ორგანიზაცია დააარსა.

ასეა, ჩემო კეთილო მკითხველო. ბ-ნი ალექსანდრესათვის და არა მარტო მისთვის, დაწერილია პავლე მოციქულის მიერ: „და ყველა, ვისაც სურს ქრისტე იესოში იცხოვროს ღვთისმოსაობით, დევნილი იქნება. ბოროტი ადამიანები და ცრუმარქვიები კი წინ წაინევენ უარესისაკენ, სხვებსაც აცდენენ და თავადაც ცდუნებაში იქნებიან“. (II ტიმ. 3. 12-13)

ბატონ ა. ელერდაშვილს 1954 წლიდან სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ჰქონდა 1250-ზე მეტი პუბლიცისტური წერილი, მოთხრობა, ესსე, ფელეტონები და სხვა. აი, მათი არასრული ჩამონათვალი — გაზეთები: „ივრის განთიადი“, „კახეთის კარიბჭე“, „სამშობლო“, „წიგნის სამყარო“, „ასავალ-დასავალი“, „იბერია სპექტრი“, „კომუნისტი“, „სოვეტ გურჯისტანი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველოს



სამრეკლო“, „სოფლის ცხოვრება“, „კახეთის მოამბე“, „სამგორი“, „მეგზური“, „აღორძინება“ და სხვა; ჟურნალები: „სკოლა და ცხოვრება“, „ნელინდნლეული“, „მოძღვარი“, „პიონერი“, „ფენომენი“, „პრეს-პრემიერი“ და სხვა. გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი: „საგარეჯოს სახალხო თეატრის 100 წლისთავი“ (გამომცემლობა „ხელოვნება“, 1980 წელი), „ჩემი აუდიტორია“ (საზოგადოება „ცოდნა“, 1979წ.), საბავშვო მოთხრობების წიგნი — „მე და ჩემი რაზმი“ (1980წ.), „პატარძელი. ისტორია და თანამედროვეობა“, (2013წ.). „ნინოწმინდა“ (2016წ.). გამოუქვეყნებული ნაშრომები: „გარეჯული ქრონიკები“ (1980-1990წ.წ.), „გარე კახეთის სკოლების დაარსების ისტორიიდან“, „გარეჯის ქვეყანა-საგარეჯო-ისტორიულ პუბლიცისტური კრებული“ (2003-2004წ.წ.), „საგარეჯოს რაიონის მატერიალური კულტურის ძეგლები“ (2005-2006წ.წ.) და ცალკეული ნარკვევები რაიონის თითქმის ყველა სოფლის, ნასოფლარის და ისტორიული ძეგლების შესახებ.

გარდა ამისა, დანერგილი ჰქონდა მრავალი მონოგრაფია გარე კახეთში გავრცელებულ თითქმის ყველა გვარზე, მოკლე ისტორიები — შედგენილი გარე კახეთის სოფლებზე და ნასოფლარებზე. ამასთან, უამრავი მასალა აქვს ჩაბარებული საქართველოს სახელმწიფო არქივისთვის. ასე რომ, ალექსანდრე ელერდაშვილმა ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და აღმშენებლობის საქმეში თავისი „აგური“ დადო, „კირითაც შეადულაბა“, რაზეც ქვევით მოგახსენებთ. მანამდე კი გადავხედოთ მის წარსულს.

ბატონი ალექსანდრე ელერდაშვილი დაიბადა 1929 წლის პირველ იანვარს (ოფიციალური მონაცემებით) სოფელ პატარძელში გიორგი ელერდაშვილის და ანა სიბოშვილის ოჯახში. „ასეა დაფიქსირებული ჩემი დაბადების დღე ოფიციალურ დოკუმენტებში, — ამბობდა ა. ელერდაშვილი, — მაგრამ ეს თარიღი არ არის სწორი. მართალია, მე ჩემმა მშობლებმა მომნათლეს პატარძელის წმინდა შიოს სახელობის ეკლესიაში 1933 წელს, მაგრამ მაშინ ფაქტიურად გაუქმებული იყო მღვდელთმსახურება და ვინ იცის, არც გამატარეს ნათლობის წიგნში. როცა სასკოლო ასაკის



გავხდი, იხელმძღვანელეს რა სოფელ პატარძელის საკომლო დავთრით, ჩემი დაბადების დრო 1928 წლით დაათარიღეს. როცა წამოვიზარდე, ჩემს მშობლებს ვეკითხებოდი, რომელ წელსა და რომელ თვეს ვიყავი დაბადებული, მაგრამ მათგან ზუსტ პასუხს ვერ ვიღებდი. დედაჩემი იტყოდა ხოლმე: „როცა შენ დაიბადე თუთები მწიფდაო“, რაც იმას ნიშნავს, რომ დავბადებულვარ ივნისის თვეში, ესე იგი 1929 წლის ივნისში, მაგრამ ოფიციალურად დოკუმენტებში წერია 1929 წლის პირველი იანვარი.“

1937 წელს ალექსანდრეს სწავლა დაანწყებინეს პატარძელის სკოლაში. „ჩემი მასწავლებელი იყო ნინო ჯანდაგიშვილი, — იხსენებდა ბ-ნი ალექსანდრე, — რომელმაც ძალიან უგულოდ მიმიღო და დამსვა უკანა მერხზე ერთ მოწაფესთან — განწილთ-მიან გოგონასთან. ჩვენი სკოლა მოთავსებული იყო სოფლის ბოლოს ერთ-ერთ უღამაზეს სასახლეში, რომელიც ადრე ეკუთვნოდა აზნაურყოფილ პორუჩიკ მიხეილ ფიცხელაურს. შენობა ძალიან რომანტიკულ ადგილზე მდებარეობდა, გადაჰყურებდა ცხვარიაშვილების ბალ-ვენახებს და სოფელში ჩამომავალ ფიდინაანთ ხევის უღამაზეს ქალას. ნინო მასწავლებლის უგულო მიღებას დაემატა ისიც, რომ ის გოგო, ჩემს გვერდით რომ იჯდა, სულ მეზუზღუნებოდა. ერთი სიტყვით პირველი დღიდანვე არ მომეწონა სკოლის გარემო და სწავლაზედაც გული ავიცრუე. ჩემს დას, მარიამს, მეტსახელად მამხობელას რომ ეძახდნენ, ძალით, ტირილით მივყავდი სკოლაში. როგორც გითხარით მასწავლებელმა თავიდანვე ამითვალწუნა და მეტსახელად ბატი შემარქვა. მეც ისე მივეჩვიე და ისე დავკომპლექსდი ამ შერქმეულ სახელზე, რომ მართლა ბატი მეგონა ჩემი თავი (გავა რამდენიმე წელი და ალექსანდრეს სხვა ზედმეტსახელს შეარქმევენ და სრულიად დამსახურებულადაც — „აკადემიკოსა“ ი.ს.). ერთი სიტყვით, ჩემ დას ნინო მასწავლებელმა განუცხადა: „შენი ძმა გონებრივად განუვითარებელია და ვერ ისწავლისო“. იმ წელს იმავე კლასში დამტოვეს, როგორც გონებასუსტი — დებილი და სამუდამოდ შემაჯავრეს სკოლა.



სამაგიეროდ მე ყოველთვის ყურს ვუგდებდი ხოლმე ჩემს დამეხსნელებს გაკვეთილების მომზადების დროს და ბევრი რამ ვისწავლე მათგან. მეორე წელს, დიდი ხვეწნა-მუდარით, ძლივს წამიყვანეს სკოლაში და მარგო მასწავლებელს ჩააბარეს ჩემი თავი.

მარგო (მარგალიტა) ბილანიშვილს სკოლის ეზოში შემახვედრა ჩემმა დამ. მან გულთბილად მიმილო, მომეფერა, გულზე მიმიხუტა და თავისი ხელით შემეყვანა საკლასო ოთახში. შუა მწკრივის მეორე მერხზე დამსვა ერთ კარგ ბიჭუნასთან და თანდათან გამიქრა სიძულვილი სკოლაზე. ის კომპლექსი დავძლიე, რომ თითქოს ბატი არ ვყოფილვარ, ასე და ამრიგად, თანდათან შევეგუე სკოლას და სწავლის ათვისება შევეძელი. მარგო მასწავლებელი სულ მაქებდა და მაქებებდა. ასე გავხდი ნორმალური და ბეჯითი მოსწავლე. დანყებითი ოთხი კლასი მარგო მასწავლებელმა დამამთავრებინა ფრიადზე სწავლითა და ქების სიგელით. ჩემი სურათი ფრიადოსანთა კუთხეში გამოაკრეს.

ეს ფართო შესავალი იმისთვის მოვიყვანე, რომ მასწავლებელს შეუძლია თავისი მოსწავლე გენიოსადაც აქციოს და გონებასუსტ დებილადაც.

როდესაც განათლების განყოფილების გამგედ დამნიშნეს, ნინო ჯანდაგიშვილი ისევ მასწავლებელი იყო და მასწავლებელთა რაიონულ კონფერენციებზე, თავისი ქებისათვის, საზეიმოდ გამოაცხადებდა ხოლმე: „აი, ჩემი ნამონაფარი დღეს ყველა მასწავლებლის მასწავლებელი არისო.“

პატარძელის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1949 წელს ა. ელერდაშვილი ჩაირიცხა თბილისის ი. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა 1954 წელს. იმავე წელს მუშაობა დაიწყო საგარეჯოს რაიონული გაზეთის — „სტალინური სიტყვის“ რედაქტორის მოადგილედ. 1955 წელს გადაჰყავთ საგარეჯოს პარტიის რაიკომის პარტკაბინეტის გამგედ. 1957-1958 წლებში მუშაობდა საგარეჯოს რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად. 1958-1962 წლებში კვლავ



გაზეთ „სტალინური სიტყვის“ რედაქტორია. (1962 წელს გაზეთს სახელი შეეცვალა და ეწოდა „განთიადი“). 1963 წლიდან 1965 წლამდე პარტიის საგარეჯოს რაიკომის ლექტორ-კონსულტანტია და პარალელურად (1963-1990 წ.წ.) საგარეჯოს მე-2 და მე-3 სკოლებში ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელია. 1965-1971 წლებში ხელმძღვანელობს საგარეჯოს პარტიის რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებას, 1971-1973 წლებში — საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილებას, 1973-1980 წლებში — საგარეჯოს პარტიის რაიკომის იდეოლოგიური განყოფილების გამგეა, 1980-1985 წლებში მუშაობდა რაიონული, გაზეთის „ივრის განთიადის“ მთავარ რედაქტორად. 1985-1990 წლებში საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის გათავისუფლებული პარტკომია, 1990 წლიდან კი პენსიონერი.

მიუხედავად ა. ელერდაშვილის, ერთი შეხედვით, კომუნისტურ-პარტიული საქმიანობისა, იგი 1983 წლის ნოემბრიდან ჩაება საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში, სადაც, ზვიად გამსახურდიას რეკომენდაციით, 1990 წლის მაისში, სათავეში ჩაუდგა ჰელსინკის კავშირის საგარეჯოს რეგიონალურ ორგანიზაციას. 1990 წლის იანვარში, კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველ მდივან მ. მეზვრიშვილთან მწვავე დაპირისპირების გამო, დატოვა პარტიული სამუშაო და გავიდა სკკპ რიგებიდან. „1990 წლის მარტში, — იხსენებდა ა. ელერდაშვილი, — ჩემი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, საგარეჯოში მოვანყვე გრანდიოზული მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი და, ხალხის მოთხოვნით, დავშალეთ პარტიის საგარეჯოს რაიკომი. დავითხოვეთ მისი ბიუროს მთელი შემადგენლობა მედეა მეზვრიშვილის ჩათვლით. მე, როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი აღმოსავლეთ საქართველოში, გვერდში ვედექი ზვიად გამსახურდიას და აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი ეროვნული ქვეყნის მშენებლობის საქმიანობაში“.

ყველაფერი კი, გაცილებით ადრე, სტუდენტობის დროს დაიწყო:



უნივერსიტეტში სწავლის დროს, სტუდენტმა ა. ელერდ-აშვილმა, ერთ-ერთ შეკრებაზე, რომელსაც ქართული სიტყვის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია ესწრებოდა, შესავალი სიტყვა წაიკითხა ისტორიულ საკითხებზე. როდესაც დაუმთავრებია, ბ-ნმა კონსტანტინემ იხმო თურმე თავისთან და ჰკითხა: „ვისი შვილი ხარო?“ — „ბოგანო გლეხისაო“ — უპასუხია ალექსანდრეს. გამსახურდიას გაკვირვებით კვლავ უკითხავს: „საიდან ამდენი განათლებაო?“ „არ ვიციო,“ — მხრები აუჩქრია ალექსანდრეს. კონსტანტინეს იგი კოლხურ კოშკში დაუპატიჟია. „დავინყე კოლხურ კოშკში სიარული, — იხსენებდა ა. ელერდაშვილი, — კარგად მახსოვს, პირველად რომ მივედი, კარი ქალბატონმა მირანდამ გამიღო. გამსახურდიების ოჯახთან ჩემი ინტენსიური ურთიერთობის შედეგად, საკმაოდ ბევრი სტატია გამოვაქვეყნე. მაშინ ზვიადი 11-12 წლის ბიჭი იყო. ერთ-ერთი ვიზიტის დროს, იხმო იგი ბატონმა კონსტანტინემ და უთხრა: „აი, ამ კაცს გაყევი, ასეთი ხალხის ყურადღება გჭირდება, უბრალო გლეხის შვილია და რამდენი რამ იცისო“. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. 1983 წელს (მაშინ საგარეჯოს რაიონული გაზეთის რედაქტორი გახლდით), ჩემს მეზობელ ასტაბელაანთ გრიმასთან არაყსა ვხდი და საარყეს ძირითადი ატრიბუტი — მწვადიც იქვე ინვება. ბიჭი მოვიდა და მითხრა: „ვილაც კაცი გკითხულობსო.“ ეს კაცი ზვიად გამსახურდია აღმოჩნდა. ჩვენი პირველი ჭიქის აწვევა საარყეზე მოხდა. მაშინ მითხრა: „მამის სიტყვები არ დამვინყებია. ახლა ვინყებთ ეროვნულ მოძრაობას და მხარში უნდა დაგვიდგეო“. მას შემდეგ მთელ საქართველოში დავეყვებოდი. გარდა ეროვნული მოძრაობისა, ზვიადი დიდ დროს უთმობდა ისტორიული ძეგლების და ნასოფლარების დათვალიერებას. მუდამ თან ჰქონდა კელაპტრები და წმინდა ადგილებში ანთებდა, კოცნიდა ტაძრების ქვებს. გამსახურდიასთან კავშირის გამო, კომუნისტებისაგან დიდ ტერორს განვიცდიდი. „ჩვენ რომ გავიმარჯვებთ, — მეტყოდა ხოლმე სულგანათლებული ზვიადი, — შენ კახეთის გუბერნატორი იქნებიო“. მე, თანამდებობის დაკა-



ვების ამბიციის არასდროს არ მქონია, თუმცა არც არავის გავხსენებიაარ“.

მრავალჭირგამოვლილი კაცი გახლავთ ბატონი ალექსანდრე. მიუხედავად ამისა, ის მაინც განაგრძობდა თავის საყვარელ საქმიანობას და იკვლევდა ჩვენი ქვეყნის წარსულს. ცდილობდა გაეგლო ის მიხვეულ-მოხვეული ლაბირინთები, რომლებიც ისტორიული იდუმალებითაა აღვსილი.

ბ-ნმა ალექსანდრემ ერთ-ერთ საიდუმლოს ახადა ფარდა, თუმცა არ ვიცი ამ ვერსიას რამდენად გაიზიარებენ ქართველი და არა მარტო ქართველი მეცნიერები. პუბლიკაცია კი ასე არის დასათაურებული: „რას გვაუწყებს მანაველი „ჭიაბერის სიგელზე“ ხელრთვა-ავტოგრაფი — „შოთაი?“ ბ-ნი ალექსანდრე სამოცი წელი იკვლევდა აღნიშნულ ისტორიულ მასალებს. ამიტომ, მისი ანალიზისას გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, სტატიას ყოველგვარი შემოკლების გარეშე ვაქვეყნებ თქვენს სამსჯავროზე:

„ XIX საუკუნის ბოლო ხანებიდან ქართველ რუსთველოლოგ მეცნიერთა ცნობისმოყვარეობას განსაკუთრებით მძაფრად აღიზიანებდა ერთი უაღრესად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში „ჭიაბერის სიგელითაა“ ცნობილი.

ამ დოკუმენტის გაცნობა ჩვენი მკითხველისათვის იმიტომ მივიჩნით აუცილებლად, რომ ჯერ ერთი, იგი XII საუკუნის ბოლო წლებშია შედგენილი ჩვენი რაიონის ისტორიულ სოფელ მანავში და მეორეც, — იმიტომ, რომ ამ სიგელის ერთ-ერთ ხელმომწერად გენიალური შოთა რუსთაველი არის მიჩნეული.

აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტი არაერთმა ქართველმა რუსთველოლოგმა მეცნიერმა შეისწავლა და თითოეულმა მათგანმა მასზე თავისებური აზრი გამოთქვა.

ამ კითხვაზე ძალიან ორიგინალური, თუმცა ლოგიკურ კანონებზე დაყრდნობით, მკაფიო და დამაჯერებელი არგუმენტაციით პროფესორმა პროკოფი რატიანმა გასცა პასუხი გასული საუკუნის 70-იან წლებში. მანვე დაადგინა, რომ ამ დო-



კუმენტზე ხელმომწერი „შოთაი“ არის თამარ დედოფლის კარზე მოღვაწე ცნობილი სახელმწიფო და სასულიერო პიროვნება, გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთაველი.

მაშ, მივყვეთ ამ იურიდიულ, სამართლებრივ დოკუმენტს და თვალნათლივ დავრწმუნდებით, რომ მასზე დაფიქსირებული ავტოგრაფი გენიალურ შოთა რუსთაველს ეკუთვნის და არამც და არამც სხვა ვინმეს.

ქართველი ისტორიკოსებისათვის ცნობილია, რომ აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტის შემდგენელი და ავტორი „ჭიაბერი“ იყო გიორგი III-ის და თამარის კარზე მოღვაწე მანდატურთუხუცესი ვაზირი, მანავის თემის ერისთავთ-ერისთავი, რომელსაც ერთხანს ამირსპასალარის თანამდებობაც კი ეკავა.

ახლა, მოკლედ იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ XII-XIII საუკუნეებში მანავის თემის ადმინისტრაციულ-ეკონომიური რეგიონის ერისთავთ-ერისთავები, ან რა კვალი დატოვეს მათ საქართველოს ისტორიაში? სამწუხაროდ, ამის შესახებ ძალზე მკრთალად და უფერულად არის აღნიშნული დღემდე შემორჩენილ ქართულ ისტორიულ წყაროებში.

მოკლედ მოვუთხრობ ჩვენს მკითხველს იმის შესახებ, თუ რა როლი შეასრულა თამარის ეპოქაში მანავის თემის დიდმა ფეოდალმა ერისთავთ-ერისთავმა „ჭიაბერმა“.

ისტორიიდან ვიცით, რომ გიორგი მესამის (1156-1184 წ.წ.) მეფობის დროს, 1177 წელს ქართველ ფეოდალთა ერთმა ჯგუფმა დიდი ამბოხება მოუწყო მეფე გიორგი მესამეს, სამეფო ტახტიდან გადაგდებისა და მეფედ დემნა უფლისწულის გამოცხადებისათვის.

კრიტიკული მომენტი შეიქმნა. საქმე იმდენად გართულდა, რომ მეამბოხე ფეოდალები გამარჯვებას ზეიმობდნენ. დემნა უფლისწულს, ანუ დემეტრე დავითის ძეს გვერდში ედგნენ ისეთი მძლავრი ფეოდალები, როგორებიც იყვნენ ამირსპასალარი და ჰერეთის ერისთავთ-ერისთავი იოანე ორბელი და სამეფოს არისტოკრატის ზოგიერთი მსხვილი ფეოდალი, რომელთა გან-





კარგულებაში იყო 30 000 კარგად შეიარაღებული სამხედრო ძალა. იოანე ორბელს სურდა, თავისი სიძე დემნა უფლისწული დაესვა სამეფო ტახტზე. საქმეს ის ართულებდა, რომ სამეფოს კარის შვიდი ვეზირიდან აჯანყებას მხარს უჭერდა ხუთი. ამ კრიტიკულ მომენტში მანავის ერისთავთ-ერისთავი და სამეფო კარის მეფინებეთუხუცესი ჭიაბერი თავიდანვე გიორგი III-ის მხარეზე დადგა მის მიერ კუხეთიდან (გარე კახეთიდან) შეკრებილი საუკეთესო შეიარაღებული ცხენოსანი მეომრებით, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა გამარჯვების ისრის გიორგი III-ის მხარეზე გადახრაში.

ამ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ გიორგი III სასტიკად გაუსწორდა აჯანყების მოთავეებს, თვითონ ტახტის პრეტენდენტს, უფლისწულ დემნას თვალები დასთხარა, მის სიმამრს იოანე ორბელს ყველა თანამდებობა ჩამოართვა და მის მაგივრად სამეფო კარზე მანაველი ჭიაბერის საგვარეულო ოჯახის წევრები აღაზევა. თვით მანავის ერისთავთ-ერისთავი მანდატურთუხუცესად (შინაგან საქმეთა და უშიშროების უწყებათა უფროსად) დანიშნა. მისი ოჯახის წევრებიც პრივილეგიებულ თანამდებობაზე წამოსწია. მანაველი ჭიაბერი და მისი ოჯახის წევრები იმდენად დაახლოებული და გამინაურებული იყვნენ სამეფო კართან, რომ მათიანე ჭიაბერს ხშირად სამეფო კართან „თანაშეზრდილ“ პიროვნებად მოიხსენიებს.

მანაველი დიდებულები დიდ როლს ასრულებდნენ თამარის მეფობის დროსაც, რაც დოკუმენტალურადაც დადასტურებული აქვს ცნობილ რუსთველოლოგს, მეცნიერსა და მწერალს პავლე ინგოროყვას (იხილე ჟურნალი „მოამბე“ — 1963 წ. 3, გვ 151).

ახლა კი მივუბრუნდეთ ისევ იმ საინტერესო იურიდიულ დოკუმენტს, რომლის სახელწოდებაც არის — „შენიშვნების დანერილი ჭიაბერისა შიომღვიმისადმი“ (შედგენის სავარაუდოდ თარიღია 1189-1192 წ.წ.), რომელსაც შემოკლებით ჩვენს ნარკვევში „ჭიაბერის სიგელით“ მოვიხსენიებთ. მისი შინაარსი ასეთია:



„ ... ესე დაგინერე და მოგახსენე მე მანდატურთუხუცესმა და ამირსპასალარმან ჭიაბერმან“... ჩემსა ჟინვანისა ქონებასა შინა ვკადრე და მოგახსენე ღვთისა სწორსა მეფეთა მეფესა თამარს; და მათ ბრძანებითა და კითხვითა გკადრე და მოგახსენე შენ, წმიდასა მამასა შიოს და შენთა ცრემლთა მიერ აღშენებულსა უდაბნოსა მღვიმესა და მუნ შინა დამკუიდრებელთა მამათა და ძეთა ჟინვანით (ჟინვალით ა.ე.) მიხითარაის ძენი დავითის შვილნი ოქროი და მახარაი და ბრაჭი და იოანე, მამითა სახლითა და მამულითა, ნასყიდითა და უსყიდელთა... ვითა სხუაგან შემონირული ვაჭარნი თქუენნი მოუდევარად მომიხსენიებიან და შეუვალად ყოფნის შემოსავლისაგან, ყოვლისა მავნებლისაგან შეუვალნი და ნებისმიერნი სხედან, ეგრეთვე ესენი სდგნენ“.

ამ სიგელს ამტკიცებს თვით თამარ მეფე და აგრეთვე საქართველოს კათალიკოსი თეოდორე. შემდეგ კი მოსდევს გვიანდელი ასეთი დამტკიცება: „მე შოთაი, ჩემს ჟინვანის ქონებასაც შიგა ვამტკიცებ, ვითა ამას შიგან წერია.“

აი, სწორედ ეს ხელრთვა, ანუ ავტოგრაფია ის „ლაკმუსის ქალაღი“, რომელმაც გამოიწვია ქართველ რუსთველოლოგ-მეცნიერთა ვნებათაღელვა.

როგორც რუსთველოლოგი პ. რატიანი გადმოგვცემს, ამ საბუთიდან ნათლად იკვეთება, რომ XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე, თამარის დროს ყოფილა ვინმე, დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ალბათ (მეფის ვაზირი შოთა), რომელიც მანდატურთუხუცეს ჭიაბერის შემდეგ ქალაქ ჟინვალისა და მისი მისადგომი ე.წ. „შვიდთა მთიულეთის“ მფლობელი (პატრონი) გამხდარა, ამიტომ იმ დროს არსებული წესის თანახმად ხელახლა დაუმტკიცებია თავისი წინამორბედის მიერ გაცემული სიგელი.

ახლა განვიხილოთ, ვინ უნდა ყოფილიყო ეს შოთა? ჯერ კიდე ამ სიგელის აღმომჩენი თედო ჟორდანია ფიქრობდა, რომ ეს შოთა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი უნდა ყოფილიყო. იგივეს ამტკიცებდა პირველი საბჭოთა მკვლევარი ს. კაკაბაძე 1927 წელს. მსგავს აზრს გამოთქვამდა აგრეთვე ისტორიკოსი მოსე



ჯანაშვილი. მაგრამ იმდროინდელი რუსთველოლოგების მიერ, არასაკმარისი მტკიცებულობის გამო, მიუღებელი აღმოჩნდა ეს კონცეფცია. ხოლო, მას შემდეგ, როცა დავუშვებთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, რუსთავის მთავარეპისკოპოსი და თამარის სამეფო კარის წამყვანი ვეზირი — მეჭურჭლეთუხუცესი (ჩვენი გაგებით, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი) ერთი და იგივე პიროვნება — შოთა რუსთაველი იყო, გაბედვით შეიძლება ითქვას, რომ „ჭიაბერის სიგელზე“ ხელმომწერი შოთა იგივე შოთა რუსთაველია.

დავსვათ კითხვა: რატომ შოთა რუსთაველი? იქნებ XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე ფეოდალური საქართველოს დიდებულთა შორის სხვა შოთაც არსებობდა? ნამდვილად არსებობდა ორი შოთა, ერთი შოთა არჩავაჩოს ძე 1177 წელს დემნა უფლისწულის მომხრე დაისაჯა, როგორც „შინაგამცემი“ და მას არაფერი ესაქმებოდა ჭიაბერის სიგელთან, ხოლო მეორე შოთა-ჰერეთის ერისთავთ-ერისთავების საგვარეულოდან შოთა კუპრი მეფე რუსუდანის დროს (1223-1245 წ.წ.) მოღვაწეობდა და არც მას ესაქმებოდა რამე „ჭიაბერის სიგელთან“. ახლა რაც შეეხება დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლებს, არც მათ ჰქონდათ რაიმე შეხება აღნიშნულ დოკუმენტთან.

მკითხველს შეიძლება სხვა კითხვაც დაებადოს: „ჭიაბერის სიგელთან რა კავშირი უნდა ჰქონოდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს. სად მთიულეთის ჟინვალი და სად რუსთავი. ამას გრძელი ისტორია აქვს, მაგრამ შევეცდებით შეკუმშული ფორმით გავცეთ პასუხი ამ კითხვას.

მთიულეთის ჟინვანი (ჟინვალი) ქართველ მეფეთა საკუთრებას წარმოადგენდა და როგორც სტრატეგიული პუნქტი, დამაკავშირებელი რგოლი იყო ჩრდილო კავკასიაში და სამხრეთ რუსეთში მიმავალი გზისა. ამ გზით ჩამოაყვანივნეს ცნობილ ჟინვალელ სოვდაგარს ზორქან ზორაბაბელს რუსეთიდან თამარ დედოფლის საქმროდ რუსი უფლისწული იური ბოგოლიუბსკი (გიორგი რუსად წოდებული). იმ დროს ციხე-ქალაქი ჟინვალი



საგამგეოდ მიზარებული ჰქონდა სამეფო კარის დიდ მოხელე აბულასაან იობის ძეს. მაგრამ, გიორგი რუსის საქართველოდან გაძევების შემდეგ, აბულასაანს ჩამოართვეს ჟინვალი და საგამგეოდ მიზარეს მანდატურთუხუცეს მანაველ ჭიაბერს, ხოლო მანდატურთუხუცეს ჭიაბერის შემდეგ ჟინვალი საგამგეოდ გადაეცა თამარის სამეფო კარის უმაღლეს და სასულიერო ხელისუფალს — შოთა რუსთაველს. ამიტომ ჭიაბერის გაცემულ სიგელს ხელს აწერს მისი სამართალმემკვიდრე შოთა.

კიდევ ერთი კითხვა წამოიჭრება ქართველი მკითხველის წინაშე, თუ რა კავშირი ჰქონდა რუსთავის მთავარეპისკოპოსს და მეჭურჭლეთუხუცეს შოთას მანაველ დიდებულთან?

დემნა უფლისწულის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ მეფე გიორგი III-მ 1178 წელს, სამეფო კარის მეთაბოხე ელემენტებისაგან განმეზღვის გამო, საფუძვლიანი რეფორმები ჩაატარა და სამეფო კარზე წამყვანი თანამდებობები თავის ერთგულ მომხრეებს ჩააბარა. მაშინ სამეფო კარზე წამყვანი ადგილები გაინაწილეს მანაველმა ერისთავთ-ერისთავების ოჯახისა და გვარის წარმომადგენლებმა. ერთ-ერთი მათგანი იყო უნიჭიერესი ჭაბუკი შოთა, რომელიც თამარის თანატოლი იყო. ჭაბუკმა შოთამ თავიდანვე მიიქცია სამეფო კარის დიდებულთა ყურადღება, მაგრამ მან თავისი დიდების გზად სასულიერო კარიერა აირჩია და ბერად აღიკვეცა დავით-გარეჯის მონასტერში, რომელიც იმ დროს რუსთავის ეპისკოპოსო ეპარქიის შემადგენლობაში შედიოდა და სამეფოს საკუთრება იყო. ახალგაზრდა შოთამ გარეჯის მონასტერთან არსებული უმაღლესი ტიპის სასულიერო აკადემიაში მიიღო საფუძვლიანი განათლება და თამარის ხელდასმით დაინიშნა რუსთავის ეპისკოპოსად. ამიტომ მის სახელს შოთას, სასულიერო თანამდებობის ზედწოდება რუსთაველი მიემატა. სამეფო კარზე არსებული კანონითაც და ტრადიციითაც რუსთავის ეპისკოპოსი ამავე დროს იყო სამხედრო ადმინისტრაციული სადროშოს სარდალიც. საომარი მოქმედებების დროს რუსთაველი ეპისკოპოსი ითვლებოდა სამეფო სპა-ჯარის სარდლად.



იმის გამო, რომ რუსთავის სადროშოს ომის დროს გამოჰყავდა 2000 კარგად შეიარაღებული ცხენოსანი ჯარი, მას სათავე-ში რუსთაველი ეპისკოპოსი ედგა და ომის დროს თავისი სპა-ჯარით მეფეს იცავდა. ამას შოთა რუსთაველი არც მალავს და პირდაპირ ამბობს, რომ იგი რუსთაველი ეპისკოპოსი და მეფის სპა-ჯარის სარდალია. აი, მისი პოემის მე-მ ტაეპის სტრიქონები:

„მე რუსთაველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი;  
ვის ჰმორჩილებს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი...“

ჩვენი აზრით, გენიალური პოეტი ამ სტრიქონებით თავისი ბიოგრაფიის უცნობ, ფარულ მხარესაც ახმინებს.

ისევე „ჭიაბერის სიგელის“ იდუმალ ხელრთვა-ავტოგრაფს დავუბრუნდეთ: რა ესაქმებოდა გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ამ უცნობ ნაჩუქრობის იურიდიულ დოკუმენტთან?

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ მეფეთა კუთვნილი მთიულეთის ციხე-ქალაქი ჟინვალი ქართველ მეფეთა მიერ ყოველთვის თავის სანდო პირებს ჰქონდათ მიბარებული. რამდენადაც ჟინვალი თამარის ეპოქაში მანდატურთუხუცეს მანაველ ჭიაბერს ჰქონდა მიბარებული, მისი სიკვდილის ან თანამდებობიდან წასვლის შემდეგ კვლავ მეფესთან დაახლოებულ პიროვნებას უნდა გადასცემოდა და ასეთი სანდო პიროვნება, სწორედ თამართან დაახლოებული იყო, ალბათ, მანაველი ჭიაბერის უმცროსი ძმა ან ბიძაშვილი, რუსთავის მთავარეპისკოპოსი და მეჭურჭლეთუხუცესი, „ვეფხისტყაოსნის“ დამწერი შოთა რუსთაველი, რომელიც ასევე განაგებდა ციხე-ქალაქ ჟინვალს. ამიტომ სულაც არ იყო უხერხული, ასეთ გენიალურ პიროვნებასა და მეფე-დედოფალ თამარის თანაშემზრდილ დიდ მოხელეს მოენერა ხელი დოკუმენტზე მეფე-ხელმწიფე თამართან ერთად.

მაშ ასე, უკვე დოკუმენტურად დავადგინეთ, რომ შოთა რუსთაველი მანაველ ერისთავთ-ერისთავების დიდგვაროვანი ფეოდალური გვარის წარმომადგენელი იყო, რომელიც ცხოვრობდა



და მოღვაწეობდა საქართველოს ბრწყინვალე მეფეების გიორგი მესამისა და მზეთამზე თამარის დროს. მან თავისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური სამწერლო მოღვაწეობა ამ ბრწყინვალე მეფეების გარემოცვაში გაატარა. სწორედ ამ მეფეების ხელშეწყობითა და ლოცვა-კურთხევით აიარა უმაღლესი სასულიერო და საერო აღმასვლების კიბეები.

იყო რა რუსთავის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი, რუსთავის სადროშოს „სპა-ჯარის“ წინამძღოლი-მხედართმთავარი, სამეფო კარის უმაღლესი რანგის ვაზირი-მეჭურჭლეთუ ხუცესი, მეფეთა საკუთარი ციხე-ქალაქის ჟინვალის მეპატრონე, მან თავისი სიცოცხლის ბოლო წლები იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის სავანეებში გაატარა და თავისი მდიდარი მემკვიდრეობის შემოსავალი ამ წმინდა მონასტრის განახლება-რესტავრაციას მოახმარა, რის დამადასტურებლადაც მისი ფრესკა ჯვრის მონასტრის კედელზე აღიბეჭდა, ხოლო მისი ღვანლი მონასტრის დავთრებში დაფიქსირდა. უკვე საეჭვო აღარაა, რომ ფარდა აეხადა საუკუნეების მანძილზე ბურუსითა და იღუმალეებით მოცული მისი ბიოგრაფიის ზოგიერთ ფურცელს.

ჩვენთვის, ისტორიული გარე კახეთის მოსახლეობისათვის, საამაყოა, რომ შოთა რუსთაველი, ეს ყველა დროისა და ეპოქის გენიოსი, ჩვენი თანამემამულე ყოფილა. ალბათ, გაივლის კიდეც დრო-ჟამი და აღმოჩნდება ახალი მასალები მისი საიდუმლოებებით მოცული ბიოგრაფიის შესავსებად. იქნებ, ამ საიდუმლოებას ფარდა ახადოს იმ არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომელიც მიმდინარეობს დღევანდელ მანავში. მანაველი ერისთავთ-ერისთავების რეზიდენციაში — მანავის ციხე-ქალაქის შიგნით. ღმერთმა ქნას!”

ბ-ნი ალექსანდრე ვარაუდობდა, რადგან მეჭურჭლეთუხუცესი შოთა რუსთაველი, რომელიც აგრეთვე განაგებდა შინაგან საქმეთა და უშიშროების სამსახურებს, უშუალოდ უხელმძღვანელებდა თამარ მეფის დაკრძალვას. არ არის გამორიცხული, რომ მეფეთ-მეფის საიდუმლო დაკრძალვა შემდგარიყო მანავის



თავში, რუსთაველის მიერ აგებულ ციხე-სასახლეში, ან კიდევ უდაბნოს ბერთუბნის მონასტერში, რომელიც თამარმა საკუთარი სახსრებით ააშენა და, სამნუხაროდ, დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა.

ასე რომ, ბევრი საიდუმლო კუხეთის, გარე კახეთისა და მიმდებარე უდაბნოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მინაშია დამარხული. „უდაბნოდან რომ გამოხედავ ცივგომბორის ქედზე შეფენილ სოფლებს, — ამბობდა ა. ელერდაშვილი, — საგარეჯოს, ნინოწმინდას და გიორგიწმინდას ჯვრის ფორმა აქვს. საგარეჯო (თვალი) ვერტიკალია, ხოლო ნინოწმინდა და გიორგიწმინდა — ჰორიზონტალი.“

... ეს ის ჯვარია, რომელიც ნათლის სვეტად ადგა ამ არემარეს, სამშობლოსათვის მინაში დაფლულ მილიონობით გმირს... ეს ის ჯვარია, რომლის გარშემო დაარსდა კუხეთის, გარე კახეთის სოფლები ვაზიანიდან ყანდაურის ჩათვლით. ამიტომ არ შეიძლება ამ სოფლების სხვა რაიონებისა და ეპარქიებისათვის გადაცემა. ისინი ერთი მთლიანი სხეულია...

... ხოლო დავით გარეჯისა და უდაბნოს ნაქალაქარებს შორის ბერმუხასავით იდგა მრავალჭირვარამგამოვლილი ჭეშმარიტი ქართველი, პატარძეული კაცი, დახვეწილი ინტელიგენტი, შესანიშნავი მამა, პაპა და მეუღლე — ბატონი ალექსანდრე ელერდაშვილი და გაჰყურებდა მისი საყვარელი გარე კახეთისა და კუხეთის სოფლებს, რომელთა ისტორიის შესწავლას შეაღია მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და შედეგად ამ წმინდა გადასახედიდან დაინახა ის დიდი ჯვარი, რომელიც მეოთხე საუკუნიდან დგას ამ მადლიან მინაზე და კიდევ ბევრ საიდუმლოს ინახავს, მათ შორის წმინდა ნინოს საფლავის ადგილსამყოფელს და წმინდა გიორგის თავის დაფლვის ადგილს. აღნიშნულის შესახებ მომავალ გამოცემებში გვექნება საუბარი. წერილს კი დავამთავრებ ზვიად გამსახურდიას სიტყვებით:

„ვაშენოთ ჩვენი ტაძარი წმინდა,  
ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი,  
წინ მიგვიძლოდეს ეკლიან გზაზე,  
წმინდა გიორგი და წინოს ჯვარი.“



ა. ელერდაშვილი ოჯახთან ერთად  
1973წ.





## ვლადიმერ (ლადო) ცხვარიაშვილი (1930 – 2007)



მართლაც საოცარი ხალხი იბადება და იზრდება პატარძელში. ერთი შეხედვით ისინი თითქოს არ განსხვავდებიან საქართველოს სხვადასხვა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობისაგან, ჩვეული ქართული სიძინჯით ცხოვრობენ თავიანთ სოფელში, მაგრამ საკმარისია რომელიმე მათგანი სხვა საზოგადოებაში მოხვდეს, რომ უცებ ხდება გამორჩეული, მას-

ში რაღაც განსაკუთრებული იღვიძებს და პრივილეგიებულ პოზიციას იკავებს.

„კაცი რაინდი, აღნაგი, პირმშენიერი, ნიჭიერი, პატიოსნებით გამორჩეული, პროფესიონალი, მამა, მეუღლე, პაპა, მკერდში ჩასაკრავი მეგობარი, უტყვი, უენო პიროვნება, სამშობლოს თავგადაკლული მოქალაქე, ბრწყინვალე მგალობელი და თანამეინახე — კაცი სრულითა სიკეთითა შემკული... ჩვენი „ცხვარო“. ასე ახასიათებენ კოლეგები ხელოვანსა და დიდ შემოქმედს ლადო ცხვარიაშვილს.

„იმთავითვე ორი საოცარი ბედითი გაელვება დაჰყვა, — მოგვითხრობს ბატონი ჯემალ მონიავა, — ორი ბრწყინვალე გასხივოსნება. პირველი: — ჯერ კიდევ მარჯანიშვილელთა სტუდიაში სწავლისას, ქართული სცენის ჯადოქარმა, ბატონმა ვასო გოძიაშვილმა, თავისი როლი ანდო „ნინოშვილის გურიასში“ და „ის ურჩევნია მამულსაო“, დამოდღვრა ახლად ფეხადგმული მსახიობი და ბოლო: — ივანე დარაჯის როლი „ძველ ვოდევლებში“. ეს ვოდევილი გახლდათ ბრწყინვალე მსახიობური შერკინება, არშაკა — ვასო გოძიაშვილი, კეკელო — მარინა თბილელი, ნაოზელი ტლუ — ავთო ვერულაშვილი და ივანე და-



რაჯი — ლადო ცხვარიაშვილი. იდგა სცენაზე აქტიორული ნიჭიერების ფეიერვერკი. არც ერთი არ თმობდა. არავინ იცოდა, როგორი ტექსტი და ხიმანდრი გაიელვებდა სპექტაკლის მსვლელობისას და მაყურებელი იჯდა მოჯადოებული და იმპროვიზირებული სასწაულის შემყურე. „ცხვარო“ არაფრით უდებდა ტოლს ბატონ ვასოს, თავისავე მეტრსა და დამკვალიანებელს. ეს პაექრობა გოლიათისა და დავითის შერკინებას ჰგავდა.“

ლადო ცხვარიაშვილი ათი წელიწადი გორის გერისთავის სახელობის თეატრში მოღვაწეობდა. მისი მეტრი გახლდათ მსოფლიო დონის რეჟისორი, ასევე წარმოშობით პატარძელელი ბატონი ვასო ყუშიტაშვილი.

1959 წელს ლადო კვლავ დაუბრუნდა მარჯანიშვილის თეატრის სცენას. ლ. გოთუას „მუმლი მუხაში“, მთელი თავისი მეფური სიდიადით, სცენაზე გამობრწყინდა ლადო — ვახტანგ გორგასალი. დიახ, გამობრწყინდა — ქანდაკებასავით ჩამოქნილი, დატალღული თმით, გადარკალული, ზვიადი წარბებითა და კეხიანი, არწივისებური ცხვირით, სამეფო კაბაში გამოკვართული მეფე. თუ ძნელი წარმოსადგენი იყო მანამდე სახე ჩვენი დიდებული წინაპრისა, ლადომ სრულყოფილად წარმოაჩინა იგი. ლადო ცხვარიაშვილის მოღვაწეობაზე შეიძლება ისაუბრო დაუსრულებლად. მხოლოდ რამდენიმე როლს ჩამოვთვლით მისი უსაზღვრო შემოქმედებიდან, რომელიც მან თეატრში შეასრულა:

- ზვიადაური — „სტუმარ-მასპინძელში“;
- გაბრო — „გლახის ნაამბობში“;
- გიორგი — „ოთარაანთ ქვრივში“;
- ვახტანგ გორგასალი — „მუმლი მუხაში“;
- პარისი — „რომეო და ჯულიეტაში“;
- დავითი — „დავით გურამიშვილში“;
- ძია ვანო — „ნუ გეშინია დედაში“;
- ბაკინი — „ტალანტები და თაყვანისმცემლები“;
- ბაგრატა — „იეთიმ გურჯში“;
- კუზნეცოვი — „წმიდანები ჯოჯოხეთში“;



უამრავი სხვა როლები შეასრულა, როგორც თეატრში, ასევე რადიო-ტელე სპექტაკლებსა და კინოფილმებში. „მაგრამ მაინც თეატრი იყო მისი სათაყვანებელი ხატი და ამ მისმა საფიცარმა, დაუნდობელი, მოუშუშებელი ქრილობაც არგუნა..., — ამბობს ბატონი ჯემალ მონიავა, — „ცხვარომ“ მართლაცდა ცხვარივით, შესანირი ბატკანივით, უხმოდ დააღირა თავი და თავის მშობლიურ სოფელ პატარძელს მიაშურა. აქაც არ მოასვენა შემოქმედებითმა მულამმა და საგარეჯოს სახალხო თეატრს ჩაუდგა სათავეში. გამოაცოცხლა, აახმაურა გარე კახეთი. ყველა მისი შექმნილი სპექტაკლი გაჯერებული იყო ქართული მინისა და ზეცის მადლით“.

განსაკუთრებით უყვარდა ნიჭიერ ახალგაზრდებთან მუშაობა. გამუდმებით ძიებაში იყო. უყვარდა და გათავისებული ჰქონდა ქართული სიტყვის დიდოსტატების გოგლა ლეონიძისა და რევაზ ინანიშვილის შემოქმედება.

შემოგთავაზებთ ამონარიდებს ლადო ცხვარიაშვილის თანასოფლელისა და მეგობრის ბ-ნი ალექსანდრე მაზანაშვილის მოგონებებიდან: „გაიხსენო ბატონი ლადო და დაწერო ორიოდ სიტყვა მასზე ძნელიცაა და ადვილიც. ღვთის შეწევნით, მქონდა პატივი ახლო ურთიერთობა მქონოდა ბატონ ლადოსთან. მისი სოფელში მოღვაწეობისას, მე ვმუშაობდი პატარძელის საკრებულოს თავმჯდომარის და შემდეგში გამგებლის მოადგილის პოსტებზე, ის ასწავლიდა კულტურის საფუძვლებს პატარძელის ფრანგულ სკოლა-ლიცეუმში, სადაც ჩემი ვაჟი დავითი სწავლობდა. დიახაც! ვიტყვი პირდაპირ ის წვრთნიდა ახალგაზრდებს კულტურაში.

ლიცეუმში მისი მოწვევა მოხდა დამფუძნებლების — დები ცისიერ და მარინა დიდმელაშვილების დაჟინებული თხოვნით. იგი ამ კოლექტივის ღირსეული წევრი გახლდათ. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი, თავისი მოკრძალებული ხასიათიდან გამომდინარე, ზოგიერთებისთვის დამახასიათებელი შურის გამო —



თეატრალური კარიერის ჩრდილში მდგომი, ნიჭიერი კაცი, „მოსიარულე კულტურა“ — ლადო ცხვარიაშვილი გამორჩეული ფიზიკური და შინაგანი მონაცემების კაცი გახლდათ. მასთან ერთად სუფრასთან ნადიმი ნამდვილი აკადემია იყო. ამასთან უყვარდა სხვადასხვა თეატრალური თავგადასავლების გახსენება, რაც უფრო მეტ ხიბლს მატებდა მასთან ურთიერთობას.

უნდა გენახათ, როგორი შეუვალი იყო ბავშვებთან რეპეტიციანზე, როგორ აიტაცა მან თავის სპექტაკლებში ფრანგული შარმი — ეგზიუპერი თუ მოლიერი ფრანგულ ენაზე, რომელიც მისთვის მანამდე „უცხო ხილი“ იყო. იგი იყო ლიცეუმის ბაზაზე არსებული მის მიერვე დაარსებული თეატრალური სახელოსნოს — „ატელიე ყუშიტას“ ხელმძღვანელი. სკოლის დირექცია და თვითონ ბატონი ლადო გრძნობდნენ, რომ ვასო ყუშიტაშვილის მშობლიური სოფლის ახალგაზრდობას უნდა ჰქონოდა რაფინირებული თეატრალური გემოვნება. მოგახსენებთ, რომ ევროპა და მისი ერთ-ერთი უძლიერესი ქვეყანა, საფრანგეთი (კარგი გაგებით ვაფიქსირებ), რომელიც თავს იწონებს მაღალი კულტურით, ერთმა ქართველმა ჯენტლმენმა-ვასო ყუშიტაშვილმა ფრანგი და ამერიკელი თეატრალები თეატრის პრაქტიკულ და თეორიულ საფუძვლებს აზიარა, იქნება განვრთნა კიდეც.

ამას ქადაგებდა ჩვენი ლადო მასწავლებელი და ეს ყოველივე სიმართლე იყო.

მე და ბატონი ლადო ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვიყავით, იგი ხშირი სტუმარი იყო ჩემთან სამსახურში. ვარჩევდით პრობლემური საკითხების გადაჭრის გზებს.

მახსოვს, ლიცეუმის დირექციის ხელმძღვანელობით და მშობელთა გვერდში დგომით, მოვახერხეთ მოგვეწყო ბატონი ლადოს 70 წლისთავის აღსანიშნავი სალამო-ბანკეტი. იმ სალამოს, როდესაც მივედი ოჯახში, სადაც ბანკეტის სუფრა იყო განწყობილი, მან გამიყვანა ცალკე ოთახში და შეფარვით გამაცნო თავისი სურვილი, რომ სუფრაზე თამადად მე ვყოფილიყავი. მაშინვე გავხსენი დარბაზის კარი და შევნიშნე დაახლოებით ათამდე



მსახიობი მაინც, მათ შორის კაკო მესაბლიშვილი მეუღლესთან ერთად, საგარეჯოს სახალხო თეატრი თითქმის სრული შემადგენლობით (იუბილარი ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ წლების განმავლობაში), რაიონის კულტურის განყოფილება და სხვა. „შეშინებულმა“ განვუცხადე უარი, იმის გამო, რომ ასეთ ძვირფას სუფრაზე, თეატრალთა „ცვენაში“, მე გამიჭირდება-მეთქი თამადაობა. ჩვენს ხვენწა-უარში და ხმაურზე შემოვიდა ბატონი კაკო, რომელმაც იკითხა თუ რა ხდებოდა, იგი შემომიბრუნდა და მითხრა: „ალექსანდრე, როგორმე ორსამ სადღეგრძელოს გაუძელი და პირობას გაძლევ, შემდეგში ნელა-ნელა გათამამდები და გაცილებით უკეთესი თამადაობა გამოგივაო“. ბატონმა ლადომ იმწამსვე დასძინა: „თუ შენ არ იქნები თამადად, იცოდე, ჩემთვის დღეს არაფერი ზეიმი არ შედგებაო“. შემრცხვა. ვიფიქრე: „რალა ამ კაცს ვატკინო გული-მეთქი“ და დავთანხმდი. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად ჩატარდა, ხანდახან კონსულტაციებს ბატონ კაკოსთან გავდიოდი, იგი გვერდზე მეჯდა.

მეორე დღით, იუბილარმა სახალხო დიდი მადალობა გამომიცხადა საზოგადოების წინაშე. ეს ჩემთვის დიდი აღიარება იყო.

მახსოვს, ფრანკოფონიის ფესტივალის ფარგლებში, მოსწავლეთა სპექტაკლების ჩვენება ტარდებოდა ველისციხის ვასო ყუშიტაშვილის სახელობის თეატრში. სიმართლე უნდა ითქვას, რომ პატარძეულელმა ბავშვებმა თავიანთი ტექნიკური ინტელექტუალური შესაძლებლობის ფარგლებში, მართლა კლასი აჩვენეს. არ მავინყდება ბატონი ლადოს სიხარულითა და სიამაყით ანთებული თვალეები, მაგრამ „ქართული ჟიურებისთვის“ დამახასიათებელი „ობიექტურობიდან“ გამომდინარე პირველი ადგილი მიანიჭეს სხვას. შევხედე ლადოს და დავაფიქსირე მისი ძალიან ვაჟკაცური თვალეების დაბრიალება და ის, თუ როგორ გადაყლაპა ყელში გაჩხერილი ბოღმის ნერწყვი (მისთვის უჩვეულოდ). ამისი დავინყება უბრალოდ შეუძლებელია. შეუძლებელია დაივინყო ეს კაცი, რომელსაც კაცურის დამატება არ სჭირდება



იმიტომ, რომ სიტყვა კაცი უდიდესი ღვთის მადლითაა გაჯერებული.

გასახსენებელი ბევრია, ჩემო ძვირფასებო, არ მინდა თავი მოგაბეზროთ.

ბატონი ლადოს ამ ქვეყნიდან მისთვის დამახასიათებელი უხმაურო და უპრეტენზიო გასვლით ჩვენს სამშობლოს, თბილისს და მითუმეტეს მის მშობლიურ პატარძელს ბევრი რამ დააკლდა, სამაგიეროდ დარწმუნებული ვარ, მისი მოზეიმე საქართველოში გადასახლებით, მისმა წინაპრებმა იქ იზეიმეს“.





## ცისიერი (ცისი) დიდმელაშვილი

*„სადაც ცოდნა არ არის, იქ კაცია არ არის,  
სადაც კაცია არ არის, იქ საზოგადოებაც არ არის და  
სადაც საზოგადოება არ არის, იქ არც ხალხია.“*

*წმ. ილია მართალი*



ცისიერ (მარჯვნივ) და მარინა  
დიდმელაშვილები

ბატონმა ზვიად გამსახურ-  
დიამ ერთ-ერთ სახალხო შეკრება-  
ზე ასე მიმართა მოსახლეობას:  
„აირჩიე, ქართველო ერო, აირ-  
ჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ  
ქრისტეს გზა და კეთილის გზა,  
აირჩიეთ ილია მართლის გზა, რა-  
მეთუ ეს გზა განსანმენდელთან  
მიგვიყვანს!...“

ილია ჭავჭავაძე ძლიერი  
საქართველოს შექმნის ერთ-ერთ  
წინაპირობად ხალხის განათლე-  
ბას მიიჩნევდა. რაც მეტი სწავლუ-

ლი ადამიანი ეყოლებოდა საქართველოს, ის უფრო მეტად გა-  
ძლიერდებოდა და დაუახლოვდებოდა მსოფლიოს ცივილიზე-  
ბულ ქვეყნებს. მაგრამ ჟორდანია-მახარაძე-ორჯონიკიძისათვის  
მიუღებელი აღმოჩნდა ილია მართალი და მის მიერ რუდუნებუ-  
ლი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და  
განვითარების იდეა, რის გამოც ღმერთმა საქართველო სამოც-  
დაათწლიანი სიბნელით დასაჯა. თუმცა, ამ პერიოდში, საქა-  
რთველოში, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე მეტი „უმაღლესდამ-  
თავრებული“ ადამიანი ცხოვრობდა. ლუკა მახარებელი გვასწავ-  
ლის: „მაშ უყურე: ბნელი არ იყოს ნათელი, რომელიც არის შენში“  
(11,35). შეიძლება ადამიანმა ენციკლოპედიები იცოდეს ზეპირ-  
რად, მაგრამ ეს ცოდნა თუ ღვთიური ნათლით არ არის გაჯერე-  
ბული, ვერ იტყვი მასზე განათლებულიაო. ღვთიურ ნათელზე



ათეისტურ საზოგადოებაში საუბარიც კი არ შეიძლებოდა, ამიტომ ბევრი უმაღლესდისლომიანი, კომუნისტური წყობილების დაშლის შემდეგ დარჩა ხელმოცარული, რამაც უმრავლესობა აიძულა წასულიყო საზღვარგარეთ ფიზიკური სამუშაოს საძებრად. ადგილზე დარჩენილების ნაწილი კი სექტების და პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიის ქვეშ მოექცნენ.

1990-იან წლებში, თავისი გადაგვარებული და გადაჯიშებული შვილების გამო, უფსკრულის წინაშე აღმოჩნდა ერთ დროს სახელგანთქმული ერი, რომელიც ერთი საუკუნის განმავლობაში ოდნავადაც ვერ გაემიჯნა ილიას „ბედნიერ ერს“.

ასეთი სიბნელის, შიმშილის და ყველანაირი უკუღმართობის დროს, გმირი უნდა იყო ადამიანი, რომ ახალგაზრდობის სწავლა-განათლებაზე იფიქრო. მაგრამ უფალი, გაჭირვების ჟამს, ღვთისნიერ ხალხს ყოველთვის გამოუჩენს ადამიანს, რომელიც თავისი კეთილი საქმეებით გააპოვებს ბნელს. ასეც მოხდა პატარძელში. ქ-მა ცისი დიღმელაშვილმა, კეთილი ადამიანების თანადგომით, 1996 წლის 2 ოქტომბერს დააფუძნა ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმი. როდესაც ქ-ნ ცისის ჰკითხეს: „რატომ ქართულ-ფრანგულიო?“, მან ასეთი პასუხი გასცა: „მე ბუნებით ჰუმანისტი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკა-მათემატიკური სკოლა დავამთავრე, უმაღლესი სასწავლებელი — საბუნებისმეტყველო, ასპირანტურა — ტექნოლოგიური, მაინც აჯობა იმ გარემომ, რომელიც ჩემს ირგვლივ იყო და სკოლა, ინგლისურის ბუმის პირობებში, ფრანგულენოვანი გავხსენით. საჭირო იყო გვეფიქრა საზღვარგარეთ კავშირებზეც, რაც ფრანგულთან დაკავშირებით უფრო ხელმისაწვდომი იყო... ჩვენ საქართველო მუდამ ევროპის ნაწილად მიგვაჩნდა...“

აქ მცირე დროით შევჩერდეთ და გადავხედოთ ქ-ნი ცისის წარსულს:

დაიბადა 1951 წლის აგვისტოში სოფელ პატარძელში. დედა ქ-ნი ქეთევან დოხტურიშვილი პედაგოგი გახლდათ, ისტორიკოსი, 40 წელი ემსახურა მოზარდი თაობის სწავლა-აღზ-





რდის საქმეს. მამა, ბ-ნი ალექსანდრე დილმელაშვილი, ოჯახის შექმნამდე, მე-9 კლასის მოსწავლე, სკოლის კომკავშირის მდივანი, 1937 წელს დააპატიმრეს და ციმბირის გულაგებში 10 წელი გაატარა. იქიდან დაბრუნებულმა შექმნა ოჯახი. „მიუხედავად ამისა, ჩემი მშობლები არ გაბოროტებულან, — ამბობს ქ-ნი ცისი, — ისინი მშრომელი, პატიოსანი ადამიანები იყვნენ, მიმტევებლები, ქველმოქმედნი, სიყვარულით გვზრდიდნენ და სამშობლოსათვის უანგარო სამსახურს გვასწავლიდნენ.“

ვინაიდან ცისის დედა, ქ-ნი ქეთევან დობტურიშვილი, გასული საუკუნის 50-იან წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას სოფ. უჯარმაში ეწეოდა, 1958 წელს ცისიმ სწავლა ამავე სოფლის სკოლაში დაიწყო, ხოლო შემდეგ პატარძელში გადავიდა და რვა კლასი იქ დაამთავრა. შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის 58-ე ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1968 წელს და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ ფაკულტეტზე. „თეთრი ხალათის სიყვარულის გამო, ქიმია ავირჩიე, — ამბობს ქ-ნი ცისი, — თუმცა დედას უნდოდა, რომ ისტორიკოსი გავმხდარიყავი.“

უნივერსიტეტის ნარჩინებით დამთავრების შემდეგ, საქმიანობას იწყებს პურის ქარხანაში ტექნოლოგად, ხოლო შემდეგ კომბინირებული საკვების საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში, სადაც სამეცნიერო მუშაობას იწყებს. აქვს 5 გამოგონება და 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი. დაამთავრა ასპირანტურა ქ. ოდესაში ბიოქიმიის სპეციალობით, 90-იან წლებში დაუბრუნდა სოფელს და პატარძელის საშუალო სკოლაში დაიწყო მუშაობა ქიმიის მასწავლებლად.

წლების განმავლობაში დაგროვილი ინტელექტისა და დადებითი ენერჯისათვის მხოლოდ სკოლის მასწავლებლობა ძალიან მცირე ასპარეზი გამოდგა. აი, აქ უკვე ახალგაზრდა ქალბატონს უფალმა მისცა მიმართულება და მასში გააღვიძა ის, რაც დიდი ხანი აწვალებდა მის სულს. „შხეფი ნათლისა სულში დასძარი“ — უთქვამს გოგლას. ასეთივე „შხეფი დაიძრა“ ცისის



სულში და თანამოაზრეებთან ერთად პატარძელში დააფუძნა მოძრაობა — სახალხო ფრონტი (თავმჯდომარე-თ. ცხვარიამ-ვილი, მოადგილე-ც. დილმელაშვილი), რომელმაც მოსახლეობაში გააღვიძა თითქმის მივიწყებული ეროვნული სული. ორგანიზაციამ საქმიანობა დაიწყო კომუნისტების მიერ მინერალური სასუქების საწყოებად გადაქცეული, წმინდა შიო მღვიმელის სახელობის ტაძრის გასუფთავებით. ღვთის სახლს ნაწილობრივ დაუბრუნეს პირვანდელი სახე, მაგრამ საპატრიარქომ, მიუხედავად მრავალჯერადი თხოვნისა, მღვდლების სიმცირის გამო, ეკლესიაში მოძღვარი ვერ გამოგზავნა. თუმცა, ქ-ნი ცისის აქტიური ჩარევით, მაინც მოხერხდა, რომ 1990 წლის ყველიერის ხუთშაბათს, წმიდა შიო მღვიმელის ხსენების დღეს, ჩატარებულყო წირვა და აღდგენილიყო დიდი ხნის განყვეტილი ჯაჭვი სულიერებისა. წირვა აღავლინა მამა როსტომმა (ლორთქიფანიძე).

ოჯახური ტრადიცია მაინც თავისას მოითხოვდა. ქ-ნი ცისის საზრუნავი პირველ რიგში ბავშვები იყვნენ. „მინდოდა ბავშვებისათვის მიმეცა ის ცოდნა, რაც მე დამიგროვდა, — იხსენებს ქ-ნი ცისი, — იმ მძიმე წლებში, რომელსაც თან სდევდა უშუქობა, არ მუშაობდა ტელევიზორი, რადიო, გადავწყვიტეთ შეგვექმნა ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველო“, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, თვით სუკ-ში დასმენამდეც კი. არადა ცუდს რას ვაკეთებდით, ვაცნობდით ბავშვებს საქართველოს ეკლესიისა და ჩვენი წინაპრების დიად ისტორიას. ვასწავლიდით წმიდანთა ცხოვრებას“.

რა თქმა უნდა, ეშმაკს არ ეძინა და ქ-ნ ცისიზე, როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ აქტივისტზე და კანონიერი პრეზიდენტის მხარდამჭერზე, დაიწყო ხელისუფლებიდან ზენოლა. თანდათან შეუზღუდეს საქმიანობა...რა თქმა უნდა, უფალმა არ მიატოვა თავისი შვილი და ქ-ნმა ცისიმ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დააფუძნა სკოლა-ლიცეუმი, რაც იმ დროს გამირობის ტოლფასი იყო. აქაც თავიდანვე ეროვნული სულისკვეთებით დაიწყო მოღვაწეობა. ბავშვებთან ერთად დადგა სპექტაკლი „იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, ილიას „ავგიყოლია სიყრმიდანვე



ჩვენ ქართლის ბედმა“, „გრაალის მსახური“ — ცისფერყან-  
ნელებზე, რ. ინანიშვილის „ჩემი წყალჭალის ხმები“, გ. ლეონიძის  
„ნატვრის ხე“ და ა.შ.

ეროვნული საგანძურით გაჯერებული ღონისძიებების გარ-  
და, ქ-ნი ცისი კვირაში ერთხელ სკოლაში ინვევდა მოძღვარს და  
იმართებოდა ბავშვებთან დიალოგი მართლმადიდებელი სარწ-  
მუნოების შესახებ.

ქ-ნი ცისი დღესაც კი განსაკუთრებული სიფრთხილით და  
სიფაქიზით უდგება დიდი მასწავლებლის, ილია ჭავჭავაძის სი-  
ტყვებს: „სკოლა, სასწავლებელი ორპირი ხმალია. ვნების მოტანაც  
შეუძლია და დიდი სიკეთისაც. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რო-  
გორ არის მოწყობილი და აგებული პროგრამა სწავლებისა“.

„ყოველთვის მჯეროდა, რომ ჩვენი მთავარი კაპიტალი ინ-  
ტელექტია, — ქართველი ქალის სიამაყით საუბრობს ქ-ნი ცისი,  
— ახალგაზრდებმა უნდა დაიჯერონ, რომ მათი განათლების  
დონე მათი ცხოვრების დონის განმსაზღვრელი იქნება. დღეს  
ცხოვრება დაჩქარებული ტემპით მიდის წინ, ეს კი თავდაუზო-  
გავ შრომას მოითხოვს. წარმატების მიღწევა მხოლოდ ცოდნითა  
და შრომით შეიძლება... არ მიყვარს წარუმატებლობის სხვისთ-  
ვის გადაბრალება. მუშაობაში ხელს ყველაზე მეტად კანონის  
უპატივცემულობა, დილეტანტიზმი და საქმისადმი არასახელ-  
მნიფობრივი მიდგომა მიშლის... ჩვენი ლიცეუმი ფრანგი პედა-  
გოგის სილვესტერ ფრენეს მეთოდს ეფუძნება. მისი ძირითადი  
პრინციპი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: მოსწავლე-მშობე-  
ლი-მასწავლებელი, ე.ი. აღზრდა-განათლების ხარისხი ამ სამ  
საყრდენს ეფუძნება. როცა მასწავლებლისა და მოსწავლის შე-  
მაერთებელი ხიდი ჩატეხილია და მშობელი განზეა გამდგარი,  
სწავლებისა და აღზრდის საქმე ძალზე გაძნელებული და უშე-  
დეგოა. მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის  
შედგენილი იქნა კითხვარები, რომელთა დახმარებითაც შევქმ-  
ნით ბავშვის ფსიქოლოგიურ პორტრეტსა და აღმზრდელობით  
მუშაობას მასზე ავაგებთ. ფრენე ამბობდა: „თუ სკოლის დერე-  
ფანში ყოყინით მორბენალ ბავშვებს შეამჩნევთ, ჩათვალეთ, რომ



იქ სწავლა-აღზრდის საქმე კარგად არ არის. კარგი აღზრდის გარეშე, კარგი განათლების მიღება შეუძლებელია...“ მე და ჩემ დას საკუთარი შვილები არ გვყავს. მოსწავლეები ჩვენი შვილები არიან, სკოლა კი ჩვენი ოჯახი. ის ჩვენი მშობლების ხსოვნას მივუძღვენით.“

„უსაზღვროდ შეიძლება საუბარი ქალბატონ ცისიერ დიღმელაშვილის პიროვნებაზე, — ამბობს ქალბატონი ნინო ლაფერიშვილი, — იგი ქიმიის პედაგოგია და მრავალი წელია ამ საქმიანობას დაუღალავად და ერთგულად ეწევა. დაუვინყარია მის მიერ ახსნილი გაკვეთილები. იგი თავადაც ატომური ენერჯის მქონე ქალბატონია. ქ-ნი ცისი ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის ერთ-ერთი დამფუძნებელია და ამავე დროს მისი დირექტორი.

ხშირად უთქვამთ მისი სკოლის ბევრად ახალგაზრდა პედაგოგებს: „ნეტავ თქვენი ენერჯის ნახევარი მაინც გაგვანდესო“. იგი მართლაც რომ ერთგულად ემსახურება თავის საქმიანობას და არასოდეს კმაყოფილდება მიღწეულით. ყოველთვის ცდილობს მეტი გააკეთოს მომავალი თაობისათვის.

ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის წყალობით, დღეს უამრავი ბავშვი ფრანგულს შესანიშნავად ფლობს, რაც მომავალში მათ აუცილებლად დაეხმარება წინსვლასა და კარიერის გაკეთებაში.

ქ-ნი ცისის უშუალობა ურთიერთობას აადვილებს, როგორც მოსწავლეებთან, ასევე სკოლის პედაგოგებთან.

სხვა უამრავ დადებით მხარესთან ერთად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი ყველაზე კეთილშობილი საქმე. ქალბატონი ცისი და მისი და — ქალბატონი მარინა, ზრდიან ორ შესანიშნავ ბავშვს, რომელთაც ღმერთმა სწორედ ასეთი კეთილშობილი ქალბატონები მოუვლინა აღმზრდელებად.

ორივე ქალბატონი თავდაუზოგავად იღწვის იმისათვის, რომ ბავშვებს ყველაფრით უზრუნველყოფილი მომავალი აჩუქონ.

უფალი შეენიოს მათნაირ ადამიანებს და ღმერთმა კვლავ მისცეს მათ ძალა, რომ გააგრძელონ ასეთი კეთილშობილი საქმეების კეთება.“



ქ-ნი ცისის მოღვაწეობაზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, რადგან მისმა დაულალავმა შრომამ ბევრი სიკეთე მოუტანა პატარძეულელ და არა მარტო პატარძეულელ ახალგაზრდებს. მისი სახელი დიდი ხანია გასცდა სოფლის საზღვრებს. აი, რას მოგვითხრობს სახელმწიფო და სუხიშვილების ანსამბლის ყოფილი მოცეკვავე-მასწავლებელი ბ-ნი სიმონ გოჩიტაშვილი: „პატარძეული შემოქმედი ნიჭიერი ადამიანების ნაკლებობას არასდროს განიცდიდა. ერთ-ერთი ასეთი გამოჩენილი, სულით ამაღლებული შემოქმედი, მშვენიერი ქალბატონი ცისი დიღმელაშვილია.

ჩვენი ახლო შემოქმედებითი ურთიერთობა მწერალ რევაზ ინანიშვილის ცხოვრებაზე ფილმის გადაღებაზე დაიწყო. მიუხედავად მისი სულ სხვა პროფესიისა იგი ნოვატორია. მისი ინიციატივით ლიცეუმში მოწვეული იქნა პატარძეულის ღირსეული შვილი, დიდი მსახიობი და რეჟისორი ბატონი ლადო ცხვარიაშვილი და დაარსდა ბავშვთა თეატრი. მათ სახელებს უკავშირდება უამრავი სპექტაკლი ფრანგულ ენაზე და უამრავი საინტერესო პროექტი..

დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ პროფესიის ამ მიმართულებით არჩევის შემთხვევაში ქალბატონი ცისის სახით პატარძეული მშვენიერ შემოქმედს, დიდ რეჟისორსა და დრამატურგს შეიძენდა.“

ჩემო მკითხველო, ასეთ ხალხს დაეძებდა დღისით, მზისით ანთებული სანთლით ხელში დიოგენე ჩვენს წელთაღრიცხვამდე. იშვიათია ადამიანი, რომელშიც შედუღებული იყოს სამშობლოსა და მართლმადიდებლობის სიყვარული. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, იმათი, ვინც თავის ცხოვრების მიზნად უფლის გზას ირჩევს. სწორედ ასეთი ადამიანები არიან კოლორიტები, ლამაზ სამკაულებად რომ ბრწყინავენ თავიანთი ხალხისა და ქვეყნის გულზე. ასეთი ადამიანები ქმნიან იმ მყარ ჯაჭვს, რომელსაც ოჯახი, სკოლა და საზოგადოება ჰქვია.

## გივი ონაშვილი

დაიბადა 1947 წელს სოფელ პატარძელში. იგი თავისი ვაჟკაცური თვისებებით ტიპური პატარძელელია — თავმდაბალი, ქველი, დაუზარელი მშრომელი, თავის სამშობლოსა და ხალხზე უზომოდ შეყვარებული. ის ქართველი ვაჟკაცის რაინდული თვისებების მატარებელია და თავისი გვარის, ონაშვილების ტრადიციებს არასოდეს ღალატობს.



ირინა ონაშვილი

ონაშვილებს ბევრი სახელოვანი შვილი ჰყავდათ და ჰყავთ, მაგრამ მათში ვარსკვლავებივით ბრწყინავდნენ ალექსი ონაშვილი — „ლელო“, არჩილ ონაშვილი — „ლელოს ბიჭი“, „ლელოს“ შვილიშვილი, ქართული ესტრადის შესანიშნავი მომღერალი მამუკა ონაშვილი. ხოლო გვარის გვირგვინია გივი ონაშვილი — სწორუპოვარი ფალავანი, პატარძელისა და საქართველოს ერთ-ერთი კოლორიტი. პოპულარობაში მას

არც მისი ქალიშვილი — ირინა ჩამორჩა, რომელსაც რამდენიმე წლის წინ საქართველოს ულამაზესი მანდილოსნის გვირგვინი დაადგეს თავზე. გვიმ ამ არაჩვეულებრივი გაბრწყინების შესახებ თქვა: „ირინამ თავისი გამარჯვებით ჩემი სპორტული წარმატებები უფრო გაამყარაო.“

გივი ონაშვილის ბავშვობა და ახალგაზრდობა ჩვეულებრივ დაიწყო, ისე, როგორც ყველა რიგითი ქართველის. თუმცა სჯობს, თვითონ გივის მოკუსმინოთ: „პატარძელში გავიზ-



გივი ონაშვილი



არდე მშრომელი მშობლების ოჯახში. ბავშვობიდანვე მივეჩვიე შრომას. ნორმალური ბავშვობა მქონდა. ფიზიკურად საკმაოდ სუსტი ვიყავი და ვცდილობდი მევარჯიშა. რომ გითხრათ, ძალიან ცელქი და მოუსვენარი ბავშვი ვიყავი-მეთქი, არ იქნება მართალი. ნორმალურად ვსწავლობდი სკოლაშიც. ფრიადოსანი არ ვყოფილვარ. მიუხედავად ამისა, ჩემს მასწავლებლებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. ერთი ქისტის მასწავლებელი გვყავდა, ხანგოშვილი, სულ მირჩევდა, უცხო ენათა ინსტიტუტში ჩამებარებინა. რატომღაც არ გავითვალისწინე მისი რჩევა. მაშინ ნაკლებად პრესტიჟული იყო უცხო ენები. საბოლოოდ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩავაბარე და დავამთავრე 1974 წელს. საზღვარგარეთ სპორტული ასპარეზობის დროს დავრწმუნდი, რომ ენის ცოდნა აუცილებელია. ენის ბარიერი ძალიან მიშლიდა ხელს ადამიანებთან ურთიერთობაში. ხელებით ველაპარაკებოდი და ასე ვცდილობდი რაიმე გამეგებინებინა. ასეთ დროს, რა თქმა უნდა, ვნანობდი, რომ უცხო ენა არ ვისწავლე.“

ვინაიდან გივი ბავშვობაში სუსტი იყო, ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით, სპორტის რამდენიმე სახეობაში მოსინჯა თავი. ბოლოს ჭიდაობაზე შეაჩერა არჩევანი. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, ონაშვილების გენმა იმძლავრა. გადანყვიტა, სპორტის ამ სახეობას გაჰყოლოდა. „ბაქოში, ერთ-ერთ ზონალურ შეჯიბრზე, — იხსენებს ბატონი გივი, — რამდენიმე შეხვედრა წავაგე, ზოგი ფრედ დავამთავრე, ერთი მოვიგე. ასპარეზობის შემდეგ ჩემთან მოვიდა საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი ანდრეევი, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა: „ყოჩაღ, გივი, შენ კარგად იჭიდავეო!“ მივხვდი, რომ რაღაც დაინახა ჩემში და ამან დიდი სტიმული მომცა. მაშინვე დამპირდა, რომ მოსკოვში გამომიძახებდა და დაპირება შეასრულა. 1969 წელს წავედით ევროპის პირველობაზე ბელგიაში, სადაც მეორე ადგილი ავიღე, ესეც მხოლოდ წესების დარღვევის გამო. ძიუდო სპეციფიკური სახეობაა. მსაჯმა ჩათვალა, რომ არასწორად მოვკიდე ხელი



მეტოქეს კიბანოზე და შენიშვნა მივიღე. იმავე წელს ვიყავი მექსიკაში მსოფლიო პირველობაზე. მესამე ადგილი დავიკავე.“

ამის შემდეგ გ. ონაშვილი რვა წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ნაკრების უცვლელი წევრი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სამჯერ ევროპის ჩემპიონი და ამდენჯერვე ვერცხლის პრიზიორი გახდა, თავის თავს უიღბლო მოჭიდავედ მიიჩნევს. იგი ხშირად გამხდარა მსაჯების „მსხვერპლი.“ ეს განსაკუთრებით გამოჩნდა ოლიმპიურ თამაშებზე. მასპინძლების ტენდენციურობამ თავისი გაიტანა. „იქ შევხვდი გერმანელ მოჭიდავეს, — იხსენებს ბატონი გივი, — გლანი იყო გვარად, რომელიც დავამარცხე. მაგრამ შეხვედრის დამთავრების შემდეგ მოიმიზებეს წესების დარღვევა და ახლიდან ჩაატარეს შეხვედრა. საბოლოოდ მესამე ადგილი დავიკავე. სხვათა შორის, როდესაც ბრინჯაოს მედალს მაძლევდნენ, მითხრეს, ყველაფერი რომ სამართლიანად ყოფილიყო, ეს მედალი ვერცხლის იქნებოდაო.“

გ. ონაშვილს თავისი სპორტული კარიერის მანძილზე იოლი გზით მოპოვებული წარმატება არ ჰქონია. რასაც მან სპორტში მიაღწია, ყველაფერი დიდი შრომის, ოფლის, ნერვების ფასად არის მოპოვებული. უმაღლეს სასწავლებელში დაუსწრებელზე სწავლობდა, თან სოფელში მუშაობდა. ამასთან, მაქსიმალურად ცდილობდა, სწავლა და სპორტი ერთმანეთთან შეეთავსებინა. წარუმატებლობის დროს, მომავლის იმედით, სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ეს კი მოგეხსენებათ მხოლოდ სულით ძლიერ ადამიანს შეუძლია.

აქტიური სპორტის დასრულების შემდეგ, ბატონმა გივიმ თავისი პროფესიით გააგრძელა სამსახური. მუშაობდა მანავისა და საგარეჯოს სხვადასხვა დაწესებულებებში, პატარძეულის მეურნეობის დირექტორად, მიწის მართვის სამინისტროში. ირინას გარდა, ბატონ გივის სამი ქალიშვილი ჰყავს. აქედან უფროსი ნინო ბადროს ტყორცნაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო. ნინო დუმბაძეს რეკორდიც კი მოუხსნა. მეორე ქალიშვილი მარინა საქართველოს ჩემპიონი გახლდათ ბირთვის კვრაში. მესამე ქალ-





იშვილს შორენას კი — სპორტთან არანაირი შეხება არ ჰქონია და, მამისაგან განსხვავებით, უცხო ენების სპეციალისტი გახდა.



ბ-ნი გივი თავის ქალიშვილებთან —  
ნინოსთან, მარინასთან და შორენასთან ერთად

ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე, ბატონ გივის ბევრი მოსაგონარი აქვს, მათ შორის ბევრი კურიოზიც: „ერთხელ, — იხსენებს ბატონი გივი, — თუ არ ვცდები 1973 წელს, სპორტული საზოგადოება „კოლმეურნეს“ ხელმძღვანელებმა მთხოვეს გამოვსულიყავი სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობაზე ჭიდაობა სამბოში, რომელიც რუსეთში ტარდებოდა. სასტუმროში რომ დავბინავდით, ვხედავ ეზოში ვიღაც დაკუნთული უზბეკი დადის აბდულშაჰილივით და ხმამაღლა იძახის: „სად არის კანდელაკი, არ ჩამოვიდა?!“ თურმე წინა წელს ჩვენებს კანდელაკი წაუყვანიათ საჭიდაოდ და ამ უზბეკს დაუმარცხებია. ჩვენმა ბიჭებმა ჩემპიონი როგორც იქნა გააჩერეს და უთხრეს: „კანდელაკი არ ჩამოსულა. ჩვენ ახალგაზრდა ბიჭი, ონაშვილი ჩამოვიყვანეთ, შენ იცნობ მას?“ უზბეკი გაიჯგჷმა და ამაყად წარმოსთქვა: „მე რად მინდა, რომ ვიცნობდე, ხალიჩა გვიჩვენებს ყველაფერს.“

მეორე დღეს მე და ის უზბეკი ფინალში მოვხვდით. ხელი რომ მომკიდა, ვიგრძენი, რომ ძლიერი ბიჭი იყო, მაგრამ შევა-

ტყვე, ჭიდაობა არ იცოდა. იმდენად ძლიერი იყო, რომ ერთი ხელის მოკიდებით ნახევარი ჩოხა დამიხია. მეორე ჩოხა ძლივს ვიშოვეთ. ჩემთვის ვთქვი: ამას ეს ჩოხები როდემდე უნდა ვახ-



გივი ონაშვილი

ევინო-მეთქი. გამწარებული შევები, პარტერში გადავიყვანე და მტკივნეულ იღეთზე გადავედი. ტრაბახს ვერ ვიტან და ამიტომ ხელი მაგრად ამოვუქაჩე. მსაჯი მისტვენს. მე კიდევ ვითომ არ მესმის. როგორც იქნა გამაგდებინეს ხელიდან. ისე ეტკინა ხელი, რომ მეორე დღეს თაბაშირში ჩაუსვეს, თავდახრილი დადიოდა, ხმას ვერ იღებდა, ხანდახან რალაცას რუსულად ნაიბურტყუნებდა ხოლმე.“

ბატონ გივის მსოფლიოს მრავალი ქვეყანა აქვს მოვლილი

და მოსაგონარიც ბევრი აქვს: „იაპონიაში იყო ასეთი შემთხვევა. ერთ-ერთ ოჯახში ვათვალისწინებდი იაპონურ ჟურნალებს, სადაც მომავალი ასპარეზობის ყველა მონაწილის ფოტოები იყო დაბეჭდილი. ჩემს სურათს რომ დავხედე, დავინახე, ფოტო ჩასმულია შავ ჩარჩოში. მოგეხსენებათ, ჩვენში შავ ჩარჩოში მიცვალებულების ფოტოებს და გვარებს ათავსებენ. ცოცხალი არ იყოს ამით უკმაყოფილომ, ერთ-ერთ მასპინძელს მივმართე, რატომ არის ჩემი სურათი შავ ჩარჩოში, მე ჯერ ცოცხალი ვარ-მეთქი. მათ ამიხსნეს, თურმე ამით იაპონელები გამოხატავდნენ იმას, რომ მე, როგორც სპორტსმენი საშიში ვიყავი მათთვის. დღეს ეს უკვე სასიამოვნოდ გასახსენებელია.“

ბატონი გივი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა და კვლავაც მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. მრავალი საქველმოქმედო ღონისძიება აქვს ჩატარებული ეკლე-



სია-მონასტრების მოვლა-აღორძინებისათვის. განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა პატარძეულის წმიდა შიო მღვიმელის სახელობის და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაციის საქმეში. სამშობლოს ტკივილი, მისი ტკივილია. „ჩემი დიდი სურვილია, — ამბობს ბატონი გივი, — საქართველოში ყველა გაღიმებული იყოს, ყოფილიყოს ცხოვრების მაღალი დონე. ადამიანი მხოლოდ ლუკმა-პურის შოვნაზე არ ფიქრობდეს. გამრავლდეს ქართველი ერი და ბედნიერება იყოს ყველა ოჯახში. მსოფლიოში არსებობს მარტორქის დაცვის საზოგადოება, ვისურვებდი ჩვენს ქვეყანაშიც ისეთი მდგომარეობა შექმნილიყოს, რომ მარტორქის დაცვის პრობლემა ყოფილიყოს მხოლოდ. ყველას ბედნიერებას ვუსურვებ.“

ჩვენ კი ვთხოვთ შემოქმედს, რომ ბატონი გივის მსგავსი ქართველები გაუმრავლოს ჩვენს სამშობლოს.





## წინო ლაფერიშვილი



ვფიქრობ, დამეთანხმები, ჩემო მკითხველო, რაოდენ ძნელია დიდი გოგლას სოფელში ვინმემ ხელში აიღოს კალამი და დაწეროს ლექსი ან პროზაული ნაწარმოები. ამას განაიმიტომ ვამბობ, რომ ამ ღვთის მიერ კურთხეულ სოფელში ინტელექტი და მუზა გამქრალა. არა, ბატონო, ღმერთმა დამიფაროს ასეთი რამის გაფიქრებისგანაც კი, პირიქით სულიერი გაგება იმდენად მოჭარბებულია, რომ დედამინის ზურგზე

არათუ ბევრ სოფელს, არამედ დიდ ქალაქებსაც შეშურდებოდათ პატარძეულელების. გოგლაც ხომ ამას ამბობს: „...მაგრამ სულ ყველგან მე ხელს მიქნევდა ჩემი პატარა პატარძეული...”

სწორედ მოჭარბებული გაგება სიყვარულისა და გოგლას შემოქმედებისა წარმოშობს პატარძეულელებში იმ მეტად ქართველურ — გადამეტებულ მოკრძალებას, რომელიც ლეონიძის, როგორც სიტყვის დიდოსტატის წინაშე, მისი თანასოფლელების გრძნობა-განწყობილებაში, ცის თავანზე წვიმის შემდეგ გადატყორცნილი ცისარტყელასავით აისახება. გოგლა ხომ არავის და არაფრის მიმართ არ ყოფილა ისე მგრძნობიარე და ერთგული, როგორც ქართული სიტყვისადმი. მისი სიტყვები ლალი, გულიდან ამომდნარი და თასმასავით მოქნილია, ლაზათიანი, ხალხის სიბრძნიდან, საგანძურიდან ამოღებული და პრომეთეს ცეცხლივით გაჩირალდნებული და, რაც მთავარია, მადლიანი, რომელიც მაღამოსავით ედება და კურნავს ჩვენს გუნება-განწყობას.



აკი თვითონვე ამბობს:

„შენ უკვდავი რძით დამაძუძურე,  
შხეფი ნათლისა სულში დასძარი,  
ჩემი დროშა ხარ მოიერიშე,  
ჩემი ვენახი, ჩემი ტაძარი...“

...შენ – უკვდავების ჩამონადენო,  
მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელო,-  
ქართულო სიტყვავ,  
ქართულო სიტყვავ!”

ყოველივე თქმულის შემდეგ, პატარძეულელებისთვის ძნელია დაწერონ რაიმე, რადგან ყველა ერთი სატკივარით არის შეპყრობილი - „ვაითუ, ჩვენი მცდელობით, სხვის თვალში გაუფერულდეს დიდი მგოსანიო.“ რა თქმა უნდა, ვეთანხმები მათ, რადგან ადამიანი, თავისი მოჭარბებული ცოდვების გამო, სუსტი არსებაა და მიუხედავად გარეგნული შენიღბული იერ-სახისა, შინაგანად ვერ იტევს იმ მადლს, რომელიც კაცთ-მოყვარე უფლისგან გადმოდის ადამიანზე. სახარებისეული სიბრძნე ღალადებს: „...ეს შეუძლებელია კაცთათვის, ღმერთისთვის კი ყველაფერი შესაძლებელია“ (მათე 19,26). ამიტომ მთელი არსებით უნდა მივინდოთ უფალს. გოგლა, კომუნისტებისაგან ფარულად, პიჯაკის შიგნით ხელის სწრაფი მოძრაობით პირჯვარს თუ გადაინერდა ხოლმე, ჩვენ დღეს ამის პრობლემა არა გვაქვს და არც არავინ გვიშლის უფალთან მიახლოებას. ეს კი ახალგაზრდობის უმეტესმა ნაწილმა გაითავისა და სულიერად და გონებრივადაც მოძლიერდა.

გოგლა ლეონიძეს თუ მეოცე საუკუნის დასაწყისში პატარძეულში შექმნილმა ოჯახურმა და საზოგადოებრივმა ურთიერთობებმა გზა გაუკაფა ნათელი მომავლისაკენ და მსოფლიო დონის პოეტად აქცია, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა და განვითარება დაიწყო შემოქმედებითი მოღვაწეო-



ბის ახალმა ტალღამ. ჩვენდა სასიხარულოდ და საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ამ ეროვნულ საქმეს სათავეში ახალგაზრდები ჩაუდგნენ და, რაც მთავარია, მორწმუნე მართლმადიდებლები. ამბობენ, ღმერთის კურთხევით, ისინი ზოგნი ზეციდან, ხოლო ზოგნი ფრესკებიდან გადმოდიანო. თუმცა ეს პროცესი ჩვენთვის, ადამიანებისათვის, დაფარულია.

ანგელოზების გამოჩენის პერიოდი ვარდობის თვეაო. მათი დაბადება, ამბობენ, დედამიწაზე ჩვეულებრივი წესით ხდება. ისინი განსაკუთრებული ღვთიური ნიჭით არიან დაჯილდოებული და განეკუთვნებიან იმ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც წუთისოფელში ცხოვრების პერიოდში ყოველდღიურად მისწრაფვიან ღვთიური სრულყოფილებისაკენ. ყველას როდი ძალუძს საათობით იდგეს ტაძრის კანკელის გვერდით და სულითა და გულით უგალობდეს უფალს, კითხულობდეს ფსალმუნებს, საკუთარი ლექსებით, მოთხრობებით და ჩანახატებით ხოტბას ასხამდეს შემოქმედს. იყოს წარმატებული საერო ცხოვრებაში. შესანიშნავად უკრავდეს ფორტეპიანოზე, გიტარაზე, ხალხურ საკრავებზე, საფუძვლიანად ფლობდეს უცხო ენებს, იყოს მხატვარი, პოეტი და, რაც მთავარია, ახალგაზრდებისათვის ზნეობისა და ინტელექტუალური სრულყოფილების ეტალონი. ასეთი ადამიანები ჩვენი ცხოვრების ულამაზესი სამკაულები არიან ანუ, როგორც მათ ვუწოდებთ — უფლის მადლით შემოსილნი.

ნინო ლაფერიშვილი დაიბადა 1985 წელს, ვარდობის თვეში. იგი ამ ქვეყანას საქართველოს დედაქალაქში მოევიღინა, გაიზარდა პატარძეულში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. „მოგეხსენებათ, პატარძეული დიდი პოეტის, გოგლა ლეონიძის სოფელია და მეც პოეზიისადმი სიყვარულით გამზარდეს, — ამბობს ნინო, — მახსოვს, ჩემს ბავშობაში, როდესაც გაჭირვების ჟამს, მოსახლეობას ელექტროენერგია შეზღუდულად მიენოდებოდა, ლამპის მბჟუტავ შუქზე დედა გოგლა ლეონიძის, გალაკტიონის და სხვა შესანიშნავი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებას ხმამაღლა კითხულობდა. მეც სწორედ აქედან გამომყვა პოე-



ზიისა და პროზის სიყვარული. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ უფრო მეტად უცხოური ლიტერატურა მიტაცებდა. ამიტომაც ბავშვობიდან ინგლისური და ფრანგული ენების შესწავლას მივყავი ხელი. 1998 წელს მუსიკალური შვიდწლედანი დავასრულე და დღემდე არ გამწვანებია ბეთჰოვენისა და ბახის ნაწარმოებების სიყვარული...”

2006 წელს ნინომ წარმატებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და პატარძელის ქართულ-ფრანგულ სკოლა-ლიცეუმში ინგლისური ენის პედაგოგად დაიწყო მუშაობა. ამასთან, არ ჩამორჩა დღევანდელი ცივილიზებული მსოფლიოს მაჯისცემას, კვალიფიკაციის ამაღლება ბიზნეს-ინგლისურის კურსებზე გააგრძელა და კემბრიჯის უნივერსიტეტის დადებითი შეფასებაც დაიმსახურა.

ნინო მუდმივად მოძრაობასა და ძიებაშია. არიან ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ ინტელექტუალური დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. თუმცა, ჯობია თვითონ მას მოვუსმინოთ: „ერთი პერიოდი კალამი ფანქრით შევცვალე და ჩემი გრძნობების გადმოცემა ნახატით ვცადე. მომწონდა, როგორ ვკვეთდი პორტრეტების თვალეებში ჩემს ემოციებს, ნაღველს, სიხარულს და ასე შემდეგ...”

აი, ასეთი ახალგაზრდები თუ გადაარჩინენ იმ „სამ ღვთაებრივ საუნჯეს... მამულს, ენას და სარწმუნოებას...”

„უფალი ყოველთვის მიჩვენებს გზას, — ამბობს ნინო, — ჩემს ყველა წარმატებაში უფლის ხელი ურევია...”

ნინომ თავისი შემოქმედებით განამტკიცა რწმენა იმისა, რომ პატარძელში ქართული პოეზიისა და პროზის წყარო არ დამშრალა და არც არასოდეს დაშრება. თავად უმშვენებდა და მომხიბლავ გოგონას შემოქმედებაც ასეთი ლამაზი და მიმზიდველი აქვს...

... თუმცა „გაგონილს ნანახი სჯობიაო“...



## პოემა

დედამინაზე დაშვებულა შავი ღრუბელი,  
ავი თვალებით მიაცქერდა ამქვეყნიურ ცხოვრებას,  
დავინყებიათ ხატი და ღმერთი, გადასხვაფერდნენ,  
ველარ ბედავენ სიყვარულს და ველარც ოცნებას.

დამძიმებულა ცოდვილ ხალხით მინა პირქუში,  
როდემდის შეძლებს ამ სიმძიმე ტვირთის ტარებას,  
ღვთის სიყვარული გადაფარა ღვარძლმა და შურმა,  
დაისადგურა უსასრულო სასონარკვეთამ.

შავი ბოროტება დაძრწის ყველგან უმისამართოდ,  
გამეფებულა ბნელი ძალა თითქოს ყოველგან,  
მდიდარნი ხარბად შესევიან მუქთა ცხოვრებას,  
მართალი ხალხი გაიხადეს თავის მონებად.

სოდომია თუ გომორია, თუ უარესი,  
ძნელია უკვე ამ ყველაფრის ნათლად გარჩევა,  
ღმერთმა დაფარა საიდუმლო მათთვის ყოველი,  
მხოლოდ ზოგიერთს მიანიჭა მართლის გაგება.

სადღაც უსასრულო ნაპირზე თუ კიდეზე დედამინისა,  
ერთი სანთელი მაინც ანთია ჩაუქრობელი,  
პატარა ქვაბულში, სადაც მკაცრი სიცივე თარეშობს,  
ცხოვრობს ბრმა ბერი და ღვთისაგან შველას მოელის.

ერთიღა დარჩა ამ ქვეყანაზე ღვთისადმი მლოცველი,  
წრფელი გულით და უბინო ცხოვრებით ცხოვრობს ქვაბულში,  
არ ეშინია უსასოობის, არც კარგავს იმედს  
და ღვთისგან არის მხოლოდ ერთი რამის მთხოვნელი:

იგი არ ითხოვს არც სინათლის თვალში მიცემას,  
იგი არ ითხოვს თავის ხორცის კეთილდღეობას,  
მხოლოდ ერთია მისთვის წმინდა ამ ქვეყანაზე,  
გადაარჩინოს თავის ლოცვით ყველა არსება.

უფალი ღმერთი მისთვის არაფერს არ დაიშურებს  
და არ განირავს, არ უარყოფს ბერის მუდარას,





თვით მისი მადლის ამ სოფლად გამოჩენისთვის  
გადაეფარა ამ სამყაროს შავი სუდარა.

ბერს ძალა ელევა და სისუსტეს გრძნობს გაუსაძლისს,  
მუხლებზე დამდგარს მორევია უკვე ცრემლები,  
გრძნობით ლოცულობს და ღალადებს ჯვარცმის წინაშე,  
ცხარედ მოტირალს აღუპყრია მალლა ხელები.

დამონებული ხალხი როდი უჩივის თავის ბედს ყველა,  
ზოგს უხარია ის, რომ ადევს ოქროს ბორკილი,  
უძლებს წამებას, გათელილია, მაგრამ ამაცობს,  
რომ გაუმართლა და შეამკეს ძვირფას ოქროთი.

სხვა მონაც არის მხიარული მონათა შორის,  
თუმცა ბორკილი მისი ძველი, უანგიანია,  
ტანზე წყლულები და ყოველდღე სისხლის ცრემლები  
უსველებს სახეს, მაგრამ მაინც ბედნიერია.

ღვთის სიყვარული შერჩენია მაინც როგორღაც  
და ეწამება უსიტყვოდ ამ სიყვარულისთვის,  
სცემენ, ტანჯავენ, აყენებენ შეურაცხყოფას,  
მაგრამ ითმენს და არას ამბობს უფლის გულისთვის.

კიდევ სხვა მონა, რომელიც დიდ გასაჭირშია,  
ისიც არ იცის დათმოს თუ არა სარწმუნოება,  
ეჭვობს და ფიქრობს განუწყვეტლივ ხომ არ ჯობია  
თავისი ხელით დაასრულოს მწარე ცხოვრება.

ბერის ღალადი ისმის ცაში, როგორც სიმღერა,  
უფალს სწადია დაასრულოს უბედურება,  
გადაარჩინოს მართლები და უბინოები,  
ცეცხლში გახვიოს მდიდრები და მათი ქონება,  
ცოდვის შვილები არიან ახლა დიდ გასაჭირში,  
ფიქრობენ, რომ მეორედ მოსვლა დაიწყო უკვე,  
ისმის გოდება დაკარგული საგანძურისთვის,  
არეულობა, სასონარკვეთა, ქაოსი სუფევს.

როცა ინება უფალმა და დაწყნარდა ყოველივე,  
დედამინაზე დარჩა მხოლოდ მცირეოდენი,



გადარჩა ცოტა, მაგრამ ნრფელი და მონყალე ხალხი,  
 მშვიდობისა და სიყვარულის ღვთისთვის მთხოვნელი.  
 პატარა ქვაბულში სიბნელეა და მყუდროება,  
 არ ჩანს არავინ და არ ისმის ბერის ლაღადი,  
 საკმევლისა და მადლის სურნელი ტრიალებს მხოლოდ,  
 დიდებულთა უფლის სახელი ან და მარადის.

### ციდან ცვივა ფარფატა მოყვითალო ფოთლები

შემოდგომა დადგა. ხეები ქარის შეუბრალებელმა ქროლ-ვამ გააშიშვლა და მათ ძირში წითელ-ყვითელი ფერებით სავსე ხალიჩა დააფინა. მზე ძველებურად აღარ დანათოდა დედამინას. საღამოს ნისლიც კი წამოვიდა. ასეთი ამინდები ძალაუნებურად მოწყენილობას მოგვრიდა ადამიანს, გვარიანად აცივდა. ღამით მთიდან ჩამოსული მგლების ყმუილი სოფლის მაცხოვრებლებს ძილს უფრთხობდა.

იმ ღამით ივანე რაღაც იდუმალმა ხმამ გამოაღვიძა. ოთახში ბნელოდა. ფანჯრებს სიცივისაგან ჭირხლი ეკიდებოდა. გარეთ ქარი ღმუოდა და სარკმლის ამოუვსებელი ღრიჭოებიდან სიცივე იპარებოდა.

ივანე შეაკრთო ამ იდუმალებამ, მაგრამ ისევ მილულა თვალები.

რამდენიმე ხნის შემდეგ ხმა განმეორდა, თითქოს ვიღაც ეძახდა მოხუცს.

იგი გამოფხიზლდა და სარეცელიდან წამოდგა, ღამმა აან-თო, რომელმაც მბჟუტავი შუქით გაანათა ოთახი. მან კარი ჭრიალით გამოაღო და გარეთ გაიხედა, არავინ ჩანდა.

თენდებოდა, ალიონზე ცა ვარდისფრად შეიღება. ივანე შე-შის მოსატანად ტყისკენ გაეშურა. ცივი და ქარიანი ამინდის მიუხედავად, მოხუცი მუხლს არ იდრეკდა და სიცივისგან გა-თოშილ კოჭრიან ხელებს იფშენებდა. მის ფეხქვეშ სველი შეშა ტკაცუნობდა.



ივანე შუაგულ ტყეში შევიდა და ძირს დაყრილ ხმელ ფიჩხს დაუნყო მოგროვება, თან შინიდან წამოღებულ ტომარაში ყრიდა. სიცვიისგან მუხლები უკანკალებდა, თვალები ცრემლებით ევსებოდა, ხელებიც უკანკალებდა და მთელი ტანით ცახცახებდა.

უეცრად წვიმა წამოვიდა, მუშაობაში გართული ივანე წვიმის წვეთების გაყვითლებულ ფოთლებზე წკაპუნმა გამოაფხიზლა, ტომარა ზურგზე მოიგდო და ჩქარი ნაბიჯებით დაემვა ფერდობზე. ყვითელ ფოთლებში ფეხი ეფლობოდა. საითაც გაიხედა, ყველგან ქრელაქრულა ხალიჩა ეგო ფოთლებისა.

- ფოთოლი, - ჩაიჩურჩულა მოხუცმა თავისთვის, - ფოთოლი ადამიანივითაა, ახლად დაბადებული მწვანე ფოთოლი უდარდელად შრიალებს ხეზე. ასეა ადამიანიც, - უხარია ახალგაზრდობა, ლაღობს, შემდეგ ფოთოლი ყვითლდება, ჭკნება და მშობლიურ ხეს ეთხოვება, ბზრიალ-ტრიალით ეშვება ძირს და კვდება. ადამიანიც სიცოცხლის მანძილზე თავისი კეთილდღეობისთვის ზრუნავს, შრომობს, მაგრამ დიდი ხნის შემდეგ ისიც ფოთოლივით ჭკნება, ეთხოვება ამქვეყნიურ ცხოვრებას და სამუდამო ძილს ეძლევა.

ამ ფიქრებმა ცრემლი მოჰგვარეს ივანეს. იცოდა, რომ ადრე თუ გვიან მისთვისაც დადგებოდა ეს ჟამი და სწორედ ფოთოლივით დავარდებოდა მიწაზე.

სახლში მივიდა. თავს ძალა დაატანა და ღუმელი აანთო, არაფრის გაკეთება არ სურდა, იჯდა უძრავად და ოხვრასავით იმეორებდა: „ყვითელი ფოთლები, ხმელი ფოთლები.“ ახლა ისიც ციდან მოფარფატე ფოთოლს ჰგავდა.

გათენდა. დილით ივანეს საკვამურიდან კვამლი არ ამოდიოდა. ყველას გაუკვირდა. საღამოს მის სანახავად მისულ მეზობლებს სევდიანი სანახაობა წარმოუდგა თვალწინ. ივანე უძრავად იჯდა ფოთლებით ხელში. ვინ უწყის, რას ფიქრობდა სიკვდილის წინ.

მოხუცი გორაკზე, ხის ძირას დაასაფლავეს, სადაც ყოველ შემოდგომაზე, მის საფლავზე უხვად ცვივა ციდან ფარფატა მოყვითალო ფოთლები.



\* \* \*

ამ ქვეყანაზე არაფერია  
უსიყვარულოდ დაბადებული,  
მხოლოდ მის ძალას, მის სიფაქიზეს,  
ძალუძს აკეთოს მხოლოდ კეთილი.

იგია მძლევი ყველა მტერისა,  
იგია მძლევი ყველა ბოროტის,  
დამძლევი ყოველი სიბნელისა,  
იგია ნათლის მანათობელი.

ღმერთმა გვიბრძანა, რომ გვეყვარებოდა,  
ამ ქვეყანაზე ყველა არსება,  
ყველას სიკეთით და სათნოებით  
თუ მოვეპყრობით, ცა ამაღლდება.

ჩვენც ავმაღლდებით სულით და ხორციით,  
კარი სიკეთის ღია იქნება,  
ყველა ხმელეთზე და ყველა ცაზე  
ღამე უმთვარო გაცისკროვნდება.

ნინო უკვე სამი შვილის დედაა. მიუხედავად ასეთი ბედნიერი დატვირთვისა, მასში პოეზიისა და მუსიკის სიყვარული არ შენელებულა, პირიქით, უფრო გაძლიერდა. ანგელოზები მას კვლავ აწვდიან ზეციდან ახალ-ახალ პოეტურ თუ მუსიკალურ ნობათებს. დაე, ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ზეციური მაცნეები დედამიწაზე:



ისევ მელექსები დღემდე,  
ჭკუა ვერ ვისწავლე ქალმა  
და თუ გაგრძელდები  
მუდამ,  
ისევ ლექსებს დავწერ  
ალბათ.

დღემდე მემღერები მაინც,  
ნოტებს შენს სხეულზე  
ვჯღაბნი  
და ეს სიმღერების კონა  
მხოლოდ შენს ზამთარში  
ბარდნის.

ისევ მემარტები დღემდე,  
ისევ შენზე მიდულს გული,  
ისევ მესიზმრები ღამე,  
თუმც არ მეკარება რული.

ისევ მელიმები დღემდე,  
ისევ ფორიაქობ ჩემში,  
წლებმა დაგვათოვა ფიფქი  
თუ ეს ჭალარაა თმებში.

ისევ იმედი ხარ ჩემი,  
ჩემი სულის ნაწილს  
გხედავ,  
ისევ მიყვარხარ და ლექსი  
როგორ წაგიკითხო,  
ვლელავ.



## მანია (მამო) სასწრაფოშვილი



ჩემო მკითხველო, კვლავ განვადრძოთ საუბარი იმ საოცრებებზე, რომელსაც პატარძეულელები ახდენენ მსოფლიოში.

ყველას, ვინც პატარძეულს იცნობს, კარგად მოეხსენება, რომ სოფელში ცხვარიაშვილთა გვარი ერთ-ერთი გამორჩეულია. გადმოცემით, მტრისაგან აოხრებულ ძველ პატარძეულში მოხუც მეცხვარეს გაუვლია. უეცრად ბავშვის ტირილი გაუგონია. ჩვილი, რომელიც ღმერთის წყალობით, ცოცხალი გადარჩენილა, მეცხვარეს თავის სახლში წაუყვანია. მოხუც ცოლ-ქმარს ბავშვი ცხვრის რძით გაურდიათ და გვარიც ცხვარიაშვილი მიუციათ. თუმცა არის მეორე ვერსიაც, რომელიც ასევე ახლოა ჭეშმარიტებასთან. მტრისაგან მრავალჯერ აოხრებული პატარძეული, საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მოსახლეობის ხარჯზე სწრაფად ახდენდა რეაბილიტაციას. კახელებთან ერთად, აქ ძირითადად, ქართლიდან და იმერეთიდან გადმოსული ქართველები სახლდებოდნენ. ამ შემთხვევაშიც ამბობენ, რომ ცხვარიაშვილების წინაპრები ქართლიდან გადმოსული გურამიშვილები ყოფილან, რომლებსაც, პატარძეულში დასახლების შემდეგ, გვარი შეუცვლიათ (საქართველოში მოსახლეობის გადაადგილების დროს გვარის შეცვლა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მიღებული ყოფილა. ი.ს.)

ცხვარიაშვილების გვარის წარმოშობის საუკუნეების სიღრმიდან მომავალი ვერსიებიდან რომელია სწორი ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ ერთი კი ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აღნიშნული გვარიდან, ახალმა, სასწრაფოშვილების გვარმა დაიწყო განვითარება. გადმოცემით,

ცხვარიაშვილების გვარის წარმოშობის საუკუნეების სიღრმიდან მომავალი ვერსიებიდან რომელია სწორი ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ ერთი კი ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აღნიშნული გვარიდან, ახალმა, სასწრაფოშვილების გვარმა დაიწყო განვითარება. გადმოცემით,



სოფლის მამასახლისის თანდასწრებით, თურმე ორ პატარძეულელ კაცს დავა ჰქონია მინის ნაკვეთის გამო. ერთ-ერთი მათგანი ცხვარიაშვილი ყოფილა. ამ უკანასკნელს თავისი თანასოფლელი ეუბნებოდა, რომ ეს ტერიტორია მათი საკუთრება იყო და იქ მის წინაპრებს ადრე კალოც ჰქონდათ მოწყობილი. ცხვარიაშვილს კი უთქვამს: „რას ამბობ, კაცო! იქ ვენახი და ხეხილი მაქვს ჩაყრილი“. თურმე ღამდებოდა და მამასახლისს უთქვამს: „აბა, ამ ღამით იქ რას დავინახავთ, ხვალ მივიდეთ ხალხის თანდასწრებით და შევხედოთ, ვისი ნათქვამიც სიმართლეს შეეფერება, ნაკვეთიც მას დაუმტკიცდებაო“. თქვენ წარმოიდგინეთ ცხვარიაშვილმა ტყუილი თქვა. იმ მიწაზე არც ვაზი და არც ხეხილი არ ჰქონდა გაშენებული. მთელი ღამის განმავლობაში უმუშავია, ვაზი და ხეხილი სადღაც მოუთხრია, მიუტანია და იმ ნაკვეთზე დაურგავს. დილით, მამასახლისი ხალხთან ერთად რომ მისულა, უნახავს ეს ყველაფერი და ცხვარიაშვილისთვის დაუმტკიცებია მინის ნაკვეთი. სოფელში ყველამ იცოდა, რომ იმ ტერიტორიაზე არაფერი იყო გაშენებული, მაგრამ ასე სასწრაფოდ გაკეთებული საქმის გამო, არავის ხმა არ ამოუღია. ერთი კი უთქვამთ: „რა სასწრაფოდ უმუშავიაო. ეს კაცი ცხვარიაშვილი კი არა სასწრაფოშვილი უნდა იყოსო“.

ლეგენდებს რა გამოლევს საქართველოში. თუ ეს გადმოცემა სინამდვილეს შეეფერება, მაშინ აქედან დაწყებული სასწრაფოშვილების გვარის ისტორია.

ახლა კი გავეცნოთ პატარძეულის კიდევ ერთ კოლორიტს, სასწრაფოშვილების გვარის ბრწყინვალე წარმომადგენელს — ქალბატონ მაია (მაკო) სასწრაფოშვილს, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა იმდენი მოულოდნელობებით არის აღსავსე, რომ იგი ნამდვილად ამართლებს თავის გვარს. ტყუილად ხომ არ შეარქვა მას, თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში, ერთ-ერთმა პედაგოგმა „მაკო-03“ (მაშინდელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ნომერი).

დაიბადა 1964 წლის 1 იანვარს ქალაქ თბილისში, ცხოვრობდა და იზრდებოდა საირმის ქუჩაზე. ჰყავს ერთი შვილი, ორი



ძმა და ერთი და. „პაპაჩემი თეოდორე, — იხსენებს ქ-ნი მაკო, — ბანკში მუშაობდა. დაცვის თანხლებით დადიოდა. ძალიან სერიოზული პიროვნება იყო. ის რომ ოჯახში შემოდებოდა, ყველანი ვჩუმდებოდით. პატარებს გვემინოდა, რადგან იარაღით დადიოდა. მაგიდაზე პრესა უნდა დახვედროდა. იჯდა ტელევიზორთან და ჩაკირკიტებდა გაზეთებს. მამაჩემი მოაზროვნე კაცია, გადასარევედ მღერის და უკრავს თითქმის ყველა ინსტრუმენტზე. მამისაგან გადმომეცა მუსიკალური ნიჭი. ჩვენ კერძო სახლი გვაქვს საირმის ქუჩაზე. ჩვენს ეზოში ხშირად ცხვარი ან ხბო იკვლებოდა. მამაჩემი გადაკეტავდა ქუჩას, შემოიპატიჟებდა ხოლმე ეზოში უცნობს, ნაცნობს, დაინყებდა პურ-მარილს, რასაც მოჰყვებოდა შესანიშნავი კახური და საქართველოს სხვა კუთხეების ხალხური სიმღერები. გამვლელ-გამომვლელს ყველას ქორწილი ეგონა. ხომ წარმოგიდგენიათ, ასეთი „ქორწილები“ თითქმის ყოველდღე იმართებოდა ჩვენს ეზოში“.

ასეთ ლამაზ ქართულ ოჯახში გაზრდილ მაკოს, ჩამოუყალიბდა ხელოვნებისაკენ მიდრეკილება, რასაც, რა თქმა უნდა, თან ახლდა ღვთისაგან ბოძებული ნიჭი. „მამამ გამზარდა, — იხსენებს ქ-ნი მაკო, — ბევრი რამ ვისწავლე მისგან. სულ მას ვბაძავდი. ბავშობაში ჩემი დედმამიშვილების შემადგენლობით ჩამოვყალიბე კვარტეტი. სიმღერის დროს თან შენიშვნებს ვაძლევდი, როდესაც ხმებიდან გადავიდოდნენ. დედულეთში, მანგლისში რომ ავიდოდით, სპექტაკლებს ვდგამდი. ვკერავდი ქალაღის კაბებს, რომელიც სპექტაკლის ბოლომდე ძლებდა, მერე იხეოდა. ჩემს დას ყოველთვის დედოფლის როლს ვაძლევდი და ვეუბნებოდი: „შენ კარაღევა ხარ-მეთქი“. ისიც იფერებდა და იჯდა მართლა დედოფალივით. მე კი მოსამსახურის როლს ვთამაშობდი და ვიყავი სულ მოძრაობაში. რუსული და ქართული სპექტაკლები ცვლიდა ერთმანეთს. ხანდახან ინგლისურ-ფრანგულ ლექსებსაც გავურევდით ხოლმე“.

ქ-მა მაკომ დაამთავრა თბილისის პირველი ექსპერიმენტალური სკოლა, მუსიკალური ათწლედით. თეატრალური ინსტიტუ-





ტის დამთავრების შემდეგ დაინიშნა თეთრინყაროს რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ. 1992-93 წლებში იყო მანგლისის კულტურის სახლის დირექტორი. მუშაობდა მოსკოვში ქართული კულტურის ცენტრში — „მზიურში“. შემდეგ ბრუნდება თბილისში. მუშაობს „აიეტი-TV“-ის მენეჯერად. საზღვარგარეთ წასვლამდე ხელმძღვანელობდა ერთ-ერთი შოუ-ბიზნესის ცენტრს.

2004 წელს ქ-ნი მაკო, შვილის მკურნალობასთან დაკავშირებით, ავსტრიაში გაემგზავრა. მკურნალობა ხანგრძლივი დროით გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ, გარკვეული ხარჯების კომპენსაცია ხდებოდა, ფინანსურმა გაჭირვებამ მაინც იჩინა თავი. სამუშაოს შოვნის იმედით, ქ-ნმა მაკომ ინტერნეტში ინფორმაცია გაავრცელა, რომ არის მსახიობი, მომღერალი და შეუძლია აგრეთვე მუსიკის გაკვეთილების ჩატარება. ინფორმაციას გამოეხმაურა ერთ-ერთი რეჟისორი მალფრედ მიხალკი, რომელიც დგამდა სპექტაკლს მაქსიმ გორკის „ფსკერის“ მიხედვით და მაკოს შესთავაზა ვასილისას როლი. მიუხედავად იმისა, რომ მაკომ გერმანული არ იცოდა, მაინც წავიდა კასტინგზე და შესანიშნავად გაართვა თავი მთავარ როლს, რა თქმა უნდა, თარჯიმნის მეშვეობით (იგი შესანიშნავად ფლობს რუსულ ენას). სპექტაკლს ესწრებოდა ვენის ბურგთეატრის (აქ მოღვაწეობდა მოცარტი) რეჟისორი, რომელმაც მსახიობი თავისთან მიიწვია კასტინგზე. „მე არ ვიცოდი, — იხსენებს ქ-ნი მაკო, — თურმე ამ თეატრში მოხვედრა სასწაულია. სპექტაკლს „მზის ამოსვლა“ ერქვა. კასტინგის დროს ორ წუთში უნდა ჩავტეულიყავი. ენის არცოდნის გამო მოძრაობებით გამოვხატე ჩემი სამსახიობო ნიჭი და როგორ აღმოვჩნდი გამარჯვებულთა შორის, მე თვითონ დღემდე ვერ გავაცნობიერე. გახარებულმა დავრეკე თბილისში და ვახარე გოგოებს: „მასოვკაში ვარ! ვდგავარ მოცარტის სცენაზე და ბუჩქის როლი მაქვს!“. პრემიერამდე ორი კვირა იყო დარჩენილი. კასტინგში გამარჯვებული ცამეტი მსახიობი, რეპეტიცი-



იდან თავისუფალ დროს, შევიყვანე თეატრის ერთ-ერთ ოთახში, სადაც როიალი იდგა, ყველას დავურიგე როლები, როგორც ამას ბავშვობაში ვაკეთებდი და გავმართე ტაშ-ფანდური. თურმე ამ თეატრში თავგი როგორ დადის, ისიც კი იციან. ამიტომ ჩემი მისამართით ყურადღება უფრო გაამახვილეს. ბურგთეატრის ყველაზე მკაცრმა რეჟისორმა ანდრია ბრეტმა, „აღუბლის ბაღში“ ჩატარებული კასტინგის დროს, სცენიდან აღარ ჩამომიშვა და გამიფორმეს უვადო ხელშეკრულება, რაც თურმე ძალიან იშვიათი მოვლენა ყოფილა ბურგთეატრში“.

სპექტაკლის პრემიერას ესწრებოდნენ ავსტრიაში მცხოვრები ქართველი ებრაელები, რომლებმაც ქ-ნი მაკო მიიწვიეს თავიანთი კულტურისა და ხელოვნების ცენტრში. მაკომ უმოკლეს დროში შეისწავლა ებრაული კულტურა და დღეს უკვე 68 ებრაულ სიმღერას მღერის და ასწავლის.

„ნარუმატებლობის ყოველთვის მეშინოდა, — ამბობს ქ-ნი მაკო, — მაგრამ ყოველთვის ნარმატებული ვიყავი, თუმცა ნარმატებისკენ ძალიან ნელა მივდიოდი. სადმე რომ კრახი განმცადა, ალბათ დავიღუპებოდი. იცით, შთაგონება მაქვს ასეთი — ახლა რომ ვთქვა, ფრთებს



მაია სასწრაფოშვილი

შევისხამ, იმდენს ვიფიქრებ და ვიმოქმედებ, რომ მართლა გავფრინდები. შეუძლებელი არაფერია, მით უმეტეს თუ ღმერთის ნყალობა გაქვს. შენ ნადი შენი მიზნისკენ, შეიძლება ნელა, მაგრამ ბოლოს მაინც მიხვალ. დაბნევა ფეტვივით არ შეიძლება, ამის დრო არ არის. თუ თავი დახარე, ყველა გადაგივლის“.

მიზნისკენ სწრაფვამ და, რა თქმა უნდა, ღმერთის ნყალობამ, როგორც ხშირად იმეორებს



ხოლმე ქ-ნი მაკო, იგი მსოფლიო დონის შემოქმედად აქცია. სამი წლის მუხლჩაუხრელმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო და დღეს ქ-ნი მაია სასწრაფოშვილი ქ. ვენის ბურგთეატრის მსახიობი და მომღერალია, ქ. ვენის ებრაული კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მუსიკალური ხელმძღვანელი, ქ. ვენის ქართული საეკლესიო გუნდის რეგენტი და ავსტრიის რესპუბლიკის საპატიო მოქალაქე.

აი, ასეთ ქალბატონზე იტყოდა სულმნათი აკაკი: „აფერუმ შენს დედაკაცობასო“...

რაც შეეხება კითხვას: რატომ იკავებს ქვეშარიტი პატარძეულელი განსაკუთრებულ და პრივილეგირებულ პოზიციას საზოგადოებაში, ამას მხოლოდ ერთი ახსნა აქვს. საუკუნეების განმავლობაში სოფელს ბატონი არ ჰყოლია და სამართალს მეფე განაგებდა. ამან პატარძეულელებში თავისუფლებისაკენ სწრაფვას შეუწყო ხელი. ეს უკანასკნელი კი ადამიანში შემოქმედების ფართო ასპარეზს სთავაზობს. თავისუფლებაც და შემოქმედებაც ხომ ღმერთის მიერ ბოძებული მადლია, რითაც უფალი ადამიანს აძლევს იმის შანსს, რომ შემოქმედს მიემსგავსოს, ანუ ჩვენ ხატნი ღვთისა გავხდეთ მსგავსნი უფლისა ჩვენისა.





## არჩილ მნაშვილი („ლელოს ბიჭი“)

„პატარძელი ერთ-ერთი იმ სოფელთაგანია, რომელიც არა მარტო გარე კახეთში, არამედ სრულიად საქართველოში თავისი წიაღიდან გამოაბრწყინებდა ხოლმე ღირსეულ მამულიშვილს, რომელიც თავისი ნიჭით, გმირული შემართებით, შრომისმოყვარეობით, გონებრივი თუ სპორტული მონაცემებით კომეტასავით გაიელვებდა ხოლმე და თავის კვალს ტოვებდა თაობათა მეხსიერებაში“.

ალექსანდრე ელერდაშვილი



პატარძელს ბატონი არასდროს ჰყოლია. მისი ბატონი მეფე იყო. აქ მხოლოდ თავისუფლების მოყვარე ხალხი სახლდებოდა. ამიტომაც ისინი ყოველთვის გამოირჩეოდნენ ვაჟკაცობით, სიმართლის მოყვარეობით. თუ რაიმე უსამართლობას წააწყდებოდნენ, უშიშრად აიმაღლებდნენ ხმას. მეფეებიც დიდად ენდობოდნენ პატარძელელებს. გარე კახეთიდან ერეკლე მეფეს ლაშქრად ორიათასამდე კარგად შეიარაღებული და ჯან-ღონიანი ვაჟკაცი გაჰყავდა, რომელთაც, როგორც კარგი მეომრული თვისებები, ისე შესანიშნავი სპორტული მონაცემები ჰქონდათ. მწინავენი ლაშქარში პატარძელელები იყვნენ, ამიტომაც, საუკეთესო მხედრული და სპორტული თვისებების გამო, ისინი ხშირად



სახალხო გმირებად გვევლინებოდნენ. პატარძეულელებმა ზაზა გვარიძევილი, ზაქარია ყუშიტაშვილი, ოლაგირ ელერდაშვილი და ბერთუბნელი იასე სიბოშვილი, რომლებიც 1755 წელს ყვარლის ციხის გამრღვეთა ავანგარდში იბრძოდნენ, მეფე ერეკლესგან, ჩადენილი გმირობისათვის, აზატობა მიიღეს. სოლომონ ბუტულაშვილი და გიგო ელერდაშვილი თავი ისახელეს 1826 წელს რუსეთ-სპარსეთის ომში. პატარძეულელებმა მეზრძოლებმა და ფალავნებმა იაკობ ელერდაშვილი და მიხეილ ფიცხელაურმა გმირულად იბრძოლეს რუსეთ-თურქეთის 1853-56 წლების ომში და გამარჯვების დროს ააფრიალეს ყარსის ციტადელზე, რისთვისაც წმიდა გიორგის ჯვრის კავალერები გახდნენ. დიდ სამამულო ომში ბევრმა პატარძეულელებმა ისახელა თავი და ზოგმა მათგანმა გმირობისა და მხედართმთავრის ნოდებებიც კი მიიღო.

მხედრული დიდებისაკენ სწრაფვა ადამიანისგან ძლიერ ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს, ამიტომ პატარძეული გარე კახეთის სხვა სოფლებთან ერთად, ფალავანთა კერაც იყო. სიმღერა „გარე კახური საჭიდაო“ ხშირად გაისმოდა სოფლის მოედნებსა თუ ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიაზე.

დღესაც ლეგენდასავით დადის ხალხში ლელოსა და არწივის შერკინება. ონაშვილებისა და ელერდაშვილების გვარებმა არაერთი ფალავანი აღუზარდეს სამშობლოს.

ონაშვილები (გიორგი ონაშვილის — მწარიაანთ გიორგას გადმოცემით) ქვემო ქართლის სოფელ ენაგეთიდან ყოფილან პატარძეულში გადმოსახლებულნი. მაშინ წესი ყოფილა ასეთი — ახალ ადგილზე ჩამოსახლებულნი გვარებს იცვლიდნენ. მათი წინაპრებიც შეცვლილი გვარით დასახლებულან პატარძეულში. ზოგს თავისი მშობლიური სოფლის ენაგეთის მიხედვით ენაგელის გვარი აურჩევია, ხოლო ონაშვილთა წინაპარს, ესტატეს, თავისი მამის სახელი-ონა დაუდვია გვარის ფუძედ.

ფალავნობის ტრადიცია ონაშვილებს ოდითგან მოსდევდათ. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ასპარეზზე გამოვიდა



ლელი (ალექსი) ონაშვილი. გოლიათური აღნაგობის სოფლის დარბაისელი თავკაცი, კარგი მშრომელი, მოჭიდავე და უებრო თამადა ყოფილა. როგორც ამბობენ, მას მთელ გარე კახეთში ყანის მკაში ბადალი არ ჰყავდა. მისი სტიქია შემოსული ჰურის მკა იყო. თურმე, რომ შეერეოდა სამკალს, მისი „ჰოპ-ჰოპ-ჰოპუნას“ შეძახილი და გალესილი ნამგლის ნკრიალი ერთი საინტერესო სანახაობა იყო. ზედმეტი სახელი ლელი სპორტული მოღვაწეობის გამო შეარქვეს. მას „ლელი“ ყველა შეჯიბრში გაჰქონდა. ხალხურ თეატრალურ სანახაობებში — „ყეინობასა“ და „ბერიკაობაში“ ტოლს არავის უდებდა. „ყეინობაში“ „ლელი“ პატარძელის ქვემო უბნების ყეინი იყო, ხოლო ზემო უბნელების ყეინი ყოველთვის — „არნივი“ (ელერდაანთ გიორგა). თურმე ყეინობის ბოლოს „ლელოსა“ და „არნივს“ აჭიდავებდნენ. ამ ჭიდაობის დროს ხან ერთი იყო სოფლის ჩემპიონი და ხან — მეორე. უმეტესნილად ჩემპიონის ტიტულს ონაანთ ლელი ფლობდა. მისი შვილი — საქართველოს ლეგენდარული ფალავანი არჩილ ონაშვილი გახლდათ, რომელსაც მწარიანთ გიორგას გადმოცემით, თავის დროზე არსენ მეკოკიშვილი ჰყავდა ნაქცეული. ის რომ მსოფლიო არენაზე გასულიყო, აუცილებლად მიაღწევდა მსოფლიო ფალავნობას, მაგრამ „ფეხი ნაუცდა“, ციხეში მოხვდა და თავის სპორტულ კარიერასაც წერტილი დაუსვა. ლელიმ მძიმედ განიცადა შვილის მდგომარეობა და დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს გარდაიცვალა.

არჩილ ონაშვილმა, იგივე „ლელოს ბიჭმა“ ხუთი კლასის დამთავრების შემდეგ მეცხვარის პროფესია აირჩია. მაგრამ ფალავნობისთვის დაბადებულს, გული თბილისისკენ მიუწევდა, სადაც დიდი სპორტული არენა ეგულეობდა. 1935 წელს 18 წლის ჭაბუკმა, ახლობლების დახმარებით, ფესსაცმელების ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა, ხელობაც აითვისა და წარმოების მენიწვევც გახდა. იქვე, ფესსაცმელების ფაბრიკის კეთილმონყობილ სპორტულ ბაზაზე იკაჟებდა სხეულს. ათლეტური აგებულების



ახალგაზრდამ მალე მიიპყრო სპორტის მესვეურთა ყურადღება. დღითიდღე იზრდებოდა არჩილ ონაშვილის სპორტული სახელი. მაგრამ მისი მზერა მიპყრობილი იყო რესპუბლიკური არენისაკენ, სადაც უკვე გრგვინავდა ისეთი მოჭიდავეების სახელები, როგორებიც იყვნენ არსენ მეკოკიშვილი, შალვა გზირიშვილი, ნაკასაშვილი, ნათელაშვილი, ჯიჯიაშვილი და სხვები.

ლელოს ბიჭის სახელი ერთმა ამბავმაც აახშიანა.

იმ დროს ავჭალაში იდგა ქართული ლეგიონი, რომელსაც კარგად მონყობილი სპორტული ბაზა ჰქონდა. აქ იკრიბებოდნენ: გლდანის, მუხიანის, მცხეთის, დიღმის, ავჭალის მოჭიდავეები. ლელოს ბიჭს შესთავაზეს ავჭალის ლეგიონის ჩემპიონს დაჭიდებოდა. არჩილმა ხელის მოკიდებისთანავე ბეჭებზე დასცა მეტოქე. ის იყო არენიდან გამოსვლას აპირებდა, რომ კიდევ სთხოვეს ეჭიდავა. მეტოქე ასევე სწრაფად დადო ბეჭებზე. შესვენების გარეშე მესამეჯერ იგივე გაიმეორა და მასთან ჭიდაობის სურვილი ყველას წაუხდა. ამ ასპარეზობის შემდეგ ლელოს ბიჭს სახელი გაუვარდა, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო მოჭიდავეს.

1940 წელს თბილისში გაიხსნა ცირკის ახალი შენობა. არჩილ ონაშვილი უკვე 23 წლის იყო, საკმაოდ გამოცდილი და დაბრძენებული მოჭიდავე. ცირკის არენაზე პირველივე შერკინება ცნობილ ფალავან ნათელაშვილთან მოუწია. შეხვედრა ლელოს ბიჭის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. სამ დღეს სამი გამარჯვება იზეიმა ქვემძიმე წონაში. მაყურებელმა უცებ შეიყვარა დამწყები ფალავანი და ხანგრძლივ ოვაციებს უმართავდნენ ლელოს ბიჭს. თან საყვედურობდნენ: „რა არის, ბიჭო, ესე უცებ რომ გააკრავ ხოლმე ბეჭებზე მონინაალმდეგეს. არ შეგიძლია გაახანგრძლივო და გვასიამოვნო?“

აი, რას მოგვითხრობს ცნობილი მოჭიდავე არსენ ჭინჭარაძე: „1944 წელს თბილისის ცირკში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ლელოს ბიჭი და ცნობილი ფალავანი დუშელი ვახტანგ ლაფაური. ხალხი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს. გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა, აბაგუნდა დოლი, ზურნამ თავისი მიმზიდველი



ხმით მაყურებელს ამცნო ასპარეზობის დაწყება. ჯერ ნაზი ხმით აღულუნდა ზურნა, მაგრამ როგორც კი ლელოს ბიჭმა დაჯგუფუნა და ზევით აიტაცა დუშელი ლაფაური, ზურნამაც უმატა ხმას და გაისმა კიდევაც ხალხის მგრგვინავი „აააუჰ!“. დუშელი ლაფაური ბეჭებზე იყო გაკრული, ტაში გრიალებდა, ალტაცების ხმა აყრუებდა დარბაზს. ეს იყო ულამაზესი, ქართული, ვაჟკაცური ჭიდაობა.

ლელოს ბიჭი არსენ მეკოკიშვილსაც შეერკინა. ქალაქში ამის შესახებ აფიშებიც გამოაკრეს და ცირკშიც უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ლელოს ბიჭი გასახდელისაკენ რომ მიდიოდა არსენას შეეჩხა. მისეალმნენ ერთმანეთს. მერე არსენამ ლელოს ბიჭს მოფერებით უთხრა: „ბიჭო, შენ ძაან გაინიე და ჩემთან ჩანერილხარ საჭიდაოდ.“ ლელოს ბიჭმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ გაულიმა. როდესაც არჩილი გასახდელიდან არენაზე გადიოდა, მეზურნე ტუხომ გასამხნევებლად უთხრა: „აბა, შენ იცი.“ ამ შეჯიბრზე უპირატესობა ლელოს ბიჭის მხარეზე იყო, მაგრამ ჯენტლმენური შეთანხმებით შერკინება ფრედ დაამთავრეს. ჭიდაობას მსაჯობდა გიორგი კახნიაშვილი. როდესაც შევეკითხე არჩილს, რას ფიქრობდა ამ შეჯიბრის შესახებ, ასე მიპასუხა: „არსენ მეკოკიშვილი დიდების მწვერვალზე არის, ის უკვე ლეგენდარული პიროვნებაა და არ მინდოდა მისთვის ჩრდილი მიმეყენებინა“. ეს გულიდან ამოღებული სიტყვები იყო.“

ლელოს ბიჭის სპორტული დიდება დღითიდღე ზენიტს უახლოვდებოდა. იგი 1944 წელს, როგორც საქართველოს ორგზის ფალავანი და ბეჭდაუდებელი მოჭიდავე ქვემძიმე წონაში, მსოფლიო ჩემპიონობისთვის ემზადებოდა, მაგრამ ეშმაკისაგან იქნა ცდუნებული და მის სპორტულ კარიერას და არა მარტო სპორტულს, წერტილი დაესვა.

ლელოს ბიჭმა ოცდათექვსმეტგვერდიანი აღსარება დატოვა, სადაც ნათლად ჩანს, რომ მისი საქმე შურის გამო შეთითხნილი იყო. ეს რომ მართალი არ იყოს, საერო განათლებას მოკლებული კაცი თავს არ გაინვალებდა წერით. ამის დასტურად





და აგრეთვე განჯისათვის, აღსარების ბოლო სტრიქონებს წარმოგიდგენთ (სტილი დაცულია): „არხის დაკეტიდან ორი კვირა მეტი მოუნდნენ არხის გასუფთავებას ესეთი საქმის გამკეთებელს თურმე ათავისუფლებენ პატიმარს მეკი არც ეგ ვიცოდი 1953წ გადაიცვალა იოსებ სტალინი მაშინდელმა მეფემ მიკიტა ხრუშოვმა გამოუშვა დიდი ამინისტია გაიღო ციხეების და ლაგერების კარებები და 50 მილიონი პატიმარი განთავისუფლდა მეკი ორი თველა მქონდა მოსახდელი სასჯელი სრულიად უდანაშაულომ მომახდევინეს სასჯელი ძვირფასო წამკითხველო დამტოვებ კაცურ კაცად თუ ვერა“ (იხ. დედანი).

ახლის დაკეტიდან ორი ვიჯა  
მეტი მოუნდნენ ახლის გასუფთა  
ვებს. ესეთი საქმის გამკეთებელს  
თუხმე ათავისუფლებენ პატიმარს  
მეკი არც ვიცოდი 1953წ  
გადაიცვალა იოსებ სტალინი  
მაშინდელმა მეფემ მოუშვა ხრუშოვმა  
გამოუშვა დიდი ამინისტია  
გაიღო ციხეების და ლაგერების  
კარებები და 50 მილიონი  
პატიმარი განთავისუფლდა  
მეკი ორი თველა მქონდა  
მოსახდელი სასჯელი  
სრულიად უდანაშაულომ  
მომახდევინეს სასჯელი  
ძვირფასო წამკითხველო  
დამტოვებ კაცურ კაცად თუ ვერა

პატარძელი სამეფო სოფელი იყო, ხოლო მისი მოსახლეობა კი საქართველოს მონარქიის ერთგული. ამ ფაქტორმა პატარძელელთა შეგნებაში გააღვივა სამართლიანობის გრძნობა. სამშობლოს ერთგულებიდან, კაცობის დაუნერელი კანონებიდან გადახრა, ყოველთვის განსჯის საგანი ხდებოდა. რა თქმა უნდა, სამართალს

მეფე ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი აყენებდა. მე-19 საუკუნეში საქართველოში რუსეთის მიერ მეფობის გაუქმებამ, სამართლიანობის ინსტიტუტი ხელმძღვანელის გარეშე დატოვა. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ ღვთისმსახურთა უმრავლესობა ეგრეთ წოდებულ „ხელობის ადამიანებად“ (იგულისხმება გასამრჯელოს ფასად საღვთო საიდუმლოებების აღსრულება) აქცია. ეს უკანასკნელნი ღმერ-

თის მიერ დანესებულ სამართალს, ანუ სჯულის კანონს, ნაკლებადლა ქადაგებდნენ. თავადაზნაურობა, თვითგადარჩენისათვის, მამულების გაყიდვით იყო დაკავებული. ყოველივე ამან კი მშრომელი ქართველი ბოგანო გლახებად აქცია.



გარეკახელი „შავნაბდიანები“  
1890-იანი წლები

პატარძელის მოსახლეობამ, მიუხედავად გარედან მრავალი მცდელობისა, როგორც სამეფო სოფელმა, თავისი სიამაყე შეინარჩუნა და, რაც მთავარია, არ დაკარგა სიმართლის განსჯის უნარი. მხოლოდ შეიცვალა ერთი რამ, ადრე თუ სამართალს მეფე ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი აყენებდა, მე-19 საუკუნეში ეს ფუნქცია ხალხში გამორჩეულმა რიგითმა მოქალაქეებმა ითავეს. ამას მოჰყვა ეგრეთ ნოდებული „შავნაბდიანე-

ბის“ მიმდინარეობის ჩამოყალიბება, რომლებიც ცარიზმის ხელისუფლებას არ სცნობდნენ და ზოგჯერ სიმართლის დაცვა იარაღით უხდებოდათ. მათი მსხვერპლი ხშირად ხდებოდნენ ის ადამიანები, ვინც ხელისუფლებასთან ალიანსში მოსახლეობის უსამართლო ექსპლუატაციას ენეოდნენ. აი, აქედან, „შავნაბდიანებიდან“ დაიწყო ეგრეთ ნოდებული შავი სამყაროს ჩამოყალიბება და მისი ცენტრი გახდა ერთ დროს სამეფო სოფელი — პატარძელი. ჩვენ ერთი რამ არ უნდა შეგვემალოს, ეს შავი სამყარო არ იყო ის ქურდული მიმდინარეობა, რომელიც „ნკვდ“-ს დერეფნებში იშვა და შემდეგ „კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. ეს გახლდათ სამართლიანობის ინსტიტუტი, რომლის მემკვიდრენიც დღესაც ცხოვრობენ სოფელში.



## ს ა რ თ ი ჭ ა ლ ა



მე მას პატარა საქართველოს ვედახი. აქ ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხის ნარმომადგენელი და თითქმის ყველა ეროვნების ხალხი ცხოვრობს. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან მეცხრე წლისთავზე დავიბადე სართიჭალაში გერმანელი შვაბის იაკობ ბეკის იძულებით დატოვებულ სახლში. სტალინის სიკვდილის შემდეგ ქართველებისადმი აგორებული სიძულვილის და



შავი პურის ეპოქა, როგორც მცირეწლოვანმა მეც გადავიტანე. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, მშობლების და სოფლის საზოგადოებაში არსებულმა სითბომ ეს სირთულეები ადვილად გადამალახინა და ჩემი ბავშვობის წლები ერთ-ერთი საუკეთესოა ჩემს ცხოვრებაში. მდინარე იორსა და მის გარშემო ატეხილ ქალებში დიდ დროს ვატარებდი ჩემს თანატოლებთან ერთად. წნორის ხეების ტოტებით დაჩრდილულ მორევებში დაჭერილ მურწასა და ნაფოტას სულ სხვანაირი გემო ჰქონდა. მდინარის გაღმა, საკმაოდ შორს მდებარე ფურნიდან ჩვენამდე მოღწეული გამომცხვარი პურის სურნელი დღესაც სასიამოვნო მოგონებად დამრჩა. ქარსაცავ ზოლებში ომობანას თამაში, ლახტის წრე, შვიდკრამიტობანა, კლასობანა, წრეში ბურთი, ორდროშობანა და, რაც მთავარია, ხალხის სითბო და სიყვარული სამუდამოდ დარჩა ჩემს გრძნობა-გონებაში.

\*\*\*

სიყვარულის შემოქმედო,  
 ანდამატის ძალის მქონე,  
 როგორ მინდა ჩაგეხუტო,  
 თეთრი შურით დაგემონე.  
 ირგვლივ შვილებს ვინ დაგიღევს,  
 ქალებსა და მინდორ-ველებს,  
 აღმაფრენის ივრის ქალავ,  
 ლოცვა მარად გაგანათლებს,  
 ამაღლდი და გაიხარე.



\*\*\*

იაღნოს მთიდან სხივი გაბრწყინდა,  
სამგორის ველი ზეცად აზიდა,  
კვლავ გაიელვა ვახტანგის ხმალმა,  
ერის დიდებას მცველად დაუდგა.  
ირგვლივ განათდა გარეჯის მთები,  
ზეციდან მოჩანს უცხო რამ ძალა,  
უფლის დიდებით მოსვლას ნატრულობს  
ივრის მშვენება, მზე – **სართიჭალა**.

### იოსებ სიბომვილი

სოფელი სართიჭალა მდებარეობს ძველი კუხეთის მიწაზე, დღეს გარე კახეთს რომ ეძახიან, მდინარე ივრის მარჯვენა მხარეს, სამგორის ველზე, თბილისიდან თხუთმეტი კილომეტრის დაშორებით. მის სამხრეთით უკვე გარეჯის მთები იწყება.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები თავიანთ ნაშრომებში სოფელს მოიხსენიებენ არა როგორც სართიჭალას, არამედ სათისჭალას: „ხოლო არს მეოთხე სასპასპეტო ტფილისიდან, ვიდრე ტაშისკარამდე, მეფისთანა მყოფნი და იმ ზღვრების: აღმოსავლეთით ლილოს საზღვრით, რომელი განვლის შარობის ლილოსასა აღმოსავლეთ-სამხრითკენ ლოჭინამდე... მუნით განვლით სამგორსა ჩადივარს შუა და მრავალწყაროსა და სათისჭალას შუა“. სართიჭალა სათისჭალად მრავალ ადგილას მოიხსენიება, რაც შეიძლება ასე აიხსნას: ჭალა მდინარის პირა ტყიან ადგილს ჰქვია. სათი კი, როგორც დიდი ლექსიკოგრაფები სულხან-საბა და ნიკო ჩუბინიშვილი მიუთითებენ, არის გიშერი. „სათი შავი ქარვავა, გიშერი“, ადასტურებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც. ამ სიტყვას თვით დიდი შოთაც იყენებს: „ვარდმან ფერი განანათლა, ბროლი ბროლდა, სათი სათდა“, ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანში“.



რაც შეეხება სოფლისათვის სართიჭალის სახელწოდების მიკუთვნებას, ამის თაობაზე ხალხში შემორჩენილია ორი ლეგენდა. პირველი ლეგენდა თემურ ლენგის შემოსევებს უკავშირდება: თემურმა გაშლილ მინდორზე ადვილად სძლია ისედაც დასუსტებულ და დანანევრებულ ქართველებს და მათ ბოლომდე ასალაგმავად ივრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ქალაში სისხლისმსმელი ტომი, სართები ჩაასახლა, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ ახლომდებარე დასახლებებს. მათი წასვლის შემდეგ ამ ადგილს ხალხმა სართების ქალა უწოდა. მეორე ლეგენდა ამ ტერიტორიის ყიდვა-გაყიდვას უკავშირდება. ივრის ქალის მფლობელ ბატონს ვალი ჰქონია მოსაზღვრე სოფლის ბატონისა. ვალის გასტუმრების დროს ფული დაჰკლებია, უთქვამს: „სართად კიდევ ქალას მოგცემო“ აი, ასეთი გაყიდული ქალის სახელით არის კიდევ ცნობილი ეს ტერიტორია. ამ ლეგენდებიდან რომელია სწორი, არავინ იცის. ფაქტი კი ერთია, საქართველოს სამეფო კარი ყოველთვის დაინტერესებული იყო სართიჭალის მოშენება-მოლონიერებით.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ტოპონიმ „სართიჭალის“ ნაცვლადწერენ „სათისჭალას“. როგორც ჩანს ტოპონიმი „სართიჭალა“ გვიანდელი წარმოშობისაა, ანუ მისი ფესვები უნდა ვეძებოთ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, რადგან რუსეთის მოხელეების მიერ 1806 წელს გარსევან ქავჭავაძის მამულების აღწერის დროს (კერძოდ ელთა მულანლოს, რომელიც ერეკლე მეფის 1797 წლის 3 თებერვლის სიგელით გადაეცა თავადს), მოხსენიებულია სახელწოდება — სართიჭალა, როგორც სახაზინო სოფელი. აქედან გამომდინარე არ გამოვრიცხავ, რომ ტოპონიმმა „სათისჭალამ“ ფონეტიკური ცვლილება განიცადა ან ქართველების მეშვეობით ან რუსების მიერ აღწერების ჩატარების დროს (ამ უკანასკნელთ ეს სჩვევიათ. ცნობილია, რომ საქართველოს „გრუზია“ დაარქვეს, მტკვარს — „კურა“, ცხუმს — „სუხუმი“ და ა. შ.). ხოლო რაც შეეხება ზოგიერთი მკვლევარის და არამკვლევარის შეხედ-



ულებას და ზოგჯერ უსაფუძვლო მტკიცებას სართიჭალის, როგორც დასახლების და ტოპონიმის წინარე საუკუნეებში არსებობის შესახებ, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული, რადგან ჯერ ერთი თანამედროვე ტოპონიმი „სართიჭალა“ ისტორიკოსების მიერ ფაქტების მოყვანის დროს გამოყენებულია, როგორც გეოგრაფიული გზამკვლევი და მეორე აღნიშნულ ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტები განეკუთვნება სულ სხვა ისტორიულ პერიოდს, რომელიც, სამწუხაროდ, არ არის შესწავლილი და არავითარი კავშირი არა აქვს შუა საუკუნეების შემდგომ დასახლებებთან (საუბარია გარეჯის უდაბნოში ჩამარხულ ქალაქებზე).

სართიჭალის ტერიტორია, გარდა აზამბურის ველ-მინდვრებისა (ამ ადგილებს ხორბლის ყანების გამო სახელმწიფო ბელელს უწოდებდნენ) საგარეჯო ქვეყნის (გარეჯის სამონასტრო კომპლექსი) შემადგენლობაში შედიოდა და განლაგებაც და ტოპონიმებიც წმიდა მიწისა და მართლმადიდებლური სარწმუნოებისა ჰქონდა. სართიჭალაში მდებარე სიონის მთიდან (ახლანდელი სასიანო ანუ სასიონო) წმიდა ლაზარეს ტაძრამდე 15 უტევანი ანუ 2775 მეტრია, რაც ზუსტად შეესაბამება იერუსალიმის სიონის მთიდან ბეთანიაზე (სადაც ქრისტეს მეგობარი წმ. ლაზარე ცხოვრობდა) მანძილს. ბეთანია მდებარეობს ელეონის მთის საპირისპირო მხარეს. სართიჭალიდან იალონის(იალნოს) მთა მდებარეობს ჩრდილოეთით, ხოლო მის გადასწვრივ, ივრის მარცხენა მხარეს — ქორების მთა.

სპარსეთის და განსაკუთრებით შაჰ-აბასის გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ, ივრის მარჯვენა სანაპიროზე, დღევანდელი ძველი სართიჭალის ტერიტორიაზე, ახლად აშენებული წმიდა ლაზარეს ტაძრის გარშემო (რომელმაც ახლანდელი სახე მე-19 საუკუნის 40-იან წლებში მიიღო), მოსახლეობამ დაიწყო ნელ-ნელა დაფუძნება, ხოლო მე-18-ე საუკუნეში გიორგი მირზიაშვილის აშენებულმა ღვთისმშობლის ტაძარმა სოფლის დაფუძნებას მკვიდრი საძირკველი შეუქმნა.



ამ ორი ეკლესიის და სამგორის ლეგენდარულ გორებთან არსებული სამგორის ველის წმიდა გიორგის ტაძრის მადლით სოფელმა სართიჭალამ არა მარტო დასახლება, გაძლიერებაც დაიწყო და საბოლოოდ დამკვიდრდა გარეჯის ქვეყანაში.

სოფელმა სართიჭალამ, ქართველი გლეხის დაუღალავი შრომის შედეგად, საკმაოდ ფართოდ გაშალა ფრთები. მე-19 საუკუნის დასაწყისში მათ მეზობლად დაასახლეს გერმანელი შვაბები (მათ შესახებ ჩემს მიერ 2012 წელს გამოიცა წიგნი „გერმანელი შვაბები სართიჭალაში“), რომლებმაც დააარსეს სამი სოფელი: მარიენფელდი, პეტერსდორფი და ფრაიდენტალი.

ამჟამად სოფელში მდებარეობს და ესაზღვრება შემდეგი ადგილები:

„სასიანო (სიონის) მთა“, „აზამბური“, „საციკნის გორა“, „შუალა გორა“, „კოხია გორა“, „ჩუმათხევი“, „აბასთუმანი“, „ცუგროვანი“, „თამაშოვკა“, „შეფენილები“, „ბულახი“, „ქვაკაცა“, „პატრა მიწები“, „დარინდარა“, „ბაირამანთი“, „ციკანანთ ბალი“, „ნალმიანი“, „ლევანას ნაბლარი“, „გელაშვილები“, „ჭიჭიკოს ბალი“, „შურიას ქოხი“, „ორმოციანი“, „ატმები“, „პადვლები“, „მლაშვები“, „საკამისრო გორა“, „პლატონას დუქანი“, „ქერანაათ ხევი“, „ძეძვიან ხევი“, „ყინტორიანი“, „კოდას წყალი“, „ძირვენახები“, „დანვენილი კედელი“, „გვერდა“ და სხვა.

ჩამოთვლილი ადგილებიდან ბევრი, 1924 წელს, წითელი ტერორისტების მიერ სისხლით იქნა შეღებოლი.

წითელ ტერორისტებს სართიჭალაში და მიმდებარე სოფლებში, ადგილობრივი მაცხოვრებლების სახით, ბევრი აგენტი ჰყავდათ, რომლებიც სამსახურის ან გასამრჯელოს სანაცვლოდ, როგორც საკუთარ სოფელში, ისე მის შემოგარენში ბოლშევიზმის მტრებს „ავლენდნენ“ და ქვეყნის დამაქცევართ აძლევდნენ მოსაკლავად. მოსახლეობის დახვრეტა ძირითადად რკინიგზის მიმდებარე მინდვრებზე ხდებოდა. რამდენი მამულიშვილი ჩანვა ბოლშევიკების ტყვიით განგმირული სართიჭალის მიწაში, ეს სტატისტიკა ჩვენთვის უცნობია. მხოლოდ





ერთ შემზარავ ამბავს გავიხსენებ: 1924 წელს კომუნისტ-ბოლშევიკებმა აჯანყებულთა წინააღმდეგ ერთ აუნერელი ტერორი წამოიწყეს. ამ საქმის ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო სართიჭალაში განლაგებული აღმასკომის პრეზიდენტის თავმჯდომარის თანამემნე ხაშმელი გაბოლშევიკებული მენშევიკი ვანო (ტურა) მაისურაძე (თავმჯდომარე შ. ადიკაშვილი). მისთვის კაცის კვლა ჩიტებზე ნადირობის ტოლფასი იყო. 1924 წლის სექტემბერში ბალბიანის ძეძვიან ხევში დახვრიტეს პატარძეულის წმიდა შიო მღვიმელის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი დიმიტრი უსტიაშვილი. ის ჯერ კიდევ ცოცხალი დამარხეს მიწაში. დახვრიტეს აგრეთვე პატარძეულის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მცხეთელი მღვდელი ვასო კოზმანაშვილი. მათთან ერთად სიცოცხლეს გამოასალმეს პატრიოტი ვაჟკაცები: ცაცო მენაბდიშვილი, ილო მუჩიაშვილი, გიორგი ლაფერიშვილი, შაქრო (ჯაყრანა) ყუშიტაშვილი, ნიკო ფიცხელაური, სიკო კოტორაშვილი, სოლომონ ყუშიტაშვილი, ევგენი ბურდული, ვანო გაბროშვილი, ზაქარია ბილანიშვილი, პეტო თათარაშვილი, ღარაჩა ალექსაშვილი. მათთან ერთად უნდა დაეხვრიტათ მცირეწლოვანი მოსწავლე პლატონ ჯილაური, იგი რატომღაც გაათავისუფლეს, მაგრამ ტურა მაისურაძემ ეს ყმანვილი აჯანყების მეკავშირეობაში დაადანაშაულა, გათავისუფლებულს ცხენოსანი მილიციონერები დაადევნეს და ცუგროვანში მოკლეს.

სართიჭალელთა ასეთი აქტიურობა გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, რადგან სოფლის მოსახლეობა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან მოიხსენიება ერთ-ერთ უღარიბეს ფენად საქართველოში. ბარონი ჰაქსტჰაუზენი (1843 წ.) წერდა: „მეოთხე ჯგუფს (სოფ. სართიჭალის გლეხებისა) აქვს მხოლოდ სახლი. ამ უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნება გლეხები, რომლებიც ქირით ცხოვრობენ სხვებთან“.

1859 წლის მონაცემებით, თბილისის მაზრის სართიჭალის უბნის სახაზინო გლეხის თითო კომლზე მოდიოდა საშუალოდ



ცხენი 0.3, კამეჩი 0.8, ძროხა და დედა-კამეჩი 0.3, ხარი 1, ხბო 0.3, ცხვარი და თხა 5, ღორი 0.9 და ვირი 0.09. აქედან კარგად ჩანს, რომ საშუალოდ სართიჭალის უბნის არც ერთი გლეხი არ ყოფილა შინაური საქონლის საჭირო რაოდენობით მომარაგებული.

მშვიერი ადამიანი კი, რომელიც ამასთან მცირედ მორწმუნეა, გასამრჯელოსათვის ყველაფერზე ხელს აწერს. სართიჭალელები კი მართლმადიდებლობასთან ახლოს რომ არ იყვნენ, იქიდანაც ჩანს, რომ მე-19 საუკუნის 50-იან წლებში სოფლის ტაძარი, ისევე, როგორც საქართველოს ბევრი ეკლესია, ტერტერების ზეგავლენის ქვეშ მოექცა, რაც აისახა კიდევ მის არქიტექტურაში.

ბოლშევიკები შეეცადნენ დაენგრიათ ძველი ზნეობა, ახალი კი არსად ჩანდა. ისევ ხალხს უნდა გამოეძებნა თავის წიაღში ადამიანები, რომლებიც მაგალითის მიმცემნი იქნებოდნენ სართიჭალელებისათვის. ჩვენი ერის სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე ყოველთვის გვახსენებდა ბრძენი სენეკას სიტყვებს: „ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროა იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის განვრთნა და განმტკიცება. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვრწვთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო“.





## სოფიო (სონია) გენგაშვილი (1913-1976)



სართიქალაში გენგაშვილების გვარის წარმომადგენლები ყოველთვის წამყვან პოზიციებზე იდგნენ და დომინირებდნენ საზოგადოებაში. აქაც, როგორც ყველგან „... მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ – რჩეულნი“ (მათე 22.14.). ერთ-ერთი რჩეული გახლდათ ქალბატონი სოფიო (სონია) გენგაშვილი, რომელიც მაშინ მოუვლინა უფალმა სართიქალას,

როდესაც ძალიან უჭირდა, როგორც სოფელს, ისე მის მოსახლეობას. ქალბატონი სონიას მოღვაწეობის შესახებ, როგორც მის სიცოცხლეში, ისე მას შემდეგ, ბევრი ითქვა და დაინერა. ამჟამად გთავაზობთ ამონარიდებს პროფესორის, ჟურნალისტის, ჩვენი ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლის ბატონი ივანე ჯაფარიძის მოგონებებიდან:

„სოფიო ზურაბის ასული გენგაშვილი სართიქალაში დაიბადა და გაიზარდა. პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა სართიქალის დაწყებითი სკოლის დირექტორობით დაიწყო და მაშინვე მიიპყრო ყურადღება, როგორც ბრწყინვალე მონაცემების მქონე პედაგოგმა. სამი წლის შემდეგ, უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების მიღებისთანავე, ახალგაზრდა ისტორიკოსი კვლავ მშობლიურ სოფელს უბრუნდება და საშუალო სკოლის დირექტორად ინიშნება. აქედან იწყება სონია გენგაშვილის, როგორც უბადლო პედაგოგისა და აღმზრდელის, სამაგალითო მოღვაწეობა.

მისი სკოლაში მოსვლიდან დიდი ხანი არ იყო გასული, რომ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. სართიქალიდან, ისე როგორც



საქართველოს სხვა კუთხეებიდან, მრავალი ვაჟკაცი გაიწვიეს ფრონტზე. დაცარიელდა სოფელი, იგი მხოლოდ ქალების, ბავშვების და მოხუცების ამარა დარჩა. ამ მეტად რთულ და მძიმე ვითარებაში სონია გენგაშვილს სოფლის ინტერესების დამცველის უმძიმესი მისია დაეკისრა. სოფელსა თუ რაიონში არ არსებობდა საქმე, რომელშიც მას მონაწილეობა არ მიელო, მაგრამ ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი მისთვის მაინც ახალგაზრდობის აღზრდა იყო.

ყველანი იოლად წარმოვიდგენთ: ომის პერიოდში უპატრონოდ, უმამოდ დარჩენილი მოზარდისათვის, სიდუხჭირისა და გაჭირვების პირობებში რამდენი პრობლემა წამოტივტივდებოდა, რამდენი შესაძლო გზა გამოჩნდებოდა მათი გზიდან აცდენისათვის, მაგრამ სონია გენგაშვილის გმირობა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მან თავისი მხედველობის არეში მოაქცია ყველა სართიჭალელი ბავშვი, ყველა მოზარდი. სოფელში არ არსებობდა პიროვნება და ოჯახი, რომლის ჭირი თუ ლხინი სონია გენგაშვილს არ სცოდნოდა და არ გაეზიარებინა.

ომის დროს იყო შემთხვევები, როცა უპატრონოდ დარჩენილი მოზარდები ჩუმ-ჩუმად აზარტული თამაშებით ერთობოდნენ. განსაკუთრებით გახშირდა ზარისა და ბანქოს (კარტის) თამაში. ბავშვების ერთი ნაწილი სათამაშოდ ნასახლარებსა და გამოქვაბულებს ეტანებოდა, მაგრამ ყველა შემთხვევაში არ ეძინა სონია მასწავლებელს. იგი თავზე წაადგებოდა ხოლმე ამ ბავშვებს და მათ წესიერი გზიდან გადაცდენის საშუალებას არ აძლევდა. ეს ომგამოვლილი ბავშვები სონია გენგაშვილმა მრავალ შესაძლო უბედურებას გადაარჩინა და შემდგომში, მრავალი წლის შემდეგ, ხანში შესული ეს „ბიჭები“ უღრმეს მადლობას გამოთქვამდნენ მათი მხსნელი მასწავლებლის მიმართ.

სონია გენგაშვილისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა ბავშვი ახლობელი იყო, ნათესავი თუ მეზობელი, იგი ყველას პატრონი, დამხმარე და გზაზე დამყენებელი იყო. მას „სართიჭალის დედას“ ეძახდნენ და მისი ეს მზრუნველი ხასიათი განაპირობებდა



ესოდენ დიდ პოპულარობას მთელ რაიონში. ამიტომაც იყო, რომ სონია გენგაშვილს დიდად აფასებდნენ და ანგარიშს უწევდნენ მისი უფროსებიც – სოფლისა თუ რაიონის ხელმძღვანელები. არც ერთი საჭირობოროტო საკითხი სოფელში თუ რაიონში მისი მონაწილეობის გარეშე არ წყდებოდა.

მისი ჰუმანურობის, გულმონყალების, ობიექტურობისა და პიროვნული ხიზლის გამო იყო, რომ სახლის კარი ღია ჰქონდა ყველა გაჭირვებულისათვის და ვინ არ აკითხავდა რჩევისა და დახმარებისათვის. აბუჩად აგდებული ადამიანიც კი მასთან ურთიერთობაში სრულყოფილ ადამიანად გრძნობდა თავს და ღირსებას იბრუნებდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს სონია გენგაშვილის როლი სართიჭალის საშუალო სკოლის ავტორიტეტის შექმნასთან დაკავშირებით. იგი პირველი დღიდანვე შეუდგა სკოლის კეთილდღეობისათვის ზრუნვას და ამ ურთულეს გზაზე მისთვის დაბრკოლება არ არსებობდა. ოთარაანთ ქვერივივით „რკინის ქალამანს ჩაიცვამდა, რკინის ჯოხს დაიჭერდა ხელში“ და დასახულ მიზანს მიაღწევდა.

ომის პერიოდში, ბუნებრივია, როგორც ყველგან, სართიჭალის სკოლაც კადრების ნაკლებობას განიცდიდა, მაგრამ სონია გენგაშვილი ცდილობდა, მოეძებნა ნიჭიერი, მცოდნე, პერსპექტიული ახალგაზრდა მასწავლებლები და ხშირად ახერხებდა კიდევ ამას.

ერთ სასწავლო წელს სკოლაში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გამოგზავნეს. ცოლი ქიმიკოსი იყო, ქმარი – რუსული ენის სპეციალისტი. მათ სართიჭალაში სახლი არ ჰქონდათ და ისე მოხდა, რომ უსახსრობის გამო ბინაც ვერ იქირავეს. ახალგაზრდა პედაგოგები უკან აპირებდნენ გაბრუნებას, მაგრამ ქალბატონმა სონიამ ისინი არ გაუშვა, თავის სახლში შეიხიზნა, ერთი ოთახი დაუთმო და ბინის გარდა ლუკმა-პურსაც უყოფდა. ამ გზით შეუნარჩუნა მან სართიჭალის სკოლას მასწავლებლები ომის მძიმე პერიოდში.



სონია გენგაშვილი რომ შესანიშნავი მასწავლებელი იყო, ეს ყველა სართიჭალელმა ძალიან კარგად იცის, მაგრამ ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ იგი ახალგაზრდა პედაგოგების მოძღვარიც იყო. ჩამოსულ უცხო ადამიანს ისე მიიღებდა, ისე მიეფერებოდა, იმდენ სითბოს უჩვენებდა, რომ შემდეგ ამ ადამიანებს უჭირდათ მასთან განშორება. ამიტომაც იყო, რომ ბევრი ჩამოსული ადამიანი შემდგომ რჩებოდა სართიჭალაში.

ომის დროს სართიჭალაში ბევრი ევაკუირებული ადამიანი ჩამოვიდა. ამას ისიც დაერთო, რომ, სამხედრო აეროდრომის მშენებლობასთან დაკავშირებით, მრავალი რუსულენოვანი ოჯახი გაჩნდა. საჭირო გახდა, ჩამოსული ბავშვებისათვის, სკოლაში რუსული სექტორი გახსნილიყო. თითქმის ყველა საგნის მასწავლებელი მოინახა, მაგრამ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მოძებნა გაჭირდა. სონია გენგაშვილი, როგორც სკოლის დირექტორმა, მთავრობას სკოლისათვის მასწავლებლის გამოყოფა მოსთხოვა. ცოტა ხნის შემდეგ მართლაც გამოგზავნეს ახალგაზრდა, მაგრამ ფიზიკურად სუსტი ყმაწვილი. ახალბედა მასწავლებელს პირველ ხანებში ძალზე გაუჭირდა უფროსკლასელებთან კონტაქტის დამყარება და გაქცევა დააპირა, მაგრამ დირექტორის სათნო მოპყრობით, რჩევა-დარიგებით და დახმარებით იგი დიდხანს დარჩა ჩვენს სკოლაში. ის ახალგაზრდა მასწავლებელი შემდეგ თბილისის ერთ-ერთი სკოლის დირექტორი გახდა და მთელი ცხოვრების მანძილზე მადლიერების გრძნობით იგონებდა ძვირფას სონია მასწავლებელს – თავის პირველ დირექტორს და გზაზე დამყენებელს. ვინ იცის, რამდენი ასეთი მადლიერი ადამიანი ჰყავს გამოზრდილი ამ კეთილშობილ ადამიანს.

სონია გენგაშვილი განათლებული, მრავალი ინტერესის მქონე პედაგოგი იყო. იგი არა მარტო თავის საგანს – ისტორიას ასწავლიდა ბავშვებს, არამედ პიროვნებად, მოქალაქეებად აყალიბებდა მათ, რადგან იცოდა, დღევანდელი მონაფე ხვალ საქართველოს ძლიერების გარანტი უნდა ყოფილიყო.



ვაჟკაცობა, პატიოსნება, სამართლიანობა, მიმტევებლობა, მოყვასის სიყვარული, აი, რა შეგნებით ზრდიდა, რას შთააგონებდა იგი თავის მონაფეებს. გასაოცარია და დღემდე ამოუხსნელი, თუ როგორ ახერხებდა იგი ერთდროულად ყოფილიყო რბილი, მიმტევებელი და ამავე დროს საკმაოდ მკაცრიც. მისი აღზრდილებიდან ბევრს ალბათ დღესაც ახსოვს სონია მასწავლებლის ცაცია, ყურისძირში რომ მოხვდებოდათ ხოლმე, მაგრამ არცერთ მათგანს ამის გამო წყენა და ბოღმა არ ჩაუდევს გულში. პირიქით, ამას ყველა სიყვარულით, სითბოთი და სინანულითაც კი იხსენებდნენ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სონია მასწავლებელი მართალი იყო. ყველა ბავშვს სჯეროდა, ყველა გრძნობდა, რომ სონია მასწავლებელს თითოეული ბავშვი გულმხურვალედ უყვარდა, მის კეთილმოსურნეობაში ეჭვი არავის ეპარებოდა, რადგან ობიექტურობას ყველა ხედავდა.

მისი ობიექტურობის ერთ მაგალითსაც მოვიტან. ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ სონია გენგაშვილი, წლების მანძილზე, სკოლის დირექტორობას წარმატებით უთავსებდა შემცველ მოსამართლეობას. მისი მოსამართლედ ყოფნის დროს ბევრი უკანონოდ დასჯილი ადამიანი გათავისუფლებულა სასჯელისაგან.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ იქ, სადაც სიკეთე ზეიმობს და კარგად ჩანს, იქვე უთუოდ ბოროტებაც არის დამალული და ჩასაფრებული.

ერთხელ ომის დროს, მოსავლის აღებისა და დაბინავების შემდეგ, მომკილ მინდორში აქა-იქ დარჩენილი თავთავისა და ხორბლის მარცვლების შესაგროვებლად გაჭირვებული, ნახევრადმშიერი, წვრილშვილის პატრონი ქალები შევიდნენ. ერთმა ბოღმიანმა და ბოროტმა კაცმა დაბეზლებით თანასოფლელი ქალები დააჭერინა, როგორც სახელმწიფო ქონების ქურდები. უბედურებისათვის განწირულ ქალებს სამწლიანი მუხლი მიუყენეს და სასამართლო პროცესზე მოსამართლე სონია გენგაშვილი რომ არ ყოფილიყო, არავინ უწყის, რა ბედი ეწეოდათ

სართიჭალელ მანდილოსნებს. სონია მასწავლებელმა მისთვის ჩვეული ობიექტურობით და პრინციპულობით წარმართა საქმის მსვლელობა და საბრალო ქალები პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაუშვა სახლებში.



სონია გენგაშვილი იყალთოში  
შოთაობაზე

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სონია გენგაშვილი მრავალმხრივი ინტერესების მქონე ადამიანი იყო. იგი მუდამ ცდილობდა, ეს ინტერესი სხვებშიაც ჩაენერგა და გაეღვიძებინა. ამ თვისების გამოსამჟღავნებლად და გასააქტიურებლად ყველაზე კარგი მეთოდი იყო მოგზაურობა – ისტორიული და კულტურის ძე-

გლების გაცნობა, ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება. ამიტომაც იყო, რომ იგი არცერთ ხელსაყრელ მომენტს ხელიდან არ უშვებდა და სკოლის მოწაფეებისთვის და აღმზრდელი პედაგოგებისთვის ხშირად აწყობდა ექსკურსიებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

დღევანდელი ცხოვრების გადასახედიდან მეტად მნიშვნელოვნად, ისტორიულადაც კი ჩანს ერთ-ერთი ექსკურსია დავით გარეჯში. გარეჯის კომპლექსის დათვალიერების დროს ქალბატონი სონიას ყურადღება მიიპყრო ლამაზი გარეგნობის მქონე კაცმა. გაცნობისას იგი აღმოჩნდა დახვეწილი არისტოკრატიული მანერების მქონე, უაღრესად განათლებული ინტელიგენტი გიორგი ნამორაძე, რომელიც ადრე უკრაინაში ცხ-





ოვრობდა და მოღვაწეობდა. პოლიტიკური რეპრესიების დროს მას უკრაინაში ცხოვრება აუკრძალეს, როგორც პოლიტკატიმარს და განადგურებას რომ გადარჩენილიყო, თავი გარეჯის უდაბნოს შეაფარა. ქ-მა სონიამ ასეთი განათლებისა და ცოდნის მქონე ადამიანი თითქმის ველურ მდგომარეობაში, უსახსრო და გაჭირვებული რომ ნახა, თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა და რისკის ფასად, გიორგი ნამორაძე სართიჭალაში ნამოიყვანა რუსული ენის მასწავლებლად. იმ არეულ დროში სონია გენგაშვილის მოქმედება — პოლიტკატიმრისათვის თავშესაფრის მიცემა და ხელის გამართვა — თავგანწირვას ნიშნავდა. საკმარისი იყო, ვინმეს ერთი სიტყვა მიეტანა, სადაც ჯერ არს, მას დახვრეტა თუ ასცდებოდა, ციმბირში გადასახლებას ვერ გადაურჩებოდა. აქ მთავარი და აღსანიშნავი ისაა, რომ სონია გენგაშვილს სართიჭალაში ისეთი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული, რომ მისი დასმენაც ვერავინ გაბედა. ასე გადაარჩინა სონია მასწავლებელმა უდაბნოში ცხოვრებას დიდებული პიროვნება და შესანიშნავი მასწავლებელი გიორგი ნამორაძე.

ვიციტ, რომ სონია მასწავლებელს ყველაფერი კარგი უყვარდა, მაგრამ მაინც განსაკუთრებული იყო მისი ტრფიალი და სიყვარული ხელოვნების მიმართ.

თბილისში სპექტაკლი არ დადგმულა, თავის მოსწავლეებთან და კოლეგებთან ერთად რომ არ დასწრებოდა, იგი სპეციალურად ქირაობდა ავტობუსს, რათა სართიჭალელ ბავშვებს ჩვენი დროის უდიდესი ქართველი მსახიობები სცენაზე ენახათ. ეს სონია გენგაშვილისათვის აღზრდის თავისებური მეთოდიც იყო. მისი აზრით, თეატრი მოზარდის გონებრივი თვალსაწიერის გაფართოებისათვის, აზროვნებისათვის, დაფიქრებისათვის საკმაოდ ძლიერ მასალას იძლეოდა. თანდათანობით ეს მასალა ბავშვში ინტერესს აღძრავდა, რაც შემდგომ შემოქმედებით ენერგიად შეიძლებოდა გადაქცეულიყო.

ასევე არ გვაგინყდება სონია მასწავლებლის არაჩვეულებრივი დამოკიდებულება და სიყვარული ქართული სიმღერის



მიმართ. ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორ უყვარდა მას განსაკუთრებით ორი სიმღერა — „მორბის არაგვი“ და „მასხოვს პირველად“.

სონია გენგაშვილი თავისი ცხოვრების წესით ქართველი ქალის ტიპური განსახიერება იყო. იგი ჭეშმარიტად ილიასეული „დედაკაცი“ გახლდათ, რომელსაც ცხოვრებამ დიდი და მრავალმხრივი მისია დააკისრა. აბა, გაიხსენეთ, ვის შეეძლო მასავით ჭირისუფლობა და გვერდში დადგომა გაჭირვების დროს? ვის შეეძლო, ისე გამოთხოვებოდა ადამიანს უკანასკნელ გზაზე გაცილებისას, როგორც მას? ვის შეეძლო მისებრ ენამჭკვერობით ეთქვა ამ ქვეყნიდან წასული კაცის შესანდობარი ჭირის სუფრაზე? ვის შეეძლო სხვისი სიხარულით ისე გულწრფელად გახარება, როგორც მას? ალბათ, ბევრს არავის, რადგან მისთვის ცნებები „სხვისი“, „სხვა“ არ არსებობდა. ის ადამიანები, ვინც მის გვერდით ცხოვრობდნენ, მისი სულის განუყოფელი ნაწილები, მისი სისხლი და ხორცი, მისი ქვეყნის ძალისა და ღონის მიმცემნი იყვნენ.

მშობლიური სოფლის გაძლიერება-განვითარებისათვის დღე და ღამე ფიქრობდა. წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად შეძლო შეექმნა სოფელში აუცილებელ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელმაც მოიცვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვეული სფეროები. ამ სახალხო ინსტიტუტებმა შექმნეს მყარი ნიადაგი სოფელში ჯანსაღი სულის მატარებელი ახალგაზრდობის აღზრდისათვის. შედეგამაც არ დააყოვნა. 50-60-იანი წლების ახალგაზრდობა დღესაც თითოთ საჩვენებელია სოფელში.

სონია გენგაშვილს მიზნად ჰქონდა დასახული, სოფელში ჩამოეყალიბებინა ქართველების და იქ მაცხოვრებელი გერმანელების საზოგადოება, რომელთა საქმიანობა მომავალში ქვეყნის საზღვრებსაც გასცდებოდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა ეს წამოწყებული საქმე ჩაშალა. 1941 წელს გერმანელები, რომ-



ლებიც საუკუნეზე მეტ ხანს ცხოვრობდნენ სართიჭალაში, მარადიორული წესით გაასახლეს შუა აზიაში.

„რამდენი რამ გვახსენდება ჩვენს ძვირფას სონია მასნავლებელზე. მასზე დაუსრულებლად შეიძლება ილაპარაკო, მაგრამ შეუძლებელია, არ გავიხსენოთ რამდენი ენერჯია შეაღია, რამდენი იბრძოლა იმისათვის, რომ სართიჭალა გარდაბნის რაიონისათვის არ დაექვემდებარებინათ და საგარეჯოს რაიონში დაეტოვებინათ. რამდენი უმტკიცა მთავრობას, რომ უსამართლობაა სართიჭალელი მოქალაქე უბრალო ცნობისათვის გარდაბანში დადიოდეს, როცა საგარეჯო აგერ „ყურის“ ძირშია. თავდაუზოგავად, თანმიმდევრულად იბრძოლა და იდავა სონია გენგაშვილმა მთავრობაში და უმაღლეს ხელისუფლებაში. როცა მის ლოგიკურ მტკიცებებს ვერავითარი არგუმენტი ვერ დაუპირისპირეს, ჩიხში მოქცეული ხელისუფლების ერთ-ერთმა უმაღლესმა ჩინოსანმა უნებლიეთ სახელმწიფო საიდუმლოება გაამჟღავნა — ეს ჩვენ პოლიტიკური მიზნისათვის გვჭირდება და ამიტომ ვაკეთებთო.

რამდენი ასეთი ბრძოლა და ორომტრიალი გადაუტანია ქალბატონ სონიას, რამდენი დარდისა და ჭირ-ვარამისთვის გაუძლია ისე, რომ არავისთვის გაუმხელია, არავისთვის შეუჩივლია. მთელი ცხოვრების მანძილზე მუდამ შემართული იყო, არასდროს მოდრეკილა, არასდროს შემკრთალა. იცხოვრა სავსე ცხოვრებით, ჭირითაც, ლხინითაც, მაგრამ ცხოვრების აზრი ერთადერთი ჰქონდა — სიყვარული, მხოლოდ სიყვარული. აკი ამ სიყვარულითაც იცხოვრა, რადგან ბრძენი იყო და იცოდა — ამ ქვეყნად ყველაფერი წარმავალია, სიყვარულის გარდა.

სონია გენგაშვილმა სანამ იცოცხლა, უანგაროდ იცხოვრა, ბევრი სიკეთე თესა და ამით არ დაღლილა. სულით და ხორციით ჯანმრთელმა, ავადმყოფობა ერთბაშად იგრძნო. სიცოცხლე უყვარდა, სიცოცხლე სწყუროდა და დიდხანს ფეხ-



ზე დამდგარი ებრძოდა უკურნებელ სენს. არ უნუნუნია, თავი არავისთვის შეუბრალებია. ყველას ეგონა, არაფერი იცოდა თავისი მოურჩენელი ავადმყოფობის შესახებ, თვითონაც ისე იქცეოდა, თითქოს ვერაფერს ხვდებოდა — ამით შვილებს და ახლობლებს უიოლებდა მძიმე მდგომარეობას. სონია მასწავლებელი ავადააო — ერთბაშად ფეხზე დადგა მთელი სოფელი, მაგრამ ამას იყო ყოველგვარი ცდა. სისუსტე რომ უფრო მოეძალა, საავადმყოფოში მყოფმა სოფელში წასვლა ითხოვა: „სართიჭალაში წამიყვანეთ, მე აქ არ მოგვევლინები“. თხოვნა შეუსრულეს. გზაში, აღმართი რომ აათავეს, სართიჭალის სუფთა ჰაერმა შემოუბერა. თითქოს შვება იგრძნო, სუნთქვა გაუადვილდა, ალბათ, იმედის ნაპერწკალმაც გაკვესა, რომ მშობლიური მიწა გადაარჩენდა, მაგრამ ეს იმედიც ამას გამოდგა.

1976 წლის ადრე გაზაფხულზე, იებმა რომ მიწიდან ამოფეთქეს, სონია გენგაშვილის სული ზეცას შეეხიზნა. დაობლდა სოფელი, გლოვამ მოიცვა სართიჭალა, ფერი დაეკარგა სკოლას, თითქოს ჩაშავდა, ჩამუქდა ცხოვრება.

გამოთხოვების ჟამს სკოლის ეზოში გულწრფელი გლოვის თანმხლებ ალალ ცრემლში განბანილმა მზემ ღრუბლებიდან გამოანათა და ნათელი შარავანდედი მოჰფინა სონია მასწავლებლის საუკუნოდ დამშვიდებულ სახეს. თითქოს გარდაცვლილის სულს გამოუხმოო, უცნაურად აკიაფდა მზის სხივი, იდუმალი ხმა კი დაბეჯითებით მოგვინოებდა: ადამიანებო! იცხოვრეთ სიყვარულით და სიკეთით ისე, როგორც სონია გენგაშვილი ცხოვრობდა. გახსოვდეთ! მის მიერ გავლილი გზა სიკეთის გზაა! სიკეთის გზა კი უსასრულოა და უკვდავებაში გადადის!“

ქ-ნი სონიას დაწყებული საქმე მისმა შთამომავლებმა გააგრძელეს და არა სართიჭალის და საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით. მისი შვილიშვილი გიორგი ბადრიძე წლების განმავლობაში საქართველოს ელჩი გახლდათ დიდ ბრიტანეთში, ნინო ბადრიძე და ლევან ჯაფარიძე მოღვაწეობენ ამერიკის



შეერთებულ შტატებში, ხოლო ქ-ნი სონიას მოსახელემ – სოფიო ჯაფარიძემ თავისი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ მწერლობაში და ჩვენი ინტელექტუალური საზოგადოების ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი შვილები!



სონია გენგაშვილი მეუღლესთან სოლომონ გედევანიშვილთან და ქალიშვილებთან ერთად

**იმბურგ კოლაშვილი**  
(1933—1995)



მეოცე საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც ბოლშევიკები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ტაძრების ნგრევასა და მართლმადიდებლური რწმენის დევნაში, ასპარეზზე გამოვიდა ერთი მარტყოფელი მღვდელი, გიორგი ეპიტაშვილი, რომელიც მოღვაწეობდა სოფლებში – ხაშმსა და სართიჭალაში. მას თავისი სახის ფერის გამო მეტსახელად „ჩორნა“

შეარქვეს და ვინაიდან სართიჭალაში კოლაშვილებთან სტუმრობდა ხოლმე, თაფქვილიანთ (ასე ეძახდნენ კოლაშვილებს) მღვდელი დაარქვეს.

მამა გიორგის, როგორც ყველა მღვდელს, ბოლშევიკები ენაგადმოგდებულები დასდევდნენ და ავინროებდნენ. ხაშმში ტაძარი რომ დაუხურეს, მამაოს მრევლი არ მიუტოვებია, პირიქით, სოფელ-სოფელ დადიოდა და ოჯახ-ოჯახ ავრცელებდა და ამტკიცებდა საუკუნეებით ცეცხლში გამოვლილ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას. დევნიდნენ და მაინც თავისას აკეთებდა. კოლაშვილები გვერდში ედგნენ, ბოლშევიკებს არ აჩაგვრინებდნენ მამაოს.

უფალმა კარგად იცოდა, რომ მართლმადიდებლობისათვის მებრძოლ მამა გიორგის ბოლშევიკები მალე მოუღებდნენ ბოლოს (იგი 1937 წელს დახვრიტეს) და ამიტომ ქრისტეს რწმენით ავსილ კოლაშვილების ოჯახში, ქრისტემობის მარხვაში, 1933 წლის პირველ იანვარს მოავლინა იმბურგ კოლაშვილი, რომელ-



საც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს უნდა გადაედგა იმ წყობილების სანინაღმდეგო ნაბიჯი და დაეწყო სართიჭალაში ქრისტიანული სინმინდეების აღდგენა, რათა ხალხში კვლავ გამოეღვიძებინა და აელორძინებინა ქრისტეს სჯული და რწმენა. მანამდე კი, უფლის ნებით, მას ცხოვრების მძიმე პერიოდი უნდა გაეწვლო და გზა გაეკვლია თითქმის გაუვალ ლაბირინთებში, რათა აღსრულებულიყო ის, რაც მას ჰქონდა დავალებული უზენაესის მიერ.

იმბურგ კოლაშვილს ბავშვობაში, ისევე როგორც მის თანატოლებს, მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება. ხუთი წლის იყო, როდესაც მამა დაეღუპა. ობლად დარჩენილს დედა ზრდიდა. სწორედ მან ჩაუწერა და ასწავლა ყველა ის სიკეთე და ხალხის სიყვარული, რაც შემდეგ მისი ცხოვრების მიზანი უნდა გამხდარიყო. სკოლა არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ საცხოვრებლად თბილისში წავიდა, სადაც სწავლა გააგრძელა ფიზიკულტურის ტექნიკუმში. შემდეგ გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური და სწავლა დაიწყო კვების მრეწველობის სასწავლებელში. თან მუშად მუშაობდა მაკარონის ფაბრიკაში. დღე და ღამე დაუღალავმა შრომამ შედეგი გამოიღო. ფაბრიკაში ჯერ ბრიგადირად დაანინაურეს, შემდეგ ცვლის უფროსად, ხოლო ბოლოს წარმოების უფროსი გახდა.

1958 წელს დაოჯახდა. თითქმის ოცდაათი წელი ავლაბარში იცხოვრა, მაგრამ სართიჭალასთან ერთი წუთითაც არ გაუნწყვეტია კავშირი. ძალიან განიცდიდა, რომ მის გარშემო გაჭირვებული და ობოლი ადამიანები ცხოვრობდნენ, სულ იმას ცდილობდა, ისე დახმარებოდა მათ, რომ ამ უკანასკნელთ თავი დამცირებულად არ ეგრძნოთ. ამიტომ ქველმოქმედებას დიდი თავმდაბლობით და ზოგჯერ ისე აკეთებდა, რომ გაჭირვებულმა არც იცოდა, ვისგან იღებდა მატერიალურ დახმარებას. უარით არავის ისტუმრებდა. თუ არ ჰქონდა, ისეხებდა და მაინც ხელს გაუმართავდა.

ერთხელ იმბურგის მეუღლემ სახლში ორი ლამაზი ბროლის ვაზა მიიტანა და ქმარს უთხრა:



- იმბურგი, ეს ვაზები ძალიან მომეწონა, თან იაფია და იქნებ ვიყიდოთ.

ჭკვიანი კაცი იყო იმბურგ კოლაშვილი. მაშინვე მიხვდა, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ იყო და მეუღლეს ჰკითხა:

- კი, მაგრამ მაგ ვაზების გამყიდველმა ფასები არ იცის, თუ რაშია საქმე?

- მევალეები ანუხებენ და ფულის სესხება ვერ გაგიბედა, - თქვა ახლობლის დარდით შეწუხებულმა მეუღლემ, - ამიტომ 200 მანეთიან ვაზებს 50 მანეთად ყიდის.

იმბურგმა ჯიბიდან 200 მანეთი ამოიღო, გადასცა მეუღლეს და უთხრა:

- ასე უთხარი, ეს ვაზები იმბურგი კოლაშვილმა იყიდა და შენს სახლში შეუნახე, როცა დაჭირდება, წაიღებსო.

მაგრამ ის ვაზები მაინც გაიყიდა. ამის შემდეგ ანალოგიურ სიტუაციებში სხვაგვარად იქცეოდა. ძვირფას სამკაულებს ყიდულობდა, ინახავდა და მერე უკანვე უბრუნებდა პატრონს.

ერთხელ თვითონ გაუჭირდა. სასწრაფოდ იყო გადასახდელი გარკვეული თანხა. მთელი ახლობლები ფეხზე დადგნენ. ვისაც რამდენი შეეძლო, მოიტანა, სალამოს 10 საათზე კაპიკ-კაპიკ ძლივს შეგროვდა სრული თანხა. ამ დროს მათ ოჯახში ახლობელი ქალბატონი მისულა, რომელმაც მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა. იმბურგი გაუყვანია ცალკე ოთახში სასაუბროდ. ყველა მიხვდა, რომ ქალბატონი ფულის სათხოვნელად იყო მოსული. იმბურგ კოლაშვილმა არც ამ გაჭირვების ჟამს უღალატა თავის მრწამსს და ქალბატონს დიდი გაჭირვებით შეკონინებული თანხიდან დაეხმარა. ერთ-ერთი ახლობლის შეკითხვაზე - თუ რატომ გაიმეტა იმბურგიმ ეს „სიმწრით“ შეგროვილი ფული სხვისი პრობლემის მოგვარებისთვის, კოლაშვილმა უპასუხა: „ჩვენ ვიშოვიტ, იმას კი ჩვენი იმედი ჰქონდაო.“ მასთან ბევრი ხალხი მიდიოდა ფულის სასესხებლად. თუ ჰქონდა, უარს არავის ეუბნებოდა. მან კარგად იცოდა, რომ გაცემული ფულის უმეტესი ნაწილი უკან არ მობრუნდებოდა, მაგრამ ამაზე არ ნერვიულობდა,





პირიქით, სიამოვნებდა, რომ ადამიანს ეხმარებოდა. მორწმუნე იყო და კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა. ამასთან, ყოველთვის ახსოვდა დიდი შოთას სიტყვები: „რასაცა გასცემ, შენია. . .“

დიდ პატივს სცემდა ხალხის აზრს. მათ უსმენდა, ისინი უყვარდა. ვინმე თუ აწყენინებდა, მაინც სიკეთით უხდიდა. იტყოდა: „კაცი თუ ცუდს გაგიკეთებს, სიკეთით გადაუხადე. თუ გაიგებს, გამოსწორდება, თუ არა და, არაფერი ეშველება, მისი საქმე წასულიაო.“

სოფელში ჭირი თუ ლხინი მისი ქველმოქმედების გარეშე არ ჩაივლიდა.

პურმარილიანი კაცი იყო. მის ოჯახში სუფრა ძალიან ხშირად იშლებოდა. განსაკუთრებით ახალგაზრდებთან ყოფნა უყვარდა. ერთხელ ბიჭებმა სათევზაოდ დაპატიჟეს: „ოღონდ თქვენ წამობრძანდით, დანარჩენი ჩვენზე იყოსო.“ იმბურგს უარი არ უთქვამს. წავიდნენ. აყვნენ ივრის ხეობას და სოფელ პალდოსთან შეჩერდნენ, გაშალეს ბადეები და დაიწყეს თევზაობა. ბევრი ინვალეს, მაგრამ თევზი ვერ დაიჭირეს. გადაწყვიტეს ადგილის შეცვლა. მანქანასთან რომ მივიდნენ, სახტად დარჩნენ. თევზიც მანქანაში დახვდათ და ციკანიც. იმბურგი მანქანაში იჯდა და გაცელებულ ბიჭებს ღიმილით ეუბნებოდა:

- გმადლობთ, ბიჭებო. მე უკვე ვითევზავე და ვინადირე კიდევც.

დიდი გეგმები ჰქონდა. ივრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხიდიდან ხიდამდე, სკვერებისა და სათამაშო მოედნების მოწყობას აპირებდა. პროექტი კი შეადგენინა სპეციალისტებს, მაგრამ აღარ დასცალდა.

ძალიან უყვარდა თავისი სოფელი და ხალხი. ხშირად ხუმრობდა თავის მეგობრებში: „დედამინა სართიჭალის გარშემო ტრიალებსო.“

ბოლოს დადგა ჟამი, რათა აღსრულებულიყო ნება უფლისა, რისთვისაც იქნა მოვლენილი ამ ქვეყნად იმბურგ კოლაშვილი. ბოლშევიკების მიერ წმინდა ლაზარეს სახელობის ტაძრის



შებილწვის შემდეგ, მათ სასაფლაოზე მდებარე ღვთისმშობლის ეკლესიაში მოაწყვეს დივერსია და ერთ ახალგაზრდა კაცს შიგ ბომში ააფეთქებინეს, რის შედეგადაც ტაძრის გუმბათი ჩამოინგრა. იმბურგს დედის სიტყვები მთელი სიცოცხლის მანძილზე არ ასვენებდა: „შვილო, დიდი კაცი რომ გახდები, იქნება შენ მაინც მიხედო ღვთისმშობლის ეკლესიას, ხალხს ეშინია, ვეღარ შედის შიგ, ლამის თავზე დაგვექცესო.“

იმბურგ კოლაშვილმა ტაძრის აღდგენა კომუნისტური რეჟიმის პერიოდში დაიწყო, რაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ყველაფერი უფლის ნებით ხდებოდა და იმბურგსაც არავისი შეშინებია. სოფელიც გვერდში დაუდგა და ამით მან სართი-ჭალელებს გაუხსნა გზა ტაძრისაკენ.

ერთ ნაცნობ ებრაელს, რომელიც ისრაელში მიდიოდა, საქართველოში შეესყიდა და თან მიჰქონდა ოცდახუთი ძველი ქართული ხატი. იმბურგ კოლაშვილმა ძალიან დიდი ფული გადაუხადა ამ ებრაელს და სინმინდეები დაატოვებინა. ხოლო შემდეგ ხატების უმეტესი ნაწილი ეკლესიებს შესწირა, დანარჩენი კი მორწმუნე ახლობლებს აჩუქა.

იმბურგ კოლაშვილმა ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე პირნათლად შეასრულა უფლის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულება. ამასთან, დიდი წვლილი შეიტანა სართიჭალაში ვაჟკაცობის ინსტიტუტის ჩამოყალიბების საქმეში.



## დეკანოზი შალვა (შუბითიძე) - გოლისელი (1937 — 2006)

„ერთი ღმერთია უკვდავი, ძე მისი ჩვენთვის ტანჯული,  
და სული ღვთისა ძლიერი, მართალი რწმენა და რჯული,  
ისევე მოვა უფალი, ის შეუმცდარი მსაჯული,  
სამება ღმერთსა ვაქებდეთ, ვინც არ ვართ გადაქაჯული“.  
მამა შალვა (გოლისელი)



სართიქალაში მართლმადიდებლური სარწმუნოების აღდგენისა და ეკლესიის მშენებლობის საქმეში პირველი ნაბიჯი მამა შალვამ (შუბითიძე) ჯერ კიდევ ერში მოღვაწეობის დროს გადადგა. ქრისტიანული ტრადიციებით აღზრდილ ადამიანს ძალიან ალელვებდა ის ფაქტი, რომ სართიქალაში ერთადერთი, წმინდა ლაზარეს სახელობის ტაძარი, კომუნისტებმა „დაა-

ტუსაღეს“ ისევე, როგორც საბჭოთა მწერლების კავშირმა მისი პოემა „დავით აღმაშენებელი“.

1987 წელს, როდესაც უტოპიური სახელმწიფოს შემქმნელი და ღონედაცლილი ბოლშევიკ-კომუნისტები ანტიქრისტიანული მოციქულების, კაშპიროვსკის, ჩუმაკის და სხვათა ტელე თუ რადიო სეანსებით სამოცდაათწლიანი უაზრო ცხოვრებით დაქანცული ხალხის „გადაქაჯებას“ ცდილობდნენ, ერთი თავმდაბალი და სული წმიდით გაძლიერებული ერისკაცი შალვა შუბითიძე, საკუთარი ინიციატივით, იწყებს სართიქალაში, ლეგენდარულ სამ გორასთან მდებარე, სამგორის ველის წმი-

და გიორგის ეკლესიის აღდგენას. მას წინ უძღოდა, ჯერ კიდევ ერისკაც შალვა შუბითიძისთვის სიზმარში წმიდა გიორგის გამოცხადება, რომელმაც უბრძანა, რომ აღედგინა მისი სახელობის ტაძარი, რომელიც (თუ არ ჩავთვლით პატარა ნიშს) ფაქტიურად მიწასთან იყო გასწორებული. მხოლოდ პატარა ნიში იყო შემორჩენილი. შალვამ წმიდა გიორგი თავის გარდაცვლილ ძმას მიამსგავსა და ენყინა კიდევ, რატომ მელაპარაკება უმცროსი ძმა ბრძანების კილოთით. მერე რომ კარგად დააკვირდა, შეიცნო წმიდანი და მეორე დღესვე თანამოაზრეებთან ერთად შეუდგა ტაძრის აღდგენას (მამა შალვას ეს მონათხრობი ჩემი ხელით არის ჩაწერილი ი.ს.). მაგრამ, ერთმა კომუნისტების მიერ დიდი ხნით ადრე „გადაქაჯულმა“ თანამდებობის პირმა, სამჯერ დაუნგრია აშენებული ტაძარი. შეწუხდნენ მშენებლები. იძულებულნი გახდნენ ტაძრის დამანგრეველისათვის მუქარის წერილი დაეტოვებინათ მის მიერვე დანგრეული ეკლესიის გვერდით მდგარ ბზის ხეზე: „ვიციტ ვინცა ხართ. თუ კიდევ დაანგრევ ამ სალოცავს, სოფელს გადაწყვეტილი აქვს მოგიყვანოთ აქ და დაგკლათ, როგორც ზვარაკი“.




მიხეილ კურტანიძე

უფალმა შეაჩერა ავის მკეთებელი „გადაქაჯული“, მაგრამ ახლა ძეგლთა დაცვის სამმართველოში წამოყვეს თავები კომუნისტურ-ბიუროკრატიულ საწოლში მძინარე სხვა „გადაქაჯულებმა“ და რომ არა ღმერთის მფარველი ხელი, ყველა მშენებელს, შალვა შუბითიძის ხელმძღვანელობით, ციხეში უკრავდნენ თავს. მაინც გააგრძელეს მორწმუნეებმა ღვთის სახლის მშენებლობა. მართალია,

იგი კანონიკის დაცვით არ იქნა აგებული, სამაგიეროდ, საფუძველი ჩაეყარა დიდ მამულიშვილურ საქმეს, რომელმაც შემდგომ დიდი როლი შეასრულა სოფელში მართლმადიდებლური



სარწმუნოების განმტკიცების საქმეში. ან გარდაცვლილი მიხვილ კურტანიძე იგონებდა:



გურამ ნამალაძე

„მამა შალვას მეთაურობით ბევრნი ვმუშაობდით ტაძრის აღდგენაზე. მამაო მაშინ ჯერ მღვდელი არ იყო, ის აგროვებდა ხალხში შემონირულობას, მოჰქონდა ქვიშა, ცემენტი, თვითონვე აშენებდა კედლებს. მე აგრეგატზე ვმუშაობდი და იმით წყალს ვეზიდებოდი. სამჯერ დაგვინგრის. როგორც კი აგებულ კედელს დაინახავდა, მაშინვე ტრაქტორისტს გამოუშვებდა და სასანგრევად. ერთხელ ერთ

თათარს დაანგრევინა. მესამე დღეს ის თათარი ტრაქტორით გადაიჩეხა ხევში და ძლივს გადაურჩა სიკვდილს. ის ცნობილი წერილიც ჩემი დაწერილია. მე და მამა შალვა ბიძაშვილ-მამიდაშვილები ვართ და ერთად ვიზრდებოდით. ამიტომ დღედაღამ გვერდში ვედექი. მღვდელი რომ გახდა, მეც თან წამიყვანა წმინდა ლაზარეს ტაძარში და მას შემდეგ მუდმივად დავდივარ ეკლესიაში. შემდეგ ახალი, მთავარანგელოზთა ეკლესიის მშენებლობა დაიწყო და რომ დაამთავრა, ღმერთმაც წამიყვანა თავისთან. რაც შეეხება სამგორის ველის წმინდა გიორგის ტაძრის მშენებლებს, ჩემს მეხსიერებას მათი ძირითადი ბირთვის სახელები და გვარები შემორჩა, თუმცა ზოგი მათგანი დღეს ცოცხალი აღარ არის. ესენი იყვნენ და არიან: გურამ პაქსაშვილი, რეზო პაქსაშვილი და მისი სიძე ნუკრი, ამირან და იუზა გელაშვილები, გურამ ნამალაძე, ნარგიზ ტაბატაძე, თენგიზ გელაშვილი, ილია არაბული, ქრისტეფორე კოპაძე, გოჩა და თენგიზ შუბითიძეები, პარმენ გელაშვილი, ელიზო ნიკლაური, სერგო ჩადუნელი და სხვანი“.



აი, ასე, ჩემო მკითხველო. ვაჟა-ფშაველას ნათქვამი ნამდვილად შეესაბამება დღევანდელ ჩვენს დროებას: „მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა“. მარტო ქონების დაგროვებას გამოდევნებულმა სუბიექტმა მხოლოდ უფლის სახლის დანგრევა შეძლო, ხოლო ღვთის მადლით განათლებულმა ადამიანებმა, რომელთაც თავისი სიცოცხლე და ოჯახების კეთილდღეობა სასწორზე დადეს, ააშენეს ეკლესია.

ჩვენი დროის ეს შესანიშნავი გმირები ნამდვილად იმსახურებენ სართიქალის კოლორიტის საპატიო ნოდებას.

მამა შალვას (შუბითიძე) სულიერი მოძღვარი, მთავარეპისკოპოსი ზოსიმე (შოიშვილი) ბრძანებს: „მორწმუნე ადამიანის გზა არ არის იოლად გასავლელი. ძალიან ძნელია ცხოვრობდე ამ სოფელში და ამავე დროს იყო უცხო მისთვის. მორწმუნე კაცი კი მარტო და უცხოა ამ ქვეყნისათვის. რაც უფრო ღვთისაა კაცი, მით უფრო უცხო ხდება წუთისოფლისათვის, ზოგჯერ ახლობლებისთვისაც კი. ეს სიუცხოვე იმდენად მძიმე გადასატანია, რომ ბევრი ვერ უძლებს და ურჩევნია მიწიერად დარჩეს“.

ჯერ კიდევ დაუშლელი საბჭოთა კავშირის დროს, 1990 წელს, სართიქალის წმინდა ლაზარეს სახელობის ტაძარში აღდგა ღვთისმსახურება და ეკლესიის წინამძღვრად დადგენილი იქნა ან გარდაცვლილი მამა თეიმურაზი (ტულუმი). როგორც ყველა სოფელში, სართიქალელებიც მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების მიზნით თუ შეივლიდნენ ხოლმე ეკლესიაში. ზოგს ერიდებოდა მისვლა, ზოგი არ კადრულობდა, ზოგი ცინიკურად უყურებდა ეკლესიაში ღვთისმსახურების დაწყებას. ღმერთის შიში გამქრალიყო ხალხში, ღვთისმსახურება დაცინვისა და ჭორაობის საგნად ქცეულიყო. მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა მორიდებით, მაგრამ მაინც თამამად გადადგა ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე ნაბიჯი. ისინი, როგორც იტყვიან, მართლა თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ. ღვთის შიშმა და სულიერმა სისუფთავემ მიიყვანა ეს ადამიანები ტაძარში.



ქეთევან ჩაჩაურაშვილი

**ქეთევან (სირენა) ჩაჩაურაშვილი**-პირველი მედავიტნე წმინდა ლაზარეს სახელობის ტაძრისა. წმინდა ილია მართალი ბრძანებს: „დედაკაცობა“ უფრო მაღალი, სასიქადულო დანიშნულებაა ჩვენი დედებისა, დებისა და მეუღლეებისა, ვიდრე „ქალობა“ და „დედაკაცობის“ ჩამოხდომა „ქალობამდე“ იმ დიდი ცნების დადნობაა, რომელიც გამოიხატება სიტყვით „დედაკაცი“.

ჩემი აზრით, დღეს მშვენიერი სქესის წარმომადგენლებში გამორჩეულს, კარგი ქალი კი არა, არამედ დედაკაცი უნდა უწოდო, რაც ერთგვარ წოდებადაც შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენ სოფელში ასეთი დედაკაცები თითზე ჩამოსათვლელნი თუ არიან. ერთ-ერთ მათგანს კი წარმოადგენდა ქ-ნი ქეთევანი, რომელსაც ბევრი დედა ქეთევანად მოიხსენიებს ხოლმე.

ქეთევან ჩაჩაურაშვილის ცხოვრება უდიდესი ტრაგიზმით არის სავსე. მან, ავად სახსენებელი სენის გამო, სამი შვილი დაკარგა 10, 11 და 27 წლის ასაკში და ეს გახდა ძირითადი მიზეზი მისი ეკლესიური ცხოვრების დაწყებისა. 1976 წელს ქეთევანი თბილისის სიონის მრევლის წევრი გახდა. მისი პირველი მოძღვარი მამა რევაზი, ხოლო შემდეგ მამა ზურაბი (ანთაძე) გახლდათ. მაშინ, როდესაც საქართველოს საპატრიარქო მსოფლიო ეკუმენურ საბჭოში მოღვაწეობდა, შემდეგ კი, როგორც საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებული ორგანიზაცია, აქტიურად მონაწილეობდა ქვეყანაში სიგარეტის, ლუდის და სხვა მდარე ხარისხის პროდუქციის შემოზიდვაში, ქ-ნი ქეთევანი, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი იბრძოდა საქართველოში და კერძოდ სართიქალაში მართლმადიდებლური სარწმუნოების აღდგენა-გაძლიერებისათვის.



ქ-ნი ქეთევანი 1989 წლიდან ითხოვდა სართიჭალის წმინდა ლაზარეს სახელობის ტაძარში დაწყებულიყო წირვა-ლოცვა, მაგრამ მოწინააღმდეგენი ჰყავდა, რომლებიც ტაძარში მუზეუმის გახსნას ითხოვდნენ. ამასობაში ქეთევანი რუსთავის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში განაწესეს მედავითნედ. მღვდელი კი მამა თეიმურაზი (ტულუში) გახლდათ, რომელსაც ქეთევანი ჯერ კიდევ სიონის ტაძრიდან იცნობდა, სადაც იგი რვა წელიწადი დიაკვნად მოღვაწეობდა. შემდეგ ორივენი რუსთავის ახლადგახსნილ ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარში გადაიყვანეს. მიუხედავად ამისა, ქეთევანი ინტენსიურად მუშაობდა საპატრიარქოსთან, რათა სართიჭალაში გახსნილიყო წმინდა ლაზარეს სახელობის ტაძარი. შრომას უშედეგოდ არ ჩაუვლია და 1990 წელს სართიჭალაში მამა თეიმურაზთან და მცირერიცხოვან მრევლთან ერთად აღდგენილ იქნა ღვთისმსახურება. ქეთევანი კვლავ მედავითნეა. მამა თეიმურაზის ნასვლის შემდეგ იგი მედავითნედ მუშაობდა ჯერ მამა კვირიკესთან, ხოლო შემდეგ მამა შალვასთან, ხოლო 1997 წელს პროტესტის ნიშნად დატოვა ეკლესია. „მე წინააღმდეგი ვიყავი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მსოფლიო ეკუმენისტურ საბჭოში განწევრიანებისა, - ამბობდა ქეთევანი, - ამიტომაც პროტესტის ნიშნად მივატოვე ეკლესია და შევუერთდი ჩემს თანამოაზრეებს, რომლებსაც მაშინ განდგომილებად მოიხსენიებდნენ“. 2007 წლიდან ქ-ნი ქეთევანი კვლავ დაუბრუნდა სართიჭალის ეკლესიას.

„წმინდა ლაზარეს ეკლესიაში ღვთისმსახურების აღდგენა რამდენადაც სასიხარულო გახლდათ ჩვენთვის, იმდენად ბევრ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, - იხსენებდა ქეთევანი, - ხალხისთვის წირვა-ლოცვა ჯერ კიდევ მიუღებელი იყო. ისინი ვერ იგებდნენ მას და ამიტომ ხშირად ჩვენი მრევლის წევრები დაცინვის ობიექტები ხდებოდნენ. თუმცა მათ ვაჟკაცურად გაუძლეს შემოტევას. პირველი მრევლის წევრები იყვნენ: ან გარდაცვლილნი მარიამ ბუჩუკური და ქეთევან სამხარაული, ღმერთმა აცხონოს მათი სული. მგალობლები იყვნენ: გიორგი





დოცენკო, ნინო ბერიძე და ნინო კოკოზაშვილი. მრევლის წევრები: მარიამ ჩოფიკაშვილი, ელიკო სულთნიშვილი, ციალა იოსავა და ჭავჭავანიძეების ოჯახი: გია (ან გარდაცვლილი), ვახტანგი და ლია.” ქ-ნი ქეთევანი გარდაიცვალა 2013 წელს. ღმერთმა აცხონოს მისი სული.

**გიორგი დოცენკო** (ან უკვე ბერმონაზონი ნეკტარიუსი. მოღვაწეობს ბევრეთის მამათა მონასტერში), იგი დიდი ხანი სამუშაოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო წასული. მან ეკლესიური ცხოვრება იქაც განაგრძო, იყო წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მედავითნე. მისი მოძღვარი, აგრეთვე ამერიკაში მოღვაწე, მამა ალექსანდრე გახლდათ. გიორგიმ კარგად იცოდა, რომ ისეთი დიდი ცივილიზაციის ქვეყანაში და მასონთა სამფლობელოში, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია, მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის ძალიან ძნელია ცხოვრება და მოღვაწეობა. ამიტომ ის და მისი მრევლის წევრები მამა შალვას ხშირად უკვეთავდნენ წირვა-ლოცვას, რადგან კარგად იცოდნენ, თუ რა დიდი მადლი ტრიალებს წმინდა ლაზარეს ტაძარში, ხოლო თავმდაბალი მოძღვრის, მამა შალვას (მისი დეკანოზობა ორმა-სამმა კაცმა თუ იცოდა მრევლში) ერთი დალოცვაც საკმარისი იყო იმ დიდი მადლის მისაღებად, რომელსაც უამრავი მორწმუნე ითხოვდა, არა მარტო ჩვენთან საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.



ნინო ბერიძე

**ნინო ბერიძე** – მგალობელი. დაიბადა და გაიზარდა სართიჭალაში. „სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის დროს ეკლესიაში დავდიოდი და სანთლებს ვანთებდი, - იხსენებს ნინო, - ხოლო, როდესაც სართიჭალაში გაიხსნა წმინდა ლაზარეს სახელობის ტაძარი მე, გიორგი დოცენკო და ნინო კოკოზაშვილი მივედით მამა თეიმურაზთან (ტულუში). იგი პირველი წინამძღვარი იყო ახლადგახ-



სწილი ტაძრისა. მან ჩვენგან მგალობელთა გუნდი ჩამოაყალიბა. თვითონ მამაოს კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული და ისეთ მწიბორში ჩაგვყენა, როგორც კი შაბათ-კვირა მოვიდოდა, დათქმულ დროს ეკლესიაში მივიჩქაროდით. მაშინ გავიგე, რა იყო ეკლესიური ცხოვრება. მამა კვირიკეს და მამა შალვას დროს კვლავ მგალობელი ვიყავი და ამასთან ერთად უფრო აქტიურად ჩავერთე ეკლესიურ ცხოვრებაში. შემდეგ გიორგი წავიდა საზღვარგარეთ, მგალობლებად დავრჩით მე, ნინო და ციცო მასწავლებელი. შემდეგ შემოგვიერთდა ნინო სარჯველაძე. მამა შალვას კურთხევით, ხატების გადაბრძანებას ვახდენდით უბნიდან უბანში, სახლიდან სახლში. სოფლის მოსახლეობა გაცოცხლებული გვიყურებდა, ჩვენ კი დიდი სიამაყით ვაკეთებდით ამ საქმეს, შედეგმაც არ დააყოვნა და ხალხმა ნელ-ნელა პირი იბრუნა დედა ეკლესიისკენ“.



ნინო კოკოზაშვილი

**ნინო კოკოზაშვილი** – მგალობელი. იგი ახალგაზრდა ქალბატონია და მთელ თავის ენერჯიას მომავალი თაობის აღზრდა-განათლებას ახმარს. მოგეხსენებათ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობა დღევანდელ საქართველოში ძალიან ძნელია, რადგან ქართული ენა თავისივე ქვეყანაში რიგით ენად აქციეს და ისე დავენაფეთ რობინ ჰუდის ენას - ინგლისურს, თითქოს ბრიტანეთში ინგლისური

ენა აეკრძალოთ და ჩვენ იმ „საცოდავ“ ხალხს სოლიდარობას ვუცხადებდეთ.

„რა ენა წახდეს, ერი დაეცესო“ – არასოდეს არ დაუშვებს ამას ნინო კოკოზაშვილი. ის, თანამოაზრეებთან ერთად, მყარად დგას ქართული ენის სადარაჯოზე და იქიდან ფეხის მოცვლას არც აპირებს.



კიდევ ერთხელ გავიმეორებ მრავალჯერ ნათქვამს – ქართული ენა, ეს ლაზარეა, ხოლო მისი წმიდა სალოცავი სართიჭალა-შია. ნინო, მართალია, „შემოვლითი გზით“, მაგრამ მაინც ერთ-ერთი პირველი მივიდა ამ ტაძარში. თუმცა სჯობს, ამ შესანიშნავ ფილოლოგს თვითონ მოვუსმინოთ: „უჩვეულოა, ვერ ვიტყვი, თუმცა არც მთლად ჩვეულებრივი იყო ის, რომ სართიჭალელმა არც კი ვიცოდი, სად იყო წმინდა ლაზარეს სახელობის ეკლესია. თუმცა სიონში აღდგომის ლიტურგიაზე არაერთხელ გამითევია ღამე, მაგრამ სართიჭალის ტაძრებით არასოდეს დავინტერესებულვარ, ალბათ, იმიტომ, რომ მოქმედი არ იყო.“

მამა თეიმურაზი (ტულუში) იყო ის პირველი მოძღვარი, რომელმაც ეკლესიასთან ძალიან დამაახლოვა. უბრალოდ კი არ დამაახლოვა, უშუალო მონაწილე გამხადა ყოველი წირვა-ლოცვისა. მე და ჩემმა მეგობრებმა — ნინო ბერიძემ და გოგა დოცენკომ გალობა დავიწყეთ. თვითონ კონსერვატორია დამთავრებული მამაო არაჩვეულებრივი მგალობელი და ლოტბარი აღმოჩნდა. ჩემი, ერთი ადამიანის, ღირებულებების ჩამოყალიბებაში დიდი წილი აქვს მამა თეიმურაზს. მას გასიგრძელებული ჰქონდა თავისი მოვალეობა. იყო ძალიან თბილი, ყურადღებიანი და, ამავე დროს, ძალიან ადამიანური მოძღვარი. მან ერთ ოჯახად შეგვკრა მრევლი, ტაძარი ჩვენს უპირველეს სახლად აქცია. ასეთები დავხვდით მამა შალვას (შუბითიძე).

„შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო,“ – ნათქვამია. მამა შალვამ სანინაალმდეგოში დაგვარწმუნა. არ ვიცი, რა ენერჯისა და მადლის მატარებელი იყო ეს ადამიანი: მრევლი ერთიორად გაიზარდა. წირვა-ლოცვა ღამისთევებით გახშირდა. რაც მთავარია, ჩვენ ყველანი ვგრძნობდით მამაოსაგან მომავალ დიდ ძალას. ის იყო ძალიან უბრალო, თბილი, მთელი თავისი ძალისხმევით ღვთის გზაზე მდგარი კაცი.

შეიძლება ითქვას, მამა შალვამ თავისი ენერჯია, ცოდნა, ჯანმრთელობაც კი უფალსა და მრევლს მოახმარა. მთლიანად დაიხარჯა და თვითონაც კი ვერ იგრძნო, როგორ ნელ-ნელა შეუყვა სასუფეველის გზას“.



**„ნაყოფთა მათთაგან იცნეთ იზინი...“ (მათა 7,16).**

2006 წელს მთავარანგელოზთა დღესასწაული ახლოვდებოდა. სარეცელზე მიჯაჭვულმა მამა შალვამ (შუბითიძე) მორიგებით მოითხოვა, შეენუხებინათ მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, მროველ-ურბნელი მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი), რათა მისთვის სულის გასვლის ლოცვები წაეკითხა. 20 ნოემბერს მეუფე იობი ჩამობრძანდა სართიჭალაში, სნეულებისაგან დაუძღურებულ მამაოს ლოცვები წაუკითხა. შემდეგ ექიმის მიერ დანიშნული ყველა წამალი და ნვეთოვანი მოუხსნა, ოჯახის წევრებს კელაპტარი გადასცა და უთხრა: „დაანთეთ, ილოცეთ და როდესაც კელაპტარი ჩაინვება სული იმ ქვეყნად გავაო“. წუთები აკლდა მთავარანგელოზთა დღესასწაულის დადგომას... კელაპტარი ჩაინვა... მამა შალვა დამშვიდდა. ყველას, განსაკუთრებით სკეპტიკოსებს, ეგონათ მამაო სააქაოს მობრუნდებო, მაგრამ აღსრულდა მეუფე იობის სიტყვები და მთავარანგელოზთა დღესასწაულის დანყების წინ, უფალს სული მიაბარა სართიჭალის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის ამშენებელმა და წინამძღვარმა მამა შალვამ, რომელმაც სამღვდელო მოღვაწეობა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასწყისში ასევე მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრიდან დაიწყო, რომელიც ნილკნისა და დუშეთის ეპარქიის სოფელ მჭადიჯვარში მდებარეობს.

...მისი სული ანგელოზებმა ჩაიბარეს...

გარდაცვალების წინ მამა შალვა თავის სულიერ შვილებს გვესაუბრებოდა, როგორც ერთად, ასევე ცალკე. ამ საუბრებში გამოიკვეთა ერთადერთი თხოვნა, რომელსაც მუდმივად იმეორებდა: „ჩემი დანყებული საქმე გააგრძელეთ.“ მამაოს დანყებული საქმის გაგრძელება არ იყო ადვილი. ის იყო უდიდესი მლოცველი და საეკლესიო მოღვაწე, ტაძრების ამშენებელი, ქველმოქმედი, პოეტი და ღვთიური მადლის მატარებელი ადამიანი. წმიდა გამალიელის სიტყვებს გავიხსენებ: „თუ საკაცობრიო საქმე წუთისოფლის კაცთაგან არის მოფიქრებული და დანყებუ-



ლი, ის მალე დაიშლება და გაგრძელებას ვერ ჰპოვებს, ხოლო თუ ის ღვთისგან არის კურთხეული, მას ვერაფერი შეაჩერებს.” მამა შალვას გარდაცვალების შემდეგ მისი ორი სულიერი შვილი (მასთან მომსახურე სტიქაროსნები — გიორგი ნიკლაური და მალხაზ კოტორაშვილი) სასულიერო პირები გახდნენ. სქემარქიმანდრიტი სერაპიონი (ნიკლაური) გახლავთ გარეჯის დოდორქის მონასტრის წინამძღვარი, ხოლო დეკანოზი მირიანი (კოტორაშვილი) - ურბნისის და რუისის ეპარქიაში მოღვაწე დეკანოზი. ხოლო ან გარდაცვლილი სქემმონაზონი თეოფანია (ერისქალობაში ეთერი კავლელიშვილი, სართიჭალის ეკლესიის მესანთლე. დეკანოზ მირიან კოტორაშვილის დედა) - ურბნისის დედათა მონასტრის დედაო გახლდათ და მონასტრის ეზოშია დაკრძალული.



შუაში სქემარქიმანდრიტი სერაპიონი (ნიკლაური) მარცხნივ დეკანოზი მირიანი (კოტორაშვილი) და მარჯვნივ ბერდიაკონი იოსები (კარელიძე)

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბერდიაკონი იოსები (კარელიძე), რომელმაც მამა შალვას სიცოცხლეშივე იტვირთა უდიდესი სიმძიმე, როგორც ბერობისა, ასევე ტაძრების ამშენებლისა. მან ურბნისისა და რუისის ეპარქიაში ააშენა 23 ეკლესია — სურამის წმ. იოზებულის, ძამას წმ. საბა განმწმენდელის,

კოდმანის წმ.გაბრიელ ქართველის, ქარმელის წმ. ელია წინასწარმეტყველის და წმ. ზაბულონისა და წმ. სუსანას, საბერიოს წმ. გაბრიელ მცირის, წიფლოვანას წმ. ეკატერინეს და ღვთისმშობლის მიძინების, ბერმუხას წმ. დიდმონაშენ მერკვირის, ორხ-



ევის ნმ. ორმოც სებასტიანელი მონამის, ქოზიფას ნმ. ლაზარეს (გვირაბი), ნმ. გიორგის და ნმ. ცამეტ ასურელ მამათა, ბერთუბნის ნმ. ვახტანგ გორგასლის, შუანოს ნმ. ანტონი დიდის და ნმ. დავით გარეჯელის და ნმ. ლუკიანეს, ელბაქიანის ნმ. გიორგის, აბუხალოს ნმ. დავით გარეჯელის სახელობის ტაძრები. აგრეთვე მონაწილეობა მიიღო სართიჭალის ღვთისმშობლის ტაძრის აღდგენაში და მთავარანგელოზთა ტაძრის მშენებლობაში.

მამა იოსების ღვანლი გამორჩეულად იქნა დაფასებული. მას მიუფე იობმა (აქიაშვილი) იოსებ მაშენებელი უწოდა.

ღვთის სადიდებელ შრომას ბოროტის მხრიდან უკვალოდ არ ჩაუვლია. როდესაც მეოცე ტაძრის (ძამას ხეობის ბერთუბნის ნმ. ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესია) მშენებლობა მიმდინარეობდა, დროებით მამა იოსები სოფელ სართიჭალაში იყო ჩამოსული, სადაც ჰქონდა ხილვა. აი, რას მოგვითხრობს მამა იოსები: „ჩემი სახლის ეზოში ვიდექი, როდესაც დავინახე პატარძელის მთებზე როგორ შეგროვდა შავი ღრუბლები, დაიჭმუჭნა, საშინელი სანახავი იყო. შემდეგ დაიძრა ჩემი მიმართულებით. შემეშინდა. ამ დროს ღრუბლის გვერდით გაიხსნა ცა, გამოჩნდა ლამაზი შავთმიანი ჭაბუკი, რომელმაც ეს ღრუბელი გასწია და უკან წაიღო. ამ დროს ჩამესმა ხმა: „ეს ის არის, მათი მთავარი, რომელსაც შენი დაღუპვა უნდოდა. უფალმა შეგინყალა. რაც იხილე, ეს ყოველივე მხოლოდ შენთვის გაიხსნა, სხვისთვის ეს დაფარულია“. ასე იხსნა უფალმა თავისი მონა გამძვინვარებული სატანის კლანჭებისაგან. მამა იოსების შესახებ ჩვენ ქვემოთ უფრო სიღრმისეულად გვექნება საუბარი.

მამა შალვას ქველმოქმედებას საზღვარი არ ჰქონდა. მისი დაკრძალვის დღეს, თბილისიდან ჩამობრძანებულ ინტელიგენციის წარმომადგენლებთან მომიწია ურთიერთობა. როდესაც მათ მამა შალვას საცხოვრებელ სახლს შეხედეს, გაკვირვება ვერ დამალეს: „კაცმა ორი ტაძარი ააშენა და საკუთარი სახლი დაუმთავრებელი აქვსო.“ თავად მოკრძალებულად მცხოვრებ ადამიანს, სხვისი გაჭირვება უფრო მიჰქონდა გულთან, ვიდრე



თავისი. განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც მოსახლეობის უმრავლესობას პურიც კი არ ჰქონდა (მხედველობაში მაქვს 90-იანი წლები). დღისით რომ ეკლესიაში შემონირულობა შედიოდა, საღამოს ან მეორე დღეს ის გაჭირვებულებს ურიგდებოდა, შემუშნევლად, ისე, რომ მათი თავმოყვარეობა არ შელახულიყო. ან კიდევ სახლში უგზავნიდა. არ არის ადვილი მუდმივად იყო საეკლესიო მსახურებაში, აშენო ტაძრები და იყო ქველმოქმედი.

მამა შალვას, როგორც მწერლისა და პოეტის გზის გამგრძელებელი გახლავთ მისი სულიერი შვილი ქ-ნი მაცვალა გონაშვილი, რომელსაც, თავისი განუმეორებელი ნიჭის წყალობით, მიენიჭა საქართველოს პოეზიის დედოფლის წოდება და კვლავ არჩეულ იქნა ჩვენი ქვეყნის მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ. არც ქ-ნი მაცვალა, არც მწერალთა კავშირის წევრები ერთი წუთითაც არ ივიწყებენ იმ გვერდში დგომას, რომელიც მამა შალვამ გასწია მწერალთა კავშირის და მისი ისტორიული შენობის შენარჩუნების საქმეში.

თქვენმა მონა-მორჩილმაც სცადა გაეგრძელებინა მამა შალვას ინტელექტუალური საქმიანობა. თუ რამდენად შევასრულე მისი ანდერძი, ღმერთმა და მკითხველმა განსაჯოს.



მამა შალვა (შუბითიძე) და ქ-ნი მაცვალა გონაშვილი



\*\*\*

ძალიან დიდი და უცნაური გულისწყვეტა მოგვიტანა მამა შალვას გარდაცვალებამ. ამის მიზეზი კი მხოლოდ ერთი იყო – სოფელმა ვერ იცნო ბოლომდე მამა შალვა, ვერ მოუფრთხილდა მას. რალაც უხილავი ელობებოდა წინ მის ცნობასა და მოფრთხილებას. ჩვენ ჩვენივე მცირედმორწმუნეობის გამო, ვერ შევძელით ამ წინააღმდეგობის გადალახვა. მჯერა, რომ თავისი სულნათელი თვისებების გამო, მამა შალვა ამ ცოდვასაც შეგვიტანდა. ის ხომ ჭიანჭველასაც არ დაადგამდა ფეხს. ერთხელ სატრაპეზოდან უცნაური კაკუნის ხმა შემომესმა. შევიხედე, იჯდა მამაო სკამზე და ჩანგლით მაგიდის ფეხზე აკაკუნებდა.

- ხომ მშვიდობაა, მამაო? – ვკითხე მორიდებით.

- ჭიანჭველები დახვევიან მაგიდაზე დაღვრილ სიტყვობებს, კაკუნის ხმაზე აქეთ წამოვლენ და მაგიდის ფეხიდან ჩავლენ ქვევით. ხომ არ დავხოცავ, ღმერთის გაჩენილები არიან ესენიც.

გამახსენდა დავით მეფესალმუნის სიტყვები: „ყოველი სული აქებდით უფალსა“.

მამაომ კარგად იცოდა, რომ ერი ვერ გაითავისებდა მას ბოლომდე, რომ მისი ადგილი არ იყო აქ, რომ იგი უფლის კუთვნილება იყო.

„როგორიც მღვდელიაო, ისეთიც ერიაო“ – უთქვამს საქართველოს უგვირგვინო მეფეს ილია ჭავჭავაძეს. ასეც იყო ჩვენს სოფელში. საეკლესიო მოღვაწეობის გაძლიერებამ (ტაძრების მშენებლობა, წიგნების გამოცემა, ხშირი ღამისთევის ღოცვები, წმინდა ადგილების მოლოცვა ფეხით და სხვა.) ხალხში მეტი ნათელი შეიტანა. სექტანტები საერთოდ აღარ ჩანდნენ. სხვა აღმსარებლობის ადამიანებიც ერიდებოდნენ მართლმადიდებლებთან ურთიერთობის გამწვავებას. მხოლოდ ბოროტი ვერ ისვენებდა და ველარაფერს რომ ვერ ახერხებდა მადლიანი მოძღვრის წინააღმდეგ, ბოლოს თავისი „მოციქულების“ ანუ პატარა ემბაკუნების მეშვეობით მამაოს განკითხვა დაიწყო: „ქად-





აგება არ უვარგა, ვერაფერს ვიგებთო“. მამაოს მართლა ჰქონდა დაბადებიდან ადამიანური ნაკლი, რაც მის მეტყველებაში აისახებოდა, მაგრამ გასაკვირი ის იყო, რომ აღნიშნულის შესახებ ის ადამიანები საუბრობდნენ, რომელთაც დღესაც პრეტენზია აქვთ ინტელიგენტობასა და სწავლა-განათლების კორიფეობაზე და იმდენს ვერ ხვდებოდნენ, რომ იქვე მათ თვალწინ უდიდესი ეპისტოლე (პოემა „დავით აღმაშენებელი“), ქადაგებების ერთგვარი კრებული უამრავ სიბრძნეებს ღალადებდა და ღალადებს. მათ ეს პოემა-ეპისტოლე ბოლოდან მაინც რომ გადაეშალათ და იქ ერთი სტროფი ამოეკითხათ, საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებულებს, შეიძლება აზრი შეეცვალებათ:

„ვადიდებ წმინდა სამებას და მის ერთგულსა ქართველსა,  
დავლოცავ მართალი რწმენით, ამ წიგნის სრულ წამკითხველსა...“

კვლავ გავიხსენებ სართიჭალის ერთ-ერთი კოლორიტის, აწ განსვენებული მავრასი გელაშვილის სიტყვებს: „ვისაც წიგნი მხოლოდ თაროზე დასადებად სჭირდება, მას ათმაგად უნდა მიყიდო იგი, რათა მოგეცეს საშუალება, რომ წიგნის მოყვარულს, ეს საგანძური აჩუქო“.

ხოლო იმ სუბიექტებს, ვისაც მამა შალვას ქადაგება და მეტყველება მადლის მიღებაში ხელს უშლიდა, მინდა შევახსენო, როდესაც გალაკტიონი თავის ლექსებს კითხულობდა, როგორც გინდა დაგეძაბა გონება, ნახევარს ვერ გაარჩევდი. ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ ის ცუდი პოეტი იყო.

მამა შალვას გარდაცვალების შემდეგ, სართიჭალაში ადგილობრივი სექტები ხომ გამოფხიზლდნენ და დაიწყეს თავიანთი, ვითომ სარწმუნოების ქადაგება, ბოროტმა ეს არ გვაკმარა და მეზობელი სოფლებიდან გამოდევნილი იელოვას მონმეებიც შემოგვისია, ეგ არის და სართიჭალაში მადლი აღარ ტრიალებს და გზა ხსნილი გვაქვსო. სრული თავისუფლება მიეცათ აგრეთვე, ჩვენი სასიქადულო პოეტის აღექსანდრე ჭავჭავაძის „საჩუქრად“ დატოვებულ უცხო ტომელებს, რომლებმაც



ჩვენი უნჯი-მუნჯიობით ისარგებლეს და ისედაც ხელისუფალ-  
თა უნიათობით, შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ სართი-  
ჭალაში ქართველთა მინა-წყლის მითვისება დაიწყეს. ყოვე-  
ლივე ამის შემდეგ კიდევ ვიტყვით, რომ ნაკითხული გვაქვს  
მამა შალვას პოემა „დავით აღმაშენებელი?!“ თუ ეს ეპისტოლე  
ვინმეს დიდი ეჩვენება, მას მოკლედ შევახსენებ წმინდა ილია  
მართლის სიტყვებს:

„ჩვენისთანა ბედნიერი  
განა არის სადმე ერი?...  
...ყველა ყრუი, ყველა ცრუი...  
...მცირე, დიდი, ყველა ფლიდი...  
...მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობი,  
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი...“ და ასე შემდეგ.

\*\*\*

საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში სასწრაფოდ  
უნდა დამთავრდეს „ცხვრის ტყავში“ გახვეული „მგლების“ თა-  
რეში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი სამშობლო უფსკრულში  
გადაიჩეხება.

მიუხედავად ასეთი ზენოლისა, მამა შალვა განაგრძობდა თა-  
ვის საქმიანობას. იგი სიცოცხლის ბოლო თვეების განმავლობაში  
ძალიან იყო შენუხებული საქართველოში მიმდინარე პროცესე-  
ბის გამო. ხშირად ვსაუბრობდით აფხაზეთის, სამაჩაბლოს და  
სამცხე-ჯავახეთის შესახებ. ერთხელ მითხრა:

- შვილო, ეს ჩვენი მთავრობა ამერიკელების იმედზეა და  
იმას კი არ ფიქრობენ, რომ ისინი ჩვენს ქვეყანას არასდროს არ  
გაამთლიანებენ, რადგან მართლმადიდებლობის მტრები არი-  
ან. ჩვენ თავს ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ. მე რაც შემიძლია



ვლოცულობ და ვევედრები უფალს, რომ გადმოგვხედოს და დაგვეხმაროს, - შემდეგ რვეული გადმომცა და მითხრა, - ეს ჩემი ლექსია. უფლის დავალებით ვევედრები ნმიდა ვლადიმირს, რომ დაეხმაროს საქართველოს. დავით აღმაშენებელმა ხომ თავის დროზე კიევი იხსნა ყივჩაღებისგან. ახლა ჩვენ გვეჭირდება დახმარება.

ვასრულებ მამა შალვას თხოვნას და მკითხველის სამსჯავროზე გამომაქვს მისი შემოქმედების უკანასკნელი ნაწარმოები, რომლის გამოქვეყნების ექსკლუზიური უფლება მოძღვარმა თავისი სიცოცხლის ბოლო დღეებში მომანიჭა:





**გვიშუამდგომლე, დიდო ვლადიმირ,  
დიდო მეფეო, კიევის რუსო!**

ქრისტემიერი ძმობა გვქონია, დავითის დროის, რუსთ და ქართველებს,  
მანამდეც თურმე ერთად ვებრძოდით, ქართველების და რუსთა მძარცველებს,  
ძველ სამძახლო და სანათესაო, სიყვარულს ქვეყნად რა დააძველებს,  
მტერი იცინის, უბრად რომ გვხედავს, ძველ მძახლებსა და ძმებს ძველისძველებს.

მოსკოვის რუსი მეფე, ვლადიმირ, ჯობია ბრძნულად შენ დაარიგო,  
უხსოვარ დროდან არავის ახსოვს, ჩვენი მტრობა და საქმე ურიგო,  
თუ ადრე ღვიძლი ძმები ვიყავით, ახლა შენც ძმურად უნდა გაგვიგო  
კეთილგანწყობილ შუამავლობით, მოსკოვის რუსთან უნდ შეგვარიგო.

რუსს და ქართველებს ერთი მტერი გვყავს, მტერი გვყავდა და გვყავს საერთო  
რა დღეში გვაგდებს მოსკოვის რუსი, რა დავუშავეთ, მაღალო ღმერთო,  
ძმას ძმის მტრობისთვის ღმერთი წაგვწყმიდავს, განა მსურს ფუჭი ლექსით გავერთო,  
ისეც ძმურად გთხოვ გვიშუამდგომლო, მოსკოვის რუსთან უნდ შეგვაერთო.

მე რუსი ერის მტრობა არ მინდა და არც მაცოცხლოს ღმერთმა ურუსოდ,  
დიდო ვლადიმირ, ჰკითხე მოსკოველს, რატომ გვექცევა მთლად უნამუსოდ,  
ქრისტესმიერი ძმობის ვენახი, რად უნდ გადავწვათ და გადავტრუსოთ,  
არა სჯობია, ძველებურ ძმურად, ვიშრომით ძმებმა და ვიფუსფუსოთ?

იყო, როდესაც ყივჩალებისგან, კიევისა ც ჰქონდა შევიწროვება,  
ქართველი ერი თქვენს გვერდში იყო, სამტროდ შესცვალეს სამძო დროება,  
კიევის მტრები ჩვენ მოვიზიდეთ, რომ გვქონდა ძმური გარემოება,  
რითაც საერთო ჩვენს მტრების გულებს დარდი ათასგზის მეტი მოება.

სამას ათასი მკვიდრი ქართველი რუსმა დაგვტოვა მთლად უსახლკარო,  
საკუთარ სახლში რუსი არ გვიშვებს, ეს საღვთო საქმე უნდ მოაგვარო,  
შენ დაგვრჩი მხოლოდ ერთი იმედი, ძველო მძახალო და მეგობარო,  
ქართველი ერის სანათესაო, ბრძოლაში გმირო, გულმკლავ მაგარო.



უფალი გვიტოვებს ერებს სიყვარულს, არ თუ ძლიერმა სუსტები ჩაგროს, მართალი რწმენის მქონე ქართველი მორწმუნე რუსმა უნდ გაამაგროს, თუ რუსს არ უნდა უფლის რისხვა და თუ რუსს არ უნდა მტერი ახაროს, ქრისტეს ალამი საქართველოში არ უნდა დანვას, არ უნდა დახაროს.

ჭკვიან მოსკოვის თავკაცთ სამხრეთში სუსტი ქართველი როდი სჭირდება, გაეცინება, მაგრამ სამხრეთით, რუსს უქართველოდ გაუჭირდება, ვითარცა უყვართ რუსთ კუტუზოვი, ან სხვა გმირები, ან გაგარინი, უნდა უყვარდეს ქართველი ერი, ბაგრატიონი, დიდი სტალინი.

მე შევახსენებ ზოგ ამპარტავანს, ვისაც არ ვყოფნით ჩვენ სასაცილოდ, დიდ სამამულოს ვერ მოიგებდით, უქართველოდ და უდიდ სტალინოდ, გმირებს გმირობას ვერვინ წაგვართმევთ, რაც უნდა ბევრი მოვიწადინოთ, თუ ძველი გმირი წამოიჩოქებს, არ მოკვლათ, ცრემლი არ უნდა ვადინოთ.

ამპარტავანებმა უნდა ვიცოდეთ, სამოთხის კარებს არვინ გაგვიღებს, და თუ არ ვცდები, თქვენი მოსკოვიც, მონღოლთა ურდომ ორჯერ აიღეს, რამდენჯერ სცადეს ჩვენი მოსპობა, მგონი ვერაფერ დაათარიღებს, ნეტავ რას გვერჩის, რა დაუფშავთ, რუსი ჩვენ თხოვნას ყურად არ იღებს.

თუ რუსთ მთავრობას ოდნავ სწამს ღმერთი, ჩვენს ძმობას ვერა, ვერ დააშორებს, უღვთოდ იცევა, სხვას რომ გვიმხედრებს და რომ ავრცელებს ჩვენს მიმართ ჭორებს, ატომის მქონე რუსი დიდკაცი თავისად სთვლიან ჩვენს მთებს და გორებს, მეზობელ ერებს მტრად შემოგვისევეს, ბოლოს იმათაც თვით მოაღორებს.

რუსეთის თავკაცთ ვემდური, თორემ, რუსებს ფეხთ ვუფენ ვარდებს და იებს, დედა ღვთის წილხვედრ ერის დაჩაგვრას ღმერთი არავის არ აპატიებს, რუსებს ძლიერ სურთ მოსპონ კავკასი, კავკასი მაინც იკავკასიებს, გამჩენი ღმერთის ბეჭდის გარეშე ვერ მიგვანერავს მკვდარ ერთა სიებს.

მოსკოვის რუსთა თავკაცნო, გეტყვით, არა მაქვს თქვენთან სხვა საჩივარი, ამპარტავანების სენი შეგყრიათ, პირველი ცოდვის რუსთ სატკივარი, სჯობია ერთურთს ძმურად გავუგოთ, ხარობდეს რუსთა და ქართველთ გვარი, მოკვდება ჩვენი საერთო მტერი, ჩვენს მტრებს მოხვდება ჩვენი ლახვარი.



რუსთა მთავრობას ჩვენი ქვეყანა სურს, რომ დატოვოს უგმირქართველოდ, სადღაც ვიღაცის შიში მაინც გაქვთ, თორემ გინდათ, რომ დღესვე გავთელით, შენ დაგვიფარე, მამაო ღმერთო, და ანგელოზო კაცთ მოდგმის მცველნო, გაქვბდეს შენი მართალი ერი, ქრისტეს მხედარი მხნე, სასახელო.

მე ასე ვფიქრობ, ჩვენს შორს სამხრეთით, რაღაც გლობალურ ომს თუ მოელით, ჩვენი მიწები იმისთვის გინდათ, რომ გქონდეთ ჩვენთან ეს ბრძოლის ველი, სანამ რუსეთში შემოაღწევენ, ჩვენ ერთან ჩვენიც მოსპობთ ყოველი, მაგრამ რა იცით, ღმერთი რას ფიქრობს, არ მიგვატოვებს ჩვენ ღვთისმშობელი.

ამპარტავენტან ბოდიშს მოვიხდით, მართალი კაცი სძულთ ამპარტავენტს, ისიც ეყოფათ ეშმას მეგობრებს, რაც ჯოჯოხეთში ეშმა მათ ავებს, ნეტავ სად მიჰყავთ უღვთო თავკაცნი, ამ უღვთოების ქარებს, ქარავნებს, თუ დაგვიბრუნებთ საკუთარ სახლ-კარს, ღმერთი შეგინდობთ მავანთ-მავანებს.

ისევ ვურჩევდი რუსთა თავკაცებს, რომ ჩემი რჩევა გამოიყენონ, თვითონ რომ ასცდნენ ცეცხლის გენას, აქ კიდევ მათგან ჩვენ დავისვენოთ, ჭკუას მოეგონ, ვინც სახლს გვართმევს და ლტოლვილად გვყოფს და გვწყვეტს და გვაობლებს, მაინც ვიტყვოდი, ღმერთმა შეუნდოს ამ ღვთის მგმობელებს, ეშმას მგალობლებს.

მისი მრცხვენია, ვინც გვანადგურებს, იმას ვუნდებთ რაზმს სამშვიდობოს, ასათასობით ვინც ლტოლვილად გვყოფს, ფიქრობთ მსგავს მტერსა ნინ გადებობოს, ვინც მელას ქათმის მცველად დანიშნავს, მას და მის მოდგმას ღმერთი ეომოს, ქართველთა ტანჯვით ღვთის რისხვით მოსვლა, ყველას ვურჩევდი, რომ განეზომოს.

ნურც ის გგონიათ, ეს ინერება მთლად შერყეული კაცის გონებით, გმირი ქართველის გვარი და ტომი ყველა სულელი ნუ გგონებით, იდიდოს წმინდა სამების მადლმა, ვისაც ვმორჩილობთ და ვემონებით, ღვთის რისხვის მოსვლას რად აჩქარებენ, ეშმაკის ძმობით თავმომწონები.

გმირო ვლადიმირ, მოსკოვის თავნი რა დღეში გვყრიან, შენ თვითონ ხედავ, რუსეთის მეფე ხარ და იქნები, გმირო ვლადიმირ, ვინც ძმობას ჭედავ, როგორც შენ იტყვი, ისე იქნება, მოსკოვის მეფე რას გაგიბედავს, უთხარ, ვლადიმირ, მოსკოვის მეფეს, ლტოლვილთა ცოდვას თავს ნუ იქედავს,



როგორ გაუძღვლებს უფლის სამსჯავროს, როს ღმერთი რისხვით გადმოიხედავს, შენ და დავითი ძმები რომა ხართ, შენს შენუხებას, ვაი, ვინ ბედავს, დღეს ვინც ქართველთა ჩაგვრით ამაცობს, ვაი, იმ ჯოჯოხეთს, ვაი, იმ ბედ-ავს.

გული კი მაინც მისთვის მიკვდება, რუს თავკაცებთან ენა ვერ ვნახეთ, თუმცა მრავალჯერ მათთან საერთო ენის პოვნის გზა კი დავისახეთ, რუს თავკაცებთან ძმობის საკითხზე პასუხი იყო მუდამაც მკვახედ, ას ათასობით ქართველთა დარბევით, რუსნო თავკაცნო, ვითომ რა ნახეთ?!

უფალი დაგსჯის, ვერაგულ მტრობით, ქართველთა სამარე რად უნდ უთხარო, უნდა ვცდილობდეთ ძმურ სიყვარულით, უფალსა გული რომ გავუხაროთ, ჩვენც ვტყუით, ერის საქმე ითხოვს, მძლავრსა კისერი უნდ მოუხარო, თუ რომ ატყობ დათვი გკლავს და გერევა, სჯობია, ისეე ბაბა უთხარო.

თუ ჩვენი ჩაგვრა გაგრძელდა თქვენგან, ღმერთი საქმეში თვით ჩაერევა, ატომურ დროში ომის თამაშით ვერვინ ვერავის ვერ მოერევა, რუსთა თავკაცნო, კარგს არას მოგცემთ, ქართველთა სახლ-კარის დანვა, დანგრევა, მართალ ქართველთა მტანჯველს ესმოდეს, საქმე საშინლად რომ აერევა.

პირველ მომაკვდენ ცოდვას თუ დათმობთ, ნალდად ცხონდებით, ამპარტავანნო, იგივე ცეცხლით, ჩვენ რომ გვიკიდებთ, ქართო, პირქართო თავსაც არ ავნოთ, უფლის მიერი სიყვარული სჯობს, უფალს რადა გმობთ, მოსკოვის თავნო, მე რუსი ხალხის ძმობა მინდა და ეს ლექსიც რუსეთს მსურს რომ გავგზავნო.

თვითონვე უფლის ნაბრძანებია: ქედმაღლებს მოდრეკს და დაამდაბლებს, სიმართლისათვის ჩაგრულ თავმდაბალს, ზეცას აიყვანს და აამაღლებს. მოსკოვის თავნო, დღეს რომ დაგვჩაგრავეთ, ქართველი ერი არა ვართ ღირსი, დავითი გვეტყვის: „ხმობდეს მართალი, უფალმან ღმერთმა ისმინოს მისი“.

კიევის მეფე, დიდო ვლადიმირ, შემინდე, მე დღეს შენ რომ განუხებ, მოსკოვის რუსი სახლ-კარს რომ გვინვაგს, თავზე მეხსა და რისხვას გვაქუხებს, ჩვენი ხსნა ახლა მხოლოდ შენშია, ჩვენი სახლ-კარი უნდ დაგვიბრუნო, ქართველი ერის სანათესაო, ჩვენს ჩაგრულ ერზე შენ უნდ იზრუნო.

სამას ათასი კაცი დაგვტოვა რუსმა უსახლოდ, მთლად უმინანყოლად, მოსკოვის თავნო, მსწრაფლ შეინანეთ, კბილთ მღრჭენ ტირილით სანამ უნდ გაძლოთ,



თორემ იქ ღმერთი არ შეგიბრალებთ, რაც უნდ იტიროთ, თავი ისაწყლოთ, ზოგ-ზოგმა ვინც ხართ, კარგა არც იცით, მე რომ გაცნობებთ, ღმერთს უნდ უმადლოთ.

საქმე იმითი როდი მთავრდება, თქვენ ჯოჯოხეთში ტანჯვა რომ გელით, თქვენს ბედსა ყველა გაიზიარებს, ჩვენი ტანჯვისა მცქერი ყოველი, სიტყვით და საქმით შეველა კი ძალუძს, ეშმაკს უსმენს და ჩვენ არა გეშველის, თუ ქრისტესმიერ სიყვარულში ხართ, რად თქვენც არ სტირით, ვით მე თვალ სველი.

წმინდა მამათა თქმული სიტყვაა, თუ ვინმე მეფეს ცხადად აგინებს, ღვთისა ცხებულის გინებისათვის, მეფე უწყალოდ მას მოაკვდინებს, მაგრამ მოწმესაც ციხეში სვამენ, თუ მგმობს არ სცემს და არ შეაშინებს, ღვთის მგმობსა მონმე თუ არ გაუწყრა, ღმერთი მოწმესაც მგმობლად ადგინებს.

მონმე თავხედი თავს კი იმართლებს, ციხეს რად სვამენ, რა დააშავა, მსაჯული ეტყვის: რად იცინოდი, მგმობი ლანძღავდა მეფესა ავად, შენც მლანძღველი ხარ, მონმე თავხედო, მეფის წინაშე ჩანხარ პირშავად, მეფეს ლანძღავდენ, შენ კი რამ ღონე, რად არ იხმარე მის დასაცავად.

ამას რომ ვამბობ, ნუკი იფიქრებთ, რომ რუსზე აღეძრავ ვინმეს საომრად, პატიოსანმა რუსმაც უნდა სთქვას, რად ვტანჯავთ ქართველთ მთლად განუზომლად, რად ვერეკებით ალალ-მართალ ხალხს ციცაბო კლდეზე გადასახტომად, ყველა კეთილ რუსს ღმერთი დალოცავს, ვინც ქართველთ უცქერს ძმად და მეგობრად.

საკუთარ სახლში შესვლას ნატრულობს აეტის მოდგმა, გმირი კოლხეთი, უკოლხებოდ და უაფხაზებოდ რუსებს რომ უნდათ დღეს აფხაზეთი, რა დღეში ვყავართ დღეს რუსთ მთავრობას, აბა, ეს იყოს სამხრეთ სლავეთი, სუყველა იმას წაესეოდა, აღმოსავლეთი თუ დასავლეთი.

მართალი არის, რუსეთის შიშით, ყველანი დუმილს რომ ამჯობინებს, მართალი კაცის მტანჯველის მცქერი, უფალს უშვერად გმობს და აგინებს, მტანჯველს არ ეტყვის, რად ტანჯავ ამ კაცს, თუ უღვთოს რისხვა მასაც აშინებს, მასაც მოელის ცეცხლის გენა, ეშმასგან გვემა არ დააძინებს.

ვიცი ყაჩაღი ყაჩაღი არის, იმას არავინ არ ეცოდება, თუ რამ სახლში გაქვს, არას შეგარჩენს, არაფრად უღირს შენი გოდება,





სასწრაფოდ გტოვებს და იმალება, ფიქრობს, ხიფათი რომ ელოდება, სახლ-კარსაც გინვავეს, ნეტავ რა ჰქვია, ყაჩაღზე დიდი წოდება ხომ აქვს.

სამყარო ისევ ცოდვის ზღვაშია, ცოდვები ცოდვებს კვლავ ემატება, არა სჩანს ყაჩაღთ რამ სინანული, უღვთო ცოდვების რამ შემჩატება და თუ კვლავ ნოეს დონეზე დადგა ეს კაცთა მოდგმა, ღვთისა ხატება, ქართველი ერის ასეთი ტანჯვით ეშმას ეძლევა მთლად წარმატება.

დაგსჯით, მოსკოვის რუსთა თავკაცნო, ქართველთა მიმართ მუშტზე ყურება, ეს არის ღვთისა ბილნი გინება, ეშმას ერთგული მომსახურება, არ ღირს ქართველთა ასეთი ტანჯვით მუდამ ეშმაკთან დასადგურება, ვისაც ყური აქვს, ისმენს ღვთის სიტყვას, ვისაც სმენა აქვს და ეყურება.

რატომ წაგველეჯავთ საკუთარ სახლ-კარს, დიდი გაქვთ, რუსნო, თქვენ სამფლობელო, თუ კაცსა ღვთისა შიში არა აქვს, იმ საწყალს მაშინ რით უნდ უშველო, ვიციით, რუსებო, თქვენი ფიქრები, საჯოჯოხეთო, ეშმას საგველო, უქართველებოდ, ღმერთის გინებით, გინდათ ხელთ გქონდეთ თქვენ საქართველო.

რუსებთან ერთად ომში ვიბრძოდით, დღეს ვინ იგონებს მათ სახელ-გვარებს, ექვსას ათასი რუსთათვის გავწყდით, დღეს რუსთ მთავრობა როგორ გვამწარებს, რუს ერის ერთგულ მეგობრობისთვის, რუსთ მტერი რუსეთს რომ გვასამარებს, დღეს თვითონ უნდათ ჩვენი განწყვეტა, ჩვენს თხოვნას ახლო რომ არ იკარებს.

სტალინის ნიჭი, პეტრეს გამირობა დღეს მთელ მსოფლიოს მოეხსენება, რუსთა მთავრობას სულაც არა სურს, სტალინისა და პეტრეს ხსენება, დღეს კი სტალინი, ბაგრატიონი რუსთა მთავრობას მტრად ეჩვენება, ნეტავ რას აძლევს რუსთა მთავრობას ქართველთა მტრობით დღეთა თენება.

დიდო ვლადიმირ, ისევ განუხებს მეფე დავითი ჩვენს ძველ ძმას ძმურად, უნდ შეგვარიგო მოსკოვთან ძმები, ნუ ხდიან საქმეს მთლად მოსამედურად, მუდამ ერთგული ძმები ვიყავით, ჩაგვთვალონ ძმებმა ძმურ ნამსახურად, რომ დავგიბრუნონ ჩვენი სახლ-კარი, ნუ ეყოლებათ ეშმაკნი მდგმურად.

ეს იყო ბოლო ნაშრომი სამშობლოსათვის დაუღალავი შემოქმედისა, მოძღვრისა, რომელიც თავისი გასაოცარი თავმდაბლობით შესანიშნავი მაგალითი გახლდათ იმ იშვიათი ქართველისა, რომელსაც გულთან მიჰქონდა თავისი ქვეყნის გასაჭირი. დღე და ღამე ლოცულობდა ერისა და ქვეყნის გადარჩენისათვის. ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით ჩვენი სამშობლოს შესახებ, რა გზა უნდა მოძებნილიყო ამქვეყნად მისი გადარჩენისათვის. თუმცა ეს გზა წმინდა ილია მართალმა საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაგვანახა. როგორც ქართული სიტყვის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: „მე არ ვიცი, ჩვენ წინ ნავედით თუ უკან ილიას შემდეგ, ამაზე სხვებმა თქვან, ის კი ვიცი, რომ მისი ერთადერთი ფიქრი და ზრახვა ჩვენს მარად სათაყვანოს დასტრიალებდა თავზე დღენიადაგ. და მაგონდება დარიალის ხეობაში გაბურძგვნილ, ტყაპუჭიან მოხვევესთან მოლაპარაკე ილია ჭავჭავაძე, მან ყველაზე უკულტურო ეგზემპლარს ქართველთა შორის ათქმევინა ის დიდი სიტყვა, რომელშიც 30 წლის კამათის



დაკრძალვისას  
მამა შალვას ცხედარს ნათელი დაადგა



შემდეგ ძლივს გაერკვა ქართველი ინტელიგენცია და რამდენი მაგიაა მართლაც ამ სიტყვებში! არიან სიტყვები, რომელნიც ველის ყაყაჩოსავით სულ მალე, მეორე-მესამეჯერ ხმარებაზე ჭკნებიან და ცვდებიან, სამაგიეროდ არიან სიტყვები, რომელნიც ზეცის ვარსკვლავებივით არასოდეს ბერდებიან. ასეთი დაუძველლებელი სიტყვებით შემოვიდა ილია ჭავჭავაძე საქართველოში:

„ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნოდესო!“

აქ ვხედავ მე დიდ ანალოგს: ილია-მოსე: აქ არის გზადაბნეული ერის ვულკანურ მთასთან მიყვანა...“

## ბერდიაკონი იოსები-მაშენებელი (ერისკაცობაში ვიქტორ კარელიძე)

*„სართიჭალის ღვთისმშობელს რომ მივუახლოვდი, მე დავეინახე დანოლილი ნისლის სახით როგორ შევიდა სულიწმიდა კედლის გავლით ტაძარში. წმიდა ლაზარეს ეკლესიაშიც მინახავს, საკურთხევლის თავზე როგორ მოძრაობდა გვირგვინები. ესენი, ალბათ, წმიდანები არიან“.*

ვიქტორ კარელიძე



ვიქტორ კარელიძე დაიბადა 1952 წელს ახალგორის რაიონში. იქვე დაამთავრა რვანლიანი სკოლა. 1972 წელს მამის ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადმოვიდა სართიჭალაში და ღამის სკოლაში სწავლით მიიღო სრული საშუალო განათლება. ვიქტორმა სამხედრო ვალდებულებაც მოიხადა, მსახურობდა შინაგან ჯარში. სოფელში დაბრუნებულმა მშენებლობაზე დაინყო მუშაობა, თან დოღზე უკრავდა და კარგად მღეროდა. მალე მეუღლეც მოიყვანა და ლამაზი ქართული ოჯახი შექმნა. ვიქტორი ხშირად ამბობს:

„დედაჩემი ბავშვობიდანვე სარწმუნოების სიყვარულით მზრდიდა. ღმერთის ყოველთვის მეშინოდა. მარიგებდა, რომ ცუდი არაფერი გამეკეთებინა. მერე მივხვდი, რომ შენ შეიძლება არ გააკეთო ცუდი, მაგრამ ბოროტი ძალა ცდილობს, რომ შეგაცდინოს და ამიტომ ხშირად გიგზავნის სხვას, ბოროტების ჩადენის



სურვილით შეპყრობილ ადამიანს. თან გულსატკეპნია, რომ ეს ადამიანი შენი ახლობელია“.

ვიქტორ კარელიძე მუსიკოსად მოღვაწეობის პერიოდში ეკლესიურად არ ცხოვრობდა, ამიტომ ეშმაკი მას ადვილად დაეუფლა. ამ უკანასკნელს არ გასჭირვებია ბოროტი ადამიანების მოძებნა. ჩანერგა მათში შური და რომ შეეჩერებინათ ვიქტორის წინსვლა მუსიკალურ ასპარეზზე, მას ჯადო გაუკეთეს, რასაც არასწორად გაკეთებული ოპერაციის შედეგად ყელის დაზიანება მოჰყვა და ვიქტორი სამუდამოდ დაემშვიდობა თავის საყვარელ საქმეს.

ოცდაათი წლის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ეშმაკის მიერ შეცდენილმა ადამიანებმა სამუდამო დალი დაასვეს და ჩამოაცლიეს ხელოვნებას, ეკლესიის კარს მიადგა: „ამის შემდეგ ეკლესიაში შევედი. მივხვდი, რომ ეს ყველაფერი, რაც მე დამემართა, მონყობილი იყო. ღმერთს დავუწოქე და ვუთხარი: „ღმერთო, მნამხარ. ყველაფერი, რაც მოხდა, შენ გეცოდინება. მე ახლა ვხვდები, რომ შენს თანადგომას უხილავად ყველგან ვგრძნობდი, მაგრამ ვერ ვაცნობიერებდი, რომ შენთან თურმე ახლოს უნდა მოვსულიყავი. მე სამაგიეროს გადახდას არ გთხოვ იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც ეს უბედურება დამმართეს, მაგრამ ნება შენია. შენ როგორც გადანყვეტ“. ღვთისმშობლის ეკლესიის თუთის ხესთან რომ ვიდექი, ტაძრიდან ქალის ხმა შემომესმა: „არ აპატიო, უჩივლე“. მე ეს ვერ გავაკეთე. ვერ წარმომედგინა ასეთი რამის გაკეთება. მერე კი ყველაფერი უცბად მოხდა. ყველას მიეზლო ის, რაც დაიმსახურა. მე კი დავრწმუნდი, რომ მართლა არსებობს ღმერთი და მივინდე მას. ამის შემდეგ ბოროტი უფრო გაძლიერდა ჩემს წინააღმდეგ. ვინაიდან ის ადამიანები, რომლებმაც ეშმაკს სული მიჰყიდეს, ყველა დასჯილი იყო. ბოროტი მთელი ძალით მე დამეჯახა. ეს არც იყო გასაკვირი, მე ხომ ჯადო მქონდა გაკეთებული. როგორც შემდეგ გავარკვიე, ჯადო სპეციალურად ჩემთვის ყოფილა დამზადებული მეზობელ რესპუბლიკაში. ისეთი ძალით დამეტაკა ბოროტი, რომ სასმელს



მივეძაღე. ვერ ველეოდი. მის გარეშე ცხოვრება აღარ შემეძლო. სიზმარში ანგელოზი გამომეცხადა, გამაფრთხილა - „ნუ სვამო!“ ეშმაკი თავისას არ იშლიდა და მაძალებდა ალკოჰოლს. ბოლოს ხილვები დამეწყო და ამკარად ვხედავდი, ჩემი სულისათვის როგორი გააფთრებული ბრძოლა ჰქონდათ ანგელოზსა და ეშმაკს. თვითონ მინახავს, რამდენჯერ აუგლეჯია ანგელოზს ეშმაკი ჩემი სხეულიდან. აი, ამის შემდეგ კი ვიგრძენი, რომ საბოლოოდ უნდა ამერჩია ჩემი ცხოვრების ჭეშმარიტი გზა და გადავწყვიტე მემსახურა უფლისათვის“.

სართიქალის წმიდა ლაზარეს სახელობის ტაძარი ამ დროს კომუნისტების მიერ იყო იავარქმნილი და განადგურებული. ამიტომ ვიქტორი ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევებს მიადგა და იქ იხილა პირველი სასწაული: „მე დავინახე დანოლილი ნისლის სახით როგორ შევიდა სულიწმიდა კედლის გავლით ტაძარში, წმიდა ლაზარეს ეკლესიაში მინახავს, საკურთხევლის თავზე როგორ მოძრაობდა გვირგვინები. ესენი, ალბათ, წმიდანები არიან“. ამ ეკლესიაში ანთებდა სანთელს ვიქტორ კარელიძე, აქ ეხვნებოდა გადარჩენას ღმერთს.

სართიქალის ერთ-ერთმა კოლორიტმა, იმბურგი კოლ-აშვილმა ღვთისმშობლის ტაძრის აღდგენა დაიწყო, კირითხუროებად კი ვიქტორი და მისი ბიძაშვილი მუშაობდნენ. ასე, რომ ეკლესიების მშენებლობისათვის პირველი ქვა სართიქალის ღვთისმშობლის ტაძრის კედელზე მის მიერ დაიდო. აქედან დაიწყო ვიქტორ კარელიძის, როგორც ტაძრების მშენებლის ბიოგრაფია. იგი ამ პროფესიას აღარ უღალატებს და ვერც ვერავინ შეუშლის ხელს, რადგან იგი უკვე უფლის გზას შეუდგა და იტვირთა თავისი ჯვარი.

ვიქტორი ხშირად ჩადიოდა თბილისში. სიონის და ქვაშუეთის ტაძრებში ლოცულობდა. 1992 წელს კი, როდესაც უფლის ნებით, ნილკნის ეპარქიიდან ჩამობრძანდა მამა შალვა (შუბითიძე) და დაინიშნა სართიქალის წმიდა ლაზარეს სახელობის ეკლესიის წინამძღვრად, ვიქტორი ტაძარს აღარ მოცილებია. ის იყო იქ



მნათეც, სტიქაროსანიც, მედავითნეც. მაშინ, კომუნისტური რეჟიმის შემდეგ სართიჭალაში ეკლესიური ცხოვრება ჯერ კიდევ ახალი ფეხადგმული იყო. ან გარდაცვლილი სოფლის მოძღვარი მამა შალვა ხშირად იხსენებდა: „ვიქტორი არის წესიერი კაცი. მე რომ მოვედი წმიდა ლაზარეს სახელობის ტაძარში წინამძღვრად, ვიქტორიც მაშინ მოვიდა ჩემთან. ამიხსნა თავისი გაჭირვება, თუ როგორ დასდევდა ბოროტი. წასაკითხად მივეცი სამი კანონი. მას შემდეგ კითხულობდა და კითხულობდა ფსალმუნებს, ზოგიერთი მათგანი თითქმის ზეპირად ისწავლა. გამუდმებით ლოცულობდა და ემსახურებოდა უფალს. ბოროტი მაინც არ ასვენებდა. ხშირად ვლოცულობდი მისთვის. ერთხელ კვეთებულის კითხვის დროს მითხრა: „მამაო, რაღაცამ გაიარა ორგანიზმში და ფეხებიდან გავიდაო“. მშრომელი კაცია ვიქტორი. ბერად აღკვეცამდე რუის-ურბნისის ეპარქიაში მსახურობდა მორჩილად, აშენებს ტაძრებს. ღმერთმა დალოცოს იოსებ – ვიქტორ კარელიძე!“

ვიქტორს მატერიალურად ძალიან გაუჭირდა. მეუღლე და სამი შვილი შესანახი ჰყავდა. ამიტომ თუ სადმე ხელი მიუწვდებოდა, ლუკმა-პურის საშოვნელად სამუშაოდ მიდიოდა. „ერთხელ პატარძელში ვმუშაობდი და წირვა გავაცდინე, - იხსენებს ვიქტორი, - იმ ღამეს მამაო მესიზმრა, მისაყვედურა: „წირვა რატომ გააცდინეო“, მე ვუთხარი — „მამო ოჯახს რა ვუყვო? შენახვა ხომ უნდა, მამაო“, მამაომ შემომხედა და მითხრა: „ეგ არ გამაგონო, მიენდე ღმერთსო“. მას შემდეგ ვცდილობდი, რომ წირვა-ლოცვა არ გამეცდინა, რათა არ დავსჯილიყავი. ვგრძნობდი, რომ უფალი სხვა რამისთვის მამზადებდა“.

ვიქტორი მამა შალვას ლოცვა-კურთხევით ერთი თვე შავნაბადას მონასტერში იმყოფებოდა. მას ხილვები თანდათან უძლიერდებოდა. მის სულში მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობდა ბოროტსა და კეთილს შორის. „ემმაკი სიზმარში შემბოჭავდა ხოლმე, - ამბობს ვიქტორი, - მაშინვე მეღვიძებოდა და უკვე ცხადში ვხედავდი მის წაგრძელებულ კისერს, როგორ უნდოდა ჩემი დახრჩობა. ყველა დაიფაროს ღმერთმა, ემმაკის ნამდვილი სახე რომ იხილოს. არავის ეგონოს, სურათებში რომ ხატავენ,



ისეთია. ის ერთ აუნერელი საშინელებაა თუ, რა თქმა უნდა, არ გამოგვეცხადა ქალის, გველის ან სხვა სახით. ერთხელ ძალა მოვიკრიბე და გავარტყი, მაგრამ მხოლოდ გაიღუნა და მალევე გასწორდა. მას ხომ ხორცი არა აქვს და ამიტომ ჩვენ უძღურნი ვართ მის წინაშე. მასთან ბრძოლაში ანგელოზები მეხმარებიან“.

ვიქტორი უფალმა რუის-ურბნისის ეპარქიაში წაიყვანა მეუფე იობთან. იგი მოუყვა მას თავის თავგადასავალს. მეუფემ ვიქტორს იგივე სიტყვები გაუმეორა, რომელიც ღვთისმშობლის ტაძრიდან მოესმა: „რატომ არ უჩივლე ბოროტის მქნელთ“.

ამჟამად, ბერდიაკონი იოსები ურბნისისა და რუისის ეპარქიაში მსახურობს და თან საშვილიშვილო საქმეს აკეთებს – აშენებს ეკლესიებს და უფლის მიერ ბოძებული გასამრჯელოთი ოჯახსაც აწვდის სარჩოს. ბოროტთან ბრძოლა კი გრძელდება. „ერთხელ კელიაში გამომეცხადა ეშმაკი, - ამბობს მამა იოსები, - მერე მას მეორე ეშმაკი დაეცა ზევიდან. ფარნის ანთებაც ვერ მოვასწარი. ერთმანეთში დაიწყეს ბრძოლა. როდესაც მივანათე შუქი, ორივე კედელში გავიდა და ეზოში, ბალახზე გააგრძელეს ბრძოლა. კარგახანს ისმოდა შრიალი. მონასტერში ბოროტი სხვადასხვა ადამიანებითაც გიპირისპირდება. შემოიყვანს ვინმეს გადაგვარებულს, რათა ღმერთს დაგაშოროს. ლოცვის დროს ხილულად გებრძვის შეშინების მიზნით. მაგრამ თუ რწმენაში ხარ განმტკიცებული, ის ვერაფერს დაგაკლებს“.

მამა იოსები იმდენად შეჩვეულია ბოროტთან ბრძოლას, რომ ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია: „უნინ მიკვირდა ხოლმე, როდესაც ვხედავდი, - ამბობს იგი, - ერთხელ სოფელში გზაზე მივდიოდი. უცებ დავინახე, ეშმაკმა როგორ გადამირბინა წინ და იქვე მდებარე სახლის სარდაფში კედლის გავლით შევიდა. ოთხი დღის შემდეგ იმ სარდაფში სახლის პატრონის ბიჭმა თავი ჩამოიხრჩო. შემდეგ ღამე, ლოცვის დროს გამომეცხადა. მაშინვე ჯვარი გარდავსახე. ღუმელის ქვეშ შევარდა შეშინებული, მერე სანოლის ქვეშ და კედლის გავლით გავარდა გარეთ. ეშმაკს ჯვრის ძალიან ეშინია. სულ იმას მეჩხუბება, კელიიდან ჯვარი გაიტანე“.






მამა იოსები ხშირად საუბრობს ჩვენი სოფლის სულიერ მდგომარეობაზე. მას ბოროტთან ბრძოლამ ბევრ რამეზე აუხილა თვალი: „თუ ჩვენს სოფელში შური არ ჩაკვდა, არაფერი გვემველება. ჩვენში ორი ძალა მოძრაობს – კეთილი და ბოროტი. ვინ იცის, ჩვენშიც რამდენი დადის სულში ჩასახლებული ეშმაკით. ხშირად ვხედავ, ზოგიერთი მათგანი როგორ დადგება ხოლმე ხალხში კაცის ან ქალის სახით. სუფრაზე დაგიჯდება ისე, რომ ვერ მიხვდები. ამას კი ურწმუნობა აკეთებს, მიდრეკილება სექტანტობისადმი, მოლასადმი. ესენი ხომ სატანას ემსახურებიან. ანგელოზიც და ეშმაკიც ჩვენი სულისათვის იბრძვის. პირველი – ადამიანის გადარჩენისათვის, ხოლო მეორე – დაღუპვისათვის. ეშმაკს სძულს ღვთის მოშიში და მორჩილი, უყვარს მრისხანე ადამიანი. იგი უბიძგებს ადამიანს თვითმკვლელობისაკენ, კაცის კვლისაკენ, ამისათვის კი იარაღად იყენებს ფულს, ალკოჰოლურ სასმელს, მრუშობას და სხვა ამქვეყნიურ საზრუნავს. მე დამინახავს ადამიანის განრისხების დროს მასში ცხვირიდან როგორ შევიდნენ წვერიანი და უწვერო ეშმაკები. მრისხანების გარდა ბოროტი ადამიანში შედის ლოთობის, შიშის, მრუშობის, ჯადოს გაკეთების დროს. ერთხელ, ლოცვის დროს, სხვა რომ ვერაფერი მომიხერხა, ისე ჩამყვირა ყურში, რომ შიშისგან ღვთისმშობლის ხატს ავეკარი, მაგრამ მაშინვე ანგელოზი დამიდგა გვერდით. ხალხო! მე სასუფეველი და ჯოჯოხეთი ნანახი მაქვს. ანგელოზმა მაჩვენა და თან მითხრა: „შენს გადასარჩენად ვაკეთებ ამას“. ჯერ ჯოჯოხეთში წამიყვანა და დამანახა ერთი ფერდობი. საშინელი სიცხე იყო, ადამიანები ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, როგორც გახურებულ თონეში შესანვავად ჩაგდებული გოჭები. მათგან მოშორებით იდგა სახლი, სადაც ვილაც ქალს წინ დაჭრილი პური ჰქონდა დანყობილი. ადამიანები პურის წამოსაღებად ფოფხვით მიდიოდნენ, მაგრამ ისეთი აუტანელი სიცხე იყო, რომ მათ უჭირდათ პურის ასაღებად მისვლა. თუ ვინმე გაინძრეოდა, რათა წინ წასულიყო, მეორე, იმის გამო, რომ მისი მოძრაობა შურდა, თავში ურტყამდა მუშტს... შემდეგ სამოთხე დამათვალიერებინა. ...იქ ნეტარებაა... შესასვლელში სამი ქალი დაგვხვდა, ისინი ირხეოდ-



ნენ, როგორც ნიავეში მცენარეები და გვეპატიუებოდნენ. იქ არის დაუსრულებელი სიმღერა და გალობა. კელიები ვნახე, ყველას სათითაოდ ჰქონდა. არაამქვეყნიური ნათება იყო და ყველგან სიკეთე სუფევდა. ხალხი რომ გადარჩეს, ღმერთს უნდა მიენდოს. ჩვენი წმიდა ლაზარეს სახელობის ტაძარი ძალიან ძლიერია, სულიწმიდა სუფევს იქ. ღმერთი არის იმ ტაძარში, ვიცი, დამინახავს, მღვდელი რომ ლოცულობს, ანგელოზი იმ ლოცვას გადასცემს ცაში. ბოლოს კი მინდა ვთქვა, რომ მე შემიძლია დავიფიცო ბიბლიაზე, რომ ეს ყველაფერი სიმართლეა“.

ჩვენ დავამთავრეთ თხრობა მამა იოსების ამ უცნაურობებით აღსავსე ცხოვრების შესახებ, რომელიც გრძელდება კეთილისა და ბოროტის უშეღავათო ბრძოლაში. ვისაუბრეთ კაცზე, რომელიც, როგორც საკუთარი, ასევე სხვისი ცოდვების გამო იტანჯება და შვებას მხოლოდ მონასტერში პოულობს. მან აირჩია გზა ღვთისა, რომელიც ჯვრის ტარებით, ცოდვების მონანიებით მიიყვანს მას სასუფევლის კარამდე.



ძამას ხეობა. ბერთუბანი.  
ბერდიაკონ იოსების (კარელიძე)  
მიერ აშენებული წმ.  
ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარი

ურწმუნოთათვის, რომლებიც დღეს ბევრი არიან ჩვენს სოფელში, სიკვდილი კანონზომიერი, გარდაუვალობით განპირობებული ტრაგედიაა, ყოველგვარი არსებობის დასასრული, არარსებობაში გადასვლა, რაც ცხადია, შიშს გვრის ადამიანს. მაგრამ მართლმადიდებელ ქრისტიანს, რომელიც აღიარებს, რომ „არ არის ღმერთი მკვდართა, არამედ ცხოველთა“ (ლუკა 30.28) სიკვდილისა არ ეშინია. მიცვალებულის ხილვისას მორწმუნე მის აღდგომას ხე-



დაეს. მართალია ის თავზარდაცემულია სიკვდილის მწუხარე სახის ხილვით, მაგრამ სიკვდილზე გამარჯვებით ნუგეშობს. მას ახსენდება ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება და მომავალი აღდგომით ხარობს.

როგორც აღვნიშნეთ, ბერდიაკონმა იოსებმა სართიჭალის წმიდა ლაზარეს სახელობის ტაძარში აიდგა ფეხი, ტაძრების მშენებლობა სართიჭალის ღვთისმშობლის ეკლესიიდან დაიწყო, იქ დადო პირველი ქვა ღვთის სახლის აღდგენისათვის. მონაწილეობდა სართიჭალის მთავარანგელოზთა ტაძრის მშენებლობაში. ურბნისისა და რუისის ეპარქიაში ააშენა 23 ტაძარი და როგორც ზევით მოგახსენეთ, მიტროპოლიტმა იობმა მას იოსებ მაშენებელი უწოდა.

ან განსვენებული მამა შალვა (შუბითიძე), თავის პოემაში „დავით აღმაშენებელი“, მართებულად აღნიშნავდა:

„თუ კაცს ღმერთის შიში არ აქვს, პირუტყვიცა სასაზიდრე,  
რაც უნდა უხვად ოქრო ჰქონდეს, ეშმას რჩება ის სიმდიდრე,  
ღმერთის შიში უნდ გამდიდრდე, ცოცხალი ხარ კაცი ვიდრე,  
ღვთის შიშითა, მარხვა-ლოცვით, გიჯობს ღმერთთან დაემკვიდრე“.

მამა შალვა (გოლისელი)



მამა იოსები (კარელიძე) ოჯახთან ერთად

## გურამ გედესაური

*„ჩემის კაცობის გვირგვინო,  
ჩემო სამშობლო მხარეო!  
შენგან ნაშობი ოცნება  
გულს ლახვრად გავიყარეო“.*

*ვაჟა ფშაველა.*



„ვენი, ვიდი, ვისი“ - „მოველ, ვნახე, დავამარცხე“. ეს სამი სიტყვა აცნობა რომს გაიუს იულიუს კეისარმა, როდესაც სწრაფი მარშით გაანადგურა პონტოში შეჭრილი ბოსფორის მეფე ფარნაკე. რომაელი კეისრის ამ სიტყვებმა კიდევ ერთხელ გაიჟღერა დედამიწის ზურგზე, როდესაც საფრანგეთის ქალაქ კლერმონ-ფერანში გამართულ მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე, სართიჭალელმა ფალავანმა

გურამ გედესაურმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში პლანეტის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

სართიჭალის მკვიდრმა, გულანთებულმა მამულიშვილმა და პოეტმა თორღვა ანატორელმა (ოთარ თიღილაური) გურამს შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა:

ალაგი ავის მგმობელი  
გარე კახეთის ფარია,  
სართიჭალაა სოფელი  
კუხეთზე მინანერია.



კაი ვაჟების სამჭედლო,  
კარგ ყმობა მათი ხვედრია.  
ვეტრფი და ვეთაყვანები,  
მათგან ვარ განახარია,  
აქ იშვა, აქ დაიბადა  
ერთი ფშაველი ხარია.  
მოსხევის ქალმა გაზარდა  
კურთხევა მისცა მყარია,  
ბევრი ლომგულა შებოჭა,  
არ მისცა გასახარია.  
ზურგით ხალიჩას გააკრა,  
ამოუბრუნა მხარია,  
მსოფლიოს ამცნო სოფელი,  
გედეხაურის გვარია.  
გვიყვარს და მისით ვამაყობთ,  
რალაა დასამალია,  
იმრავლოს მისმა გვარ-ჯიშმა,  
არ ჰქონდეს დასამარია,  
სანამ მოშხუის იორი,  
ყურთ ისმის მისი ქნარია.  
სანამ იალნო დაგვცქერის,  
თმას გვიწუნს ზენა ქარია,  
ზეცას კი სხედან ვარსკვლავთა  
აურიცხავი ჯარია.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა „სამშობლო“ 1987 წელს წერდა: „სოფელი სართიჭალა, რომელიც თბილისიდან ოცდაათ კილომეტრზე მდებარეობს, აღნიშნული არც არის საქართველოს ყველა რუკაზე, მაგრამ 1987 წლის ზაფხულში მისი სახელი რამდენიმე დღის მანძილზე მეორდებოდა ტელერეპორტაჟებში, იბეჭდებოდა საგაზეთო ანგარიშებსა და მსოფლიო



საინფორმაციო სააგენტოების ტელეტიპის ლენტეზებზე. თვით სართიჭალელები კი მთელი ამ დღეების მანძილზე ცხოვრობდნენ საფრანგეთის ქალაქ კლერმონ-ფერანის „სპორტის სახლის“ საჭიდაო ხალიჩაზე მიმდინარე მოვლენებით — კლასიკური სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე გამოდიოდა მათი თანასოფლელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გურამ გედეხაური.

აგვისტოს ამ დღეს გედეხაურს მთელი სოფელი ხვდებოდა და იქვე, სართიჭალელთა შორის, რომლებიც თავიანთი ენამახვილობითაც გამოირჩევიან, იშვა ხუმრობა: „აბა, ის რა სოფელია, თავისი მსოფლიო ჩემპიონი რომ არ ჰყავდესო?!“

სართიჭალელებს, ისე როგორც სპორტის სხვა თაყვანისმცემელთ საქართველოში, სრული საფუძველი აქვთ იამაყონ გურამ გედეხაურით და მიიჩნიონ იგი სახელგანთქმული ქართველი ფალანგების ტრადიციების გამგრძელებლად. ამგვარი აღიარება მოუტანა მას ბრწყინვალე გამარჯვებამ საფრანგეთში, სადაც მოიპოვა ოქროს მედალი 100 კილოგრამამდე წონით კატეგორიის მოჭიდავეებს შორის.

...თავიდან მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტს ბევრი არ მიიჩნევდა ფავორიტთა შორის და ალბათ მართლებიც იყვნენ. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ხომ გედეხაურის სახელი საერთაშორისო ასპარეზზე არ იყო ცნობილი.

სხვაგვარად ფიქრობდა მოჭიდავე. იგი გულმოდგინედ ემზადებოდა თავისი პირველი მსოფლიო ფორუმისათვის.

— მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლა სპორტსმენთა ოცნებაა, — ამბობს გურამი, — მაგრამ ეს დიდი პასუხისმგებლობაც არის მშობელი ხალხის წინაშე. მოგანდეს, მაშ ყოველი უნდა იღონოს სახელის მოსაპოვებლად.

კლერმონ-ფერანში გედეხაურმა ქვეჯგუფში ყველა ორთაბრძოლა მოიგო, პირველი სამი ორთაბრძოლა მან დამაჯერებლად წარმართა, მაგრამ შემდეგ გვარიანად ააღელვა მწვრთნელები და თანაგუნდელები. ფინალში გასვლისათვის შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთან



ქართველი მოჭიდავსათვის ძალზე კარგად დაიწყო, გედებხაური იგებდა 6:0, ხოლო როცა ორთაბრძოლა დამთავრდა ელექტროტაბლოზე ენთო ციფრები - 10:9.

-- რა მოხდა? -- ვკითხე გურამს.

-- გამარჯვება დროზე ადრე ვირნმუნე, -- თქვა მან, -- მოვდუნდი, მეტოქეს გააქტიურების საშუალება მივეცი. კინალამ ძვირად დამიჯდა თვითდაჯერება, რასაც არასდროს ვაპატიებ ჩემს თავს.

ფინალურ ორთაბრძოლაში გედებხაურის მეტოქე იყო ამერიკელი დენის კოზლოვსკი, რომლის წარმატება ტურნირის ერთ-ერთ აღმოჩენად მიიჩნიეს. წინასწარ შეხვედრაში მან შესძლო 1984 წლის ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონის რუმინელი ვ. ანდრეის დამარცხება, რომელიც ქვემძიმე წონის მოჭიდავეთა შორის ოქროს მედლის მთავარ პრეტენდენტად ითვლებოდა.

...ხალიჩაზე გასვლის წინ, წარსულში სახელგანთქმულმა საბჭოთა მოჭიდავეებმა — გენადი საპუნოვმა და რომან რურუამ, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატზე გედებხაურს მეურვეობდნენ, დებიუტანტს მოქმედების გეგმა დაუსახეს.

-- გაითვალისწინეს რა კოზლოვსკის დიდი ფიზიკური ძალა და ჭიდაობის რამდენადმე სწორხაზოვანი მანერა, -- იხსენებს გურამი, -- ვეტერანებმა მირჩიეს მემოქმედა მაქსიმალურად სწრაფად, ყოველთვის დამესწრო მეტოქისათვის, თავი ამერიდებინა ჩოქბჯენში ჭიდაობისათვის, რაშიც განსაკუთრებით ძლიერია ამერიკელი.

თავიდან ამ გეგმამ „არ გაამართლა“, ამერიკელმა სპორტსმენმა ორჯერ მოახერხა ჩვენი მოჭიდავის ჩოქბჯენში გადაყვანა და დაწინაურდა კიდევ — 2:0. ორთაბრძოლის დამთავრებამდე ორი წუთი იყო დარჩენილი, მეტოქე, რომელიც გრძნობდა გამარჯვების სიახლოვეს, ყრუ დაცვაზე გადავიდა. რთულ სიტუაციაში გურამმა გამოავლინა არა მარტო დიდი ოსტატობა, არამედ ნამდვილი მებრძოლის ხასიათი, გამარჯვებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა — ანგარიში გაათანაბრა. ახალი წესების თანახმად,



დაინიშნა დამატებითი დრო ერთ-ერთი მეტოქის მიერ პირველი ქულის მოპოვებამდე. აქ კი შედრკა ამერიკელი, მესამე გაფრთხილება „დაიმსახურა“ პასიური ჭიდაობისათვის... მსაჯებმა ჩემპიონად ქართველი მოჭიდავე გამოაცხადეს.

...ამ გამარჯვებისაკენ ქართველი მოჭიდავე ცხრა წელიწადს მიიწევდა, მას შემდეგ, რაც პირველად მივიდა ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს სპორტკლუბ „სინათლის“ დარბაზში.

ყველაფერი კი უფრო ადრე, ყრმობაში დაიწყო. 1962 წლის 23 იანვარს დაბადებულ გურამ გედეხაურს სახელი დეიდამ, ნაწული მოხვეიშვილმა დაარქვა, ცნობილი კალათბურთელის გურამ მინაშვილის საპატივცემულოდ. „პატარაობიდანვე ჩვენთან იზრდებოდა, -- იხსენებს ქალბატონი ნაწული, -- მისი დედა მაშინ სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და ბავშვი ძირითადად ჩვენთან იყო. ის ჯერ კიდევ ორი-სამი წლის ასაკში გონიერებით გამოირჩეოდა, მის თვალებში სიბრძნეს ამოიკითხავდი. სკოლაში სწავლის პერიოდში მალალ ნიშნებს ვერ იღებდა, სამაგიეროდ გამოირჩეოდა პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით. რაც შეეხება სპორტისადმი მის დამოკიდებულებას, ეს ბავშვობიდანვე ემჩნეოდა“.

„ერთხელ ჩემთან მოიყვანეს სართიჭალელი მოზარდი, -- იხსენებს გურამის მწვრთნელი ბატონი თამაზ რეხვიაშვილი, -- რამდენიმე დღის შემდეგ მას სექციაში მოჰყვა მისი თანასოფლელი, მცირე ხანი გადის და ბიჭებმა მორიგ წვრთნაზე კიდევ ერთი თავიანთი ამხანაგი მოიყვანეს...მას შემდეგ მე და გურამი განუყრელები ვართ...“

„ბიჭს არ ჰქონია რაიმე განსაკუთრებული ნიჭი, -- იხსენებს მწვრთნელი, -- მაგრამ გურამი ისე გაიტაცა ჭიდაობამ, რომ ენა არ მიბრუნდებოდა მეთქვა მისთვის - აქ სიარულით დროს ნუ დაკარგავ-მეთქი.“

თოთხმეტი წლის გურამი მართლაც სერიოზულად „დაავადდა“ ჭიდაობით. ჯერ კვირაში სამჯერ, შემდეგ კი ყოველ-





დღიურად, დარსა თუ ავდარში, იგი სართიჭალიდან თბილისში დადიოდა სავარჯიშოდ. ამგვარმა ჟინმა და ერთგულებამ მალე გამოიღო ნაყოფი და გედეხაურმა პირველი გამარჯვება მოიპოვა, მოიგო ქვეყნის მოსწავლეთა პირველობა. მაგრამ შემდეგ ძნელი პერიოდი დაუდგა. ერთხანს შეჩერდა მისი დაოსტატების ზრდა, სპორტსმენი თითქოს ჩრდილში მოექცა, თუმცა კვლავ მონდომებით ვარჯიშობდა.

„ზოგიერთი ჩემი კოლეგა გურამს უკვე სკეპტიკურად უყურებდა, — იხსენებს თ. რეხვიაშვილი, — თვლიდნენ, რომ მასთან მუშაობა დროის უქმად დაკარგვა იყო. მეუბნებოდნენ კიდევ, უფრო პერსპექტიული ბიჭებიც არიან, რაღა გედეხაური ამოიჩემეო, მაგრამ ზედმინევნით ვიცნობდი ჭაბუკის ხასიათს და ვგრძნობდი საქმისადმი მის კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, ამიტომაც კვლავ მჯეროდა გურამის და რაც მთავარია, თვითონ მასაც ყოველთვის სწამდა, კრიზისს მალე რომ გადალახავდა...“ და აი, სულ მალე გურამ გედეხაურის სპორტულ გზას ნათელი მოეფინა. ი. პოდდუბნის პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე გამარჯვების შემდეგ, მასზე სერიოზულად ალაპარაკდნენ. მოგვიანებით საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე 100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში იგი მეორე ადგილზე გავიდა ვიტებსკელი მსოფლიო ჩემპიონის იგორ კანიგინის შემდეგ, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ ეს ტიტული 90 კგ. წონით კატეგორიაში მოიპოვა, შემდეგ კი „ასიანთა“ კატეგორიაში გადავიდა, თუმცა დიდ გამარჯვებებს საერთაშორისო ასპარეზზე აქ უკვე ვეღარ აღწევდა. ამიტომაც იყო, რომ მწვრთნელებმა გ. გედეხაური შეიყვანეს ნაკრებში, რომელიც იწყებდა მზადებას ევროპის ჩემპიონატისთვის. მაგრამ იმ ტურნირზე მაინც უფრო გამოცდილი კანიგინი გაემგზავრა... და შინ ხელცარიელი დაბრუნდა — მეხუთე ადგილზე გავიდა. ამრიგად, ავტომატურად გამოირიცხა კანიგინის კანდიდატურა საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობისათვის. რჩებოდა კიდევ ერთი პრეტენდენტი — ევროპის ექს-ჩემპიონი, გროდ-

ნოელი ანატოლი ფედორენკო, მაგრამ გედებაურმა მას ორჯერ მოუგო- ი. პოდდუბნის მემორიალზე და ქვეყნის ჩემპიონატზე ნაკრების მწვრთნელებმა უპირატესობა ქართველ სპორტსმენს მიანიჭეს და ისინი არ შემცდარან.



გურამ გედებაური

„მას აქვს უნარი დაძლიოს სიძნელებები, ირწმუნოს თავისი შესაძლებლობები, არ შეუშინდეს ავტორიტეტებს, — ამბობს თ. რეხვიაშვილი. — ყოველივე ამას მან მიაღწია სიმტკიცის, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობითა და უსაზღვრო შრომისმოყვარეობით. დიახ! შრომისმოყვარეობაც ნიჭია!.... დარწმუნებული ვარ, გურამისთანა შვილს ყველა მშობელი ინატრებს. სწორედ ასეთი უნდა იყოს ნამდვილი ქართველი ახალგაზრ-

და, ზრდილი, თავაზიანი, შრომისმოყვარე“.

ასეთი აღზარდეს იგი მისმა მშობლებმა — ეთერ მოხევიშვილმა და ირაკლი გედებაურმა. გურამს ყოველთვის ახსოვს მამის შეგონება: „გახსოვდეს, შვილო, ამიერიდან შენს თავს აღარ ეკუთვნი, შენს უკან დგას საქართველო, მისი სპორტული პრესტიჟი“. დედა, ქალბატონი ეთერი იხსენებს: „ბავშვობიდანვე დიდი ადამიანივით აზროვნებდა, სიკეთით სავსე, გამორჩეული და გონიერი იყო. ცელქი არ ყოფილა. იმდენად დინჯი და ჭკვიანი იყო, რომ ბავშვს ბავშვებსაც კი უტოვებდნენ ხოლმე. სწავლაში პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა ჰქონდა. სპორტულ შეკრებებზე რომ დადიოდა, შემდეგ სკოლაში მისვლის სცხვენოდა, იტყოდა ხოლმე: „ამდენი გავაცდინე და ჩამოვრჩი სწავლაში თანატოლებსო. ბოლოს წიგნები შეკრებებზე დაჰქონდა, რომ ეს დანაკარგი აენაზლაურებინა“.



ჭემმარიტი სპორტსმენები ასეთნი არიან. ცხოვრებაში ისინი მშვიდ და ზრდილ ახალგაზრდებად გვევლინებიან, სარბიელზე კი უმალ იცვლებიან და დაუნდობლები ხდებიან. აი, რას წერდა მის შესახებ სპორტის ამ სახეობაში მისი წინამორბედი, მსოფლიოს ჩემპიონი მიხეილ სალაძე: „მომწონს გურამის ბრძოლის მანერა, მას ხალიჩაზე ლამაზად უჭირავს თავი, აქტიურია და ყოველთვის ცდილობს მეტოქეს თავისი სტილი მოახვიოს თავს. ძლიერია, თანასწორი არა ჰყავს ძალისმიერ შეტაკებაში. ტაქტიკურად, გონივრულად წარმართავს ორთაბრძოლას....“

გურამს სართიჭალის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო. არც არის გასაკვირი, გედებაურები ხომ ისტორიულად ივრისპირელები არიან. „სიონის ზღვის“ შექმნამ ჯერ კიდევ გურამის პაპას, მიხეილს დაატოვებინა მშობლიური სოფელი ჯიხო და საცხოვრებლად სოფელ ლელოვანში დაასახლა. ქართული მიწის სიყვარულმა ფშაველი კაცი ადვილად შეაგუა ხევსურების სოფელს, მაგრამ შვილებმა ბარში ჩამოსახლება არჩიეს. ირაკლი გედებაურმა არ მიატოვა ივრის ხეობა და თიანელი „ემიგრანტებით“ დასახლებულ სართიჭალას ეწვია. გურამსაც ძალიან უჭირდა სოფლიდან შორს ყოფნა და არც არავის გაჰკვირვებია, რომ იგი 1991 წელს სართიჭალის გამგებლად დანიშნეს. როგორც სჩვეოდა გულიანად დაიწყო საქმიანობა. არ ზოგავდა ძალას და ენერგიას, რომ სოფლისათვის სასიკეთო საქმეები გაეკეთებინა. მისი იდეა იყო სოფლის გაზიფიცირება. ამ მიზნით შეისყიდა ძვირადღირებული გაზის გამანაწილებელი კარადა. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სკოლებისა და საბავშვო ბაღების კეთილმოწყობის საქმეს. სიონის უბნის სკოლაში სპორტული მოედნები არ ფუნქციონირებდა გამუდმებული ტალახის გამო. გურამმა უმოკლეს დროში უზრუნველყო იქ ასფალტის საფარის დაგება.

გურამის გამგებლად მუშაობის დროს ქვეყანაში შეიქმნა პურის და სხვა სასურსათო საქონლის დეფიციტი. კაბინეტში მას ბევრი გაჭირვებული თანასოფელი აკითხავდა. პირადი დამხმარე მეურნეობიდან ყველის რეალიზაციით მიღებულ ფულს ურიგებდა მათ. უანგაროდ გაანაწილა ეგრეთ წოდებული



„ხუთსართულიანების“ ბინები. თავშესაფარი მისცა ყველა გაჭირვებულს. რაიონის კორუმპირებული ჩინოვნიკები, რომლებიც ბინების განაწილებიდან „მსუყე ლუკმას“ ელოდნენ, პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ და ამის შემდეგ მაინცდამაინც გულზე არ „ეხატებოდათ“ სართიჭალის წესიერი გამგებელი. ალბათ, ამით იყო გამონვეული ის ფაქტიც, რომ როდესაც გურამმა მინის ნაკვეთის გამოყოფა მოითხოვა, 1500 კვადრატულ მეტრზე მეტი არ მისცეს, იმ მიზეზით, რომ აქ არა ხარ ჩანერილი და მეტი არ გეკუთვნისო.

ასე დაივიწყეს ზოგიერთმა „ძალად კაცებმა“ გურამ გედეხაურის დამსახურება.

მინდა გავახსენო მათ, რომ როდესაც გურამი ოლიმპზე იდგა და მას „დაფნის გვირგვინი“ უმშვენებდა თავს, „ზედა ეშელონებში“ სათანადო მატერიალური დაინტერესებებით სთხოვდნენ, რომ მისი გვარის გასწვრივ საინფორმაციო საშუალებებში დანერდიყო „თბილისელი“. მან კი უარი თქვა ფუფუნებაზე, ისევე სართიჭალელობა არჩია და მისი სართიჭალელობა მოედო კიდევ მთელ მსოფლიოს....

აი, ეს არის ვაჟასეული „კაცობის გვირგვინი“....

გურამ გედეხაურმა თავისივე სურვილით დაანება თავი გამგებლობას, რაც ჩვენ დროში იშვიათი შემთხვევაა და იმავე წელს არჩეული იქნა საქართველოს გაერთიანებული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად. აქაც თავისი ჩვეული პატიოსნებით და მონდომებით შეუდგა საქმიანობას. შემდეგ კი, როგორც ბევრი სახელოვანი მამულიშვილი, გაუკუღმართებული ცხოვრების გამო, ისიც დაადგა უცხოეთის გზას და მას შემდეგ მოღვაწეობს მოსკოვში ერთ-ერთ მრავალდარგოვან ფირმაში. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. არის მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი. ისევე აგრძელებს ქველმოქმედებას თავისი სამშობლოსა და თანამემამულეების დასახმარებლად.

დღეს ძალიან ცოტანი არიან ადამიანები, ვისაც ზურგზე „კაცური ტვირთი“ ადევთ. ის იმდენად მძიმეა, რომ თუ ადამიანი ღმერთისკენ არ მიისწრაფვის, მის ტარებას ვერ შესძლებს.



## სიმონ გოჩიტაშვილი

*„ქართული გენია როკით განფენილი...  
სხვა ვერ იცეკვებს ქართულ ცეკვას,  
რასა არ ეყოფა.“*

*გრიგოლ რობაქიძე*

წმიდა ილია მართალი ბრძანებდა: „დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭვასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მომვიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირში, იქ მონახოს შიგმდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის.“



იქ ცხოვრების ძირში ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა.“ სწორედ ახლის ძიებამ და მშობლიურ სოფელში კულტურისა და ხელოვნების განვითარების წყურვილმა გადაადგმევინა, ანსამბლების „ერისიონისა“ და „სუხიშვილების“ მოცეკვავეს (ან უკვე საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარს), სიმონ გოჩიტაშვილს ის ნაბიჯი, რომელსაც არ გააკეთებდა ბევრი ჩვენი თანამედროვე. 1993 წელს ის თავისი სურვილით წამოვიდა „სუხიშვილების“ ანსამბლიდან,



სადაც წარმატებულად მოღვაწეობდა, რა თქმა უნდა, მომავლის მყარი პერსპექტივით. ერთი სიტყვით მიატოვა ყველა ხელოვანისათვის სასურველი „კომფორტი“ და როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გაგებით, ოთხმოცდაათიანი წლების „ჩაბნელებულ“ სართიჭალაში ჩამოვიდა. მიზანი ერთი იყო — სოფლის კულტურული ცხოვრების აღორძინება. ასეთ საქმეს, იმ ძნელჯამობის დროს მხოლოდ სულთი ძლიერი კაცი თუ მოკიდებდა ხელს. ასეთ დროს ადამიანი, რა თქმა უნდა, სახალხო საქმის კეთებისათვის, თავის თავის უარყოფამდე მიდის და მოქმედებას იწყებს ცნობილი პრინციპი: „ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს.“

ჩემო ძვირფასო მკითხველო, ვინაიდან ეს წიგნი უფრო მეტად მომავალი თაობებისათვის დაინერა, სჯობს ყველაფერი თავიდან დავიწყოთ:

სიმონ გოჩიტაშვილი 1965 წლის ღვინობისთვის 25-ში მოევლინა წუთისოფელს. ალბათ ესეც სიმბოლურია ქართველი კაცისთვის. ილია ბრძანებდა: „ქართველმა კაცმა ორი რამ მისცა მსოფლიოს — რკინა და ღვინო და ორივე დარჩა მის ხასიათშიო.“ სიმონი რკინასავით მყარი და ღვინოსავით მოუსვენარი რომ არ იყოს, ის ვერც ცეკვას შეძლებდა და მით უმეტეს ვერც მის სწავლებას. 1972 წელს სწავლას იწყებს სართიჭალის მეორე საშუალო სკოლაში, ხოლო 1976 წლიდან ცეკვის კლასში დგამს პირველ ნაბიჯებს. მისი პირველი მანავლებელი გახლდათ სართიჭალელი კაცი, შოთა ჯარიაშვილი. მაგრამ ამ შესანიშნავმა ქორეოგრაფმა წელიწადნახევარში თავი დაანება მოღვაწეობას და სიმონის მასწავლებელი გახდა თბილისელი (წარმოშობით პოლონელი) გურამ ლეშკაშელი. როგორც ბ-ნი სიმონი ამბობს: „გურამ ლეშკაშელმა გააღვივა ჩემში ქართული ცეკვის უდიდესი სურვილი. ეს ადამიანი გახლდათ კაცი, რომელმაც გვასწავლა როგორი უნდა იყოს ქართველი, როგორი ქცევა და კულტურა უნდა ჰქონდეს მას. გურამ ლეშკაშელი, რომელიც ჯანო ბაგრატიონის დროს ცეკვავდა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, დღესაც მისაბაძ პიროვნებად რჩება ჩემთვის.“



სიმონს მშობლები ცეკვას არ უშლიდნენ, მაგრამ არ უნდოდათ, რომ მომავალში ხელოვნების ეს დარგი გამხდარიყო მისი ძირითადი პროფესია. სურდათ, რომ მისგან კვალიფიციური ინჟინერი გამოსულიყო. ამიტომ, უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩაბარებამდე, სამსახური დაწყებინეს სართიჭალაში მოქმედ მენავთობეთა ორგანიზაციაში. მაგრამ სიმონი, თავისი სურვილიდან და, რაც მთავარია, ხასიათიდან გამომდინარე, ცეკვისკენ მიისწრაფვოდა და ამ მიზნით ესწრებოდა ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლ „თბილისის“ რეპეტიციებს, რომლის ქორეოგრაფი გახლდათ ბ-ნი რეზო ჭოხონელიძე.

1983 წელს სიმონს საბუთები შეაქვეს სერგო ზაქარიადის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში და მისი პედაგოგი ხდება ბ-ნი გივი ლაცაბიძე. უნდა აღინიშნოს, რომ მისაღებ გამოცდებზე სპეციალობაში, მხოლოდ ს. გორიჭაშვილმა მიიღო ფრიადი და დაიმსახურა ბრწყინვალე მასწავლებლის კონო მანჯგალაძის მილოცვა. 1985-87 წ.წ. სიმონი მსახურობს საბჭოთა ჯარში, მოსკოვის ახლოს, კალინინის ოლქის ერთ-ერთ საავიაციო ნაწილში, სადაც გამომზეურდა მისი ძლიერი ორგანიზაციული ნიჭი.

სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ, იგი კვლავ სწავლას უბრუნდება და ამჯერად მისი მასწავლებელი ხდება ბ-ნი კონო მანჯგალაძე. მეოთხე კურსიდან, მისი ხელმძღვანელობით, სიმონი ვარჯიშობს ცეკვა „ქართულში“. ბ-ნი კონოს, როგორც შესანიშნავ ქორეოგრაფს, არ გამოპარვია სიმონის არაჩვეულებრივი ნიჭი, წაიყვანა ბატონებთან, — რ. ჭოხონელიძესთან და ჯ. ჭკუასელთან და იგი 1988 წლის თებერვალში ჩაირიცხა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში (დღევანდელი „ერისიონი“). მისვლისთანავე სიმონი „ჩააყენეს“ ცეკვა „დავლურში“.

სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში სიმონი ცეკვავდა 1988-91 წლებში.

1990 წელს ანსამბლს, 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მიენიჭა აკადემიურის წოდება. სიმონის მეგობრების – გია



გურგენიძის, თემურ ქორიძის, ბადრი ესათიას, შალვა გოგუაძის რეკომენდაციით, ბატონმა თ.სუხიშვილმა ერთ-ერთ სამთავრობო კონცერტზე „თვალი შეავლო“ სიმონს და მის ორ მეგობარს – გოდერძი გვათუასა და დავით ფცქიალაძეს, რომელთაც სურდათ გადასვლა „სუხიშვილებში“. ბატონ თენგიზს მოეწონა მათი ცეკვა და ორი თვის შემდეგ დაიბარა ანსამბლში, რადგან თანხმობის ბოლო სიტყვა ლეგენდარულ ქ-ნ ნინო რამიშვილს უნდა ეთქვა.



ცეკვა „დავლური“

„რეზო ჭოხონელიძესთან და ჯემალ ჭკუასელთან განშორება მიჭირდა, — ამბობს ბ-ნი ს. გოჩიტაშვილი, — მაგრამ მინდოდა გამეგო „სუხიშვილების“ ფენომენი. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ მომეცა საშუალება, მცნობოდა და ახლო ურთიერთობა მქონოდა, დღეს უკვე მეოცე საუკუნის ლეგენდად აღიარებულ ქალბატონ ნინო რამიშვილთან. დანიშნულ დროს „სუხიშვილებში“ ჩემს მეგობრებთან ერთად მივედი. შევედი დარბაზში. მივესალმეთ შორიდან. ქ-ნი ნინო, როგორც სჩვეოდა, მთელი არსებით რეპეტიციაში იყო ჩართული. ბ-ნმა თენგიზმა ანიშნა ჩვენზე და უთხრა: „დედი, ეს ის ბიჭები არიან, მე რომ გითხარი.“ ჩემთვის ვთქვი: „ახლა, რომ გვითხრას — გაიხადეთ და მოემზადეთ რეპეტიციისათვისო — მე მივდივარ.“ მაგრამ მწარედ შევცდი. ქ-ნმა ნინომ შემოგვხედა ისე, თითქოს ლაზერი გაატარაო ზევ-





იდან ქვევით, შეხედა ბ-ნ თენგიზს, ოდნავ დაუხარა თავი და გააგრძელა იმ მოცეკვავესთან საუბარი, რომელსაც რალაც შენიშვნას აძლევდა რეპეტიციის დროს. ეს იყო მისი მხრიდან უბრალო ჟესტი, მაგრამ ჩვენთვის — ძალიან ძვირფასი.“



ბ-ნ თენგიზ სუხიშვილთან ერთად

შემდეგ იყო წარმატებები. სიმონ გოჩიტაშვილმა, რომელსაც შეუძლია თავისი ბრძოლა მიზნისაკენ ბოლომდე მიიყვანოს, მიაღწია ქართული ცეკვის უმაღლეს მწვერვალს. ეს ყველაზე დიდი ტრიუმფი იყო მისი კარიერის მანძილზე. თუმცა პირადი წარმატება მისთვის არაფერს ნიშნავდა. სურდა, რომ თავისი ძალა და ენერგია მშობლიური სოფლის

— სართიჭალის გაძლიერებისათვის დაეხარჯა. მან მსოფლიოს ირგვლივ წარმატებულ გასტროლებს, სოფელში დაბრუნება და ერთგული საქმის კეთება არჩია.

ასეთი პიროვნება უკვე კოლორიტია.

მიუხედავად იმის, რომ იგი 1988 წლიდან თავის ძირითად საქმიანობას წარმატებით უთავსებდა სართიჭალის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობას, მაინც ბოლომდე ვერ ავლენდა თავის შესაძლებლობებს, რადგან ქვეყნის პირველ ანსამბლში მოღვაწეობას უდიდესი ენერგია სჭირდებოდა. 1993 წლიდან სიმონ გოჩიტაშვილის ძირითადი საქმიანობა გახდა სართიჭალის კულტურული აღორძინება და იგი ამ მიზნის მისაღწევად საბოლოოდ დამკვიდრდა მშობლიურ სოფელში. „1988 წლიდან ბევრ სასიკეთო საქმეებს ვაკეთებდით. — იხსენებს ბატონი სიმონი. — კულტურის სახლის დირექტორი გახლ-



დათ ირინა კუჭუაშვილი. შემოქმედებით ჯგუფში მუშაობდნენ ავთო გიგაური, ხათუნა კურტანიძე, მანანა მელიაშვილი, ციცო და რეზო რთველაძეები. ახალგაზრდული კოლექტივი შეიქმნა და სულ იმის მცდელობაში ვიყავით, რომ სოფლისთვის რაიმე სასარგებლო გაგვეკეთებინა“.

1993 წელს სიმონი გაიცნობს და საქმიან ურთიერთობას ამყარებს ბ-ნ რამაზ ასათიანთან. ისინი, ან განსვენებულ მურმან ბარბაქაძესთან ერთად, იწყებენ სართიჭალის ტელევიზიის დაარსებას, რომელიც დაფუძნებულია ს.გოჩიტაშვილის მიერ ჩამოყალიბებული ქორეოგრაფიული სტუდიის — „იმედის“ ბაზაზე. სტუდია თავის მხრივ განეწვრიანებული იყო საქართველოს ხელოვნების მოღვაწეთა კავშირში, რომლის თავმჯდომარემ, ბ-ნმა თენგიზ სუხიშვილმა დახმარების ხელი გაუწოდა ახალგაზრდებს წამოწყებული საქმის დაგვირგვინებაში. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტელევიზიის ამოქმედების საქმეში ჩვენმა თანასოფლელმა ბ-ნმა რეზო ასათიანმა. იმდენად დიდი იყო ენთუზიაზმი, რომ ტელეგადაცემებმა სერიოზული გამოხმაურება ჰპოვა მოსახლეობაში და სასურველი გახდა ყველასათვის. სამწუხაროდ, ტელევიზიის შენობის გაქურდვის გამო, არქივის დიდი ნაწილი დაიკარგა და ჩვენ დღეს არა გვაქვს საშუალება მომავალ თაობას ვაჩვენოთ ის, თუ რა დიდი ძალა აქვს და რა წარმოუდგენელი სიკეთის მომტანია სოფლის სიყვარულით შექმნილი შემოქმედება. გადაცემები განკუთვნილი იყო ყველა თაობის ადამიანებისათვის. იწყებოდა დილის რვა საათზე და გრძელდებოდა ღამის ორ საათამდე. ხოლო, როდესაც ტელევიზიამ მოსახლეობის ძირითადი პრობლემების გაშუქება დაიწყო, რომელსაც პოლიტიკური ელფერი გასდევდა და კერძოდ შეეხებოდა მიტინგს მინების განაწილების შესახებ, აქ უკვე მაშინდელი ხელისუფლების ბანდფორმირებები ჩაერივნენ საქმეში, რამაც 1995 წელს ტელევიზიის დახურვა გამოიწვია.

ს. გოჩიტაშვილი, მიუხედავად მრავალჯერადი შემოტევებისა, არ გაჩერებულა და კვლავ განაგრძობს თავის საქმეს სოფ-



ლის კულტურული განვითარებისათვის. მას ერთი დღითაც არ უღალატია თავისი საყვარელი საქმიანობისათვის. იმდენად პოპულარული გახდა მოსახლეობაში, რომ ხმების უმრავლესობით არჩეული იქნა დეპუტატად ადგილობრივ საკრებულოში. მისი აღმასვლა ბევრს არ ესიამოვნა. იმდღავრა შურმა, დაიწყო მის წინააღმდეგ ორგანიზებული ბრძოლა. მას არავისი არ შეშინებია. ასეთ კაცზეა ნათქვამი: „კარიდან გამოაგდეს, ფანჯრიდან გადავიდაო“... დაუხურეს ყველაფერი... შექმნა ახალი... მიაღწია აბსოლუტურ დამოუკიდებლობას. მისი ასეთი დაუკლებელი ლტოლვა ხელოვნების განვითარებისათვის, ისევ სხვა სოფლის შვილმა დაინახა და დააფასა კიდეც. ბიზნესმენ, ბატონ გელა ძიძიკაშვილის დახმარებით, სოფელმა საჩუქრად მიიღო შესანიშნავი ქორეოგრაფიული სტუდია, სადაც მრავალი ბავშვი ეუფლება ქართულ ცეკვას.

სული წმიდის ცხრა ნაყოფიდან პირველი — სიყვარული სიმონის ცხოვრების და მოღვაწეობის განუყოფელი ნაწილია. მას არ გადაუხვევია სახარებისეული სიბრძნიდან: „... შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი...“ (მარკ. 12,31) თუმცა გულნატკენი ხშირად იტყვის ხოლმე: „ვაი, რომ სიყვარულის შენარჩუნება ძნელი ყოფილა. შეინარჩუნებ მაშინ, თუ სოფელში არა ხარ და ისე აკეთებ საქმეს. ხოლო თუ სოფელში ხარ და ხედავენ შენს საქმიანობას, მაშინ ძლიერდება კეთილი საქმის დაუნახავობისადმი ლტოლვა ანუ როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ ხოლმე: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“.

მიუხედავად ამისა, სტუდია, სიმონ გორჩილაშვილის მეცადინეობით, დღითიდღე იზრდება და აძლიერებს ქართულ სულს. პარალელურად ძლიერდება შური და გესლი. რა მართებულად ბრძანებდა დიდი ილია: „არა გვგონია სხვაგან სადმე იყოს ისეთი ქვეყანა, სადაც ადამიანის პატიოსნება და ნამუსი ისე წინდაუხედავად, ტყუილუბრალოდ ილახებოდეს, როგორც ჩვენში.“

ჩემო კეთილო ადამიანებო, შურისა და გესლის მატარებელ არსებებს დავამშვიდებ, რომ მათ „წინაშურთან არავინ ესვრის“,



ხოლო სიმონ გორჩიტაშვილს და მისნაირ ვაჟუკაცებს მამა გიორგის (ბასილაძე) სიტყვებს გავახსენებ: „ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი.“

ქართველობის აუცილებლობამ შეაძლებინა სიმონს ეგვიპტეში მოეხდინა ისეთი ფურორი, რომელმაც არა მარტო მის ანსაბლს მოუტანა წარმატება, არამედ ეგვიპტელებს გაახსენა ის ქართველები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მოღვაწეობდნენ ამ ძირძველ ქვეყანაში, ხოლო სართიჭალელებს მთელს მსოფლიოში გაუთქვა სახელი. აი, რას მოგვითხრობს ამ საამაყო მოვლენების თვითმხილველი, ახალგაზრდა ქალბატონი მარიამ (მარეხ) დოხტურიშვილი: „ძალიან ბევრი გასახსენებელი მაქვს ალჟირში მოგზაურობის შესახებ. შთამბეჭდავი და ამალეღვებელი მომენტები გავიარეთ. მიუხედავად 60 გრადუსი სიცხისა, ყოველი დღე მაინც განსაკუთრებული და ლამაზი იყო... 18 ქვეყანა იღებდა ფესტივალში მონაწილეობას. ეს იყო ტრადიციული ცეკვების ფესტივალი. ჩვენ, ქალბატონი (ან გარდაცვლილი) ლეილა ხაბულიანის დახმარებით წავედით. ანსამბლის ხელმძღვანელმა, სიმონ გორჩიტაშვილმა მართლაც რომ დიდი პასუხისმგებლობა აიღო საკუთარ თავზე. იოლი არ არის წაიყვანო ბავშვები იმ ქვეყანაში, სადაც, როგორც ვიცით, უცხოელებს იტაცებენ გამოსასყიდის მიზნით. ბატონი სიმონი ყველა ბავშვს საკუთარი შვილივით პატრონობდა, ყველას დიდ ყურადღებას აქცევდა და ერთი უმნიშვნელო შემთხვევაც კი არ გამოეპარებოდა. ძალიან მკაცრი იყო. მაშინ ზედმეტად ვთვლიდი მის ასეთ სიმკაცრეს, მაგრამ მერე გავაცნობიერე თუ რატომ, ის ხომ პასუხისმგებელი იყო თითოეულ მათგანზე...“

ქართველების გამოჩენამ პირველ დღესვე დიდი ინტერესი გამოიწვია. ცეკვა „ქართული“-ს სამოსში გამოჩენილმა მოცეკვავეებმა მაშინვე მიიქციეს ყურადღება. მოდიოდნენ მათთან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები და სურათს იღებდნენ. პირველი დღიდანვე ფავორიტები გავხდით. შემდეგ, ყოველ კონცერტზე, ქართველების გამოსვლის დროს აპლოდისმენტები



ქუხდა. ვილაცას ფეხის თითის წვერებს უსინჯავდნენ, რამე ხომ არ ჰქონდათ ჩაფენილი, ვილაცას ხმალს უსინჯავდნენ, უკვირდათ, როგორ ყრიდა ხმალი ნაპერწკლებს და ა.შ. შემდეგ წარდგენილი ცეკვის ისტორიით დაინტერესდნენ და მომყოლეს შინაარსი თუ რას ეხებოდა ესა თუ ის ცეკვა. სატელევიზიო ეთერი-თაც გააშუქეს ქართველები, აღარაფერს ვამბობ პრესაზე, სადაც გამოქვეყნდა ჩვენი სურათები და დაინერა ვრცელი სტატიები...

უკვე ბოლო დღეებისკენ ჩვენმა გიდმა მითხრა, გავიგე კულუარებში ლაპარაკობენ, რომ ქართველები გაიმარჯვებნო. ესპანელებს უთქვამთ, ჩვენ ხომ გვაქვს ცეკვაში პრეტენზია, მაგრამ ჟიურის წევრები რომ ვიყოთ, ჩვენც საქართველოს დაუჭერდით მხარსო. მოკლედ, საყოველთაო სიყვარული დავიმსახურეთ. აღჟირელი არაბები იმდენად დაგვიმეგობრდნენ, რომ ყოველ ჩვენს კონცერტზე მოდიოდნენ მხარის დასაჭერად. ერთ-ერთ მათგანს ისე დააინტერესა საქართველოს კულტურა, რომ 2014 წლის იანვარში საქართველოშიც კი ჩამოვიდა რამდენიმე დღით, ხოლო მეორეს, დღესაც ოცნებად აქვს აქ ჩამოსვლა. ქართულ სიტყვებს სწავლობს და ამბობს, ქართულად რამეს რომ ვიტყვი ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ქართველი ვარო.

ბოლოს იმასაც გავიხსენებ, რომ, როდესაც უკვე დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, მესამე ადგილიდან დაიწყეს პრიზიორების გამოცხადება. პირველ ადგილზე მოულოდნელად სხვა ქვეყანა გამოაცხადეს. დარბაზი დაინგრა უკმაყოფილების სტვენით. ჩემს გარშემო მყოფი არაბები (მე დაბლა ვიყავი ხალხში) მოვიდნენ და მეუბნებოდნენ, რომ ეს უსამართლობა იყო და რომ პირველი ადგილი ჩვენ გვეკუთვნოდა. ამ დროს წამყვანმა გამოაცხადა, რომ გრანპრის მფლობელი გახდა საქართველო და ასევე ჟიურის რჩეული ქართველი ყველაზე პატარა მოცეკვავე, გიორგი სებისკვერაძე. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ყველა გვილოცავდა, განსაკუთრებით ადგილობრივი მცხოვრებნი. იორდანის წარმომადგენელმა, ერთ-ერთმა ცნო-

ბილმა ტელესახემ მოგვილოცა და მითხრა, სხვანაირად არც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო.

მას შემდეგ ამ ფესტივალში აღარ დაუუპატიჟებიათ. ალბათ მიხვდნენ, რომ უცვლელი გრანპრის მფლობელები ვიქნებოდით და ყველა ქვეყანას სერიოზული კონკურენტი გაუჩნდებოდა საქართველოს სახით, რათქმა უნდა, ეროვნული ცეკვების საკითხში.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ბატონ სიმონ გოჩიტაშვილს მადლობა გადავუხადო, რომ მე მარგუნა წილად მათთან ერთად აღჟირში წასვლის ბედნიერება. ის ნამდვილად არის სართიჭალის ერთ-ერთი კოლორიტი.”

ეგვიპტეში მიღწეული წარმატების შემდეგ, ანსამბლმა დაინყო აღმასვლა, რასაც მოჰყვა ტრიუმფი სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებზე ჩვენი ქვეყნის დიდ ქალაქებში.

აღმასვლამ და განვითარებამ თავისი შედეგი გამოიღო და დღეს სიმონის აღზრდილი ოთხი მოცეკვავე ვაჟი – გიორგი სეზისკვერაძე, ვანო ქომეთიანი, საბა ოლრაპიშვილი და ლევან ნიკოლაშვილი ანსამბლ „სუხიშვილების“ დუბლებში ცეკვავენ, რომლის ქორეოგრაფიც არის „სუხიშვილების“ სახელგანთქმული მოცეკვავე ბ-ნი დავით უგრეხელიძე (რაჭუკა).

ღმერთმა უმრავლოს ჩვენს სოფელს ასეთი კოლორიტები.



სიმონ გოჩიტაშვილი და ანსამბლი „იმედი“



## ალექსი (ალიკო) თავთავაძე (1954 – 2002)



ჩემო მკითხველო, არასდროს ტყუილი არ მითქვამს თქვენთვის და ვერც ახლა გაკადრებთ. ძალიან მიჭირს მოგითხროთ ისეთი ადამიანის შესახებ, რომლის გარდაცვალებას დღესაც ვერ ვიჯერებ. მგონია, რომ ის ისევ თავის საქმეზეა მივლინებით წასული ან ევროპაში, ან აზიაში, ან კიდევ სხვაგან. როგორც ყოველთვის, ამ დაუსრულებელი მივლინებიდან ძლივს ჩამოაღწევა და ხოლმე ჯერ ოჯახში, შემდეგ კი ჩვენთან სოფელში. მასთან შეხვედრას არაფერი სჯობდა. ხალისიანი, მუდამ მომღიმარი, იუმორით და, რაც მთავარია, სიყვარულით აღსავსე კაცი იყო. ერთად ვსწავლობდით სკოლაშიც, უნივერსიტეტშიც და ბოლოს ერთად ვმუშაობდით იუსტიციის სამინისტროში. როგორც ყველა ქართველს, პირველობა უყვარდა. უნდა ითქვას, რომ იმსახურებდა კიდევ. სკოლა ოცდაცამეტმა დავამთავრეთ, ალიკო ჩვენში ერთ-ერთი პირველი იყო. ცხოვრების გზაზე შესანიშნავი მეგობრები შეიძინა, ისინი რვანი იყვნენ, ალიკო ერთ-ერთი პირველი იყო. თითქოს იწინასწარმეტყველაო:

„და სული ჩემი სულ სხვაგან ქროდა,  
მისი დაბრუნება მინდოდა არც კი,  
ბედის დაცინვაც ამასა ჰქვია,  
უსულოდ ყოფნას ნატრობდეს კაცი“.

ოცდაცამეტიდან და რვიდან ერთ-ერთი პირველი, ადამიანის სულისა და სხეულის განშორებაშიც პირველი აღმოჩნდა...



...სულ ჩქარობდა, ფორიაქობდა, თითქოს ყველაფრის მოსწრება სურდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოსკოვის ტრანსპორტისა და ეკონომიკის ინსტიტუტში დაამთავრა ასპირანტურა. 1988 წელს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება, ხოლო თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი მაშინ გამოამჟღავნა, როდესაც დაინიშნა (1992 წ.) ავიაკომპანია „ორბის“ ფინანსურ დირექტორად.

ალიკო თავთავაძე იყო საქართველოს ავიახაზების საერთაშორისო ორგანიზაციად გარდაქმნის ერთ-ერთი პირველი ინიციატორი და სულის ჩამდგმელი.

როდესაც ყველაფერი წესრიგში მოიყვანა და თავის ერთგულ პარტნიორებთან ერთად ავიაკომპანია ერთ-ერთ წარმატებულ ორგანიზაციად აქცია, მოხდა ის, რაც საქართველოში ხშირად ხდება და გასაკვირიც არ არის.... ის გაუშვეს და გამზადებულზე მოვიდნენ ისინი, ვისზეც ნეტარ ავგუსტინეს აქვს ნათქვამი შემდეგი სიტყვები: „მთავრობა სამართლიანობის გარეშე — ავაზაკთა უბრალო ხროვაა...“

...რომ გაუჭირდათ კვლავ დაუძახეს....

...მაშინ სასჯელალსრულების დეპარტამენტის ეზოში ვსაუბრობდით, სადაც კიდევ ერთხელ მოექცნენ უსამართლოდ და მის მიერ აწყობილი საქმე სხვას გადასცეს. მაშინ ვუთხარი:

- კაცო, ალიკო, შენი მიკვირს. სადაც გამოგიყენეს და გამოგიშვეს, ისევ იქ როგორ მიდიხარ?

აღმოდებულებით დატრიალდა. მერე მანქანაში ჩაჯდა, შემომხედა და სევდანარევი ხმით მითხრა:

- იქიდან გამომიშვეს, აქაც მომატყუეს და აწყობილი საქმე დამატოვებინეს. ავიაციაში მუშაობისას ერთმა ხანშიშესულმა თანამშრომელმა ასეთი სიტყვები მითხრა: „ავიაცია ნარკოტიკითაა, ერთხელ თუ გაუგე გემო, ველარ მოეშვებიო“. ალბათ, ეს ყოფილა ჩემი ბედი.

დაძრა მანქანა და „თბილავიამშენისკენ“ წავიდა. თითქოს გულში რაღაც ჩამწყდა. მისი სიტყვებიდან გამომდინარე — „ალ-





ბათ, ეს ყოფილა ჩემი ბედით“, მეგონა უკანასკნელ გზაზე ვაც-  
ილებდი. მართლაც, ასე მოხდა. ავიაცია გახდა მისი ბედისწერა  
და ის სანაპირო, სადაც ერთხელ, 1986 წელს, ისევ ავარიით,  
ძლივს გადაურჩა სიკვდილს.

საბოლოოდ აღსრულდა მისივე წინასწარმეტყველება:

„შევუყვებოდი ხან სანაპიროს,  
უსასრულობას მივჩერებოდი,  
თითქოს ვფიქრობდი სულ ყველაფერზე,  
თუმც არაფერზე კი არ ვფიქრობდი.  
სული სულ სხვაგან ეხეტებოდა,  
მინაზე მხოლოდ ხორცი ვდიოდი,  
ასე უსულო ადამიანი,  
სანაპიროზე მიმოვდიოდი“.

ვინ იყო ალიკო თავთავაძე? – უბრალო რიგითი მოკვდავი  
ქვეყნად მოვლენილი, ვისაც ბავშვობიდანვე შეუცვნია მამული-  
სა და თანამოძმის ფასი. სკოლის გამოსაშვებ ქართული ენისა და  
ლიტერატურის გამოცდაზე განათლების სამინისტროს კომისია  
აღფრთოვანებული უკრავდა ტაშს მის სიღრმისეულ ცოდნას ქა-  
რთულ პროზასა და პოეზიაში, ხოლო კომისიის წასვლის შემდეგ  
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ქ-ნ ქეთო  
ბიბილურს რამდენიმე წუთი გულში ჩახუტებული ჰყავდა თავისი  
შრომის დამფასებელი.

ვის გვერდით იდგა? – უფსკრულის პირზე მყოფ, ორ ნაწილად  
გაყოფილ იმ თანამემამულეებს შორის, რომელნიც იმაზე უკეთე-  
სად არ ცხოვრობენ დღეს, ვიდრე საქართველო. არასოდეს დადგე-  
ბოდა სტომაქის ინტერესებისათვის მოსულთა, „გასტრონომი-  
ული“ აზროვნების და სავარძლის მაძიებელთა გვერდით.

ვის ებრძოდა? – იმ კაცთმოძულეებს, ვისაც ხალხი ის კრე-  
ბითი სუბიექტი ჰგონიათ, რომელსაც თავიანთი სიმდიდრით  
მოყირჭებული ფსიქიკიდან და რაღაცეებით გონებაარეული აზ-  
როვნებიდან თვალში ნაცარს როგორც უნდა ისე შეაყრიან.



სწავლობდა ... კითხულობდა გამუდმებით ... კამათობდა .... იუსტიციის სამინისტროს იურისტები აფორიაქებული ჰყავდა. ახალი ნორმატიული აქტი რომ გამოიცემოდა, ძირფესვიანად სწავლობდა და მათთან ერთად აანალიზებდა. ის ქვეყნის ერთ-ერთი პირველი ფინანსისტი იყო, მაგრამ „უპატრონობის“ გამო ზედა ეშელონებში არ შეუშვეს. ამის მიზეზი კიდევ მისი ცოდნა იყო. ჭკვიანი ადამიანი „ზევით“ არავის აწყობდა. მე თვითონ ვარ მომსწრე (ჩვენ ერთ კაბინეტში ვისხედით) იმ ზარებისა, რომლებიც მუდმივად შემოდის ფინანსთა მინისტრის მოადგილეებისაგან. კონსულტაციებს ისინი ალიკოსაგან იღებდნენ, რადგან მაშინდელმა ფინანსთა მინისტრმა ფინანსების არაფერი იცოდა.

თავის პრობლემებზე იმდენად არ ნუხდა, როგორც სხვის უბედურებაზე. რასაც ახლა მოგიტხრობთ, გინდათ ზეპუნებრივ მოვლენებს დააბრალეთ, გინდათ მისტიკას.. მე მხოლოდ გეტყვით იმას, რაც სინამდვილეში მოხდა...

წუთისოფლის მეგობრობის გამო განადგურებულმა, როგორც იქნა ცხოვრების სწორი გზა ავირჩიე და დასახმარებლად ეკლესიას მივმართე. ამ დროს ვიყავი უსახლკაროდ დარჩენილი, უმუშევარი და არც შემოსავლის წყარო მქონდა არსაიდან, ასე რომ, კეთილი ადამიანების დახმარებით ვირჩინდი თავს. ჩემი უბედურება ჩვენი ეკლესიის მრევლის ერთ-ერთ ქალბატონს გავანდე, რომელიც ღვთისაგან წინასწარი განჭვრეტის უნარით არის დაჯილდოვებული. მითხრა: „ექვს თვეს მოგიწევს გაძლება, მერე შენთან მოვა შენი ძველი მეგობარი, როგორც მე ვხედავ ცოტა კოჭლობს, თავი მაღლა აქვს აწეული, ნათელი შუბლი და კეთილი თვალები აქვს. ის წაგიყვანს სამსახურში და თანამდებობას ჩაგაბარებსო“. სიმართლე გითხრათ, არ დავიჯერე და ვერც ის ძველი მეგობარი გავიხსენე, ვინც უნდა ყოფილიყო ჩემი მხსნელი. სახარებისეული სიბრძნე ღალადებს: „...ეს შეუძლებელია კაცთათვის, ღმერთისათვის კი ყველაფერი შესაძლებელია“ (მათე 19, 26).

ექვსი თვის შემდეგ მომაკითხა ალიკო თავთავაძემ. ჩვენ მართლაც დიდი ხანი არ გვენახა ერთმანეთი. წამიყვანა თავ-



ისტან იუსტიციის სამინისტროში და დამნიშნა სამმართველოს უფროსის მოადგილედ. თავისივე კაბინეტში დამსვა. იცოდა, რომ გულით ავადმყოფი ვიყავი და სხვაგან არ გამიშვა. ავადმყოფობის ლაბორატორიული გამოკვლევაც თავისი მეგობრების დახმარებით ჩამიტარა. დიაგნოზი რომ მითხრეს, მაშინ მივხვდი, რომ თუ არა ალიკო, შეიძლება მე გავსულიყავი პირველი იმქვეყნად.

ასეთი სულგრძელი ადამიანი გახლდათ ალიკო თავთავაძე. მისი გახსენებისას გიზო ნიშნიანიძის ლექსი ამოტივტივდება ხოლმე ჩემს მეხსიერებაში:

„ამბობენ, სიკვდილსაც კარგები უყვარსო,  
 მას რაღა სიკვდილი არჩევენებს?  
 ერთი კი ნაღდია— ადრე წასულები  
 რაღაცით ჯობიან დარჩენილებს!“

აი, ასე ორი სართიჭალელი ბიჭი ვისხედით კაბინეტში ერთ-მანეთის პირისპირ. ალიკოსაგან მარცხნივ, ხოლო ჩემგან მარჯვნივ მოჩანდა უდიდესი ქართველი პოეტის, ტიცვიან ტაბიძის ბინა, რომელსაც გვაშორებდა ასევე უდიდესი რუსი პოეტის გრიბოედოვის სახელობის ქუჩა. მეორე სართულიდან გადმოკიდებულ თბილისურ აივანზე გამობრძანდებოდა ხოლმე ტიცვიანის შვილი, ქ-ნი ნიტა, დაეყრდნობოდა რკინის მოაჯირს, გაიხედავდა აქეთ-იქით, თითქოს ვინმეს ელოდებო, შემდეგ შევიდოდა ქუჩისპირა ოთახში, მაგიდაზე მდგარ ლარნაკში ჩადებულ ტიცვიანის საყვარელ მიხაკებს ხელით შეაქსნორებდა და გაუჩინარდებოდა ბინის სიღრმეში. ორივენი გაფართოებული თვალებით შევცქეროდით ამ სილამაზეს, რომელსაც შემდეგ „ჩვენი მუზა“ შევარქვით, დროებით გვერდზე გადავდებდით ქვეყნის სამართლიანობის უმაღლესი ორგანოს საქმიან ქაღალდებს და იწერებოდა ალიკოს მაგიდაზე პოეზიის, ხოლო ჩემს სამუშაო მაგიდაზე პროზაული ნაწარმოებები.

ასე რომ, ალიკო თავთავაძემ, ჩემს თავზე დატრიალებული უბედურების შემდეგ, ფიზიკურად და გონებრივად „გამომალვია“ და ჩემი პირველი რომანის დაბეჭდვაც მისი ინიციატივით მოხდა.



მთავარი კი ის არის, რომ ერთი ნუთით არ ივინყებდა სართიჭალას. სულ თავის ვენახზე და საფერავზე მესაუბრებოდა, სახლ-კარი ენატრებოდა დღენიადაგ, მეზობლები, მეგობრები. გამუდმებით ვფიქრობდით, თუ როგორ შეიძლებოდა ბუნებრივი რესურსებით მდიდარი სართიჭალის აღორძინება. შესაბამისი პროექტიც დავამუშავეთ, ინვესტორებსაც ვესაუბრეთ. თითქმის ყველაფერი მზად იყო, მაგრამ მისმა უეცარმა გარდაცვალებამ ყველაფერი ყირაზე დააყენა. მხოლოდ ერთი რამ მოვასწარი, საქმის დაწყებამდე დიდი ჯვარი შევწირეთ წმინდა ლაზარეს სახელობის ტაძარს, რომელიც დღესაც ეკლესიაშია დაბრძანებული.

ქრისტეს ჯვარი ფარავდეს სართიჭალას და სრულიად საქართველოს!



## ოთარ თილილაური (სისაური) – თორღვა ანატორელი



ალბათ დამეთანხმები, მკითხველო, რომ ფესვებმონყვეტილი ქართველის ცხოვრება მხოლოდ მსუბუქად ნათქვამი ნოსტალგია კი არა, არამედ წარმოუდგენელი სულიერი ტანჯვა-წამებაა. როდესაც მორწმუნეთა ჯგუფი ახლად გახსნილ გარეჯის დოდო რქის მონასტრის აღდგენით სამუშაოებში ვმონაწილეობდით, ისეთი განცდა მეუფლებოდა, თითქოს ეს ადგილები

ჩემთვის ნაცნობი და მშობლიური იყო, თუმცა იქ პირველად დავდგი ფეხი. ამ გრძნობას სხვა სინმინდეების მიმართ ასეთი დიდი ტკივილით არ განვიცდიდი. აღმოჩნდა, რომ დედის მხრიდან ჩემი წინაპრები დოდორქის მონასტრის ყმები ყოფილან. „სული სულს იცნობსო“ –ნათქვამია. ასეა ყველა ქართველი, როდესაც მოწყდება მამა-პაპისეულ კერას. ეს ტკივილი კი თაობიდან თაობას გადაეცემა. დღეს ერთ-ერთ ასეთ ადამიანს გაგაცნობთ, რომელიც უზომოდ შეყვარებულია თავის სამშობლოზე და განსაკუთრებით იმ კუთხეზე, სადაც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ.

ოთარ თილილაურის ფსევდონიმი — ანატორელი, მისი წინაპრების საცხოვრისიდან იღებს სათავეს (ცნობისათვის-გვარი თილილაური ახლო წარსულში შერქმეული გვარია. სინამდვილეში ოთარ თილილაური გენეტიკურად სისაურების გვარს ეკუთვნის. ეს უკანასკნელნი გახლდნენ ანატორის მკვიდრნი). ხევსურეთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარეა, ხოლო ანატორი, პირიქითა ხევსურეთში, შატილიდან დაახლოებით სამიოდე კილომეტრში, მდინარე არლუნისა და მუცოს წყლის შეს-



ართავთან მდებარეობს. ქართულ მითოლოგიაში ანატორი ნადირთა მფარველ ღვთაებადაც ითვლება. თვითონ ანატორელნი ანატორის ჯვრის უნჯი (მკვიდრი ყმა) ყმები ყოფილან. სოფელი ანატორი, ისტორიული წყაროების მიხედვით, ეგრეთ წოდებული ჟამიანობის (ინფექციური დაავადება) გამო ამომწყდარა.

გადმოცემის თანახმად, სოფლის მოსახლეობაზე ანატორის ჯვარი გაბრაზებულა. ანატორის ჯვარი შატილის თემის მთავარი სალოცავი იყო, რომელიც თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს. ლეგენდის მიხედვით, ერთ კაცს ჯვრისთვის უსვრია. ჯვარს კი თემი დაუსჯია და 60 მამაკაცი მოუკლავს.

კიდევ ერთი გადმოცემის თანახმად, ანატორის ჯვარი ალავერდიდან გადასულა ანატორში. ერთ მჭედელს მისი დაბმა განუზრახავს და მასზე ოქროს ლურსმანი დაუჭედებია. ამ საქციელის გამო ხატი განრისხებულა, ჟამი გაჩენილა და ანატორელები ამოუხოცავს. ანატორში დღესაც დაცულია ამ ხატის საბრძანისი ნიში და ხატის ტყე. ხატობა იციან ამაღლებას და მახვენარნი ანატორის ჯვარს ღმერთთან შუამდგომლობას და დახმარებას შესთხოვენ.

ოთარ თილილაურის (სისაური) წინაპარსაც მოუწია აყრილიყო ანატორიდან და სხვაგან გადასულიყო საცხოვრებლად. ეს ტკივილი, მინა-წყლის მიტოვებისა, სისაურების (ჩვენ შემთხვევაში თილილაურები) თაობებს გადაეცათ. ხოლო ერთ-ერთ მათგანს, ამჟამად პოეტს, თიკუნით — თორღვა ანატორელს ათქმევინა:

არ მომრჩენია იარა!  
 ქისტების მიერ „ფხისად“ წოდებულს,  
 არ მომრჩენია ჯერაც იარა,  
 გული მისტირის შორეულ წარსულს,  
 დარაჯად ვდგავარ! არ ვყრი იარადს!  
 მთებში შობილი, გენით ფხოველი,



კვლავაც ვიხურებ თავზე მუზარადს,  
 ანატორიდან წინაპართ სული,  
 მეჩურჩულება, მეტყვის მუდარას.  
 შვილო! დაიცავ მინა ქართული!  
 არ შეუშინდე მომხდურთ მუქარას!  
 ამ მინას იცავს ყრმა შემართული,  
 და არა გოჯი, სულით უქნარა.

ოთარ შოთას ძე თილილაური-თორღვა ანატორელი დაიბადა 1950 წლის 7 ივნისს თიანეთის რაიონის სოფელ ჭიოტანთკარში. მისი ოჯახი 1954 წელს საცხოვრებლად გადმოდის სოფელ სართიჭალაში. ოთარმა 1966 წელს დაამთავრა სართიჭალის მეორე საშუალო სკოლის რვა კლასი და სწავლა გააგრძელა ბორჯომის სატყეო ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1969 წელს. 1970-72 წლებში მსახურობდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში. 1972-93 წლებში მუშაობდა სხვადასხვა სამსახურებში და პარალელურად აქტიურად მოღვაწეობდა სოფლის საზოგადოებრივ საქმიანობაში, იყო შესანიშნავი ფეხბურთელი, როგორც იტყვიან ხოლმე: „პატრონი რომ ჰყოლოდა“, ქართული ფეხბურთის ისტორიაში კიდევ ერთი შესანიშნავი მეკარის გვარი და სახელი ჩაინერებოდა. მისმა პოლიტიკურმა აქტიურობამ სოფელში ბევრ სასიკეთო საქმეს დაუდო სათავე. შემდეგ ოთარმა მიიღო განწყვეტილება გაეგრძელებინა სწავლა და 1991 წელს ჩაირიცხა თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1996 წელს და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. სწავლის პერიოდში, 1993 წლის 7 მაისიდან სამსახური დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, ხოლო 1993 წლის 5 ივლისიდან მონაწილეობდა აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში. 2010 წლის 7 ივნისიდან ბ-ნი ოთარი შინაგან საქმეთა სამინისტროს გადამდგარი ვიცე-პოლკოვნიკია. არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი. ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

სართიჭალაზე უზომოდ შეყვარებული ბ-ნი ოთარი საქებარ სიტყვებს არ იშურებს ადგილის დედისთვის:

უფლის ალაგო, შენ გეტყვი,  
 სოფელო სართიჭალაო,  
 შენი სითბო და სიკეთე  
 ჩემს გულში გაიჭვალაო,  
 არ დაგთმოზ, ჩემო სოფელო,  
 არც დღესა, არცა ხვალაო,  
 შენით ვამაყოზ, გამზრდელო,  
 მიყვარხარ და არც ვმალაო.  
 ჩვენთვის ერთურთის გამყრელი  
 ქვეყნად არ არის ძალაო,  
 თუკი ვინმ მოინადინა,  
 ქვევრივით დაიცალაო.  
 მთებიდან გიმლერს იაღნო,  
 ბანს აძლევს ხვთიურ ჭალაო,  
 ნანას გიმლერის იორი,  
 შენს მკერდზე გაიშლაო,  
 დიდება შენდა, უფალო,  
 სართად რომ გვჩუქნე ჭალაო,  
 მიყვარხარ, ჩემო სოფელო,  
 გამზრდელო სართიჭალაო,  
 შენით ვხაროზ და ვამაყოზ,  
 მიყვარხარ, არცა ვმალაო,  
 არ ვულალატებ შენს სითბოს,  
 არც დღესა, არცა ხვალაო.

„იორი ჩვენი ემბაზიაო“, უთქვამს გოგლა ლეონიძეს. რამდენი ჭირ-ვარამის მომსწრეა ეს მდინარე, რომელიც საქართველოს მთიანეთიდან, კერძოდ ბორბალოს მთიდან იღებს სათავეს. „ალაზანმა იორაო“ - გვამცნობს ლეგენდა ამ ღვთის მიერ გამოგ-





ზაენილი მდინარის სახელის შესახებ. იორს ბ-ნი ოთარისთვის წინაპრების სამშობლოდან ამბები მოჰქონდა, უმღეროდა მას. ნამდვილ პოეტებს კი ესმით, როგორც მდინარის, ასევე ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს და მასში არსებული ცოცხალი ბუნების „შვილების“ ენა. ამიტომ ბანსაც აძლევენ მათ და ხოტბასაც ასხამენ:

ვეთაყვანები, ლექსს ვუძღვნი  
იორს, მის წარმტაც ჭალებსა,  
მნახველი ვერ გაექცევა  
მის მოციმციმე თვალებსა.  
მორბის და მოიკლაკნება,  
მოატყლაშუნებს ტალღებსა,  
სადაც კი კლდეებს მისწვდება,  
შეუნგრევს გულის კარებსა.  
ჭკვიანებს მოეფერება,  
ბრიყვებს კი გაამწარებსა.  
თიანეთს ჩაძინებული  
უჯარმას დაამთქნარებსა,  
სართიჭალაში ტოტს გაშლის,  
ბრუნს იქავს, იცვლის მხარესა,  
სიცოცხლის შხეფებს მიაღვრის  
გარე კახეთის ველებსა.  
აი, რად მიყვარს იორი,  
აი, რადა ვხვევ ხელებსა,  
მის ნაჟურს დავენაფები,  
არასდროს დამახველებსა.  
ივრის ალერსით დამთვრალი  
ზეცისკ ავაბყრობ ხელებსა,  
მადლობას ვეტყვი უფალს და  
მის გვერდში მყოფსა მხლებლებსა.



ეროვნული სულის მატარებელი პოეტი, ერის გამოღვიძები-სთანავე, 1989 წლიდან, ჩაერთო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრე-ბაში. განვერიანდა საქართველოს სახალხო ფრონტში, იყო ამავე ორგანიზაციის მეორე ყრილობის დელეგატი და სართიჭალის სახალხო ფრონტის ხელმძღვანელი. შემდეგ იგი სართიჭალის საკრებულოს დეპუტატი გახლდათ და ხელმძღვანელობდა სო-ციალურ საქმეთა კომისიას. სოფლისათვის გულანთებულმა და პატრიოტმა ახალგაზრდამ ბევრ სასიკეთო საქმეში მიიღო მონაწილეობა. ჩვენ რამდენიმე მათგანს გავიხსენებთ:

— სართიჭალაში როდესაც გაუქმდა პროფტექნიკური სას-წავლებელი, მავანს სურდა, რომ ის შენობა ხელში ჩაეგდო. მა-გრამ ო. თიღილაურმა, ადგილობრივ ახალგაზრდებთან შეთანხ-მებით, გადანყვიტეს გაეხსნათ სპორტული სკოლა, რასაც მიაღ-ნიეს და თანაც წარმატებით.

— აქტიურად მონაწილეობდა სოფლის სტადიონის შემო-ლობის საქმეში (მაშინდელი მეურნეობის დირექტორმა დ. უჩა-ნეიშვილმა 23 ათასი მანეთი გამოყო ამ საქმისთვის).

— ო. თიღილაურის და შ. სებისკვერადის ინიციატივით ჩატარდა უბნებს შორის პირველობა სართიჭალელი ფეხბურთე-ლის ამირან გაჩეჩილადის სახელობის თასზე. გარდამავალი თასი ბ-ნი ოთარის მიერ იქნა შექმნილი. ეს ღონისძიება დღემდე გრ-ძელდება.

— ძველი კლუბის ბაზაზე გაიხსნა საჭიდაო დარბაზი და კულტურის სახლს ჩაუტარდა რემონტი.

— იყო სართიჭალის ფეხბურთელთა გუნდის — „იორის“ მეთოდისტი და მონაწილეობდა საქართველოს ზონალურ პირ-ველობაში.

— თბილისის ბავშვთა სპორტული სკოლის ხაზით გახსნილი ჰქონდა კრივის სექცია, სადაც ვარჯიშობდნენ: მ. გოგოჭური, დ. დობტურიშვილი, მ. ნიკლაური, ზ. თიღილაური, ნ. ქარჩაიძე და სხვანი.

კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო ბ-ნ ოთარს სოფ-ლისთვის, მაგრამ, როგორც ყველა ნათლის მატარებელ ადა-



მიანს, მასაც დასდევდა ლუციფერი საყოველთაოდ ცნობილი სიტყვებით — „რატომ კარგი აგიგიაო“. ამიტომაც მან ცხოვრების სავალი გზის სხვა „ფრონტზე“ გადაინაცვლა და ის გზაც წარმატებით დაასრულა.

მუხლჩაუხრელმა მამულიშვილმა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არა მარტო სამშვიდობო, არამედ საომარ ფრონტზეც გააგრძელა. იგი აქტიურად მონაწილეობდა აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ განხორციელებულ ბრძოლაში. აი, რას მოგვითხრობს ბ-ნი ოთარი გასული საუკუნის 90-იანი წლების სისხლიანი ქრონიკების შესახებ: „1993 წლის 7 მაისს სამსახური დავინწყე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების პირველ ოპერატიულ ბრიგადაში (სამხედრო ნაწილი 2050) და დავინიშნე არტილერიის ბატარეის მეთაურად. 1993 წლის 9 ივნისს ჩამრთეს საომარ ოპერაციაში ტამიშთან, „პიტომნიკის“ მიმართულებით. ფრონტს ხელმძღვანელობდა გენერალი გუჯარ ყურაშვილი. აღნიშნული ბრძოლა დამთავრდა ჩვენი გამარჯვებით. 10 ივლისს გავწმინდეთ დერეფანი და შევედით სოხუმში. დავბანაკდით მაჭარკაში. იმ დროს ბრძოლები მიმდინარეობდა შრომა-ახალშენი-ზეგანის მიმართულებით. ჩვენი ბრიგადის პირველი ბატალიონი (მეთაური დავით კვიციანიძე) დაბანაკებული იყო ლინდავაში. 15 ივლისს, დაზვერვისას აღმოვაჩინეთ, რომ ბატალიონს აფხაზი სეპარატისტები აქცევდნენ ალყაში. ისინი უკვე დაახლოებით ასი მეტრის მანძილზე იმყოფებოდნენ. ბატალიონის მეთაურს, დ. კვიციანიძეს შევატყობინეთ, რომ ჯარისკაცები ჩაესვა სანგრებში, რათა მოსალოდნელი იყო საარტილერიო თავდასხმა. დავუკავშირდით საარტილერიო ბრიგადა „არაგვს“, მთელი დღის განმავლობაში იბომბებოდა მონინალმდეგის პოზიციები, გავანადგურეთ აფხაზი სეპარატისტების ცოცხალი ძალა და ჩვენი ბატალიონის პირადი შემადგენლობა ვიხსენით ტყვეობისაგან. თუმცა, დანაკარგის გარეშე არც ჩვენ დავრჩით — ერთი რიგითი ჯარისკაცი მოგვიკლეს, ხ-



ოლო ორი რიგითი — მოძღვრიშვილი და ჯამვლაშვილი მძიმედ დაგვიჭრეს, ზემდეგი ირაკლი ალუდაური ტყედ აიყვანეს“.

აღნიშნული ოპერაციის წარმატებით ჩატარებაში ო. თილილაურთან ერთად თავი ისახელეს პოლკოვნიკმა კ. მაზან-აშვილმა და მაიორმა რ.ნიგნაძემ.

დღეს ბატონი ოთარი ისევ იმ სიკეთის მატარებელია, როგორც ადრე იყო. როგორც არის ნათქვამი: „დიდთან დიდია, პატარასთან — პატარა“. არ გადაუხვევია თავიდანვე არჩეული გზისთვის. ცდილობს ყველას დაეხმაროს. განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავს, თუ სადმე სართიჭალელს შეხვდება. ჯერ ხომ ძირის ძირამდე მოიკითხავს და თუ რაიმე დახმარება შეუძლია, ბოლომდე გაჰყვება. მიუხედავად მისი ტრაგიკული ცხოვრებისა, მუდამ გულით დააქვს სამშობლოს, დედა ეკლესიის, ერის, ოჯახის, ნათესავების, მეგობრების სიყვარული. უფალი, ოჯახური სითბო და პოეზიის სიყვარული აძლიერებს მის სულს, თუმცა ზოგჯერ ნოსტალგიით შეპყრობილი ლექსებში გვიმჟღავნებს ხოლმე თავის გულის წადილს:

მთების მშვენივალ დამათრო,  
 მათი ქედების ცქერამა,  
 ბეჭგაბზარული მუცოში  
 დაიაურის მღერამა.  
 ნეტაი რამ შემაყვარა?  
 ალბათ ჩემ ბედის წერამა,  
 გაგიჟებული არაგვის  
 ხმაურიანმა ჩქერამა.  
 ქარმა ზენაით მქროლელმა,  
 მისმა ზუზუნით მღერამა,  
 განთიადისას ჭიუნში  
 ნისლმა, ნამისა მცვენამა.  
 ციდან დაბლისკენ მზირალი,



არწივის მეფურ მზერამა,  
მისგან დამფრთხალი ფსიტიების  
თვის სოროებში ძვრენამა.  
მთის უღალატო ფრინველის  
შურთხის საამო სტვენამა,  
მითხარით, ამათ შემხედვარს  
რად არ უმღეროს ენამა.  
დალოცოს, გააძლიეროს  
მთა, თავის ხალხით ზენამა.

ღმერთმა დალოცოს ბ-ნი ოთარი და ჩვენს სამშობლოს გაუმ-  
რავლოს ასეთი ადამიანები.

უ ლ ა ზ ნ ო

*ჩვენს სამშობლოში მისთანა ადგილზე ფეხს ვერ დაადგამთ, რომ ჩვენი წინაპრების ძვლებით არ იყოს დაპოხიერებული და მათი სისხლით დამბალი, - ისე ლუკმა პურს ვერ ჩაიდებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ ჩაგვეყვას და წვეთ ღვინოს ვერ ჩავყლაპავთ ისე, რომ შიგ ჩვენი გმირების სისხლიც არ ერიოს.*

აკაკი წერეთელი



\* \* \*

მინამ გაუძლო ცეცხლსა და ყინვას,  
წვიმამ წალეკა გესლი ავსულის,  
მარადისობის ნათელით ბრწყინავს  
გარეჯი, ბენვის ხიდზე გავლილი.

გოგლა ლეონიძე



უ ფალმა არ მიატოვა დავითის ლავრა ქებული,  
დ ოდორქა, ნათლისმცემელი და მონასტრები რჩეული,  
ა დგილზე შექმნა სოფელი ქართლოსით გამორჩეული,  
ბ ინა დაიდეს ქართველთა, საქმე ჰქმნეს ქრისტესეული,  
ნ ამდვილად ყველამ იცოდა, რასაც უქადაა გრძნეული-  
,,ო ღონდაც რწმენა გადარჩეს, ჩვენ ვიყოთ ზვარაკეული!“

ოსებს სიბოშვილი

1980 წლის 16 ნოემბერს – კვირა დღეს, სოფელი უდაბნო გა-  
მოცხადდა დე-იურედ...

...უდაბნოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ,  
ქალბატონი მედეა მეზვრიშვილის წინადადებით, აირჩიეს ლადო  
მარხვაშვილი...

...პროფესორმა კიაზო ფიცხელაურმა ლადო მარხვაშვილს  
გადასცა უდაბნოს მიწაში ნაპოვნი 3500 წლის წინანდელი ტომის  
ბელადის კვერთხი...

...3500 წლის წინანდელი...

1975 წელს, ჟურნალ „Техника молодежи“-ში(6) – გამოქვეყნ-  
და გაუშიფრავი იბერიული ტაბულა, რომელიც მადრიდიდან გა-  
მოაგზავნა მეცნიერებათა დოქტორმა მანუელ დედნარეგიმ. სამი  
თვის შემდეგ, თბილისელმა ინჟინერმა შოთა ხვედელიძემ (ცნო-  
ბისათვის – მე და ბატონი შოთა ერთად ვმუშაობდით და ხშირად  
ვსაუბრობდით ამ თემებზე. უალრესად განათლებული პიროვნე-  
ბა გახლდათ. ი.ს.) ჟურნალს გაუგზავნა ძველ ქართულ-იბერი-  
ული დამწერლობის განვითარების შედარებითი ტაბულა, რომ-  
ლის მთელი ტექსტი გამოქვეყნდა ჟურნალში. შოთა ხვედელიძემ  
დაულალავი შრომისა და დაკვირვების შედეგად ტექსტი „აა-  
ლაპარაკა“: დაახლოებით ძვ. წ. აღრიცხვის მე-15 საუკუნეში  
საქართველოში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელიც იწინას-  
წარმეტყველა ქართველ ტომთა ბელადმა რიომ (მიწისძვრის



მოლოდინში მთაში ყვაველი ფურისულა ყვაველობას წყვეტს და კვდება) და მოუწოდა ხალხს დაეტოვებინათ ქვეყანა. 400 ათასზე მეტმა ადამიანმა დატოვა მიწა-წყალი და გაემართნენ მზის ჩასვლის მიმართულებით. ისინი დასახლდნენ შემდგომში ბასკეთად ნოდებულ ტერიტორიაზე, კართაგენსა და კორსიკაზე, პირინეის მთების კალთებზე და ბისკაის ყურის ნაპირზე.

ერთ-ერთი ნაკადი ქართველებისა დღევანდელი უდაბნოს ტერიტორიიდანაც აიყარა. მათ ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ჰქონდათ ძლიერი თავდაცვითი ნაგებობები, რომელიც იცავდა აქ მდებარე ქალაქებს და დაბებს მტრის შემოსევებისაგან. ახლა ეს ქალაქები და დაბები ჩამარხულია მიწაში, რაც ადვილად შეინიშნება თანამგზავრიდან გადაღებულ ფოტოსურათებზე. ამავე დროს იმდროინდელ ქართველებს ხელთ ეპყრათ რკინის მკვეთელი ხმლები, რომელიც მაშინდელ მსოფლიოში ყველაზე მძლავრი იარაღი იყო. შეიტყვეს რა ქართველებმა ამბავი მოსალოდნელი მიწისძვრისა, მძლავრი იარაღის იმედით, თამამად დაიძრნენ მზის ჩასვლის მიმართულებით, რათა დასახლებულიყვნენ ახალ მიწებზე. ქართველებისგან დაცლილი და მიტოვებული უდაბნოს ყოფილი ტერიტორია საუკუნეების განმავლობაში მტერთა შემოსევებისაგან განადგურდა, დაინგრა ქალაქები და დაბები, გაიჩეხა და გადაინვა ტყეები (გადმოცემით, ხანძარი ორი წელიწადი გრძელდებოდა. ი.ს).

პროფესორმა კიაზო ფიცხელაურმა და მისმა ექსპედიციამ გარეჯის უდაბნოში აღმოაჩინეს კოლოსალური მასშტაბის სამარხები. ეს არის 3500-წლოვანი ბრინჯაოს ხანის უმაღლესი ცივილიზაცია – აღმოსავლეთ კავკასიაში მანამდე სწორედ უნიკალური ხის ურმითა და მაღალი ხელოვნების შესაბამისად დამუშავებული ინვენტარით, აღჭურვილობით, სამკაულებით. საგანგებო ყურადღებას იქცევს უძველეს ყორღანულ ნამოსახლართა მასშტაბები, თავდაცვითი, საფორტიფიკაციო ნაგებობათა, ციტადელთა და აკროპოლისთა რეალური ნაშთები, ასევე





სამარხ-სამაროვანთა ქონებრივი და სოციალური უსწორობანი, სიმდიდრისა და სიღარიბის დაპირისპირებულობანი...

...მას შემდეგ ამ ტერიტორიაზე მრავალმა საუკუნემ გაიქროლა უდაბნოს მწარე ქარივით...

...კვლავ გამოჩნდა პირველი მოსახლე მრავალჭირვარამგადატანილ გაუდაბნოებულ ადგილზე...

...ქრისტეს აქეთ მეექვსე საუკუნეში მოღვაწეობა დაიწყო ათთორმეტთაგან ერთ-ერთმა გამორჩეულმა ასურელმა მამამ, შემდგომში დავით გარეჯელად წოდებულმა, მორჩილ ლუკიანესთან ერთად...

...და ეწოდა გარე სჯიდან ადგილს გარეჯი... მათ შეუერთდათ პირველი ქართველი ბერი დოდო, რომელიც შეიქმნა ერთ-ერთი თანამონაწილე საქართველოში მონასტრული ცხოვრების და მოღვაწეობის დაფუძნებისა...

...მას შემდეგ გარეჯის უდაბნოსა და იქ მოღვაწე სასულიერო პირების შესახებ ბევრი დაიწერა. მიუხედავად მტრების შემოსევებისა გარეჯის ქვეყანა ვითარდებოდა და ერთ-ერთ ძლიერ ქვაკუთხედს წარმოადგენდა ღვთისმშობლის წილხვედრი მინისა...

...და აი, დადგა უღმერთობის პათოსით გაჟღენთილი მეოცე საუკუნე. ბოლშევიკ-მენშევიკებმა ღმერთი და ეკლესია კანონგარეშედ გამოაცხადეს და მიჰყვეს ხელი მის ძარცვასა და განადგურებას...

...გარეჯში სასულიერო ცხოვრება შეჩერდა. მონასტრები დაიცალა და დარჩა სული ქართული „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“...

საუკუნეების განმავლობაში, ათას ქარტყილებს გამოვლილი ახალი დროის უდაბნოს პირველი მაცხოვრებელი გახლდათ სოფელ პატარძეულიდან ოჯახიანად ჩასახლებული ქართველი გლეხი გიორგი ჯიღაური. 1927 წელს პირველად დაუარსებიათ მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა. 1929 წელს მეურნეობის დირექტორად დანიშნეს თუში კოსტაღე აბაშიძე. კოსტაღეს წასვლის შემდეგ 1932 წლიდან 1956 წლამდე უდაბნოს მეურნეო-



ბამ ათამდე დირექტორი გამოიცვალა, მათ შორის ენერგიული და ნიჭიერი ირაკლი სიფროშვილი და სიმონ მენტეშაშვილი. სამ-ნუხაროდ, მათაც ვერ დააყენეს მეურნეობა აღმავლობის გზაზე.

1961 წელს საგარეჯოს რაიონიდან გარეჯის უდაბნო გადაეცა გარდაბნის რაიონს და დაიწყო ამ დიდი წვალებით შექმნილი სოფლის დაცემა. გაქრა სკოლა, საავადმყოფო, საბავშვო ბაღი, კლუბი, მოითხარა ყოველი კულტურული და საზოგადოებრივი ნაგებობა და, რაც მთავარია, 70 სრულფუძიანი ოჯახიდან გადაიხვეწა ყველა, გარდა ორი ოჯახისა – გიორგი მარტიაშვილისა და მიხეილ ჟონჟოლაძისა.

გარდაბნის რაიონის ხელში მარტო სოფელი და მეურნეობა კი არ განადგურდა, მომთაბარე მწყემსების მიერ ბოსლებად გადაიქცა დავით გარეჯის ლავრა, დოდორქის, ნათლისმცემლის ეკლესიები და სენაკები, ჩიჩხიტურის კოშკი. ტაძრები ცხვრის დენდგრით იყო გატენილი, ყარდა, ნაბილწულიყო და მყრალ ნასკორევეში ჩაძირულიყო წმიდანების – დავითის, დოდოს, ლუკიანეს და სხვა მამათა საფლავები, ნარხოცილიყო სპარსთაგან წამებულ მოძღვართა სამარტვილენი. უსჯულოთაგან და წარმართთაგან აფხეკილიყო საუკუნოვანი ფრესკები – ზოგს თვალები ჰქონდა დათხრილი, ზოგს ცხვირი წარკვეთილი და ენით აუწერელი სხვა რამ. ათასნაირი შეურაცხმყოფელი წარწერები იყო კედლებზე. ერთი სიტყვით, გარდაბნის რაიონის ხელში გარეჯის უდაბნო განადგურდა...

ცხონებული ბატონი ლევან სანიკიძე წერდა: „კახელიშვილობა სრულქმნილი მამულიშვილობა იყო ყოველთვის. ასეა დღესაც: კახელიშვილობა ჭეშმარიტი მამულიშვილობაა“.

...გარეჯის უდაბნოს ისევ კახელი თუ უშველიდა...

...1973 წლის იანვარში მედეა მეზვრიშვილი თელავიდან საგარეჯოში გადმოიყვანეს აღმასკომის თავმჯდომარედ, მაღლევე კომპარტიის რაიკომის პირველ მდივნად დაინიშნა...

...როგორც იტყვიან: „სულზე მოუსწრო“ მედეა მეზვრიშვილმა ...მას მანამდეც წესად ჰქონდა – სუფრასთან მეორე სადღეგრძელოს დავით გარეჯელისას იტყოდა ხოლმე...



მერი ლეჟავა

ქალბატონმა მედეამ, რა თქმა უნდა, თავის გარშემო შემოიკრიბა საქმიანი ადამიანები. მათ შორის იყო საგარეჯოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე ქალბატონი მერი ლეჟავა. ქ-ნი მერი საგარეჯოელი გახლდათ. მამამისი ბაგრატ ლეჟავა წარმოშობით სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაშიდან იყო. იგი ხელისუფლებამ დანიშნა საგარეჯოს კავშირგაბმულობის რაიგანყოფილების უფროსად.

ბაგრატი საგარეჯოში დაქორწინდა და 1933 წელს ქ-ნი მერი მოეყვინა წუთისოფელს. 1952 წელს მერიმ ვერცხლის მედალზე დაამთავრა საგარეჯოს საშუალო სკოლა, ხოლო 1957 წელს წარჩინებით – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი. 1957-73 წლებში მუშაობდა მშობლიურ რაიონში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე, შემდეგ კი არჩეულ იქნა საგარეჯოს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ხოლო 1980 წლიდან საგარეჯოს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეა.

მერი ლეჟავას ძალიან გაუხარდა მედეა მეზვრიშვილის გადმოყვანა საგარეჯოში. მან კარგად იცოდა მისი კავშირები და შესაძლებლობები. ამიტომაც გაუმხილა მას თავისი დიდი ხნის ოცნება, რომ საგარეჯოს განვითარება დიდად იყო დამოკიდებული გარეჯის მრავალმთის უდაბნოს სამონასტრო კომპლექსის აღდგენასთან. მერი ლეჟავას ეს იდეა წლების განმავლობაში აწვალბდა და მოსვენებას უკარგავდა. რატომ? იკითხავს მკითხველი – იგი შთამომავალი გახლდათ მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავასი, რომელიც ბოლშევიკებმა 1924 წელს დახვრიტეს. ალბათ, ეს დავალება ზეციური საქართველოდან მეუფემ სწორედ



თავის სისხლსა და ხორცს, მერი ლეჟავას დააკისრა (1995 წელს მიტროპოლიტი ნაზარი საქართველოს საპატრიარქოს მიერ წმიდანად იქნა შერაცხული.)



მ. ლეჟავა სტალინის შვილიშვილთან -  
ი. ჯულაშვილთან ერთად

გარეჯის სამონასტრო კომპლექსის აღდგენის თაობაზე მედეა მეზვრიშვილის და მერი ლეჟავას აზრები ერთმანეთს დაემთხვა და კახელიშვილ-მამულიშვილი ქალბატონები საქმეს შეუდგნენ.

ქ-ნი მედეა მეზვრიშვილის საქმიანობის შესახებ ბევრი დანერილა და მოსახლეობა ინფორმირებულია. ხოლო ქ-ნი მერი

ლეჟავას მამულიშვილობაზე და რელიგიურობაზე მკითხველს შთაბეჭდილება რომ შეექმნას, რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებ მისი ცხოვრებიდან:

გასული საუკუნის 80-იან წლებში ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა თათრებს მიწა მიჰყიდა. მერი ლეჟავა მაშინ რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე გახლდათ. ეს ამბავი რომ შეიტყო, თვითონ წავიდა იორმულანლოში, ქართული მიწის მიმტაცებელ უცხოტომელებს შემოღობილი ნაკვეთების ღობეები დაუნგრია და მიწა ისევ მეურნეობას დაუბრუნა. და კიდევ ერთი – იორმულანლოში თათრების მიერ აშენებული მეჩეთი დახურა. მოსახლეობამ კი ადგილობრივ ხელისუფლებასთან კი არ უჩივლა, არამედ წერილი გააგზავნა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან – ალიევთან: „ქართველები გვაგინროვებენო!“. ყოველივე ამ სკანდალის შემდეგ მერი ლეჟა-



ვას უნდა დაესაბუთებინა თავისი ქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემები შეექმნებოდა. ქ-ნმა მერიმ მოლას არაბულ ენაზე დანერილი ტექსტი მიუტანა და სთხოვა მლოცველებსთვის წაეკითხა. აღმოჩნდა, რომ მოლამ არაბული არ იცოდა, რაც მუსლიმანური ლოცვის დარღვევა იყო და მკრეხელობად ითვლებოდა. ამასთან, აღმოჩნდა, რომ მოლას მიერ ხალხისთვის დარიგებული ეგრეთ წოდებული მუსლიმანური სარწმუნოების გზამკვლევი რელიგიას კი არ შეეხებოდა, არამედ წარმოადგენდა ანტიქართულ პროპაგანდას.

აი, ასეთი ქაღალტონი იბრძოდა გარეჯის სამონასტრო კომპლექსის აღსადგენად.

ყოვლისმცოდნე და ყოვლისდამნახავმა უფალმაც არ დააყოვნა და მედეა მეზვრიშვილი და მერი ლეჟავა ერთად შეჰყარა, როგორც მართლმადიდებლური სარწმუნოების დამცველი მეციხოვნენი.

პირველი და ყველაზე რთული გადასაწყვეტი საკითხი იყო უდაბნოს ტერიტორიის გარდაბნის რაიონიდან საგარეჯოზე გადმოცემა. აქ უკვე მედეა მეზვრიშვილმა გამოიყენა თავისი კავშირები და 1975 წლის ივნისიდან უდაბნო საგარეჯოს



მ. ლეჟავა და ლ. თედიაშვილი თანამოაზრეებთან ერთად



დაუბრუნდა გაპარტახებული, დაქცეული და დაშრეტილი. 17 ოჯახი ცხოვრობდა სოფელში – ორი ქართული, ორი რუსული, ორი ქურთული და თერთმეტი აზერბაიჯანული.

საბჭოთა კავშირის შესაბამის სამსახურებს რომ არ ეფიქრათ, ეს ყველაფერი კეთდებოდა მხოლოდ უდაბნოს ეკლესია-მონასტრების და ეროვნული იდეების აღორძინებისათვის, აქცენტი ოფიციალურად გამახვილდა სოფელ უდაბნოს აღდგენასა და, შესაბამისად, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

სოფელ უდაბნოს გადაეცა 40 ათასი ჰექტარი მიწა, შეიქმნა უდაბნოს მეცხოველეობის მეურნეობა და მას სათავეში ჩაუყენეს ნიჭიერი და გამოცდილი ზოოტექნიკოსი ვახტანგ ხარაშვილი.

... დაიწყო გაპარტახებული სოფლის აღდგენა ...

დიდი გაჭირვება გამოიარეს მამულიშვილებმა, დააბინავეს 68 ათასი ცხვარი და საკვებიც შეზიდეს.

ამასობაში დავით გარეჯელის ლავრამდე გაიყვანეს 55 კილომეტრი სიგრძის გზა და გაასუფთავეს ლავრის ეკლესიები და სენაკები.

სატანამ გასუფთავებული და მოვლილი სოფელი და ეკლესიები რომ დაინახა, არ დააკლო „მზრუნველობა“. 1976 წლის 7 თებერვალს ნახევარი მეტრი სიმაღლის თოვლი მოვიდა, გზები ჩაიკეტა, ელექტროსადენები განყდა, ჩაინგრა სახლის სახურავები. „ქუდზე კაციო!“ გასცა ბრძანება მედეა მეზვრიშვილმა (უყვარდა ამ სიტყვების ხშირად წარმოთქმა). მთელი საგარეჯო გამოვიდა უდაბნოს გადასარჩენად. 12 ტრაქტორი და 100 ბულდოზერი მიარღვევდა უდაბნოში თოვლს. დიდი შრომის შედეგად ყველაფერი კვლავ აღდგენილი და დალაგებული იქნა.

1976 წლის 16 მაისს არსებობას იწყებს პირველი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული - „გარეჯობა“ და გარეჯის სახალხო უნივერსიტეტი, მემკვიდრე ძველსაუკუნეთა გარეჯული „სკოლებისა“.

მედეა მეზვრიშვილმა ყოველ ახლადდასახლებულ ოჯახს „პატრონად“ მიუჩინა ცალკე რომელიმე საწარმო ან ორგანიზაცია. „ყველაფერი ისე მოაწყვეთ და მოუთავეთ, რომ თვითონ



ახალმოსახლეებს ნემსზე ძაფის აგების მეტი არაფერი დასჭირდეთო!“ - „თხოვდა“ მედეა მეზვრიშვილი ყოველ „პატრონს“, - „სანამ სახლები დაიდგმებოდეს და გაინმინდებოდეს, მანამდე მაინც თონე დადგით და გამართეთ, ოჯახის დედამ რომ თავისი ხელით პირველი პური ჩააკრას და ქვეყანას პურით და ცეცხლით ამცნოს ქართული ოჯახის დაფუძნებაო“. ეს ქ-ნი მედეას შეუვალი მოთხოვნა იყო.

...სოფელ უდაბნოში, სხვა რეგიონებიდან, პირველად ინგილოებმა „შემოდგეს ფეხი“...



მ. მეზვრიშვილი წნელზე გაშლილ კახურ პურ-ღვინოზე მასპინძლობს უდაბნოს სტუმრებს

...დადგა რიგი „უდაბნოელობისათვის“...

უდაბნოს დაპროექტება მაშინდელმა სოფლის მეურნეობის მინისტრმა, საგარეჯოს რაიონის დეპუტატმა, იოსებ ხარატიშვილმა იტვირთა. უნდა აშენებულიყო 400 ორსართულიანი სახლი ეზოებით, სათავსოებით და სოფელში გამართულიყო სასოფლო საბჭო, მეურნეობის კანტორა, სკოლა, ფოსტა, ბიბლიოთეკა, ამბულატორია, საბავშვო ბაღი, კულტურის სახლი და ა.შ. რაც მთავარია, უნდა გასარწყავებულიყო 9 ათასი ჰექტარი მიწა.



როგორც აღვნიშნეთ, 1980 წლის 16 ნოემბერს სოფელი უდაბნო დაარსდა ოფიციალურად. იმ დღეს მთელი საქართველო ზეიმობდა სოფელ უდაბნოს დაარსებას. გაიმართა პირველი ქორწილი. შეუღლდნენ ავთანდილ ბერმაძეკელი და ნელი ბაბხოშვილი.

...1981 წლის 1 სექტემბერს უდაბნოში გაიხსნა საშუალო სკოლა...

...დირექტორად დაინიშნა გიორგი ჯღუთაშვილი ...რადგან სკოლა გაიხსნა, მოსახლეობამაც დაიწყო უდაბნოში დასახლება...

...1981 წლის 8 ნოემბერს უდაბნოში წყალი მოვიდა, მდინარე მტკვრიდან მარცხნივ ერთი ნაკადი უდაბნოსკენ გაუშვეს და მწყობრში ჩადგა უდაბნოს ჰიდროტექნიკური ნაგებობა – უდაბნოს სარწყავი ქსელის პირველი რიგი, რომელმაც პირველ 500 ჰექტარ მიწას მიანოდა წყალი ...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან ამ მამულიშვილურ საქმეს კურირებდა ბ-ნი ჯუმბერ პატიაშვილი, რომელსაც მედეა მეზვრიშვილმა უდაბნოს „შეფი“ უწოდა.



ჯ.პატიაშვილი

1985 წელს ბ-ნი ჯუმბერი საქართველოს „შეფიც“ გახდა. დანიშნულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

როგორც იქნა ჩვენს სამშობლოს ელირსა წინამძღოლად ჩასდგომოდა დაუშრეტელი ენერჯის მატარებელი ქართველი, ნიჭიერი, განათლებული, ერთგული და მუდამ სიკეთის კეთების წყურვილით შეპყრობილი ახალგაზრდა კაცი, რომლის შეცნობისათვის,

ილიას თქმისა არ იყოს – წინ კაცურის დამატება არ არის საჭირო. ნუთისოფლის უკუღმართობიდან გამომდინარე, სწორედ ასეთი სუფთა გულის ადამიანებს ებრძვის ბოროტი, რათა დაიოკოს





თავისი სატანური ვნებანი და განისვენოს. ამიტომაც ჯუმბერ პატიაშვილისთვის ქვეყნის პირველკაცობის პერიოდი არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. სულ მუდამ ჩაესმოდა პატრიარქის — ილია მეორის მისი მისამართით ნათქვამი სიტყვები: „სიკეთეს სისწრაფე უხდება“. ხოლო ერთ-ერთ გაჭიანურებულ საქმესთან დაკავშირებით უწმიდესმა უთხრა: „რას ვიზამთ, ჯუმბერ, ხანდახან სიკეთე კოჭლობითაც მოდისო...“

პატრიარქის ეს წინასწარმეტყველება რამდენიმე ათეული წლების შემდეგ შევიცანით და გავითავისეთ ქართველებმა. ოთხმოციანი წლების ბოლოს, 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით, როდესაც უმრავლესობა ჯუმბერ პატიაშვილს ბოროტების სიმბოლოდ აღიქვამდა, რამდენიმე წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პირიქით, ბატონ ჯუმბერს სიკეთის განხორციელება არ აცალეს და ხელი შეუშალეს, თუმცა მისი მაშინდელი მცდელობა საქართველოსთვის სიკეთის კეთებისა ყველა ქართველის გულამდე მივიდა მხოლოდ გვიან ანუ „კოჭლობით მივიდა“.

ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი და გარეჯის პრობლემები ხელისუფლების სათავეში ერთად მოვიდნენ. აი, რას წერს ბ-ნი ჯუმბერი თავის მოგონებებში: „დედაქალაქში პირველი სტუდენტური მღელვარება დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე განლაგებულმა პოლიგონმა გამოიწვია ... საქართველოს გასაბჭოებისას, 1921 წელს დადგენილი საზღვრებით, სამოცდაათ ჰექტარზე მეტი მიწა და მონასტერი ბერთუბანი თავისი უძველესი უნიკალური ფრესკებით (ყველა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ ბერთუბნის მონასტერი თამარ მეფეს საკუთარი სახსრებით აუგია. ი.ს.), აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოხვდა (როგორც ზევით მოგახსენეთ, ეს გადანყვეტილება მოლაღატე ნოე ჟორდანიას მიერ იყო მიღებული. ი.ს.).“

ეს იყო ის რეალობა, რომლის შეცვლა მხოლოდ გარკვეული დათმობით, კერძოდ, ტერიტორიების მონაცვლეობით იყო შესაძლებელი. ამიტომ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან ინტენსიურ მოლაპარაკებას ვანარმოებდით და ბერ-



თუბნის და მისი მიმდებარე ტერიტორიის სანაცვლოდ ანალოგიური მოცულობის, სამოცდაათ ჰექტარ მიწას ივრის პირას ვთავაზობდით.

ამ საკითხზე ქართველი ისტორიკოსები და არქეოლოგები მუშაობდნენ, მათ ახალი საზღვრების მიხედვით რუკა შეადგინეს, ჩაუტანეს აზერბაიჯანელ კოლეგებს, მათგან თანხმობაც მიიღეს, მაგრამ ორი რესპუბლიკის შეთანხმება ამ საკითხის გადასაწყვეტად საკმარისი არ გახლდათ.

აღნიშნულ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები იყო განლაგებული და ბუნებრივია, მიწათმონაცვლეობისა და რესპუბლიკებს შორის ახალი საზღვრების დადგენის საკითხი საკავშირო თავდაცვის სამინისტროს უნდა განეხილა და დაემტკიცებინა.

სამწუხაროდ, ამ ყველაფრის სისრულეში მოყვანა მოვლენების დრამატულად განვითარებისა და 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ არ დამცალდა. უფრო სამწუხაროა ის, რომ აგერ უკვე რამდენი ათეული წელია, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ აღარც გარეჯი და აღარც ბერთუბანი აღარავის გახსენებია. მათ შორის, არც იმ ადამიანებს, ვინც საზო-



ჯუმბერ პატიაშვილი ბერთუბანში საბჭოთა გენერალიტეტთან ერთად



გადიგბრივ ასპარეზზე სწორედ გარეჯის თემაზე ხმამალალი განცხადებებით გამოვიდა და პოლიტიკურ კარიერაშიც პირველი ნაბიჯები გარეჯის თემაზე სპეკულირებით გადადგა“.

როდესაც საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი დ. იაზოვი, პოლიგონის საკითხთან დაკავშირებით, გენერალიტეტთან ერთად გარეჯში იმყოფებოდა, ერთ-ერთმა გენერალმა გვერდით გაიხმო ჯ. პატიაშვილი და ჩურჩულით უთხრა: „თუ ეს პოლიგონი გაუქმდა, თქვენ ქართველები, ამ ტერიტორიაზე ფეხს ველარ დაადგამთო!“

ასეც მოხდა... პოლიგონი გაუქმდა, მხოლოდ არა მომიტინგეების მოთხოვნით, არამედ საბჭოთა კავშირის დაშლის გამო ... ჩვენ კი დავკარგეთ ბერთუბანი და მისი მიმდებარე ტერიტორია ...

1987 წელი. იანვარი... ტრაგიკული საქართველოსთვის და განსაკუთრებით სვანეთისათვის. „გუდაურში მომხდარი ტრაგედიის გამო ფასანაურში ვიყავი, როდესაც შემატყობინეს, სვანეთში დიდთოვლობამ ოცდაექვსი ადამიანის სიცოცხლე შეინირაო. – იხსენებს ჯუმბერ პატიაშვილი. – სვანეთში ჩასულს იმდენად ტრაგიკული სურათი დამხვდა, რალაც მომენტში მეგონა, რომ აზროვნების უნარი წამერთვა... გახევებული ვიდექი და თავჩაქინდრული თოვლს დავცქეროდი. თოვლში ბავშვებისა და ქალების ცხედრები ესვენა... ლოყებლაჟლაჟ ბავშვები, რომლებსაც სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდათ, გარდაცვლილები იყვნენ, მაგრამ ლოყებზე ჯერ კიდევ შერჩენოდათ ჯანმრთელი სინითლე. ტკივილის სიტყვებით გამოხატვა ვერც მაშინ შეეძელი და ახლაც, წლების შემდეგაც მიჭირს.

შეიქმნა სამთავრობო კომისია და სვანები ძირითადად ქვემო ქართლში, საგარეჯოს რაიონში და წყალტუბოს მიმდებარე ტერიტორიაზე ჩავასახლეთ“.

საგარეჯოში სვანების მასპინძელი მედეა მეზვრიშვილი და სოფელი უდაბნო იყო.

სოფელ უდაბნოს საჯარო სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ქ-ნი ნარგიზა სამსიანი იხსენებს: „ვინ იფიქრებდა



სვანეთში დაბადებული და გაზრდილი მოსახლეობა ამ სოფლის მკვიდრი გახდებოდა!? მაგრამ ყველაფერი უფლის ნებაა...”

...ჭეშმარიტად უფლის ნებაა ყოველივე... უდაბნოში სვანების ჩამოსახლება სწორი და სასარგებლო აღმოჩნდა. მედეა მეზვრიშვილს უთქვამს: „იორმულანლოს აზერბაიჯანელების „ურბანულ თავდასხმებს“ მარტო ეგენი შეაჩერებენო!“

...ჰოდა აჩერებდნენ და აჩერებენ კიდევ...

...გარეჯელი ბერები ხშირად ამბობენ: „სოფელი უდაბნო რომ არა და იქაური სვანები, დღეს საზღვარი სხვაგან იქნებოდაო“.

...ასეც არის. 2011 წელს მე თვითონ ვარ მომსწრე და მონაწილე იმ დიდი წინააღმდეგობისა, რომელიც სოფელ უდაბნოს მოსახლეობამ გაუწია სააკაშვილის რეჟიმს, რომელიც გარეჯის ტერიტორიის გადაცემას აპირებდა აზერბაიჯანელებისთვის. უშეღავათო ბრძოლის შედეგად, ტერიტორიის დიდი ნაწილი შენარჩუნებულ იქნა, ხოლო სამთავრობო ავაზაკებმა მაინც მოახერხეს საკუთარი ქვეყნისთვის ელალატათ და ჩიჩხიტურის კოშკი, უდაბნოს მონასტერი და აღდგომის ტაძარი აზერებს გადასცეს.

...ბრძოლა გრძელდება და იქნება უშეღავათო...

სვანების ჩამოსახლებით სოფელი უდაბნო გაძლიერდა. საქართველოს 42 რაიონიდან მოსულმა ადამიანებმა აქ პატარა საქართველო შექმნეს და თავიანთი მუხლჩაუხრელი შრომით, ერთ დროს მიტოვებული მხარე, ააღორძინეს. ძნელია ზღვის დონიდან 750 მეტრ სიმაღლეზე იცხოვრო, სადაც წელიწადში 278 დღე ქარი ქრის და სადაც მოსავალი თითქმის არ მოდის. მესაქონლეობის, მეფუტკრეობის განვითარებით და როგორც თვითონ უდაბნოელები იტყვიან ხოლმე – მედეა მეზვრიშვილის და ჯუმბერ პატიაშვილის ფასდაუდებელი მზრუნველობით, სოფელი მყარად დაფუძნდა აზერბაიჯანის საზღვრიდან ექვს კილომეტრში.

უდაბნოში ჩამოსახლებულნი დიდი სიყვარულით იხსენიებენ იმ ოჯახების მიერ განეულ მასპინძლობას, რომლებიც მათ ადგილზე დახვდნენ და დაეხმარნენ სოფლად ოჯახის დაფუძნებაში.



განსაკუთრებით ემადლიერებიან სოფელ უდაბნოს ერთ-ერთი პირველი მოსახლის – გიორგი და ოფელია მარტიაშვილების ოჯახს, რომელთა ღირსეულ ტრადიციებს დღეს მისი შთამომავალნი აგრძელებენ.

ქ-ნი ნარგიზა სამსიანი იხსენებს: „სოფლის გამორჩეულ ადამიანად ითვლებოდა უდაბნოს საშუალო სკოლის დირექტორი ბ-ნი გიორგი ჯღუთაშვილი. მან დიდი სითბოთი და სიყვარულით მიიღო ჩვენი მოსწავლეები და მასწავლებლები.

...იყო პედაგოგი ბევრის მთქმელია...

...სკოლა დიდი ოჯახია...

...მასზე ფიქრი ყოველთვის ტკბილ მოგონებებთან მაკავშირებს...

მე, პირადად მომიწია მუშაობა იმ კლასში, რომელშიც 45 მოსწავლე ირიცხებოდა. დიდ ენერჯიას მოითხოვდა მათთან მუშაობა, სამომავლო ასპარეზზე გასასვლელად მომზადება. ჩვენი სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ მონასტრების აღდგენა-დასუფთავებაში. ბევრმა მათგანმა მონასტრულ ცხოვრებას მიჰყო ხელი. მაგალითად: მამები – პეტრე, პავლე, იოსები. დედები – ვალერია, ანა, ისიდორა. მორჩილები – ზვიადი, გიორგი, შუშანიკი...

ქართველებს ოდითგან მოგვდევს შენების ნიჭი. მტერთაგან და ბუნებრივი მოვლენებისაგან გაპარტახებული ქვეყანა არაერთხელ წამომდგარა ფეხზე. ქართველი ერთდროულად კირითხუროც იყო და მეომარიც. ეს, როგორც ჩანს, გენეტიკური კოდია, რასაც ვერსად გავექცევით“.

სახარება გვასწავლის: „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირეოდენი რჩეულ“ (მათე 14. 21). საბედნიეროდ, სოფელ უდაბნოს მოსახლეობაში ყველა რჩეულია, ყველანი ჩვენი დროის გმირები არიან. რომ შეგვექმნას შთაბეჭდილება ამ ღვთისგან რჩეულ ადამიანებზე, წარმოვიდგინო ბ-ნი რევაზ ჩართოლანისა და ქ-ნი ნარგიზა სამსიანის ოჯახს, რომელთა შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი „გარეჯის მაცნე“ წერდა:



„მესტიის პირველ საშუალო სკოლაში ჩაეყარა საფუძველი ნარგიზა სამსიანისა და რევაზ ჩართოლანის სიყვარულს. ჯერ მოსწავლეები იყვნენ. შემდეგ სწავლა თბილისში განაგრძეს - ნარგიზამ მაშინდელი ალ. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რეზომ ინჟინერ-მშენებლის პროფესიის დაუფლება არჩია. 1972 წელს ოჯახიც შექმნეს. ნარგიზამ 1974 წელს მშობლიურ სკოლაში დაწყებითი განათლების მასწავლებლად დაინიშნა მუშაობა და სულ მალე 4 შვილიც შეეძინათ - 2 გოგო და 2 ბიჭი... მაშინ ვერ იფიქრებდნენ მშობლიურ რაიონს, ფუძეს თუ დაატოვებინებდნენ და უდაბნოში მოუწევდათ გადმოსვლა ... 4 სექტემბერს „ჩამოსულებს“, 5 სექტემბერს სკოლის კარების შეხსნა მოუწია დიდი ოჯახის დიასახლისს. სწავლა ახალი დაწყებული იყო, სკოლაც ახალ შენობაში ახალი შესული, კონტიგენტი საკმაოდ დიდი და 5 სექტემბერს უკვე 45 -მოსწავლიან კლასში შევიდა. და ახლა თქვენ მოგმართავთ, ჩემო ძვირფასო ქალბატონებო, აბა, მოიკრიფოს ვინმემ „გამბედაობა“ და თქვას - ვინ შეძლებდა 4 შვილით (როცა ორი სკოლის მოსწავლეა, ორი კი საბავშვო ბაღის აღსაზრდელი) ახლად ჩამოსახლებული ულამაზესი კუთხიდან, ადვილად შეგუებოდა ან კლიმატურ პირობებს, ან რელიეფს და თუნდაც 45 უცხო მოსწავლესთან პირველ შეხვედრას. მაგრამ... გაუძლო, გაუძლო და მერე როგორ?! ახლა მხოლოდ ამას ამბობს: - ჩემმა პროფესიამ, ჩემი მოსწავლეების სიყვარულმა გადამატანინა ყველა ის პირველი სიძნელე. ადვილი არ იყო, მშობლიური სოფლის მშობლიური პედაგოგიური კოლექტივიდან სრულიად უცხო გარემოში მოხვედრა. წარმოიდგინეთ, ჯერ მე როგორ მიჭირდა ადაპტაცია და როცა ჩემს შვილებს გადავხედავდი, მათთვის უფრო ძნელი იყო...“

მოსწავლეებს კი დღესაც გულში სინათლის სხივად აქვთ ნარგიზა მასწავლებლის სიყვარული და მოკრძალება. გარეჯში მონასტრების აღდგენასა და მსახურების დაწყებასთან ერთად, ნარგიზა მასწავლებელმა თავისი მოსწავლეებიც აზიარა



საქართველოში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ სარწმუნოებას – მართლმადიდებლობას. ქ-ნი ნარგიზა მასწავლებლობასთან ერთად შესანიშნავი მგალობელიც გახლავთ.



ნ. სამსიანი მოსწავლეებთან ერთად

„ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ საგალობლების სწავლებაში. – იხსენებს ქ-ნი ნარგიზა. – 1998-2000 წლებში, როდესაც დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარი გახლდათ მამა ლუკა (ამჟამად საგარეჯოს და ნინოწმინდის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი), მისი კურთხევით მოხდა ჩვენი მოსწავლეების გაგზავნა სიონის ეკლესიაში მგალობელ-მასწავლებელი სალაყაიასთან. ფიქრია მარგიანი, ელისაბედ ჩართოლანი და ირინე გვიდანი წელიწადნახევარი სწავლობდნენ თბილისში, შემდეგ ისინი გალობდნენ, მეუფე ლუკას კურთხევით, საგარეჯოს რაიონის ეკლესიებში და დავით გარეჯის მონასტერში. ამჟამად მგალობელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, რაც განსაკუთრებული სიყვარულით ავსებს დავით გარეჯის, დოდორქის, ნათლისმცემლის მონასტრებს და სოფელ უდაბნოს ულამაზეს მთავარანგელოზის ეკლესიას.

სოფელ უდაბნოს მოსახლეობამ გარეჯის მრავალმთის უდაბნოს დაუბრუნეს ძველი დიდება და დღეს იქ ქართული მართლმადიდებლური სული ტრიალებს. სწორედ ამ ძველი ქართული მოდგმის დამსახურებაა, რომ ურბნისისა და რუისის ეპარქიის წარმომადგენელთან ერთად შესაძლებელი გახდა აღდგენილიყო სამონასტრო ცხოვრება დოდორქაზე. უდაბნოში ერთი წუთით უყურადღებოდ არ ტოვებენ, არა მარტო დოდორქის მონას-

ტერს, არამედ დავით გარეჯის და ნათლისმცემლის მონასტრებსაც. დიდთან-პატარიანად ესწრებიან წირვა-ლოცვას და იღებენ ღვთიურ მადლს. მათი სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს საერო და სასულიერო ცხოვრების წიგნში. აი, ისინიც: გიორგი ჩართოლანი, რევაზ ჩართოლანი, ნელი-ნინო კვანჭიანი, ნინო ბარლიანი, ლენა ჩარქსელიანი, დოდო-ნათია დადვანი, თემურ ასაბაშვილი, ანზორ ყიფიანი, სოზარ გულბანი, თინათინ მარგიანი, გიორგი იოსელიანი, ანა იოსელიანი,



სოფელ უდაბნოს მგალობელთა  
გუნდის წევრები

ცუცა ნავერიანი, მზია კორძაია, ისლამ-სამოველი გვიდანი, სირინო-ფიქრია მარგიანი, ლია პირველი, ხათუნა მარგიანი, გაბრიელ გვიდანი, ნინო გვიდანი, ელიზა ბეკურაშვილი, გიზო გულბანი, ჯანიკო გულბანი, გიორგი გულბანი, ირაკლი იოსელიანი, ბაჩუკი იოსელიანი, გიორგი ხაჭვანი, გიორგი მარგველანი, დავით კვანჭიანი, ბექა მარ-

გველანი, ლუკა (მერაბ) გურჩიანი, ბექა მარგიანი, ლაშა მარგიანი, ვალერიან (ვაკო) მარგიანი, დავით იოსელიანი, გაბრიელ (მარლენ) პირველი, ბექა გულბანი, ირაკლი დადვანი, ალექსანდრე არღვლიანი, ლექსო ხაჭვანი, გიორგი გულბანი, ბექა ასლამაზიშვილი, მიქაელ იოსელიანი, ოთარ იოსელიანი, ერეკლე (ნუკრი) ფირცხელანი, გიორგი (ლერი) იოსელიანი, ვიტალი ხაჭვანი, მაიზერ გუჯეჯიანი, გიორგი (ნემო) ქალდანი, ედუარდ მარგიანი, გიორგი (გუჯო) გუჯეჯიანი, მირიან დადვანი, ონისე





(ოლეგი) ბარლიანი, ლევან ბარლიანი, სპარტაკ თოდუა, ლევან გურჩიანი, მედეა გულბანი, გიორგი გულბანი, რომანოზ მარგველანი, დავით ჩართოლანი, ბექა გულბანი, გიზო გულბანი, კახა ხაჭვანი, ბაქარ ჩახმახაშვილი, მინდია ასლამაზიშვილი, გიორგი რატიანი, სერგო ხაჭვანი, მირიან ქანცლიანი, ჯიმშერ ჩართოლანი, პაატა გვარამაძე, ვეფხია ნიგურიანი, ნიკოლოზ ქელიძე, გიორგი ფიცხელანი, ოთარ ნანსყანი, ბეთქელ ქალდანი, გიორგი თამლიანი, მამუკა გვარლიანი, ვაჟა გულბანი, ხვიჩა გულბანი, გიორგი ხორგუანი, შალვა გვარამაძე, ივრიკა გვარამაძე, თემურ კოხიაშვილი, გიორგი ციქობაძე, ანდრია (ზაური) ცინდელიანი, ალბერტ გირგვლიანი, ოლეგ ფირცხელანი, გელა გვიდანი, თემურ გულბანი, რეზო ხაჭვანი, ბაჯი გვიდანი, შურო ფირცხელანი, ლაშა ფირცხელანი, გიორგი (გოგიტა) მარტიაშვილი, ეკატერინე გირგვლიანი, სოფო (ოფელია) მარტიაშვილი, თამილა გირგვლიანი, ლეილა უმფრიანი, ნესტან ფირცხელანი, მაია ფარჯიანი, მანანა გუჯეჯიანი, შუშანიკ (მადონა) თამლიანი, ნანა გირგვლიანი, მარიამ ხაჭვანი, ნუცა გასვიანი, ლევან ჩართოლანი, ავთანდილ ნანსყანი, იბრაგიმ სალილიანი, ნაზი ჩხეტიანი, ივანე-იოანე ქელიძე, გიორგი იოსელიანი, ბაგრატ არღვლიანი, დავით მარტიაშვილი, თამაზ მარტიაშვილი, გიორგი გოგლიძე, ივანე ლუხუტაშვილი, მარლენ (მურად) გვიდანი, ბადრი გვიდანი, ილია გვიდანი, მალხაზ მურჯიკნელი, მიხეილ პაქსაშვილი, რამაზ ჭკადვა, ირაკლი ჟორჟოლიანი, მირზა ივეჩიანი, ნანი კვანჭიანი, ნატო (ნატალია) ხასია, ჟენია გულბანი, მამო გვირგვლიანი, მაკა ქალდანი, შალვა არაბული, მამია ჩართოლანი...

ღმერთმა დალოცოს სოფელი უდაბნო და მისი მაცხოვრებელნი!



გარეჯის დოდორქის მონასტრის მრევლის წევრები

\* \* \*

ბევრი რჩეული ცხოვრობდა ჩვენს გვერდით,  
ბევრი იბადება ახლაც,  
ბევრნი ცოცხლობენ და ღმერთმა გაუმარჯოს  
ცხოვრების დიდ გზაზე მავალთ ...

თუ ვინმე გამომრჩა, თუ ვინმე დამავინყდა,  
სიკვდილსაც დაავინყდეს ნეტავ,  
ყველას გესალმებით, ყველას გეფერებით,  
ღმერთი ყოფილიყოს თქვენთან! ...

იოსებ სიბოშვილი



## ბოლოთქმა

ჩემო კეთილო მკითხველო, პატარძეული, სართიჭალა და უდაბნო მართლაც შესანიშნავი სოფლებია და ღირსეული ადამიანებით დასახლებული. მათ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს საქართველოს გადარჩენისა და წინსვლის საქმეში. ეს ყოველივე ასახულია ჩვენი ერის ისტორიაში, რომელიც ფაქტობრივად ენის, სახელმწიფოებრიობის და მართლმადიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ისტორიაა. მათ ბევრი სასახელო ადამიანი აღზარდეს და დღესაც ღირსეულად აგრძელებენ ამ მამულიშვილურ საქმეს. ძნელია ერთ წიგნში ისაუბრო ყველაზე. შევეცდებით, ღმერთის შენევნით, მათი კეთილი საქმეების შესახებ შემდეგ გამოცემებში ვაცნობოთ ქვეყანას.

ახლა კი მინდა შევეხო თემას, რომელიც სამშობლოს მოყვარული ყველა ქართველისთვის მტკივნეული და სასწრაფოდ მისახედია. ყველამ კარგად იცის, რომ ენა ქართული არის ღმერთის ენა, სახელმწიფო მინა არის ღვთისმშობლის ნილხვედრი, სარწმუნოება — ჭეშმარიტი ღვთის. ღმერთის ნაბოძებ ამ სინმინდეებს დაცვა, მოვლა-მოფრთხილება სჭირდება. ჩვენ კი თითქოს სიფხიზლე დავკარგეთ. ძველად, ქართველ ვაჟკაცს არც შრომაში დაღლის და არც დათრობის უფლება ჰქონდა, რადგან ის უეცრად მომხვედურ მტერს უნდა გამკლავებოდა. დღეს კი ჩვენში სიფხიზლე აღარ არის და თუ არის, მოჩვენებითია. შედეგიც არ აყოვნებს. ჩვენი ქვეყანა ნელ-ნელა, საქართველოს მტრების მიერ შემუშავებული ვერაგული გეგმით, უცხოტომელთა სარგებლობაში გადადის. მავანი კამათს დაინყებს, თქვენ განვითარების და ინტეგრაციის პროცესების წინააღმდეგი ხართო. განვითარების წინააღმდეგი არასოდეს ვიქნები, ხოლო ინტეგრაციის და გლობალიზაციისა — რა თქმა უნდა. ეს ხომ იგივე ბაბილონის გოდოლია, რომელიც უფალმა დაუნგრია ადამიანებს მათივე გაამპარტავნების გამო. ჩვენ კი სახელმწიფოს განვითარების პრობლემებს რატომღაც გარედან ვუვლით, ვტრიალებთ ამ



მოჯადოებულ რკალზე, გამუდმებით ვკამათობთ და ვებრძვით ერთმანეთს. გვგონია, რომ ასე ქვეყანას ავაშენებთ, სინამდვილეში კი ვშლით და ვანადგურებთ ყველაფერს, რაც აქამდე წინა თაობებს შეუქმნიათ. ვერა და ვერ ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც შეძლებს ამ პრობლემის გადაჭრას. აგერ უკვე თითქმის სამი ათეული წელიწადია წრეს ვუვლით შექმნილ მდგომარეობას და თუ დროზე არ მივხედეთ, შეიძლება ქვეყანა გუშინდელი თოვლივით შემოგვადნეს ხელში. ჩვენი საქმე კი ასეა: არ აკეთებ, რატომ არ აკეთებო, აკეთებ — რატომ აკეთებო. თუმცა სხვანაირად როგორ მოიქცევა ერი, რომელმაც შექმნა „ჭრელო პეპელა“ და „ნაცარქექია“.

ყოველივე ამის მიზეზი ისევ ჩვენშია. დიდი ხანია, რაც გადავუხვიეთ უფლის გზას და სიძნელების გადალახვაც გვიჭირს. წმიდა მამები გვასწავლიან: „ყოველ ჩვენგანშია ჭიდილი სიკეთესა და ბოროტებას შორის. ღვთისაკენ სავალი გზა არ არის იოლად გასავლელი, მაგრამ თუკი ადამიანის უფლისკენ სვლა მტკიცეა და შეუპოვარი, დაბრკოლებებსაც ადვილად გადალახავს. სახარების ერთი ეპიზოდი გავიხსენოთ. მარიამ მაგდალინელი უფლის საფლავისკენ მიემშურება, რათა მაცხოვრის სხეულს ნელსაცხებელი სცხოს და თან სწუხს—საფლავის კართან დადებულ ლოდს ვინ გადააგორებსო. იქ მისულს ლოდი გადაგორებული დახვდება — ის ანგელოზმა გადააგორა. მთავარია, განზრახვა გვქონდეს ღვთისაკენ სვლის, სიკეთის კეთებისა და იმ სიძნელებს, დაბრკოლებებს, ამ გზაზე რომ შეგვხვდება, უფლის ანგელოზი ისევ გადააგორებს, როგორც მაცხოვრის საფლავთან დადებულ ლოდს“.

როგორც ცნობილია, ეკლესია შედგება ორი სიტყვისაგან: „ეკ“ (შორიდან) და „კლეო“ (ვუხმობ). დამეთანხმებით, ალბათ, როდესაც შევდივართ ტაძარში, განსაკუთრებული გრძნობა გვეუფლება — მონუსხული, შიშნარევი. თითქოს ვილაც გვიხმობს შორიდან. ჩვენ კი ვანთებთ სანთელს, ვინერთ პირჯვარს და მზად ვართ, იმ შორეულს გულიდან ამოღებული სითბო ვუბოძოთ



და შევეუერთდეთ. ესე იგი, ვდგამთ ნაბიჯს ღმერთისაკენ. ტაძრიდან გამოსულები ვერ ვუძლებთ ცდუნებას და ისევ წუთისოფლისაკენ ვიხრებით, მაშინ როცა წმიდა წერილი გვაფრთხილებს: „...წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა...“ (იაკ. 4.4.) და ასე გრძელდება გაუთავებლად ერთი ნაბიჯი წინ უფლისკენ, ხოლო შემდეგ ნაბიჯი უკან წუთისოფლისაკენ. ვტკეპნით ერთ ადგილს. გადის წლები. როდესაც მოვა ჩვენი ამქვეყნიდან გასვლის დრო, მაშინ ვხვდებით, რომ ერთ ადგილას ვდგავართ. ეს ადგილი კი ის ღრმა, ბნელი ორმოა, სადაც ღმერთი არ არის. ამიტომ იყო, რომ ჩვენი ბრძენი წინაპარი მხოლოდ ღმერთის გზით მიდიოდა და დიდი იმპერიების ცეცხლში გამოვლილმა დღემდე მოგვიყვანა.

„სამშობლო, როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა,“ — უთქვამს პოეტს. თუ გვინდა, რომ არ დავრჩეთ სამშობლოს გარეშე, გავითავისოთ უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის მონოდება:

„ქართველნო! ერთად ღვთისაკენ. ღმერთს ებარებოდეთ!“



**სარჩევი**

ავტორის აგან .....4

პატარძელი .....5

გიორგი (გოგლა) ლეონიძე .....21

ვასილ (ვასო) ყუშიტაშვილი .....28

სოლომონ ბუტულაშვილი .....40

ალექსანდრე ელერდაშვილი .....47

ვლადიმერ (ლადო) ცხვარიაშვილი .....64

ცისიერი (ცისი) დიღმელაშვილი .....70

გივი ონაშვილი .....77

ნინო ლაფერიშვილი .....83

მაია (მაკო) სასწრაფოშვილი .....93

არჩილ ონაშვილი .....99

სართიჭალა .....106

სოფიო (სონია) გენგაშვილი .....114

იმბურგ კოლაშვილი .....125

დეკანოზი შალვა (შუბითიძე) – გოლისელი .....130

ბერდიაკონი იოსები-მაშენებელი .....155

გურამ გედეხაური .....163

სიმონ გოჩიტაშვილი .....172

ალექსი (ალიკო) თავთავაძე .....182

ოთარ თიღილაური (სისაური) – თორღვა ანატორელი .....188

უდაბნო .....197

ბოლოთქმა .....218





გარეჯის მრავალმთის უდაბნო უდიდესი საგანძურია ქართველი ერისა. ის ჩვენი მატრიანია. სამწუხაროა, რომ ეს უნიკალური ისტორიული ძეგლი დღემდე შეუსწავლელია. გადმოცემით ცნობილია, რომ აქ ტყის შასივებში მდებარე ქალაქებსა და სოფლებში დულდა სიცოცხლე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე ტყეები ფოლადის გამოდნობას გაუმეჩხერებია, ხოლო რაც გადარჩენილა ბანძრს გადაუნგავს, რომელიც თურმე თითქმის ორი წლის მანძილზე მძვინვარებდა. აქ ჩამარბულ წინაპართა ძვლების კედლებზე, წმიდა მამებმა ააშენეს სინშიდეები და მართლაც ბუნვის ხიდზე გავლილებმა ახალი სიცოცხლე შთაბერეს საუკუნეების მანძილზე გაუკაცრიებულ ადგილებს.

უდაბნოს ველები ბევრჯერ ყოფილა სისხლიანი ხმალთაკვეთების ადგილი. მტერთან პირველი ბრძოლა კახელებს ხშირად მოუღიათ ამ მიდამოებში.

კახეთი ყოველთვის იყო ნამდვილ ქართველობის ციხე-სიმაგრე, შეუდრეკელი მკერდი საქართველოსი და ასე დარჩება ქვეყნიერების დასასრულამდე.

ISBN 978-9941-8-0344-4



9 789941 003444 >